

# სხადი შოკოლედი

ოქტომბერი 2012 №83

ფასი 7 ლარი



ISSN 1512-2220



9 771512 222006



ცდუნების ფორმულა  
DI MODENA



დანარჩენი ზედეტია



House of Villeroy & Boch



Villeroy & Boch  
1748

40 %  
ფასდაკლება


სერვიზი "Old Luxembourg"



რუსთაველის გამზ. 1  
0105, თბილისი, საქართველო  
ტელ: + 995 32 2 934 734  
ფაქსი: +995 32 2 933 744  
ელ-ფოსტა: [info@luxury-interior.ge](mailto:info@luxury-interior.ge)  
[www.villeroy-boch.com](http://www.villeroy-boch.com)

# სხალი შოკოლადი

№83, ოქტომბერი 2012



ილუსტრაცია ყდაზე:  
ანდრია დოლოძე

|                               |     |   |
|-------------------------------|-----|---|
|                               | 8   | რედაქტორის სვეტი  |
|                               | 10  | ავტორთა სვეტები   |
| <b>ნარდგენა</b>               | 12  | გიორგი ტაბატაძე, მხატვარი   |
|                               | 14  | „ელისო“, ანუ კავკასიური სიყვარული <i>დავით ბუხრიკიძე</i>                          |
| <b>ანონსი</b>                 | 16  | 5 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ<br><i>სალომე აფხაზიშვილი</i>   |
| <b>18 სექტემბერი</b>          | 22  | Генерал! Наши карты - дерьмо. Я пас. <i>გაგა ნახუცრიშვილი</i>                     |
|                               | 24  | „ნუ მკლავთ!“ <i>ხათუნა ხაბულიანი</i>  |
|                               | 26  | Post Factum <i>მაია სარიშვილი</i>   |
|                               | 28  | ... <i>ალექს ჩიღვინაძე</i>  |
|                               | 30  | უმცირესობის სტრესი <i>თამთა მელაშვილი</i>   |
|                               | 32  | ... <i>ქეთი ქანთარია</i>  |
| <b>სპეცპორექტი</b>            | 34  | გარდაუვალი არჩევანი 2012  |
| <b>დისკუსია</b>               | 44  | სახელმწიფო და საზოგადოება – როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა                       |
| <b>რეპორტაჟი ბათუმიდან</b>    | 52  | ნობელის ქალაქი <i>ნინო ნატროშვილი</i>   |
| <b>ფოტოპროექტი</b>            | 58  | Deep in Soviet Georgia  |
| <b>ისტორია</b>                | 68  | <i>ჩუკა კუპრავა</i><br>პიკნიკი ელიავაზე <i>ნინო ჯაფიაშვილი</i>                    |
| <b>ინტერვიუ</b>               | 78  | 15 წუთი წერი ბილგე ჯეილანთან <i>ანიტა თვაური</i>                                  |
| <b>თარგმანი</b>               | 82  | გაუჩინარებული <i>სალმან რაშდი</i><br><i>ინგლისურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ.</i> |
| <b>ლიტერატურა</b>             | 96  | <b>ლიტერატურული პროცესი</b> ქართული ლიტერატურა თარგმანში <i>მანანა თანდაშვილი</i> |
|                               | 102 | <b>საავტორო</b> ისპალნიწელი <i>აკა მორჩილაძე</i>                                  |
|                               | 106 | <b>მოთხრობა</b> ფოტოალბომი <i>ინა არჩუაშვილი</i>                                  |
|                               | 114 | <b>პოეზია</b> მინდია გოგოჭური, პოეტი  |
| <b>საუბრები აბაყურის ქვეშ</b> | 116 | მზით გაცვითე... <i>თამარ ბაბუაძე</i>  |
| <b>რეცენზია</b>               | 118 | მომჭირნე მდიდარი <i>დიანა ანფიმიადი</i>   |
|                               | 120 | ნაღდი და უბრალო <i>ანინა ტეფნაძე</i>  |
| <b>ნიგნები</b>                | 121 | მიმოხილვა   |
| <b>რეცენზია</b>               | 126 | „ჩვენ ვართ დედები, ჩვენ ვართ დედები საქართველოსი“... <i>თეო ხატიაშვილი</i>        |
|                               | 130 | დავენიოთ და გავუსწროთ სიბიუს ფესტივალს <i>დავით ბუხრიკიძე</i>                     |
|                               | 132 | ფესტივალი, აქტი მეოთხე... <i>დავით ბუხრიკიძე</i>                                  |
| <b>სტილი</b>                  | 136 | უსათაუროდ <i>თამარ ალავიძე</i>  |
|                               | 138 | ტრენდი  |
|                               | 140 | უფარსკვლავო ქალაქის ვარსკვლავები <i>მაშო სამადაშვილი</i>                          |
|                               | 148 | ბრიტანელი ქალის პარიზული რომანი <i>თამარ ალავიძე</i>                              |
|                               | 150 | ფოტოპროექტი მომავლიდან  |
|                               | 158 | RayBan-ის იუბილე <i>თამარ ალავიძე</i>   |
|                               | 160 | Ciao Anna <i>ნინუცა ივარდავა</i>  |



ლისი

მ მ რ ა ნ დ ა



## გუნება უენი ახალი საპარჯიშო ღარბაზია

თბილისის ცენტრიდან მხოლოდ ათ წუთში თქვენ აღმოჩნდებით ლისის ტბის განსხვავებულ გარემოში. სუფთა ჰაერი, ბუნებასთან შერწყმული, თანამედროვე, კეთილმოწყობილი სახლები... ყველა შესაძლო კომფორტი თქვენს ხელთაა. ნარმოიდგინეთ ეს ყველაფერი? ამიტომ, დროა მოემზადოთ და შეეგებოთ ახალ გარემოს. გადმოდი და დაინყე ახალი ცხოვრება.

2 48 47 44 | 595 134 134 | [tbi@lisi.ge](mailto:tbi@lisi.ge) | [www.lisi.ge](http://www.lisi.ge)

**მთავარი რედაქტორი**

თამარ ბაბუაძე  
„სტილი“  
თამარ ალავეძე  
რედაქტორების ასისტენტი  
მარიამ სამადაშვილი  
**ვებგვერდის რედაქტორი**  
ნინო ჯავახიშვილი  
**არტრედაქტორი**  
არჩილ თაბუკაშვილი  
**ლიზინი**  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
**კორექტორი**

თამარ ლონღაძე  
**ნომერზე მუშაობდნენ:**

ნინო ჯავახიშვილი, ნინო ზურიაშვილი,  
ნინო ლომაძე, მანანა თანდაშვილი, ხათუნა  
ცხადაძე, აკა მორჩილაძე, დავით ბუხრიკიძე,  
ნინო ნატროშვილი, დავით მაკარიძე, გიორგი  
მაისურაძე, ლინკოლნ მიტჩელი, პაატა  
ქურდაძე, ვახუშტი მენაბდე, გიორგი ხასაია,  
იაგო კაჭკაჭიშვილი, ლევან გიგინეიშვილი,  
გიგი გულუდანი, ალექს ჩიღვინაძე, ქეთი  
ქანთარია, გაგა ნახუცრიშვილი, ხათუნა  
ხაბულაიანი, ლევან ასაბაშვილი, თამთა  
მელაშვილი, ანია თვაური, დიანა ანფიმიადი,  
თეო ხატიაშვილი ანინა ტეფნაძე, სალომე  
აფხაზიშვილი, ნინუცა ივარდავა, მამო  
სამადაშვილი.

**ფოტო:**

ვალერი (საშა) მითაიშვილი, მაკა გოგალაძე,  
ლევან ხერხეულიძე, ფიოდორ ბიტკოვი,  
სერგი ბარისაშვილი, ლევან მაისურაძე, პიერ  
ანტუანი

**ილუსტრაციები:**

ანდრია დოლიძე, ნათია კვარაცხელია  
**გამომცემელი**

შორენა შავერდაშვილი  
**გიჟნასის განვითარების მენეჯერი**  
რუსუდან ფურცელაძე  
**პარტნიორებთან ურთიერთობის  
მენეჯერი:**

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი,  
სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი  
**დისტრიბუცია**

მიხეილ მამუჩაშვილი



**გამომცემლობა:**

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“  
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო  
ფლენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05  
**სხვა გამომცემლები:**

„ლიბერალი“, „დიპლომატი“, ქართული ლენინის  
გზამკვლევი

**სტამბა:**

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140,  
ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის  
25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო  
უფლებები დაცულია. ჟურნალში  
გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი  
ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის  
ნებართვის გარეშე აკრძალულია.  
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი  
არ ერევა შინაარსის შექმნაში.



**ჩანაწერი პირად დღიურში 25.09.2012.**

ახლა ჩამოვედი ჟურნალის დიზაინერის ოთახიდან. გადავავლე თვალი ყველაფერს. თითქოს, დასრულდა. ჟურნალი მზადაა. მაგრამ ვერ ვასრულებ. არ სრულდება არაფერი. ასე მგონია, უკვე ერთი კვირაა, აღარ ღამდება, აღარ ვიძინებ და აღარც ვიღვიძებ. სულ 18 სექტემბერი დგას, რეზინით განელილი ერთი დღე. აი, იმ ფილმში რომაა კინოეფექტები – „ბრწყინვალე გონების მარადიული ნათება“ – ზუსტად იმ კინოეფექტებით მეშლება თვალწინ ჩემი კომფორტული გასართობები: საათივით აწყობილი შუქნიშნები, გამჭვირვალე იუსტიციის სახლები, ონლაინგადარიცხვებისას ეკრანზე მყისიერად გამოსული ინვოისები. ეს ყველაფერი ქურდულად ჯიბეში ჩადებულ ქრთამად იქცა. მაინც ვერ ვეშვები ჩვევას – ისევ ვეპოტინები კომფორტის ზონას, მაგრამ იქაურობა დარბეულია. ახლა იქ ყველაზე ნათელი ერთი, კათარზისის სურვილია.

18 რიცხვი ის დროა, როდესაც ჟურნალის მთელი შინაარსი თითქმის მზადაა. სექტემბერში კი, 18 რიცხვში, ხელების ცეცებით, ნერვიულად, ქაოსურად დავიწყეთ ჟურნალის ახალი შინაარსის დაგეგმვა. ყველამ ერთად მოვიფიქრეთ, ვწერეთ და ვიკითხეთ. ემოციები შევავსოვეთ. უცებ შეგროვდა. აზრების შეგროვებაც ვცადეთ, ესეც საოცარი ტემპებით შევძელით – ლაპარაკი, გაზიარება, მოსმენა, განცდილის და ნაფიქრისთვის ახალ-ახალი ფორმების მოძებნა ასე ძალიან მანამდე არავის ნდომებია... მაგრამ ეს აზრები ჯერ ნედლია, ვიდრე ყველაფერი გაირკვევა, მილიონჯერ დაიხვეწება და მიიღებს მტკიცე პრინციპების სახეს.

არა მგონია, ოქტომბერში, როდესაც ზუსტად ეს პროცესი – კონტურების გამოკვეთის, რაციონალური გააზრების და ცვლილებების – გადამწყვეტ ფაზაში შევა, „ცხელი შოკოლადის“ კითხვა შეძლოთ. მაგრამ მაინც აუცილებლად შეინახეთ ეს ნომერი. №83 „ცხელი შოკოლადი“ სექტემბრის იმ ერთი კვირის ქრონიკაა, საიდანაც შეუქცევადი რღვევა და ტრანსფორმაცია დაიწყო. ეს ემოციების ფიქსაციაა. და დოკუმენტია.

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი



# BP - საქართველოს მხარდასაჭერად



ნიკოლოზ მავაჩი  
სერფისტი

ვარლამ ლიპარტელიანი  
ძიულა

დავით შარხაიშვილი  
თავისუფალი ჯიუჯოსა

შოთა ომარაშვილი  
წოდები

იანო გორჯიძე  
წოდები

ლესა გოლოვინა  
ბატონა ზღობა

ჩვენ გვჯერა, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში. BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში



ოლიმპიური კომიტეტი






ნინო ნატროშვილი

აქამდე სიტყვა ნავთობსადენზე ყოველთვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მახსენდებოდა. ან რა გასაკვირია: მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, სულ ამ პროექტსა და მის მნიშვნელობაზე მესმის... წელს, როცა ბათუმის საუკუნის წინანდელი მოვლენების ორომტრიალში გადავქვი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი კიდევ ერთხელ გამახსენდა. ოღონდ, ვფიქრობ, რომ დღეიდან სიტყვა „ნავთობსადენის“ გაგონებაზე, ჩემს გონებაში თანამედროვე კი არა, ძველი, ნობელის მიერ აგებული ნავთობსადენი ამოტივტივდება – საქართველოში პირველი და თავისი მნიშვნელობით არანაკლები პროექტი.

როცა ძმები ნობელების ბათუმური მოღვაწეობის ისტორია მოვისმინე, გული დამწყდა და კიდევ ერთხელ გაგებრაზდი საბჭოთა მანქანაზე, რომელმაც ამ ქალაქის და მასთან ერთად ქვეყნის ბედიც უკუღმა დაატრიალა... რომ არა გარდამტეხი ფრაზა – „ბათუმში საბჭოთა ცხოვრება დაიწყო“ – არავინ იცის, რა რეალობა იქნებოდა დღეს...

ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიების მუზეუმი იმდროინდელ და ახლანდელ ბათუმს შორის ბევრ პარალელს ავლებს, თუმცა ის მაინც სულ სხვანაირ ქალაქზე გიყვებათ. გაციანით ბათუმი თავიდან. ამ სტატიაში ის ნობელების ქალაქია...

ნობელის ქალაქი  
გვ. 52



ნინო ჯუჯიაშვილი

როცა ცოტა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ერთი ასეთი ჩვევა მქონდა – ჭკვიანი, ძლიერი, თავისუფალი ადამიანებით ვიხიბლებოდი. რალაცნაირად შთამაგონებდა ასეთი ტიპების არსებობა. ეს აღმოჩენები ჩემთვის დაახლოებით იმავეს ნიშნავდა, რაც ნისლში დაკარგული გემისთვის ნაპირზე მდგარი შუქურის შენიშვნა. მეგონა, ასეთი სრულყოფილი პიროვნებები ადამიანებს თავიანთ შესაძლებლობებზე მიუთითებდნენ. ამ იდეალური არსებების, ამ ღმერთების ფონზე ველარ ვამჩნევდი უნაკლო ადამიანების სისუსტეებს, ვერც სუსტების ძლიერ მხარეებს ვხედავდი.

თუმცა, ამ მატრიცამ რღვევა მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმოვაჩინე, რომ ყველა ჩემი გმირი ერთმანეთს დაემსგავსა, ყველა ერთად კი – ბრინჯაოს ძველებს. მათი ნაწილი ისევ გმირი იყო, ნაწილს კი უკვე მოესწრო მონსტრად ქცევა. მოკლედ, მას შემდეგ, ადამიანების დახარისხებას და მათ ძველებად ქცევას თავი დავანებე, ამ სისულელებს შევეშვი და ამოვისუნთქე, მივხვდი, რომ „უნაკლო“ კი არა, მინიერ ადამიანებთან თანაცხოვრება მაინტერესებს, მაინტერესებს ეს პროცესი – თავისი უბრალოების და სიდიადის გამო.

პიკნიკი ელიავაზე  
გვ. 68



ნათუნა ცხალაძე

სალმან რამდის ვრცელი წერილი „ნიუ-იორკერში“ – ესაა ამბავი ნამდვილ თანადგომაზე, რომელიც საშინლად სიტყვაძუნწია, რომელიც გხვდება იქ, სადაც არ ელი, ადამიანებში, ვისგანაც ნაკლებად ელი; სრულიად უმნიშვნელო, შეუმჩნეველ წერილმანებზე, რომლებიც ხილული და ასე უცნაურად სათუთი ხდება, როცა ფიქრობ, რომ დღეები დათვლილი გაქვს;

გამბედაობაზე, მოეხვიო მას, ვინც აღარ გიყვარს;

გამბედაობაზე, რომელიც გჭირდება, რომ თქვა: „ჩვენ“.

ობიექტურობაზე, გონების სიფხიზლეზე, რომელიც არ დუნდება, მაშინაც კი, როცა სასიკვდილო განაჩენი გაქვს გამოტანილი;

კომპრომისზე, თუნდაც ის ერთადერთი გამოსავალი იყოს;

პრინციპულობაზე, თუნდაც ის სიკვდილს უდრიდეს;

სინანულზე, იმის გამო, რაც არ გააკეთე; მწველ სირცხვილზე, იმის გამო, რომ შეგეშინდა;

სიკვდილმისჯილ კაცზე, რომელიც თავის გადასარჩენად სახელს იცვლის და ამ დროს საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებზე – საარჩევნო უფლებებზე ფიქრობს; იმაზე, რომ სიცოცხლის გადასარჩენად ხმის უფლება დაკარგა;

და ბოლოს – სახელზე: პოეტურ, მაგრამ პრაგმატულ, შენიღბულ, მაგრამ ასე აშკარა, მონატრებითა და სიყვარულით სავსე სახელზე სევდით სავსე თერთმეტი წლისთვის.

გაუჩინარებულები  
გვ. 82

# Schwarzkopf

პროფესიონალთა გამოცდილება ქვენი თმისათვის.



## Perfect Mousse

### №1

### სალებავი-მუსი\*

ინოვაცია

პირველი მდგრადი სალებავი  
მუსის ტექსტურით

- ამიაკის გარეშე
- ინტენსიური მდგრადი ფერი
- ჭაღარის არანაირი კვალი
- დაუფურებლად მოსახერხებელი



მუსი




ფერი



სახეობა


\*Nielsen, YTD PS 2011 ბუნებრივი მუსის ტექსტურის მიხედვით



გვ. 104



გვ. 108



გვ. 110

**გიორგი ტაბატაძე**

**მხატვარი**

Freelancer Artist, ანუ დამოუკიდებელი მხატვრის სტატუსით გიორგი ტაბატაძე უკვე წლებია, ჰოლანდიაში ცხოვრობს. ამბობს, რომ ეს ქვეყანა ზუსტი ადგილია ახალგაზრდა მხატვრისთვის, რომელსაც კარიერის დაწყება სურს. დიდი მუზეუმებისა და არტისტული ორგანიზაციების გარდა, ჰოლანდიის ქალაქებში უამრავი სტუდენტური გაერთიანებაა, რომელიც თავის დამკვიდრების შანსს აძლევს მხატვარს.

ჰოლანდიაში გამგზავრებამდე გიორგიმ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ქანდაკების მიმართულებაზე ოთხ წელს ისწავლა და ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ საკუთარი თავი უკვე თანამედროვე ხელოვნებაში გამოსცადა. საქართველოდან გამგზავრების შემდეგ კი, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით სწავლა ამსტერდამში, სანდბერგის ინსტიტუტში გააგრძელა (Sandberg Institut).

მუშაობის ტექნიკითა და ნამუშევრების შინაარსით ის თანამედროვე არტისტი უფრო მეტადაა, ვიდრე – ფერმწერი. თემები, რომელზეც მხატვარი მუშაობს, ჩვენი ყოველდღიური რეალობისა და ადგილი. ვიდეოები, რომლებიც რეალობის არსების ეთერი გადმოცემა, youtube-ის არხები, ტერორიზმი, ხელოვნურად შევიწროებული ტერიტორიები და სხვა სოციალურ-პოლიტიკური თემები გიორგი ტაბატაძის შემოქმედებითი სივრცის წყარო ხდება.

გიორგის ინსპირაციად ხშირად სხვა არტისტები და ხელოვნებიც ევლინებიან, მა-

გალითად, გერმანელი რეჟისორი ჰარუნ ფაროკი. თავის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ნამუშევრად გიორგი კიბერსივრცის შესახებ გაკეთებულ პატარა ფილმ-კოლაჟს ასახელებს: „Three Manifestation of the Holy Fire“, რომელიც youtube-ისა და vimeo-ს მასალებზე დაყრდნობით შექმნა. ფილმი კიბერსივრცეს წარმოადგენს, როგორც საჯარო სივრცეს, სადაც მონაცემთა ბაზა მუდმივი მონტაჟის პროცესშია და თან მუდმივ რედაქტირებას განიცდის.

მეორე მნიშვნელოვანი მოზაიკური ნამუშევარი – „When East meets West“, ისევე მედიასივრცეს უკავშირდება. გიორგის ინსპირაციად სადამ ჰუსეინის შეპყრობის ფოტო მამინე იქცა, როდესაც ტელევიზიებმა ეს კადრები გაავრცელეს.

„ეს ფოტო მომწონს იმიტომ, რომ მასზე შეგიძლია დაინახო ადამიანების მიერ ფოტოს აღქმის მთელი ჯაჭვი: უყურებ კადრს, რომელზეც პენტაგონში მსხდომი ექსპერტები თავის მხრივ უყურებენ ტელეეკრანს, რომელზეც ჩანს, თუ როგორ ჩაჰყურებს სხვა ექსპერტი სადამ ჰუსეინის დაღებულ პირში მისი პიროვნების ნამდვილობის დასადასტურებლად. ჯაჭვის ბოლო სადამ ჰუსეინის პირთან მთავრდება. ჩემთვის ეს ფოტო იყო იკონოგრაფიული გამოსახულება იმისა, თუ როგორია აღმოსავლეთი დასავლელი ადამიანის ცნობიერებაში და რა ხდება, როდესაც ეს ორი მხარე ერთმანეთს ხვდება“, – ამბობს გიორგი თავისი ნამუშევრის შესახებ.

მისი სხვა ნამუშევრები საქართველოს და მის კონფლიქტურ რეგიონებსაც ეხება. ვიდეოინსტალაცია, სახელწოდებით „National Geography“ არის ფილმი, რომელშიც ავტორი ფოტოშოპის საშუალებით ცდილობს საქართველოს რეალური საზღვრების აღდგენას რუკაზე, სადაც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილი. „ფილმის ბოლოს, თქვენ იხილავთ საქართველოს ტერიტორიის სრულიად უცხო ფორმას, რომელიც ქართველებს ისტერიულად არ მოსწონთ და არ სურთ მასთან იდენტიფიცირება, რადგან ამის მიზეზი ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური მარცხის მტკივნეული შესხნებაა“, – აღნიშნულია ვიდეოინსტალაციის ანოტაციაში.

გიორგი საქართველოში ახალი პროექტით მალე დაბრუნდება. აქ მიმდინარე მოვლენების მოზაიკური იკონოგრაფია – „Social News Graffiti“ თბილისში გაზაფხულზე გამოჩნდება. გიორგი ამბობს, რომ ამ ნამუშევარში აქცენტები სოციალურ და კულტურულ საკითხებზე გაკეთდება და მძაფრი პოლიტიკური პროცესებისგან შორს იქნება. გიორგი ტაბატაძეს თავისი ნამუშევრებით საქართველოში ნაკლებად იცნობენ, თუმცა შემდგომი პროექტები თანამედროვე ქართველი არტისტის სახელს ალბათ ბევრ ჩვენგანს გააცნობს. მანამდე კი მისი ვიდეოინსტალაციების, მოზაიკური იკონოგრაფიების და სხვადასხვა მედიაში შესრულებული ნამუშევრების ნახვა მის ინტერნეტგვერდზე შეგეძლება, რომლის მისამართია: <http://www.gtabatadze.com>



Silk TV თვეში 10 ლარად წლის ბოლომდე!  
ჩაერთე **15 თქტომბრამდე** და მიიღე:

✓ **130-მდე ტანდარნი**

✓ **10 დღეადა გადახვევა**

✓ **ყველა უსხოური ფილმი  
ვიდეოთეატრი უფასოდ**



აქციის ფარგლებში Silk TV-ის ინსტალაცია (ოპტიკურ ქსელში) 50% იანი ფასდაკლებით



Find us on  
facebook

2 100 100

[www.silknet.com](http://www.silknet.com)

ინტერაქტიული ტელევიზია

# „ელისო“, ანუ კავკასიური სიყვარული

ავტორი ღვთისმეტყველები

გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ახალი თაობის მოსვლამ ქართული კინო ახალი ჟანრებითა და გამომსახველობითი საშუალებებით გაამდიდრა. სწორედ ამ თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რომელიც ფუტურისტულ-ლიტერატურულ ჯგუფში მონაწილეობდა. შენგელაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 1924 წელს რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ასისტენტად მიიწვია ფილმზე „ქარიშხლის წინ“.

ლექსების პოეტურმა და რიტმულმა წყობამ, ისევე როგორც ფუტურისტული პოეზიის სტრუქტურამ დიდი გავლენა იქონია ნიკოლოზ შენგელაიას ფილმების სტილზე. განსაკუთრებით, მისი ფილმების პოეტურ-რიტმულ მონტაჟზე.

რეჟისორისთვის საეტაპო აღმოჩნდა ფილმი „ელისო“ (1928), რომელშიც მთელი ძალით და მასშტაბით გამოვლინდა მონტაჟის ხელოვნების ცოდნა და ბრწყინვალე ექსპრესიულობა. ამ ფილმამდე დაახლოებით ორი წლით ადრე ნიკოლოზ შენგელაიამ ლეო პუშტან ერთად გადაიღო თავისი პირველი ფილმი „გიული“, რომელშიც ნატო ვანნაძემ ახალგაზრდა ქალის ტრაგიკული სახე შექმნა.

ამ ფილმიდან ცოტა ხნის შემდეგ რეჟისორმა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის, „ელისოს“ ეკრანიზაცია გადაწყვიტა. ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ კირა ანდრონიკაშვილი (ელისო), კოსტა ყარალაშვილი (ვაჟია), ალექსანდრე იმედაშვილი (ასტამური), ილია მამფორია (სეიდულა), ცეცილია წუნუნავა (ზაზუბიკა), ალექსანდრე ჟორჟოლიანი (გენერალი).

ნიკოლოზ შენგელაიასთან ერთად ფილმზე – ოპერატორი ვლადიმერ კერესელიძე, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე და კომპოზიტორი იონა ტუსაკია მუშაობდნენ. შედეგი მართლაც შთაბეჭდავი აღმოჩნდა. „ელისო“ ბრწყინვალე დინამიკით და საოცარი მონტაჟური რიტმით გადაღებული ფილმია, რომელმაც გამოსვლისთანავე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება.

ფილმი თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენი ხალხის თვითმყოფადობისათვის ბრძოლას ასახავს. მეფის რუსეთის მთავრობა ცდილობს ჩეჩენები საკუთარი მიწიდან აყაროს და თურქეთში გადაასახლოს; მათ ნაცვლად კი კაზაკები ჩაასახლეს. ამ ეპიკური ტრაგედიის



ფონზე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ჩეჩენი ელისოსა და მოხევე ვაჟიას სიყვარული. მათი ცდა, გადაარჩინონ სოფელი გადასახლება, წარუმატებლად მთავრდება.

„ელისოს“ ფინალურ სცენაში ერთმანეთს უპირისპირდება სიკვდილი და სიცოცხლე, წარღვნა და დაბადება, მოსპობა და სიცოცხლის განახლება, თეთრი და შავი და ამ ბრძოლაში სიცოცხლე იმარჯვებს. სწორედ პლასტიკაში, მარადიულ მოძრაობაში, მოქმედებასა და შემოქმედებაში დაინახა ნიკოლოზ შენგელაიამ ადამიანის ცხოვრების არსი, მისი უდიდესი ლტოლვა გამარჯვებისკენ.

ფილმი ეკრანზე 1928 წლის 23 ოქტომბერს გამოვიდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო პრემიერა არა თბილისში, არამედ მოსკოვში გაიმართა. ყველაფრის მიუხედავად ეს ნამდვილი ტრიუმფი იყო. პრესა ერთხმად აღიარებდა ფილმის დიდ გამარჯვებას და დაწვრილებით აღწერდა მისი წარმატების მთავარ მიზეზებს. ეკრანზე გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ „ელისო“ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც უჩვენეს. სხვათა შორის, ნიუ-იორკის კინოდარბაზების წინ, აფიშზე გამოკრული იყო ფილმის ინგლისური სათაური – „კავკასიური სიყვარული“.

ამერიკული პრესა აღნიშნავდა, რომ „ქართულმა კულტურამ ჩირაღდნით ხელში შემოაბიჯა ამერიკის კონტინენტზე“. ასევე დიდი წარმატებით გაიმართა ფილმის პრემიერა გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტში, საერთაშორისო კინობაზრობაზე, სადაც ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“ საბჭოთა კინოს ყველაზე ღირებულ ნამუშევრად აღიარეს.

ნიკოლოზ შენგელაიას აგრეთვე გადაღებული აქვს ფილმები: „გიული“, „ნარინჯის ველი“, „26 კომისარი“, „სამშობლო“, „შეე მთებში“, „ის კიდევ დაბრუნდება“. სამუშაოდ, რეჟისორი ადრეულ ასაკში, 42 წლისა გარდაიცვალა. კინოკრიტიკოსების აზრით, „ელისო“ ყველა დროის 12 საუკეთესო ქართულ ფილმს შორის დღემდე პირველობას ინარჩუნებს. ფილმი ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული. 1965 წელს იგი აღადგინა და გაახმოვანა კინორეჟისორმა ელდარ შენგელაიამ.



ფანსელის დათბუნების სისტემა  
**CAPATECT®**



ფოტო: კარო პასკალი

**5 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ უნდა გამოტოვოთ**  
 ავტორი: სსიპი აფხაზიხვილი

**გამოფენა**

თანამედროვე ხელოვნების მეხუთე საერთაშორისო გამოფენა – „პროტესტი, რომელიც არასოდეს მთავრდება“.

როდის: 5.10-15.10

5 ოქტომბერი, პარასკევი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის ქ. 8;

**18:00 – „არტისტერიუმი 2012“, თბილისის თანამედროვე ხელოვნების მე-5 საერთაშორისო გამოფენის გახსნა.**

6 ოქტომბერი, შაბათი

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ქანტურიას ქ. 8

**12:00 – „Nine Dragon Heads“ (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;**

**14:00 – გალერეა „V“-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელარუსი;**

**16:00 – „ბანერები და დღიურები“, პოლონურ-ბელარუსული საგამოფენო პროექტი;**

**18:00 – შეხვედრა ვიტალი კომართან, აშშ/რუსეთი.**

7 ოქტომბერი, კვირა

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის ქ. 6

**14:00 – „ჯვარედინი დამტვერვა“, ლორა სენსონი /აშშ/, ქართული ტექსტილის ჯგუფი, „ლურჯი სახლი“ /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;**

გალა გალერეა, ათონელის ქ. 27

**19:00 – „ცა – 24 საათი“, კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.**

8 ოქტომბერი, ორშაბათი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის ქ. 8

**13:00 – „განსხვავება: ადამიანები პრობლემებით“, Ghana ThinkTank-ის ქართული ThinkTank-ი, ვორკშოფი;**

**15:00 – იარო სლევსი, ჰიბ ჰოპი – ლირიკა/ტემპი, ვორკშოფი, აშშ.**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის ქ. 22

**14:00 – კენეტ პოუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;**

**17:00 – „სამყურა“, საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი.**

საქართველო. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გულიაშვილის ქ. 7



**19:00 – საშა ქავჭავაძე, „ტანსაცმელი რევოლუციისთვის“, ლადო ფოჩხუა, „ნიგნი ახალი ქართული არისტოკრატიისთვის“, აშშ.**

9 ოქტომბერი, სამშაბათი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის ქ. 22

**14:00 – ჯონან ფოტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ.**

გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის ქ. 16

**17:00 – „ზეზრა“, პოეტური ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი/გერმანია/რუსთაველის თეატრი, რუსთ. გამზირი 17**



იგივენი მომავალი



საქართველოს ბანკი  
BANK OF GEORGIA



EXPRESS  
PAY

EXPRESS  
BONUS

EXPRESS  
ONLINE

## EXPRESS CARD

- გადაიხადე
- დააბროვე
- იმგზავრა

მხოლოდ ერთი შეხებით

[www.expresscard.ge](http://www.expresscard.ge) | 2 444 444 | \*4444



**20:00** – „სანყისში დაბრუნება“, მარია საფრონოვა/რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე/საქართველო/.

10 ოქტომბერი, ოთხშაბათი  
ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი;

**19:00** – „მსხვერპლშენიერვა – სტატიკური დრამა“, გიორგი ჯანაიშვილი, დავით ჯანაიშვილი;  
13 ოქტომბერი, შაბათი  
ელიავას ბაზრობის ტერიტორია

**14:00/18:00** – „აღმოჩინე ელიავა: სტრიტაიზ – ლია სახლი“, ერთდღიანი ფესტივალი ადგილ-სპეციფიკური ინსტალაციები, ინტერაქტიული პერფორმანსები, მუსიკა, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;

**თბილისის პირველი ტრიენალე – Offside Effect**  
როდის: 19.10-20.11

**სად:** ევროპის სახლი, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით თბილისი ხელოვნების ტრიენალეს პირველად უმასპინძლებს. გამოფენების და ვორკშოპების სერია, ძირითადად ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანების აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, რადგან როგორც ლონისძიების ორგანიზატორები ამბობენ, ვიზუალურ ხელოვნებაში დღეს სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აკადემიური სტატუსი და განათლება. ლონისძიების ფარგლებში დედაქალაქის შვიდ საგამოფენო სივრცეში სამოცდაათზე მეტი გამოფენა მოეწყობა. ტრიენალეს ფარგლებში თბილისის გამოცდილი კურატორები და არტისტები ენვეიან, რომლებიც ქართველ კურატორებთან და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, სახელოვნებო განათლების პრობლემებზე ისაუბრებენ. ფორუმებსა და ვორკშოპებში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლება.

ტრიენალეს კურატორები საქართველოში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელი ვატო წერეთელი და ხელოვნების ჰოლანდიელი მკვლევარი ჰენკ სლეგერი იქნებიან.

დამატებითი ინფორმაციისთვის ენვეთ თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ოფიციალურ ინტერნეტგვერდს [www.cca.ge](http://www.cca.ge)

**გერმანული გავლენა კარლო კაჭარავას შემოქმედებაში**

როდის: 14.09-15.12

**სად:** თბილისის გოეთეს ინსტიტუტი

**მისამართი:** ზანდუკელის ქ.16

„Für Karlo“ – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა კარლო კაჭარავას მიუძღვნა. გამოფენის სახელწოდება სიმბოლურია, რადგან მხატვრის მიერ ქალაქში შესრულებული ნამუშევრების სერია სწორედ მიძღვნილი ხასიათისაა – „Für Jörg“ (იორგ იმენდორფს), „Für Helena“ (მის საყვარელ ქალს, ჰელენას), „Für Heinrich Böll“, „Für...“. მის სურათებზე ბაზელიცის, პენკის, ბოისის და კიფერის სახელებსაც შეხვდებით.

ნამუშევრები კიოლნსა და ბერლინში გატარებულ წლებს ასახავს, სადაც მხატვარმა პოეტური დღიური-ალბომიც შექმნა. ტილოებიც და ჩანანერებიც ზუსტად ასახავს ავტორის შთაბეჭდილებებსა და შეხედულებებს. გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი, ყველა ნამუშევარში დაინახავს, რომ კარლო კაჭარავას თანამედროვე მწერლობის, კინოშემოქმედებისა და ხელოვნების ენციკლოპედიური ცოდნა გააჩნდა.

**სხვადასხვა**

**ჟიზელი მოკვდა, გაუმარჯოს ჟიზელს!**

**ლექცია და ვიდეო-ჩვენება**

როდის: 24.10.2012

**სად:** ევროპის სახლი

**დასაწყისი:** 18:00

**მისამართი:** შალვა დადიანის ქ. 2

ევროპის სახლი განაცხობს პროექტს – „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა“. ახალ სეზონზე, კლასიკური ბალეტის – „ჟიზელის“ ხუთ განსხვავებულ დადგმას ერთი ლექციის ფარგლებში წარმოადგენენ. თანამედროვე ცეკვის მკვლევარი და ფილოსოფოსი ხათუნა მზარელა „ჟიზელის“ ინტერპრეტაციებს საბალეტო კოსტიუმის კონტექსტში განიხილავს, რადგან, მისი თქმით, „კოსტიუმი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სამოსელი მოძრაობასაც განსაზღვრავს.“ „ჟიზელის“ პირველი საბალეტო წარმოდგენა პარიზში 1841 წლის 28 ივნისს გაიმართა. ის, ჟიულ-ანრი ვერნუა დე სენ-ჟორჟის, თეოფილ გოტის (ლიბრეტოს ავტორები), ადოლფ ადანის (კომპოზიტორი), ჟან კორალისა და ჟიულ პეროს (ქორეოგრაფები) ერთობლივი მუშაობის ნაყოფია. 1910 წელს, ფრანგების თქმით, „თითქმის დაინყებულ“ „ჟიზელი“ სერგეი დიაგილევის საბალეტო დასმა კვლავ გააცოცხლა. ქორეოგრაფ

მიხეილ ფოკინის ხელმძღვანელობით შექმნილ საბალეტო დადგმაში ბალეტის ისეთი ცნობილი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, როგორებიც იყვნენ – ტამარა კარსაინა და ვაცლავ ნიჟინსკი. 1942 წელს „ჟიზელი“ საქართველოშიც დაიდგა. ჟიზელისა და ალბერის პარტიების შემსრულებლებს ქართველი მოცეკვავეები ვერა ნიგნაძე და ვახტანგ ჭაბუკიანიც შეუერთდნენ. 1982 წელს შედგმა ქორეოგრაფმა მატს ეკმა „ჟიზელის“ სრულიად ახლებური და პროვოკაციული ქორეოგრაფიული ვერსია შექმნა. 2008 წელს, კი საბალეტო სამყარო ალაპარაკა აესტრალიელი ქორეოგრაფის, გარი სტიუარტის დადგმამ, სახელწოდებით – „ჟ“. ევროპის სახლში გამართულ საღამოზე ხათუნა მზარელა, „ჟიზელის“ საბალეტო დადგმებთან ერთად, ექსკლუზიურ ფოტომასალასაც წარმოადგენს.

**ფრანგი ფოტოგრაფის „სხვადასხვა ნოველები“**  
როდის: 26.09-2.10

**სად:** გალა გალერეა

**გახსნა:** 19:00

**მისამართი:** ათონელის ქ.27

გალა-გალერეა საგამოფენო სეზონს ფრანგი ფოტოგრაფის – ჟან მარკ მილიეს ფოტოების გამოფენით ხსნის. გამოფენა, სახელწოდებით – „სხვადასხვა ნოველები“ აერთიანებს ფოტოებს ორი ალბომიდან, რომელიც შვეიცარიაში გამოიცა. მის ნამუშევრებში ასახულია – პარიზის ხედები, კომპოზიციები, ქალები და ა.შ. პარიზში დაბადებული ჟან მარკ მილიე სხვადასხვა წლებში „ვოგის“ და სხვა ევროპული ჟურნალების ფოტოგრაფად მუშაობდა. მილიეს პორტფოლიოებს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსცემდნენ. მათ შორისაა ალბომები სახელწოდებით – „სილამაზის მარცვალი“ (ორ ტომად, 2004 წ.), „ფეხების თამაში“ (2005 წ.), „ახალი პრინციები“ (2008 წ.) და ა.შ. მილიეს ფოტოების უახლესი ალბომი ერთ-ერთმა ფრანგულმა გამომცემლობამ გამოსცა, რომელშიც „ნიუს“ საუკეთესო ფოტოები გაერთიანდა. ჟან მარკის ნამუშევრებთან ერთად ამ სიაში მოხვდნენ ისეთი ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრები, როგორებიც არიან – მენ რეი, სინდი შერმანი, ჰელმუტ ნიუტონი და სხვები. ჟან მარკ მილიე საქართველოში გალა-გალერეის მონვევით ჩამოვიდა, სხვადასხვა კუთხეებშიც იმოგზაურა და კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების გადაღებაც მოასწრო. როგორც გალა-გალერეის კურატორი დედიკა ბულია ამბობს, ფრანგი ფოტოგრაფი საქართველოში გატარებულ ერთ კვირას სამომავლოდ გამოფენასაც მიუძღვნის.

# გაფრინდი

თურქეთში ნაკლებ ფასად

გაფრინდი  
სტამბუღში  
და სხვა 31  
მიმართულებით

8 თებერვლიდან  
ბათუმი - სტამბუღი

**49.99**  
ევროდან  
ყველა  
მოსაკრებლის  
ჩათვლით



  
GASA  
GEORGIAN AVIA SERVICE AGENCY  
0422 25 40 25

[flypgs.com](http://flypgs.com)  
for our lowest fares

**PEGASUS**  
AIRLINES



დრედი / 3D

**რეჟისორი** პიტ თრევისი  
**როლებში** კარლ ურბანი, რეიჩელ ვუდი  
**ჟანრი** ფანტასტიკა, თრილერი



სიყვარული აქცენტი

**რეჟისორი** რეზო გიგინეიშვილი  
**როლებში** სვეტლანა ბანდარჩუკი, ფილიპ იანკოვსკი, დუტა სხირტლაძე, გიორგი ყიფშიძე, სოფიო ნიჟარაძე, მერაბ ნინიძე  
**ჟანრი** კომედია, სათავგადასავლო



სასტუმრო ტრანსილვანია / 3D

**რეჟისორი** შენი ტარტაკოვსკი  
**ჟანრი** საოჯახო, ანიმაცია, კომედია



Taken 2 / მძევალი 2

**რეჟისორი** ოლივერ მეგატონი  
**როლებში** ლიამ ნისონი, მეგი გრეისი  
**ჟანრი** თრილერი, კრიმინალური, დრამა



Paranormal Activity 4 / პარანორმალური მოვლენა 4

**რეჟისორი** შენი ჯუსტი, ერიელ შულმანი  
**როლებში** ქეთრინ ნიუტონი, მეთ შივლი  
**ჟანრი** საშინელებათა ჟანრი



Killing Them Softly / კანონის ძარცვა

**რეჟისორი** ენდრიუ დომინიკი  
**როლებში** ბრედ პიტი, რეი ლიოტა, რიჩარდ ჯენკინსი  
**ჟანრი** კრიმინალური, თრილერი

Brad Pitt

# killing them softly



CANNES FILM FESTIVAL  
OFFICIAL SELECTION

Richard Jenkins James Gandolfini Ray Liotta Scoot McNairy Ben Mendelsohn

THE WEINSTEIN COMPANY PRESENTS AN INFERNO PRODUCTION IN ASSOCIATION WITH ANAPURNA PICTURES AND 1064 PRIVATE DEFENSE CONTRACTORS A PLAN B ENTERTAINMENT PRODUCTION A CHOCKSTONE PICTURES PRODUCTION BRAD PITT "KILLING THEM SOFTLY"  
SCOOT MCNAIRY BEN MENDELSON RICHARD JENKINS JAMES GANDOLFINI RAY LIOTTA AND SAM SHEPARD WITH FRANCESCA MASSELER, C.S.A. AND BRIAN A. KATES, A.C.E. COSTUME DESIGNER PATRICKA MORRIS JESSICA GREG FRASER  
EXECUTIVE PRODUCERS ROGER SCHWARTZ MATT BUDMAN WILL FRENCH DOUGLAS SAYLOR, JR. PRODUCED BY MEGAN ELLISON MARK BUTAN BILL JOHNSON JIM SEIBEL BOB WEINSTEIN HARVEY WEINSTEIN ADI SHANKAR SPENCER SILBA  
WRITTEN BY BRAD PITT DIRECTED BY ANDREW DOMINIK

CHOCKSTONE

INFERNO

ANDREW DOMINIK

PLAN B

ANAPURNA

W



# Генерал! Наши карты - дерьмо. Я пас.

ბაბა ნახუსრიშვილი

ეს იოსიფ ბროდსკის სიტყვებია, გენიალური ლექსიდან. ჰოდა, რატომ გამოვიგონო ველოსიპედი მეორედ – ასევე მივმართავ „ჩვენს“ ხელისუფალს და მის მხარდამჭერებს. ოლონდ, სამწუხაროდ – 2012 წელს. ამას კი, ადრე, კომმარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი.

„ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამარცხებ“ – წერდა ჰემინგუეი. ესენი კი ადამიანის დამარცხებას, დამცირებას, გაქრობას ცდილობენ. აქ ღირსება უკვე ბანალურ, გაცვეთილ, არაფრისმთქმელ სიტყვებად იქცა. ღირსებაზე გელაპარაკება უკვე ყველა კონფორმისტი თუ живодёр-ი. ქართულ ენაში აქამდე ასეთი სიტყვა არ არსებობდა, თუმცა, მგონი, უკვე დროა, რომ მოვიფიქროთ... საუბედუროდ.

ციხის კადრებმა შემზარა, მაგრამ არ გამკვირვებია. ესეც უბედურებაა, რომ არ გამიკვირდა. ჩვენ ხომ ვიცოდით, როგორ ქვეყანაშიც ვცხოვრობდით. უბრალოდ, აღიარების გვეშინოდა. ჩვენ ხომ ისევ „ბედნიერი ერი“ ვართ. რამდენად ბანალურად და უსიამოვნოდ არ უნდა ჟღერდეს – ასეა. თითოეულ ჩვენგანს ხომ თავისი წილი დანაშაული მიუძღვის იმის გამო, რაც ჩვენს თავს დატრიალდა. მეც! და ამიტომაც, ახლა არ მაქვს უფლება, მენტორული ტონით გესაუბროთ, რადგანაც ამ დროს საკუთარი თავი საშინლად მალიზიანებს. ისე, ჩემს გულის ნადებს გეუბნებით. არანაირი თანამდებობა არ მიჭირა-

ვს, თორემ გადავდგებოდი. სხვა რა გითხრათ. თავი რით გავიმართლო, რით დავიმშვიდო, როცა ასეთ მახინჯ სახელმწიფოში ვცხოვრობ. თანაც, ეს ისევ თავის მოტყუება გამოვა და არ ღირს. დღეს, დოსტოევსკის ამ სიტყვებს ბევრი ციტირებს – **Об уровне цивилизации общества можно**

**„ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამარცხებ“ – წერდა ჰემინგუეი. ესენი კი ადამიანის დამარცხებას, დამცირებას, გაქრობას ცდილობენ. აქ ღირსება უკვე ბანალურ, გაცვეთილ, არაფრისმთქმელ სიტყვებად იქცა.**

**судить по его тюрьмам.** როგორი ზუსტი სიტყვებია. საერთოდ გენიოსები ძალიან ზუსტნი არიან. და მხოლოდ ინტელექტუალური პოზისთვის არ უნდა ვიკითხოთ. დღეს ჩვენი სახე ეს არის. საკუთარი თავი უნდა შეიცნო, რომ გამოსწორდე, უკეთესი გახდე. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, რომელიც

მუდმივად გვაგინწყდება. მერაბ მამარდაშვილიც მხოლოდ სატრაბახოდ გვჭირდება, რომ კარგ და განათლებულ ტიპებად წარმოვჩნდეთ. განა ამ კაცმა არ გვითხრა, თავისუფლება საკუთარ თავს დაგვანახებსო? მერედა, დავინახოთ. ძალიან, ძალიან გვიან, მაგრამ მაინც.

ვიცი, რომ აღარაფერი გამიკვირდება, რადგან ვნახე, როგორ შეიცვალნენ, როგორ დაკარგეს სახე, როგორ უღალატეს საკუთარ პრინციპებს, როგორ ნელ-ნელა გადაიქცნენ პატარა მონსტრებად ჩემი ბავშვობის მეგობრები, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. იქნებ არც შეცვლილან და ყოველთვის ასეთები იყვნენ. უბრალოდ, თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდათ. მე კი, მათი ასეთი მეტამორფოზა ისე გულწრფელად მანუხებებს, როგორ გულწრფელადაც მიყვარდნენ ისინი.

უეცრად მიმა ქვლივიდის ლექსი გამახსენდა. ისიც ჩემი მეგობარი იყო. სხვათა შორის, 83 წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

„ეს მოხდა მაშინ, როცა ჩემს ნაწერს,

მახსოვს, პირველად შევხედე ზიზლით,

როცა თბილისში ბრძანება გასცეს და ფილაქანი გასვარეს სისხლით, როცა ბავშვივით მსურდა მეტირა და ნაცვლად – ფურცვლა დავინყე ნიგნის...“

მაშინ ვიფიქრე, რომ პოეტი ვარ და... შემეშინდა ჩემივე ფიქრის!“



# ავერსის

## რირი გათამაშება რაინ'ყო

ავერსის სააფთიაქო ქსელის დაგროვებითი "მტრედი ბარათი" უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაშიც.

"ავერსი" მესამე გრანდიოზულ გათამაშებას გათავაზობთ:

- 🔴 ავერსის აფთიაქებში ყოველ გაცდაცილ 40 კოანზე წახუჭრავო მიიღობთ გათამაშების 1 ბილოებს. სოლოო რახანყოლოი თანხის 10% ყლოჯ მცნოილი ბარათზე რახანყოლოი რახათ.
- 🔴 ბარათზე რახანყოლოი 50 მცნოილი წახუჭრავო მიიღობთ გათამაშების 3 ბილოებს!
- 🔴 10 მცნოილი წახუჭოლო მიიღობთ გათამაშების 1 ბილოებს.

## თამაშობა

10 000 კოანო - 10 გამარჯვებულს!



# მთავარი პრიზი 20 000 კოანო!

გათამაშების მონაწილეებს დაგროვილი ქულების და შესაბამისი ბილეთების რაოდენობის შემონახვა შეუძლიათ "ავერსის" აფთიაქებში ან "ავერსის" ვებ გვერდზე [www.aversi.ge/card.php](http://www.aversi.ge/card.php)

იყავით "ავერსის" აფთიაქების ერთგული მომხმარებელი, დააგროვეთ ბარათზე მტრედები და გახდით უამრავი პრიზის მფლობელი.



ავერსი გინურავთ ჯანმრთელოვან და სულიარ სიხუვიდეს!  
[WWW.AVERSI.GE](http://WWW.AVERSI.GE)

დავით აღმაშენებლის 146/2  
☎ 2-967 227





# „ნუ მკლავთ!“

ხათუნა ხაბულიანი

ჩვენი ცხოვრება თავდაყირა დადგა ამ მოზარდის ხმის გაგონების მერე, რაც ის ჯოჯოხეთის ყველაზე ბნელ კუთხეებს მოატარეს. სტატისტიკის დრო ახლა არ არის, რომ ვთვალოთ, რამდენ ადამიანს ჰქონდა ერთდროულად უსუსურობის, დაუცველობისა და უკიდურესი სიბრაზის განცდა და იმის გრძობა, რომ სამყარო დასრულდა. „ფეისბუქზე“ ერთ-ერთ კომენტარში დავწერე, რომ ფიზიკურ სიკვდილამდე არ მეგონა დასასრულს თუ ვნახავდი. ძალიან გამიჭირდება აღვიდგინო და განვსაზღვრო რისგან შედგებოდა ის მდგომარეობა, როცა სხვა, იგივენაირად გაოგნებულ ადამიანებთან ერთად, ალბათ მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტის წყალობით, რალაცებს ვწერდი და სხვების ნაწერებს ვკითხულობდი... ძალიან მინდა გავიგო, რა პროცესების შედეგად მივედით ამ კატასტროფამდე, – ქვეყანაში ჰუმანიზმის სრულ მარცხამდე. „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ – ეს ხომ სიმბოლოა არაპროფესიონალიზმის გადაფარვისა არაადეკვატური სიმკაცრით, რომელიც გამორიცხავს გამოძიების პროცედურას, დანაშაულის დიფერენციაციას, მოსამართლის ფაქტორს და ტერორის შემცველი პირდაპირი ბრძანებაა, რომლის შემსრულებლებიც ის ტრამვირებული ეგოს პატრონები აღმოჩნდებიან, რომლებიც ფანტაზიის ასეთი გაქანებით „გაერთობიან“ სხვა ადამიანების ბედით. როგორც დავინახეთ, ეს ლოზუნგი აღქმული იქნა კრიმინალთან უფრო მძიმე კრიმინალური ფორმებით ბრძოლის მონოდეზად. ღირებულებებისა და მორალის თემებს

რომ თავი დავანებოთ, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მე, არაპროფესიონალიზმში და ცნებების არასწორ ინტერპრეტაციაში ვხედავ. როცა ადამიანი დაუმსახურებლად, პროფესიული გამოცდილების გარეშე იღებს რალაც თანამდებობას, ის ყველაზე ადვილად მართავადი და პირდაპირ დამოკიდებული ხდება „მონყალე“ ზემდგომზე. ძალაუფლების ფლობის ტესტს ასეთი პერსონები ვერასდროს უძლებენ და უმეტესად, ნაცრისფერი, უღიმღამო ადამიანებიდან – დახელოვნებულ სადისტებად იქცევიან ხოლმე. ჩვენ ხომ ასეთი ისტორია გვაქვს, თუნდაც საბჭოთა ტერორის და დისიდენტურ ლიტერატურაში აღწერილი, დახვეწილი ჯალათების მიერ განხორციელებული პერვერსიული ფანტაზიებისა. რატომ ვერ გამოგვაქვს გამოცდილება? რატომ ვერ ვაქციეთ გააზრებულ ცოდნად თუნდაც ბოლო ოცი წლის მანძილზე გამოვლილი ამდენი ტანჯვა-წამება? ჩვენ ხომ წაგვლეკა ფსევდოექსპერტების ნაბოღვარის ნაკადმა და ამაში დიდი წვლილი ოპოზიციურ ტელევიზიებსაც მიუძღვით, როცა ოფიციალის დისკრედიტაციის მიზნით, ეთერს უთმობდნენ მათ „მომხრე“ გაურკვეველი კვალიფიკაციის მქონე კლინიკურ სუბიექტებს. ხათუნა კალმახელიძის CV-ში ვერ იპოვით ლოგიკურ საბაბს იმისთვის, თუ რატომ უნდა მიენდოთ მისთვის ეს სფერო. ქაოსი შეიქმნა ცნებათა აღრევიტა და არაადეკვატურობით – პოლიტიკოსის კვალიფიკაცია გაიგივდა პიარის სპეციალისტის თანამდებობასთან, თანამდებობის პირთა უმეტესობისთვის ის სფერო, რომელსაც

მართავს, მისი ჰობია და არა ძირითადი საქმიანობა, სადაც მან პროფესიული და თუნდაც ეგზისტენციალური რეალიზაცია უნდა მოახდინოს. საღიზმის ასეთი მოტივაცია და ფარული მხარდაჭერა კი (თვალის დახუჭვას ვგულისხმობ) უდავოდ იმ ჩაკეტილობისა და კომუნიკაციის უუნარობის ეფექტია, რაც მმართველი ფენის მთავარი ნიშანია. ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკა მუდმივად მონოლოგის რეჟიმშია და პათოსურ-ოპტიმისტური გამოსვლები განსაკუთრებით ბოლო დღეების მოვლენების ფონზე, უკვე სასაცილოც აღარ არის. რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ხალხზე ზრუნავენ, უკვე გამოკვეთილია ძალიან დიდი კონტრასტი – „ჩვენ“ და „ისინი“.

მოზარდზე განხორციელებული ძალადობა, ჩემი აზრით, საზოგადოების მობილიზაციის საბაბი უნდა გახდეს საერთოდ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევისა და განათლების სფეროში ამჯერად მართლაც სერიოზული რეფორმის გასატარებლად. საგანგებო ტრენინგები უნდა გაიარონ იმ ადამიანებმა, ვისაც ბავშვებთან სამუშაოდ ვუშვებთ, ჩვეულებრივ მოზარდებთან, თუ რთულად აღსაზრდელებთან. გასართობი ფსიქოანალიზის მომხრე არ ვარ, მაგრამ ვერაფერს დამაჯერებს, რომ იმ ჯალათებს ნორმალური ბავშვობა ჰქონდათ. ვერც იმ დასკვნას დავეთანხმები, რომ ეს მხოლოდ ხელისუფლების მძიმე შეცდომაა, უფრო ვიტყვი, რომ დილეთანტური პოლიტიკის სრული კრახია – ძალიან მძიმე შედეგებით.



# ხონტრაქტუბექსი®

ნაწიბურის წარმატებული მკურნალობა



ხონტრაქტუბექსი® იძლევა განსხვავებას





# Post Factum

ბიზი ბულაღანი

რედაქციასთან, დასაბუქდი ტექსტის მხრივ, უკვე დიდი ხნის „გასწორებული“ ვიყავი, როცა თბილისში არეულობა დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში განვითარებული მოვლენების გამო ჟურნალის ნომერი გადასაწყობი იყო, რედაქტორმა ახალი სვეტის დაწერა მთხოვა.

აქციების დაწყებიდან მოყოლებული, „ფეისბუქში“ ემოციური მიმონერით ისე დავილაღე (როგორც ყველა ჩემ გარშემო), რომ იმ დღისთვის, როცა სვეტის დაწერა გახდა საჭირო, წარმოდგენა არ მქონდა, თუ რა შეიძლებოდა კიდევ მეთქვა ყველაფერ ამაზე.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაც არ უნდა დავწერო, ან ტრივიალური იქნება, ან უკვე ბევრჯერ ნათქვამის გამეორება. აღარაა საჭირო ვინმეს დადანაშაულება, არც დადებული ვიდეოების „ანალიზი“, აღარც დანამუსება და ლანძღვა. მგონი, უკვე ყველაფერი ითქვა.

იმ სვეტში, რომელიც „შოკოლადში“ აღარ გამოქვეყნდება, ვწერდი პირველი პოსტრევოლუციური შემოდგომის შესახებ (შემოდგომის – პირდაპირი მნიშვნელობით) – 2004 წლის სექტემბერზე, რომელიც თავისუფლების განსაკუთრებულად მძაფრი შეგრძნებით დამამასხვრდა. ეს იყო დრო, როცა საგზაო საფარის რეაბილიტაციისთვის გადათხრილ ცენტრალურ პროსპექტებზე მოძრაობისას, არ იგრძნობოდა არავის გაღიზიანება, იმიტომ, რომ ცვლილებების სუნი პირდაპირ ჰაერში ეკიდა.

ვიხსენებდი, ასევე, რომ 2004 წლის სექტემბერშივე განხორციელდა ქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის განტვირთვისთვის თბილისის მერიის ერთ-ერთი პირველი მცდელობა „სამკუთხედის“ სახელით, რომელიც დღემდე მუშაობს, და ეს ძალიან კარგია.

თუმცა, 2004 წლის სეზონიდან

**არქივების ყურებისას ყველაფერი ბურუსით მოცული დავინწყებიდან ამოდის, ცოცხლდება და ძლივს იხსენებ იმ ადამიანების სახელებს, რომლებიც, იყო დრო, ნიუსების პირველი სიუჟეტებიდან არ ჩამოდიოდა.**

მოყოლებული, გასულ 8 წელს რომ გადახედავ, იმდენი რამეა უკვე მომხდარი და, შესაბამისად, შეცვლილი, რომ თითქოს რვა კი არა თხუთმეტი წელი გავიდა. არქივების ყურებისას ყველაფერი ბურუსით მოცული დავინწყებიდან ამოდის, ცოცხლდება და ძლივს იხსენებ იმ ადამიანების სახელებს, რომლებიც, იყო დრო, ნიუსების პირველი სიუჟეტებიდან არ ჩამოდიოდა.

აქაა: ომამდე მომხდარი ინციდენტები სამაჩაბლოში, გირგვლიანი,

მელნიკოვი, ჯარის გადაიარაღება, ოპერაცია კოდორში, კვიციანი, ოქრუაშვილი, ფინანსური პოლიცია, კეზერაშვილი, პატარკაციშვილი, შვიდი ნომბრის დარბევა, გაუგონრად აპათიური მიმონერები სკაიპით ამერიკიდან – თბილისში დარჩენილ მეგობრებთან, საგანგებო სიტუაციის დროს; არჩევნები, ლადო გურგენიძე, ჭიჭიკო და ბიჭიკო, სანაკოევი, ომი, თითქოს ყურის ძირში აფეთქებული ჭურვები 11 აგვისტოს ღამეს, ჯაჭვი, ხავილი მიტინგზე თბილისში, ნინო ბურჯანაძე ლარიანი აგარაკით, საკნები, „ალტერნატიული პატრული“, უცნობი, რეზინის ტყვიები დიღმის პოლიციასთან. ახალაია, კუბლაშვილი, ბაქრაძე, წერეთელი, ოპერაცია „ენვერი“, ჯაშუშები, ვერა ქობალია, მერის არჩევნები, უგულავა, 26 მაისის დარბევა, ანაკლია, სპეცრაზმი, სოფო ნიჟარაძე.

დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გამომრჩა, მაგრამ მარტო ამის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილად მრავალტანჯული ერი ვართ, რა თქმა უნდა, ირონიის მოშველიებით, რადგან მჯერა, რომ არა რევოლუცია (ან მრენველობა), არამედ თვითირონიულობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაარჩენს საქართველოს.

კი გამომივიდა ლუზერი ხიპივით, მაგრამ, როგორც მარტინ ლუთერმა (და როგორც ფორუმზე თქვეს, დათა თუთაშხიამაც) თქვა: „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.



ბანკი  
კონსტანტა

სამომხმარებლო სესხი



• • •

ალექს ჩილვინაძე

სექტემბრის დასაწყისში, მეგობრებთან ერთად რაჭაში ჩავედი. ონში, პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეგვხვდა. ეს კაცი, გაეროს ბავშვთა ფონდის მდივანი რომ გახდეს, მაინც შინაგან საქმეთა მინისტრი მეგონება. არის რაღაც მასში პოლიციური. ახლაც ქუჩაში მოდიოდა და თვალეში შესცივინებდნენ კამერები და ათლეტური აღნაგობის, ლიპნამოჩიტული, თეთრ და ცისფერ პერანგებში გამოწყობილი ჩინოვნიკები, რომლებიც გვერდით მოჰყვებოდნენ. უკან მსვლელობას ჯიპების ჯაჭვი აკვირვებდა. ჩვენ სამნი ვიყავით – მე, ზომბი და გრინჩი. ვანომ რომ დაგვინახა, გვერდით მდგომს გადაულაპარაკა – ტურისტებიო. კამერიანი კაცი გაფაციცდა, ზოგს ცნობისმოყვარეობა გამოესახა სახეზე, ზოგს – დამცინავი ლიმილი, ვანომ კი ჩვენკენ გამოინია, ხელი დაგვიქინა და ხალისიანად მოგვესალმა:

– ჰაი!

– გამარჯობა-მეთქი! და გავიარეთ. რბილად რომ ვთქვა, არ ესიამოვნა. არადა, ინგლისურადვე რომ მიგვეგო, გამოგველაპარაკებოდა, კამერას გადაალებინებდა ჩვენს თავს და სამთავრობო არხები ტურისტების უწყვეტ ნაკადებს კიდევ ერთხელ დააფიქსირებდნენ, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩავშალეთ. თუმცა, ძალიან კარგად კი აჩვენებს ეს შემთხვევა ჩვენსა და მთავრობას შორის დამოკიდებულებას: მათ საკუთარი მოქალაქეებიც კი არ ვეგონეთ და ჩვენ ხომ, საერთოდ არ გვანტერესებდნენ ისინი.

მთებზე წამომხოზილ ცაზე ვარსკვლავების ტყეა არ იყო, ფოლტებში – გამჭვირ-

ვალე ჰაერის, ძილში კი – სიზმრების. არ იყო ტელევიზორი, რადიო. გვექონდა მობილური და ისიც, ცალმხრივად გამორთული. მხოლოდ ორჯერ შეგვახსენა თავი მახინჯმა პოლიტიკურმა ცირკმა: ერთხელ, ნაციონალური მოძრაობის რეკლამა გამოგვიგზავნეს მესიჯად და მეორედ, მცდარი მიპატიჟება „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ საღამოზე. მაგრამ ეს მალევე მივივინყეთ, რადგან ღამე იმდენ სიზმარს ვხედავდით, რომ მერე მთელი დღე მათ გახსენებაში ვიყავით. წამოსვლის ღამეს, ჰამაკში ვინეჯი და მთების შავი კონტურების გეომეტრიას ვიმახსოვრებდი, როცა საფრანგეთში მყოფმა მეგობარმა მომწერა, – ციხეში წამების ისეთი ვიდეოები გავრცელდა, ავტირდი და ცუდად გავხდით. მაგრამ რა ვიდეოები იყო, ვერც წარმოვიდგენდი, მეგონა „წრიპას“ და მისი საქმის ნაივურ საქმის გარჩევას გულისხმობდა.

ღილით, როცა სახლთან მომდგარმა ვილისმა „მოგვისიგნალა“, წამოვკრიფეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და სახლიდან გამოვედით. შუალამისას შემოსული ზარები და მეგობრის მესიჯი დამხვდა: „ალექს, აქციაზე ხომ არ ხარ?“ – ვერ მივხვდი, რატომ უნდა ვყოფილიყავი აქციაზე და თანაც, ღამის სამ საათზე.

მერე ჩამოვედი და რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საიდანღაც საზარელი ვირთხა გაჩნდა და გულ-მუცელი დამიღრღნა. ეტყობა, არც არსად აპირებს ნასვლას. ყელში რაღაც მიჭერს. თვალებიდან ცრემლი მომდის. პირდაპირ, ჯოჯოხეთია! კადრებში ჩანს, როგორ აუბატიურებენ, ცემენ, ამახინჯე-

ბენ და თელავენ პატიმრებს. ერთმანეთის დამცირება რომ ნორმადაა ქცეული ჩვენს ქვეყანაში, ისედაც ვიცი, მაგრამ ახლა, ასე პირდაპირ... მთელ ხმაზე ვინყებ ღრიალს.

სახელმწიფოს სახეა, თუ როგორ ეპყრობა ის ადამიანებს ციხეში და ფსიქიატრიულში. სისტემა, რომელიც კრიმინალურ სამყაროს (რომელსაც ებრძვის) სისასტიკით გადააჭარბებს – უნდა გაქრეს. სხვას რას აკეთებდნენ „კანონიერი ქურდები“? ქვეყანას, სადაც ადამიანის ღირსებას არაფრად აგდებენ შეუძლებელია მომავალი ჰქონდეს. ფარისევლობა შენუხებული სახის „დაკერვა“ და იმის ღალადი, რომ თურმე შეგვეშალა, რომ შენც, ვინც ამ სისტემის შექმნაში მონაწილეობდი, შეგზარა, დაგზაფრა და გაგაოგნა ამ კადრებმა, რომელიც გავრცელდა (და არა აქვს მნიშვნელობა როგორ, რა მიზნით გავრცელდა. ფაქტია, რომ ეს ხდება). არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვროთ იმასთან ერთად, რაც ვნახეთ და გავიგეთ, თუ ისედაც ვიცოდით და გვეშინოდა, გვერიდებოდა, გვეზარებოდა აღიარება. როგორ უნდა ვიცხოვროთ, როცა ვიცით, რომ ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე, ადამიანებს, წარმოდგენილად მახინჯი და ავადმყოფური დამცირება ემუქრებათ. როგორ უნდა ვიცხოვროთ იქ, სადაც შეიძლება იგივე დაგვემართოს?

მახსენდება სიტყვები, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩემმა კეთილმა ამხანაგმა დამიმესიჯა: „ალბერ კამიუ ამბობდა: ერთადერთი, რასაც ადამიანი წამდვილად შეიძლება ელტვოდეს – ადამიანური სინაზუა. დაფიქრდეთ ამაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მეგობრებო“.



[www.radiotavisupleba.ge](http://www.radiotavisupleba.ge)



# რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება



09:00 - 10:00

**FM 107.4**

18:00 - 19:00

15:00 - 15:45

**FM 105.9**

00:00 - 00:45





# უმცირესობის სტრესი

თამთა ველაშვილი

მე სტრესი მაქვს. სტრესი მაქვს, რადგან ვხვდები, აღარ შემიძლია და 2 დღით აღმოსავლეთით, პატარა ქალაქში გავრბივარ, სადაც მგონია, რომ შედარებით სიმშვიდე იქნება. სტრესი მაქვს, როცა ჩემი მეგობარი თავისი 3 წლის გოგონას ფოტოსურათს მიგზავნის, მე კი, სანამ ინბოქსს გავხსნიდე, მგონია, მორიგი სისხლიანი ფოტო გამომიგზავნა. სტრესი მაქვს, როდესაც იმ პატარა ქალაქში მოხუცი კაცი მეძახის, თავისი ეზოს ტალავრიდან ახლადჩამოკრეფილ ყურძენს მანვდის, მე კი რატომღაც მგონია, რომ უნდა მეჩხუბოს. ყურძენს ვართმევ, მაღლობას ვეუბნები და ტირილი მინდა.

სტრესი მაქვს, როცა ათასობით სტუდენტს შორის ვდგავარ და ვოცნებობ ჯოს-ჯოს-საქართველოს-გაუმარჯოს ეგზალტირებული ძახილი ოდესმე შეწყდეს და ვინმემ ერთხელ მაინც დაიძახოს, არა წამებას, არა ძალადობას. მე პირადად ამის ამოძახების არც მამაცობა მყოფნის, არც გამბედაობა, რადგან უმცირესობა ვარ, უსუსური უმცირესობა. ჯოს-ჯოს-ჯოს დაუსრულებელ ყვირილში თავჩარგული ვდგავარ და თვალებით ვეძებ ჩემს თითო-ოროლა მეგობარს, რომლებიც ჩემნაირად წელში მოხრილები და თავჩარგულები თვალებით მეძებენ მე.

სტრესი მაქვს, როდესაც ვიგებ, რომ გოგოზე, რომელმაც ჩემგან განსხვავებით გაბედა და ხელმეუფალი ავტორიტეტის საწინააღმდეგო ლოზუნგი აქციაზე ხმამაღლა ამოუშვა პირიდან, ხელით გაიწიეს საცემად, მან კი გაქცევით უშველა თავს.

სტრესი მაქვს, როცა უცებ დიდ უმრავლესობად ქცეული უმრავლესობა უმრავლესობაში ყოფნას მთხოვს, ოდნავ განსხვავებული აზრის გამო კი სასტიკ აგრესიას მაგებებს.

სტრესი მაქვს, როცა ვხვდები, არჩევანი არ მაქვს და ერთადერთი ოცნება ისლა დამრჩენია საარჩევნო ყუთთან

**რა მნიშვნელობა აქვს თუ ყველა „მესია“ ერთი ტალახისგან მოზელილია და ერთნაირად ძალაუფლებისმოყვარე მჩაგვრელი? რა მნიშვნელობა აქვს, მე რა არჩევანს გავაკეთებ, რამდენად მართალი ვიქნები ჩემს თავთან, თუ ყოველ მეორე წუთს ქვეყნიდან წასვლაზე ვიფიქრებ?**

გაკეთებული არჩევანის გამო, საკუთარ თავთან მაინც დავრჩე მართალი.

სტრესი მაქვს, რადგან ვხვდები, ჩემთვის, როგორც ქალისთვის, ბევრი რამ სულერთი ხდება: რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დამჩაგრავს? რა მნიშვნელო-

ბა აქვს, ვინ მადენს სისხლს ცხვირიდან? რა მნიშვნელობა აქვს, ფეხებგადაშლილი გასაგნებული ობიექტი ვიქნები, თუ თავზე ჩადრმანდილნამოცმული „სუბიექტი“? რა მნიშვნელობა აქვს, აბორტს ვინ ამიკრძალავს – ფერადმარვლიანი ლიბერტარიანელი თუ შავშარვლიანი ორთოდოქსი ნაციონალისტი? რა მნიშვნელობა აქვს, თუ მე ვერასოდეს ვიქნები, ან სასიქადულო დედის ან ნაბოზვრის ხატს უნდა მოვერგო და სხვა გამოსავალი არასოდეს მექნება? რა მნიშვნელობა აქვს, თუ მე ისევ კეთროვანი დავრჩები? რა მნიშვნელობა აქვს, თუ ჩემი ღმერთი მღვდელი უნდა იყოს, მე კი ჰომოფობიის საწინააღმდეგო მსვლელობის მერე ყველა წვერიანი და ანაფორიანის დანახვაზე მხოლოდ მეშინია? რა მნიშვნელობა აქვს თუ ყველა „მესია“ ერთი ტალახისგან მოზელილია და ერთნაირად ძალაუფლებისმოყვარე მჩაგვრელი? რა მნიშვნელობა აქვს, მე რა არჩევანს გავაკეთებ, რამდენად მართალი ვიქნები ჩემს თავთან, თუ ყოველ მეორე წუთს ქვეყნიდან წასვლაზე ვიფიქრებ? ან რა მნიშვნელობა აქვს, თუ „აზულის“ კედლებში გამოკეტილი, ვირტუალურად ისევ საქართველოში ვიცხოვრებ?

მითხარით, აქვს მნიშვნელობა?

ან, მითხარით, აქვს მნიშვნელობა ჩემს სტრესს თქვენს სტრესთან შედარებით?

არა.

რადგან მე აქაც უმცირესობაში ვარ. მე უმცირესობის სტრესი მაქვს.



## რას ნიშნავს, გრძნობდე ბიზნესის მატისცემას?

### რა არის ბიზნეს-კონსალტინგი?

საკონსულტაციო კომპანია „ინოვას“ ხელმძღვანელი მაია შიშნიაშვილი ბიზნეს-კონსალტინგის საჭიროებებსა და ფუნქციებზე საუბრობს.

საქართველოში საკონსულტაციო ბიზნესის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა, რას ნიშნავს კონსალტინგი და რა შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე მას კომპანიები? საქართველოში რამდენად პოპულარული და მოთხოვნადია ეს სამიანიობა?

საქართველოში ბიზნესი სულ რაღაც 20-25 წელია, რაც „არსებობს“, შესაბამისად, ბიზნეს-კონსალტინგის სფეროც შედარებით ახალგაზრდაა.

დღეს ჩვენთან საკონსულტაციო საქმიანობაზე ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ. ძალიან ბევრისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს ბიზნეს-კონსალტინგი და რა მიზნებს ემსახურება.

საკონსულტაციო საქმიანობა გულისხმობს ორგანიზაციის დახმარებას მართვის საკითხებში, ანუ ჩვენ ვეხმარებით ორგანიზაციის მესვეურებს (მენეჯერებს) გადაწყვეტილებების მიღებაში.

ჩვენ, კონსულტანტები, ძალიან ხშირად ვაძარებთ ხოლმე საკუთარ თავს ექიმებს. ექიმს მიმართავ, როცა რაღაც გაწუხებს ან უბრალოდ, სტუმრობ მას პროფილაქტიკის მიზნით. ბიზნეს-კონსულტანტებს გვიწევს შევისწავლოთ ორგანიზაცია, მასში მიმდინარე პროცესები, რაც შემდგომში გვეხმარება, გავწეროთ მკურნალობის კურსი - ჩამოვაცალიბოთ სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და დავეხმაროთ კომპანიას, განვითარდეს, თავი დააღწიოს პრობლემებს, გახდეს წარმატებული და მომგებიანი.

ძირითადად, ორ შემთხვევაში მოგვმართავენ:

როცა კომპანიას გაზრდა, განვითარება სურს;

კომპანია რაღაც ახალი გადაწყვეტილების დანერგვის წინაშე დგას და ბიზნეს-რეკომენდაციას საჭიროებს.

რატომ მოგვმართავენ? უფრო იმიტომ, რომ ყოველდღიური სამსახურებრივი მოვალებები და პროცესები იმდენად რუტინული და თან საპასუხისმგებლოა, რომ მენეჯერებს ინოვაციებზე, ახალ გადაწყვეტილებებზე ფიქრის დრო სულ უფრო ნაკლებად რჩებათ. ასეთ დროს ძალიან ეფექტურია, როცა ვიღაც „გარედან“ მიგანიშნებს ხარვეზზე ან რაიმე სიახლეზე, რომლის დანერგვის შემთხვევაშიც შესაძლოა, შენი საქმიანობა გაცილებით ეფექტურად წარმართო.

ბიზნეს-კონსულტანტი კარგადაა აღჭურვილი შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით და მას ამ ცოდნისა და წლების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეუძლია კომპანიის მიზნების განხორციელების თანამონაწილე გახდეს.

კარგი კონსულტანტი ყოველთვის გულისყურით ეკიდება კომპანიას და ირგებს, ასე ვთქვათ, მისი მენეჯერის მანტიას. მას რთული მისია აკისრია: მან მენეჯერების თვალთ უნდა შეხედოს ორგანიზაციაში არსებულ სიტუაციას და ამასთან, არ დაკარგოს გარედან მოსული ადამიანის ხედვა, შეინარჩუნოს ობიექტურობა, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მტკიცებულებები და შედეგად უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი მომგებიანობა.

რა მომსახურებებს სთავაზობს „ინოვა“ ბიზნეს-მომხმარებელს?

ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა სირთულისა და მასშტაბის ბიზნეს-პროექტებზე ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. სტრატეგიული მენეჯმენტი;
2. მარკეტინგი;
3. ადამიანური რესურსები;
4. ფინანსები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მიმართულების შესაბამისი პროდუქტებისა (შეგიძლიათ, იხილოთ ჩვენი პროდუქტების სრული ჩამონათვალი ელექტრონულ მისამართზე: [innova.ge](http://innova.ge)), დავნერგეთ პირადი კონსულტანტის მომსახურებაც.

დროთა განმავლობაში შევნიშნეთ, რომ კომპანიების მენეჯმენტის მხრიდან არსებობდა მოთხოვნა პირად მრჩეველზე - გამოცდილ კადრზე, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფდა კომპანიის მენეჯმენტს ბიზნეს-რჩევებითა და რეკომენდაციებით (ოთხივე მიმართულებით).

პირადი კონსულტანტის მომსახურება განსაკუთრებით აქტუალურია პატარა კომპანიების შემთხვევაში, რომელთა ბიუჯეტიც შეზღუდულია: მცირე ბიუჯეტის გამო, ისინი ვერ ახერხებენ გამოცდილი სპეციალისტის სამსახურში აყვანას. პირადი კონსულტანტის დახმარებით კომპანიას შეუძლია, დაიქირავოს გამოცდილი სპეციალისტი, გადაიხადოს ნაკლები და მიიღოს მაღალი ხარისხის მომსახურება სასურველი, წინასწარ შეთანხმებული დროის განმავლობაში. პირადი კონსულტანტის მომსახურება არ წარმოადგენს ფუფუნების საგანს, პირიქით, ეს მომსახურება ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასშტაბისა და ტიპის ბიზნესისთვის.

ძვირია ბიზნეს-კონსულტანტის მომსახურება? რამდენად განვლიდა მცირე ან საშუალო კომპანიების ბიუჯეტი ამ საფასურს?

საქართველოში საკონსულტაციო მომსახურება არ არის ძვირადღირებული, თუ შევადარებთ მას სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ შესაბამის მომსახურებებს. ჩვენი მომსახურების საფასური მისაღები და ადეკვატურია როგორც მცირე, ისე საშუალო და დიდი ზომის კომპანიებისთვის მათი ბიუჯეტების გათვალისწინებით.



• • •

ქეთი ქანთარია

მესამე გათენებული ღამის მერე, დილით იყო რაღაც წუთები, როცა ვერ გავიხსენე, რა იყო იმ მდგომარეობის მიზეზი, რომლიდანაც ველარ ვერკვევი. მასხოვდა, რაღაც ისეთი მოხდა, რის მერეც ყველანი ვყვირით, რასაც ვყვირით, იმაში რაციონალიზმი ვერ იქნება, ჯერ უსუსურობის განცდა მართავს ყველაფერს. ერთი პატარა სვეტი იყო დასანერი, ბევრი ხომ არაფერი, მაგრამ მივხვდი, რომ წერა არ მინდა და არ შემოძლია. რეალობა ჩემ გარშემო აღარაა, მისმა ღერძმა იქ გადაინაცვლა, სადაც ჯოჯოხეთი აღმოვაჩინეთ, ადამიანებთან, რომლებსაც ვერ ვიცავთ. ინფერნალური სისტემა თავებს იცვლის, რომ მოგვატყუოს და დაგვამშვიდოს. ამ რამდენიმე წინადადების გამო ახლა უხერხულობას ვგრძნობ. იმიტომ, რომ უსუსური ვარ, წერა არ შემოძლია და ვიტყუებ.

ამ განცდისგან დისტაციონება უნდა მოვახერხო. კარგი, მოდი, იმას ვიტყვი, რისთვის მოვახერხებ სახელის დარქმევამ ამ დღეებში, – ბოლომდე გავიგე, რა მოვლენა იყო სტალინიზმი. როგორ ადამიანებზე იდგა. ვინც ნეტარებდა, რომ ქვეყანაში დოვლათი იზრდება. მათ შვილებს კი შეიძლება მიწისქვეშა საპატიმროების თავზე ედგა სკოლა, და იქ ადამიანები იტანჯებოდნენ.

დავინახე, რამდენიმე წელიწადში ერთხელ, საღი, ნორმალური ადამიანები ამ ქვეყანაში დროზე ადრე ბერდებიან, ან იღლებიან, ან დაუნდებიან. სხვადასხვა მიმართულებით ხდება ეს: ზოგს რომელიმე ხელისფლება ისე „უყვარდება“,

რომ მის გამო ამორალური კრეტინის როლში გამოჩენაც არ ერცხვინება. სხვებს სხვა ემართება და ამის აღწერაც შეიძლება, მაგრამ არც მორალიზატორობის თავი მაქვს და მართალი რომ ვთქვა, არც გონება მომყვება ამ საქმეში... გარშემო სულ ეს ხდება, და მერე იმ სურათს ვიღებთ, რაც ახლა გვაქვს:

**არჩევანის გაკეთება  
ამ მუტაციების  
კომბინაციით  
მიღებულ ტიპაჟებს  
შორის მოგვიხდება.  
სხვანაირი მუტაციები  
მიმდინარეობს იმათშიც,  
ვისაც სიფხიზლე  
მოეთხოვება.**

არჩევანის გაკეთება დღეს ამ მუტაციის სხვადასხვაგვარი კომბინაციით მიღებულ ტიპაჟებს შორის მოგვიხდება. სხვანაირი მუტაციები მიმდინარეობს იმათშიც, ვისაც სიფხიზლე მოეთხოვება. ჩვენ მივალნიეთ იმას, რომ როგორც ერთი, შესასწავლი ფენომენების კატეგორიაში შევედით. ჯერ დავკვირდებ, მერე გავგვიარებნდა, მერე გავვიმონსტრად და ბოლოს სერიულ მანიაკად გვექცა ხელისუფლება, რომელიც საყოველთაო ბედნიერების ტალღაზე ავირჩიეთ.

კიდევ ერთხელ გავიგე, რას გრძნობს სამყაროს ცენტრისგან სამყაროს ველზე ადგილმიჩენილი ადამიანი, როგორი თვალთ ხედავს სამართლიანობის დეფიციტს, იმის ლოგიკაც კი გავიგე, როგორ ხდებიან ადამიანები ტერორისტები. მივხვდი, რომ სამყაროს ცენტრი შემეცვალა, თვით სამართლის ცნებას შემეცვალა ლერძი და მერე ვიფიქრე, რომ ეგება კარგიცაა ასეთი გადანაცვლება.

ჩვენ ორი მცირე ერი გვყავს გვერდით, რომელსაც ვეპრანჭებოდით, ჩვენი ყოფის გაპრიალეულ ზედაპირს ვუჩვენებდით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ ჩვენს ციხეებსაც. ახლა კიდევ ერთხელ ვუჩვენეთ, რომ კარგად წარმოედგინათ, რას აცდნენ. მათ ეს, რასაკვირველია, არასდროს დაავიწყდებათ.

ამიტომ სხვის მწუხარებაზე სიხარულს მოველოდი, მაგრამ მე დავინახე, რომ ადამიანისთვის ღირსების აყრა, წამება თანაგრძნობას იმაშიც ინვესტ, ვინც თავს მტრად თვლის, აღუმებს და ტაქტიანი ქცევისკენ უბიძგებს. ციხეებთან დაყუდებული, გაურკვეველობაში მყოფი, ატირებული დედების და ცოლების ყურებამ იმათაც კი მოუკლა გული. დღეს აგრესიას ვგრძნობ დასავლელი მეგობრების მიმართ და მიყვარს ისინი, ვინც ახლოა. მინდა, რომ სამყაროს ღერძი აქ, ჩვენთან გადმოვიტანოთ. ბოლოს, როდესმე, ჩვენ საკუთარი თავის იმედად ცხოვრება უნდა მოვახერხოთ. ეგ რომ გამოგვივიდეს, ჩვენში აღარაფერი უნდა დარჩეს ისეთი, რაც მონსტრს შობს. ვიფიქროთ, როგორ.





Երկրորդ կարգի բրանդի

Գրանցված աճյունի միջոցով

Վերականգնողական և անհոգեշարժիչ



საქართველოს ოცნებები

**ჩვენ მოვლივართ!**

7

**გაერთიანებული ოპოზიცია**  
(აღმართი საბიჭრობა, ახალგაზრდა ოცნებები)

**გაგიდიშა**  
და კომუნისტური  
ოცნების ოცნებებს

1

საპარტიო მდივანი კახიძე

**ოცნებს სართ სენი**

**დაგვეს სენი**

**სა პიქსი**

მერა კოსტავას  
საზოგადოებას!

**საქართველო  
კორუფციის  
ბარეზი**

1

თქვენი ხმა პარტიანებს  
**გიორგი სააკაშვილი**

საპარტიო მდივანი და მოვალეობა

11

1

კომუნისტური  
საპარტიო მდივანის  
შედეგ ოცნებს

**გარკი**  
საპარტიო მდივანი

**დაიცავი**  
დაიცავთ ჩვენ

საპარტიო მდივანი  
და მოვალეობა

1

ლოქს  
გსიცილოსი

1

საპარტიო მდივანი მოვალეობა

**სალოა ზარაგიანი**  
საზოგადოებრივი მოძრაობა

საპარტიო მდივანი და მოვალეობა

**საქართველოს პარტიის  
და მოვალეობის  
პარტი**

**დაიცავი და  
ქვეყნის  
საქართველი!**

საპარტიო მდივანი

**სტან**  
პარტი

**მხნე** ზვიად  
ქიქოძე

7

1

**გაერთიანებული ოპოზიცია**  
(აღმართი საბიჭრობა, ახალგაზრდა ოცნებები)

**თინათინ სილაგაძე**

2

საპარტიო მდივანი

**ჩვენ უმჯობესი**

საპარტიო მდივანი

მხნე ქიქოძე

12

საპარტიო მდივანი

საპარტიო მდივანი



# გარდაუვალი არჩევანი 2012


ავტორი ნინო ლომაძე


ვიდრე სპეცპროექტისთვის ავტორებს და მათ კომენტარებს ვარჩევთ, ყველაფერი იცვლება. სამყაროს, რომელშიც აქამდე ვცხოვრობდით თითქოს კონტურები შემოეცალა და უფორმო მასად იქცა. კონტურებს მიღმა ნამდვილი შინაარსი დარჩა, რომელიც ახლა, ამ წუთებში თავიდან იკითხება.

სპეცპროექტის მიზანი წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვება და მისი შეფასება იყო. დამოუკიდებლობის შემდეგ, წლების მანძილზე, იცვლებოდა თუ არა პოლიტიკური კამპანიების ფორმა და შინაარსი? რა იყო მნიშვნელოვანი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესში? რას ჰქვია დღეს პოლიტიკური რიტორიკა? რამდენად არის თვისებრივად ახალი, რეალური ალტერნატივა ის, რასაც ალტერნატივას ვარქმევთ? რა შეცვალა თვრამეტმა სექტემბერმა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში? სპეცპროექტის ავტორები ცდილობენ ამ და სხვა კითხვებს გასცენ პასუხი.

ახლა რეალობა უჩვეულოდ სწრაფად იცვლება და ყველა ანალიზი თუ მოსაზრება მხოლოდ გარკვეული ხნით ინარჩუნებს აქტუალობას. ამიტომ, პროექტით, ერთი კვირის შუალედში დაწერილი თვალსაზრისებისა და კომენტარების ერთგვარ არქივს გთავაზობთ.

...საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღე რჩება. რაციონალურ ანალიზს ხშირად ემოციური შეფასებები ფარავს. როგორც ჩანს, იმ ცვლილებებისა და პროცესების სახელდება, რაც 18 სექტემბრის შემდეგ დაიწყო, ჯერ ძალიან ადრეა. ახლო ხედით ამ გროტესკული, გაზვიადებული რეალობის მხოლოდ დათვალერება შეიძლება, რადგან ასეთ მანძილზე მისი ჯერ მხოლოდ ფრაგმენტები მოჩანს.





## იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგი

### რით იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდი? რა იყო ახალი პოლიტიკურ სლოგანებში, „მესიჯ-ბოქსების“ შინაარსში, აქციებისა და სხვა ღონისძიებების ფორმაში?

წინასაარჩევნო პერიოდი შეიძლება რამდენიმე მიმართულებით გაანალიზდეს:

1. მესიჯები (პოლიტიკური სლოგანები), რომელთაც პოლიტიკური ძალები ამომრჩევლებს მიმართავენ და მათ „გადაბირებას“ ცდილობენ.

2. პოლიტიკური რიტორიკა, რომელსაც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური აქტორები იყენებენ.

3. კომპრომატების, როგორც მონინალმდების „ჩაძირვის“ ინსტრუმენტის, ეფექტურობა.

1. პირველი მიმართულებით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს შორის არსებით განსხვავებები არ შეიმჩნევა: როგორც „წონიანი“, ისე ურეიტინგო პოლიტიკური პარტიები აქცენტს მემარცხენე სულისკვეთების, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებულ მესიჯებზე სვამენ, რომელთა შორის წამყვანია: უმუშევრობის დაძლევა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ტარიფების შემცირება და ა.შ. წინასაარჩევნო მესიჯებში მინიმუმამდგა შემცირებული დემოკრატიულ ღირებულებებზე ზრუნვა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ა.შ. „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი სლოგანი („მეტი სარგებელი ხალხს!“) დაუფარავად შეიცავს სახალხო (ანუ, მასობრივი) კეთილდღეობის დაპირებას, თუმცა, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების ახდენაზე“ ორიენტირებული ოპოზიციური კოალიციის დაპირებები ამ ოცნებას „ამინებს“ და სოციალური კეთილდღეობის კა-

ლაპოტში აქცევს. ცხადია, რომ პოლიტიკურ ძალთა მემარცხენე ორიენტაციის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა, რომლებიც ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, შესაშურად დამთხვავებულნი იყვნენ.

2. რიტორიკის თვალსაზრისით, სერიოზული განსხვავებები შეიმჩნევა პოლიტიკურ ძალთა შორის. ეს განსხვავება, ძირითადად, „სიძულვილის ენის“ გამოყენებაზე გადის. სახელისუფლო პარტიის რესურსი ამ თვალსაზრისით, შეუდარებლად უფრო მდიდარია, ვიდრე მისი ძირითადი ოპონენტის. წმინდა ემოციური შეფერილობის საღანძღავი სტიგმების გარდა („ჯოჯოები“, „მუმიები“, „უნძინდურები“ და ა. შ.), ხელისუფლება აქტიურად იყენებს უფრო საგნობრივ-შინაარსობრივ ნეგატიურ ტერმინებს: „მტერი“, „რუსეთის აგენტი“, „საბჭოთა ნარჩენი“ და ა.შ. საყურადღებოა, რომ ეს რიტორიკა გამოიყენება „ნაციონალური მოძრაობის“ არა რიგითი წევრის, არამედ მისი მთავარი ლიდერის, მ. სააკაშვილის, მიერ. მეორე მხრივ, ბ. ივანიშვილის პოლიტიკურ რიტორიკაში სიძულვილის ენის გამოყენება, როგორც რაოდენობის, ისე შინაარსობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით, გაცილებით მწირია („პროფესიონალური მატყუარა“, „პატარა კაცი“, „მამაძალი“ და სხვა). კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ბევრი ადანაშაულებს, რომ მისი წევრები ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებებს აკეთებენ. ასეთი განცხადებები, დიასაც, კეთდება. თუმცა, საყურადღებოა, რომ ეს მოდის კოალიციის რიგითი წევრებისგან და არა პოლიტიკური ლიდერებისგან. ამ უკანასკნელთა საჯარო გამოსვლებში უმცირესობების უფლებების და ღირსების შემლახავი სიტყვები არ გამოიყენება, მეტიც: ამ კუთხით კოალიციის ცალკეული წევრების (მ. დუმბაძე, ს.

ჯაჭვლიანი) ანტიდემოკრატიულ გამოსვლებს კოალიციის ლიდერი უარყოფითად აფასებს და მათგან ბოდიშის საჯაროდ მოხდას მოითხოვს. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კოალიციის ღირებულებითი არაპოზიტიური და სიჭრელე ლიბერალურად განწყობილ ამომრჩევლებში სკეპტიციზმის იმპულსებს (სუსტს ან ძლიერს) აჩენს.

3. კომპრომატების „ომის“ კონტექსტში ხელისუფლება კვლავ წამგებიან პოზიციაში მთავარ პოლიტიკურ კონკურენტთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, გარდამტეხი აღმოჩნდა ციხეებში პატიმრების წამების ამსახველი კადრები, რომლებმაც რამდენიმე საათში შებლალა ხელისუფლების „პროგრესულობის“ და „რეფორმატორობის“ იმიჯი. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ეფექტი იქონია ვიზუალურ მტკიცებულებებზე დაფუძნებულმა პრაქტიკამ. კომპრომატის ეფექტურობა მხოლოდ მისი ვიზუალიზაციის წყალობით, ზოგადად, დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია; თუმცა, მთავარი აქ ისაა, რომ, პირველად „ვარდების რევოლუციის“ ისტორიაში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო კომპრომატების განეიტრალება, თუნდაც ოპონენტების წინააღმდეგ დემაგოგიური „შტურმის“ განხორციელებით. ივანიშვილის იმ განცხადებებიდან (როგორც წინამძღვრებიდან) გამომდინარე, რომ „ჩვენ დავალაგებთ რუსეთთან ურთიერთობას“, ან „პუტინი რუსი ხალხის არჩევანია“ და სხვა, ინდუქციური დასკვნის გაკეთება მისი აგენტობის შესახებ, ამომრჩევლებისთვის არადამაჯერებელია და ხელისუფლებას არასერიოზულად წარმოაჩენს. ამიტომ, ივანიშვილის რუსეთუმეობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის მასობრივი შედეგი მის მიმართ კითხვის ნიშნების შენარჩუნებაა და არა ამ კითხვებზე ივანიშვილის საწინააღმდეგო პასუხების/ფაქტების მობილიზება.

23 სექტემბერი, 2012



### კაატა ქურდაძე, მწერალი, ესეისტი

**მილიარდერი პოლიტიკაში არის თუ არა რესურსი ცვლილებებისთვის? როგორია ეს ალტერნატივა? ან, რატომ ვარქმევთ მას ალტერნატივას? – მხოლოდ იმიტომ, რომ ის არსებულს უპირისპირდება, თუ საქმე შინაარსობრივად განსხვავებულ, რეალურ ალტერნატივასთან გვაქვს?**

როგორც საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების მოკლე ისტორია გვიჩვენებს, რომელიმე პოლიტიკური ძალის რეალურად შესაძლო ალტერნატიულობაზე საუბარი მის ხელისუფლებაში მოსვლამდე შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დღემდე.

როგორც წესი, ძალას, რომელსაც მისი პოლიტიკური პერსპექტივის პროგნოზირებისათვის აუცილებელი მინიმალური იდეოლოგიური ბაზა გააჩნია, თითქმის არასდროს არა აქვს შანსი მოვიდეს ხელისუფლებაში. ამიტომ, ისღა გვრჩება, არსებული კანდიდატების ალტერნატიულობა მხოლოდ მათ მიმართ ნდობის ემოციურობის ხარისხის მიხედვით განვსაზღვროთ და არა რეალური ცვლილებების კონკრეტული მოლოდინით. ეს ძალიან ნააგავს ლვინის შეფასების ქართულ ტრადიციულ კრიტერიუმს: სუფთა ყურძნის წვენზე დაყენებული ლვინი კარგია, შაქარზე დაყენებული კი — ცუდი. ტრადიციული კრიტერიუმი პოლიტიკური ლიდერების შეფასებისას საქართველოში, ჯერ კიდევ მათი „პატიოსნება“ და გროტესკული ვარაუდი: ბევრს მოიპარავს თუ ცოტას?!

ძირითადი ქართული პოლიტიკური ძალები ერთმანეთს მოსისხლე მტრებად უფრო განიხილავენ, ვიდრე პოლიტიკურ მონინა-ალმდეგებად. ეს არც არის გასაკვირი. მათ არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული იდეოლოგიები, რომელზეც აშენებული იქნება მათი

მოქმედების გეგმა. ამდენად, მათი ბრძოლის მეთოდი უხეშია და მას არაფერი საერთო არა აქვს ცივილიზებულ პოლიტიკურ ბრძოლის მეთოდთან. „ქართული ოცნება“ კოალიციაა და არა პარტია, ამდენად, მას არც შეიძლება გააჩნდეს ერთიანი ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეოლოგიური ხედვა, თუმცა ის არც მასში შემავალ პარტიათა უმრავლესობას გააჩნია. ისევე, როგორც იდეოლოგიურად მრავალსახა მმართველ პარტიას.


შეუძლებელია შექმნა ალტერნატივა პოლიტიკური ქამელეონისა, ერთგვარი ერთქრომოსომიანი ბიპარტიისა, რომელსაც სიცოცხლის გასაგრძელებლად არ სჭირდება საპირისპირო პოლიტიკური სქესის ორი ქრომოსომა, თავად ანაყოფიერებს საკუთარ თავს და მრავლდება. თუკი დასჭირდა, ის თავად ხდება საკუთარი თავის ალტერნატივა.

სწორედ იმ დროს, როდესაც პოლიტიკურმა პარტიებმა იდეოლოგიურ ალტერნატივაზე ფიქრი და პოზიციონერობა დაიწყეს, ნაციონალური მოძრაობის მძვინვარე ლიბერტარიანული იდეოლოგია, ზუსტად ერთ დღეში გარდაიქმნა ულტრამემარცხენე პარტიის პაროდიად და სახელმწიფო ხაზინა მეძავის სხეულივით გულუხვად გადაუშალა დაუნდობელი ნეოლიბერალიზმით გატანჯულ ქვეყანას. ის ისევ გაექცა ქვეყნის პოლიტიკურ კონკურენციას და საკუთარი იდეოლოგია და პრინციპები თხასავით გაყიდა, რათა სასწრაფოდ დამსგავსებოდა თავის მთავარ მონინალმდეგეს – კოალიცია „ქართული ოცნებას“. თუმცა ამჯერად, თავისი „საციონო ნომერი“ ტლანქად შეასრულა: ფაქტობრივად, თავადვე შეუწყო ხელი საქართვე-

ლოში მემარცხენე პოლიტიკური პოლუსის კონტურების შემოხაზვას, რომლის ხსენებისაც კი, სიკვდილივით ეშინოდა ადრეუფრო მეტიც, თავადვე გახდა საკუთარი თავის ოიდიპოსი.

პირველად „პოსტგარდისფერ“ საქართველოში სოციალურმა თემატიკამ თვით ყველაზე მთავარი მონსტრი — რუსეთი გადაწონა, და ეს თავისთავად, უკვე ის სასარგებლო ალტერნატივაა, რომელიც მიუხედავად წინასაარჩევნო პროცესების აბსოლუტურად გროტესკული, თუ არა ხშირად კრიმინალური მიმდინარეობისა, შეგვიძლია პროგრესად ჩავთვალოთ. ეს არის შეუქცევადი სასარგებლო ალტერნატივა, რომელიც აუცილებლად მოისხავს ნაყოფს, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დამთავრდება კონკრეტული არჩევნები. რა თქმა უნდა, ეს ახალი მოთამაშის დამსახურებაა. ამდენად, მას თავისი როლი, როგორც ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას, გარკვეულ წილად, უკვე შესრულებული აქვს, თუნდაც არც თავად მისი იდეოლოგიური პლატფორმა იყოს გასაგები. საქართველო პოზიციონირებულია სახელმწიფოს ევროპულ სტრუქტურაზე, რომლის ფუნდამენტი მარჯვენა და მარცხენა ფლანგის კონკურენციას წარმოადგენს. დღემდე საქართველო მემარჯვენე ცალფეხა „ხეიბარი“ იყო, რომელსაც კოალიციის წყალობით, ნებსით თუ უნებლიეთ, მარცხენა საყრდენის შემცველი პროტეზი გამოუჩნდა. რაც თავისთავად, პოლიტიკური „დაღლილობისას“ სიმძიმის ცენტრის მონაცვლეობის ალტერნატივის, ანუ ახალი პოლიტიკური შინაარსის დაბადების დიდ შანსს იძლევა.

19 სექტემბერი, 2012



## ლევან ბიბინიშვილი, ფილოლოგი

### „ჩემი ოპონენტი ჩემი მტერია“ – როგორც პოლიტიკური რიტორიკა. რატომ დამკვიდრდა „მტრის ხატისა“ და სიძულვილის ენა პოლიტიკურ ნარატივში?

ეუთოს მალაღჩინოსნის ძალიან მკაცრი შენიშვნა, საქართველოში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში „ლენინიზმის ნიშნებზე“, პირველ რიგში, მმართველი პარტიის მისამართით იყო გაკეთებული. ნაციონალები უკვე რამდენიმე წელია თავის რეალურ პოლიტიკურ მონინაალმდეგებს კრემლის აგენტებს უწოდებენ (გავისხენოთ თუნდაც 2007 წლის პასკვილი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, სადაც ლევან ბერძენიშვილი, ივლიანე ხაინდრავა და ა.შ. კრემლის შპიონებად გამოაჩენეს; ან შარშანდელი აბდალაძე-გედენიძის მოლაღატეობის ფარსი, როცა ისინი აღიარებით ჩვენებებში ლამის „ბომბიდან კალკუტამდე“ ისტორიებს თხზავდნენ).

რა არის ამ მისტიფიცირებული „კრემლის აგენტების“ თემის აგორების მიზეზი? ვფიქრობ, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და მისი ყურადღების გადატანა „გარე საფრთხეზე“; „კრემლის აგენტი“ არის პასუხი იმ რეალურ კითხვებზე, რომლებზეც ხელისუფლებას არ აქვს ადეკვატური პასუხები. რეალური პრობლემა კი დღეს არის ძალაუფლების ცენტრალიზაცია და პარლამენტის, როგორც აღმასრულებელი ძალაუფლების დამაბალანსებელი ორგანოს ფაქტობრივად არარსებობა

და მისი „სანოტარო ბიუროდ“ ქცევა; სასამართლოს სრული კონტროლი და შერჩევითი სამართალი, როცა თემი-და ბრმა თვალთ უყურებს ხელისუფლების მომხრეების გადაცდენებსა და კანონდარღვევებს (მაგალითად, ასობით (სიც!) შემთხვევას, როდესაც სილარბის ზღვარს მიღმა მყოფი ხალხი ოც და ორმოცდაათათასიან შემონირულობებს გაიღებდნენ მმართველი პარტიის სასარგებლოდ), და პირიქით, ისე გაფაცვიცებით უყურებს ოპოზიციის მხარდამჭერებს, რომ იქაც აღმოუჩინეს დანაშაულს, სადაც დანაშაული დიდი შესაძლებლობით საერთოდ არ არის. ასეთ დროს თავად საქართველოს სამართლდამცავი სისტემა უხეზად არღვევს კანონს.

კრემლის აგენტის თემა ბოლშევიკების „იმპერიალიზმის აგენტის“ თემას ჰგავს. ხელისუფლების გზავნილი, ჩანს, ასეთია: „კი, სასტიკად ვეპყრობი მონინაალმდეგე ძალას, აქა-იქ კანონსაც წარბშეუხრელად ვარღვევ, მაგრამ ვის წინააღმდეგ ვისა და კრემლის აგენტის, მუმის, მღრღნელისა და უწმინდურის! ჰოდა, როდესაც ესენი ქვეყანას განადგურებას უქაღიან, რაღა დროს კანონი და ამდაგვარი წვრილმანებია?!“ აქ მუშაობს ამგვარი ლოგიკა: მმართველი პარტია საკუთარ თავს აიგივებს ქვეყანასთან და, ავტომატურად, ისინი, ვინც მის ძალაუფლებას რეალურ მეტოქეობას უწევენ, გამოყავს ქვეყნის მტრად; არც კი უშვებს იმას, რომ ვინმე იყოს მათი ძალაუფლებიდან წა-

სვლის მომხრე და, ამავე დროს, ქვეყნის უკეთეს მომავალზე მზრუნველი. გამოდის, რომ ხელისუფლება ახდენს საკუთარი თავის საკრალიზაციას, საკუთარ თავს აყენებს პოლიტიკურ დისკუსიაზე მაღლა, აბსოლუტის ადგილზე და მიმართავს ლოგიკას, რომლის პრეროგატივა მხოლოდ ღმერთს აქვს: „ვინც ჩემთან არ არის, მთელი კაცობრიობის მტერია“; რადგან, თუ შენი პოლიტიკური მონინაალმდეგე „უწმინდურია“, ის, ვისაც ეს მონინაალმდეგე უპირისპირდება, ანუ ხელისუფლება, „წმინდაა“ და წმინდა კი ყველა კრიტიკაზე მაღლა დგას. ანუ, კრიტიკული აზროვნებაც უნდა შეწყვიტო ამ „წმინდის“ წინაშე. მაგალითად, ის ვინც არ კმაყოფილება ხელისუფლების ოფიციალური ვერსიით და ეჭვს გამოთქვამს, შეიძლებოდა თუ არა უფრო გონივრული პოლიტიკით თავიდან აგვეცილებინა 2008 წლის აგვისტოს კატასტროფა, უკვე აპრიორი იდიოტი, ან უარესი, ერის მტერია, უკვე თავად ამ ეჭვისა და ღიად გამოთქმული ცნობის-მოყვარეობის გამო. მაგრამ ასეთი „იდიოტების“ გარეშე სამოქალაქო საზოგადოება არ ჩამოყალიბდება და მოსახლეობა მუდმივად იდეოლოგიზირებული დარჩება. და ბოლოს და ბოლოს, რა ფასი აქვს დამოუკიდებელ საქართველოს, თუ მის მოსახლეობას ღიად გამოთქმული ეჭვი მოლაღატეობაში ჩათევლება? ვიმეორებ, „კრემლის აგენტის“ თემა მისტიფიცირებული ბოროტების თე-

მამა, რომელსაც არ ახლავს არანაირი ფაქტობრივი არგუმენტაცია. მაგრამ ამ დროს რეალური ბოროტება ხდება მაგალითად მაშინ, როდესაც სტუდენტების დასაქმების სახელმწიფო პროგრამაზე აყავთ სტუდენტი, რომელსაც არანაირ საქმეს არ აკეთებინებენ და ასობით ლარს მხოლოდ იმაში აძლევენ, რომ ნაციონალების პარტ-ლონისძიებების მხარდამჭერად იაროს, ამით ამ სტუდენტს უნგრევენ სულს, რადგან აჩვენებენ ტყუილს და **халыва** შემოსავალს. სულდანგრეულები ააშენებენ ევროპულ საქართველოს?

ეს მქონდა დანერვილი უკვე, როდესაც ტელევიზორში აჩვენეს ციხეში წამების საშინელი კადრები და ამის შემდეგ ზემოთდანერვილი ზედმეტად რბილად და ამის გამო არაადეკვატურად მეჩვენა. 37 წლის ბადალი ტერორი – ღირსების აყრა, წამება და მკვლელობა – დღეს საქართველოს ციხეებში კიბოს მეტასტაზასავით არის მოდებული და თანამდებობაზე მყოფი პირებისგან შეწყნარებული და ნაქეზებულიც, რადგან ჩემი გონება სავსებით უძლურია დაიჯეროს, რომ ეს უცნობი იყო აქამდე ვინმესთვის, ვისაც სამართლდამცავ სტრუქტურებში რამე, თუნდაც ყველაზე დაბალი თანამდებობა ეჭირა, ხელმძღვანელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამის აღიარება, მერე ნიანგის ცრემლები და „გაოგნების“ გათამაშება მოუწიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ინფორმაციამ მათგან უნებლიეთ გაჟონა, მანამდე კი, „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“, თავად უშლიდნენ ხელს ამ გაჟონვას; არ მიკვირს, მას შემდეგ, რაც ევროსასამართლო დარჩა მართლა გაოგნებული, თუ როგორ უშლიდენ სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიებას თავად ისინი, ვისაც ეს გამოძიება ევალბოდა. ამიტომ, ისინი ვინც კადრებში არ ჩანან, ვფიქრობ, უარესები არიან, ვიდრე მათი პაიკი, ადამიანობაზე ხელის ამლები შემსრულებლები.

20 სექტემბერი, 2012



მოგვწონს ეს თუ არა, გვინდა ეს თუ არა, ცოცხი და ხელკეტი ჩვენი სოციალური სხეულის უკანა გასასვლელში ჩვენივე ხელით გავიკეთეთ. ერთი მხრივ, თითქოს არ არსებობს არანაირი „ჩვენ“ და ეს მომხიბვლელად გამოიყურება, რადგან ეს ნიშნავს, რომ შეგვიძლია გავემიჯნოთ ჯალათებს, გავავლოთ ზღვარი, რომელიც გაგვყოფს და მეტიც, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავტკბეთ საკუთარი უცოდველობით. მაგრამ მეორე მხრივ, ეს „ჩვენ“ მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი გავისხენებთ, რომ მოქალაქეების პირდაპირი მოვლეობაა — მონაწილეობა და კონტროლი. ლევიათანი იმდენად ცბიერი ყოველთვის არის, რომ ჩვენი პასიურობის პირდაპირპროპორციულად საკუთარი სისასტიკე სულ უფრო გაზარდოს კანონის დახმარებით ან მის გარეშე.

ერთი ძველი ბერძენის თანახმად, მოქალაქე ისაა, ვინც ლაპარაკობს და არა ის, ვინც უბრალოდ ხმას, ბგერებს გამოსცემს – ეს ხომ ცხოველსაც შეუძლია. უბრალოდ ხმის ამოღება (ხმის მიცემა, ხმაური...) მინიმუმია, რაც შეგვიძლია და მოგვეთხოვება. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რამდენად შევძლებთ გამართულ მეტყველებას, მოქმედებას და მიღწეულის დაცვას.

მეჩვენება, რომ მთავარი, რასაც არაადამიანური მოპყრობის ამსახვე-

**ბიორბი ხასია, კოეტი**


**იქცევა თუ არა საზოგადოების პროტესტი საარჩევნო ურნასთან რაციონალურ გადაწყვეტილებად?**

ლი კადრების ნახვამ უნდა მიგვახვედროს, „უმრავლესობის“ ბუნებაა – ნებისმიერი უმრავლესობა სასტიკია – საპარლამენტოთი დაწყებული და მდუმარეთი დამთავრებული. ბანალურად სასტიკი. ის შეიძლება შეაკავო, მიაჩხო, გააჩერო მხოლოდ მუდმივი კონტროლით, ზენოლით და შანტაჟითაც კი. შეიძლება უმრავლესობა არც გყავდეს, მაგრამ ამ ისტორიას ჩვენ კარგა ხანს ვერ მოვყვებით, როგორც ჩანს. ჯერ ასე ჩანს.

ამ დღეებში საპროტესტო აქციების ლამის მთავარ სიმბოლოდ ცოცხი იქცა. ჩვენ ვხედავთ მუქარით მოღერებულ ცოცხებს, ცეცხლმოკიდებულ ცოცხებს, პლაკატებზე დახატულ ცოცხებს, რომლებიც ჩაშენებულია სიტყვაში „სიცოცხლე“ და სხვ. ბევრისთვის ეს უხამსობაა და ნანამები პატიმრებისთვის შეურაცხყოფელი, ზოგისთვის ქართული საზოგადოების ფარული შიშების გამოვლინება...

ის, ვინც ცოცხი უკიდურესი დამცირებისთვის – გასაუპატიურებლად გამოიყენა, ვერც კი იფიქრებდა, რომ მისდაუნებურად ალგვჭურვა ძალიან საჭირო იარაღით. ცოცხი გამოგადგება – ჩვენ შეგვიძლია მისი ინსტრუმენტად გამოყენება, ინსტრუმენტად, რომლითაც შეძლებისდაგვარად დავგვით, დავალაგებთ მოუწყობელ, დანაგვიანებულ პოლიტიკურ ცხოვრებას. ცოცხთან ერთად გვაქვს ორი ურნა – საარჩევნო და სანაგვე. მოკლედ, დალაგების დროა.

21 სექტემბერი, 2012



## ლინკოლნ მიტჩლი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი

### რა თვალსაზრისით არის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნისთვის ახალი პოლიტიკური გამოცდის-ლება?

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გაჩნდა კონკურენცია. არჩევნები არ არსებობს კონკურენციის, თავისუფალი და სამართლიანი გარემოს გარეშე.

2003 წლამდე საქართველოში ტარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, მაგრამ არ არსებობდა კონკურენცია. როგორც კი 2003 წელს რეალური კონკურენტი გამოჩნდა, არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ვეღარ ჩატარდა.

დღეს სამივე ფაქტორი მნიშვნელოვანია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა. გამოწვევა, რომ ქვეყანამ ნამდვილი დემოკრატიის განვითარება შეძლოს; იქცეს სახელმწიფოდ, სადაც ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ძლიერი პოლიტიკური პარტია ძალაუფლებისთვის თავისუფალ გარემოში იბრძვის. ერთი აგებს, მეორე იგებს. გამარჯვებული და დამარცხებული მხარეები კი, მომავალი არჩევნებისთვის იწყებენ მზადებას. ერთი დომინანტური ძალის მიერ ქვეყნის ინტერესებისთვის ექსკლუზიური ზრუნვა არ ნიშნავს დემოკრატიას. დემოკრატია ქვეყნის მართვაში ორივე ძალის მონაწილეობას ჰქვია.

ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან საქართველოს მთავრობას

არჩევნების წაგების რეალური შანსი გაუჩნდა. მათ, უბრალოდ, შეეძლოთ ამ სიახლეს სხვაგვარად შეხვედროდნენ. ეთქვათ, რომ იცნობენ ბიძინა ივანიშვილს, აღიარებენ მის პატრიოტიზმს, უფასებენ ქველმოქმედებას, მიესალმებიან მის პოლიტიკაში მოსვლას, მაგრამ თან ყველანაირად ეცდებიან არჩევნებში კონკურენტის დამარცხებას. ხელისუფლებას ეს ტონი და მიდგომა რომ აერჩია, დღეს გაცილებით ძლიერი პოზიცია ექნებოდა, მაგრამ მათ ეს სიახლე შიშით, გაუაზრებლად მიიღეს, რაც მთელი მსოფლიოსთვის იმის ნიშანი იყო – რომ საქართველოს ხელისუფლება ჯერ არ არის მზად დემოკრატიისთვის. ეს დიდი შეცდომა იყო, არ ვიცი რამდენად სავარაუდოა, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება მისი გამოსწორება.

დღეს მთავარი კითხვაა: რა მოხდება, თუ არჩევნებს ივანიშვილი მოიგებს? შეიძლება ასეც მოხდეს. მაშინ რას აკეთებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“?


2003 წელს შევარდნაძის ხელისუფლება უკვე გამოფიტული, ძალაგამოცლილი იყო. თუკი „ქართული ოცნება“ 53%-ით გაიმარჯვებს, ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია 47%-იანი მხარდაჭერით ოპოზიციაში განაგრძოს მოღვაწეობა. დაასახელონ, მაგალი-

თად, გიგი უგულავა მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატად, დახვეწონ პოლიტიკური პლატფორმა, იბრძოლონ ეკონომიკის მეტი ლიბერალიზაციისთვის, ან იმუშაონ „ქართული ოცნებისთვის“ ნაკლებ საყურადღებო საკითხებზე. დარწმუნებული ვარ, ამერიკისა და სხვა ქვეყნების მთავრობებს დაუსვამთ ეს კითხვები „ნაციონალური მოძრაობისთვის“. ჩემი ვარაუდით, მათ უპასუხეს, რომ ასეც აპირებენ. იმედი, ასე უპასუხეს.

დღეს იმის გაცხადება, რომ დაუშვებელია ქვეყანას „ჩვენს გარდა ვინმე მართავდეს“, წარმოუდგენელია. ამით უკვე აღიარებ, რომ შენ არ ხარ დემოკრატი. ეს ასეა და მორჩა.

14 სექტემბერი. 2012





## ბიორები მაისურაძე, ფილოსოფოსი

### პოზიცია – მე არა მაქვს არჩევანი!

1 ოქტომბრის არჩევნებზე რომელ-მა ძალამაც არ უნდა გაიმარჯვოს, ეს არჩევნები საქართველოში პოლიტიკური კულტურის მორიგი მარცხი იქნება, რომელიც ვინმეს მხარეზე ყოფნის პრინციპს ვერ გაცდა, ანუ არჩევნებში მონაწილეობის უმთავრესი კრიტერიუმი ხელისუფლების ერთგულება ან მის წინააღმდეგ ყოფნაა. შესაბამისად, არჩევანი არა პოლიტიკურ პლატფორმებსა და პროგრამებს, არამედ რომელიმე ლიდერის მომხრეობა-მონინააღმდეგეობას შორისაა. პოლიტიკური ტრადიციის ამ ფორმას საქართველოში თან ახლავს ერთი თითქმის მითოლოგიური შინაარსის სიუჟეტი: ესაა ერთი პოლიტიკური ფიგურის მხსნელის, მესიის რანგში აღზევება, რომელმაც უნდა დაამხოს ტირანია და იხსნას დაჩაგრული ერი. შემდეგ, ამ ახალი მხსნელის გამარჯვების შემთხვევაში, მის ირგვლივ გაერთიანებულებს შორის ბზარი ჩნდება და თანდათანობით უკმაყოფილება მატულობს. ბოლოს კი თავად ერთ დროს ქვეყნის გადამრჩენად მოვლენილი ლიდერი ცხადდება ტირანად და მთელი პოლიტიკური ენერჯიები მისი დამხობისკენ მიმართება.


წლებანდელი საპარლამენტო არჩევნებშიც ამ სიუჟეტის განმეორებაა: სააკაშვილი, რომლის ხელშიც ძალაუფლების იმგვარი კონცენტრაციაა, რომელიც საკუთარ თავშივე უკვე გამოიციხავს

დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესაძლებლობას, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე, განუკითხავ თვითნებობას დაემსგავსა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ სახელმწიფო ერთი ადამიანის ახირებებს ემსახურება. „ვარდების რევოლუციის“ სახელით მოსულმა ხელისუფლებამ ქვეყანაში ფაქტობრივად ერთპარტიული მმართველობის სისტემა შექმნა და ამით ის ამ რევოლუციად ნოდებული მოვლენის მიზნებს დაუპირისპირდა, ანუ თავადვე იქცა „კონტრ-რევოლუციად“. მოვლენების ამგვარი განვითარება კი მნიშვნელოვანწილად იმანაც განაპირობა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას რეალური ოპოზიცია არ ჰყოლია და ოპოზიციის დიდი ნაწილი მისი ყოფილი მიმდევრები არიან. შესაბამისად, მათ ან მმართველი პარტიისაგან განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმა, ან საერთოდ არანაირი პოლიტიკური პლატფორმა არ გააჩნიათ.

რამდენადაც ძალაუფლებისაკენ სწრაფვა პოლიტიკურ შინაარსებსაა მოკლებული, დაპირისპირება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის კვლავინდებურად „სიკეთისა“ და „ბოროტების“ ბრძოლის მითოლოგიურ სიუჟეტს დაუბრუნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასპარეზზე მულტიმილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რომელიც ხალხის წიაღიდანაა გამოსული და არა მექვიდრეობით მიღებული ქონებით ან თანამდებობაზე ყოფნისას მომხვეჭელობითა და კორუმპირებულობით, არამედ საკუთარი ბიზნესითაა გამდიდრებული, თანაც ქველმოქმედი, რომელიც ხალხს მოვლა-პატრონობას ჰპირდება,

იდეალურად მოერგო მესიისა და მხსნელის ახალ ქართულ იდეალს. ამ იდეალის შექმნას კი მნიშვნელოვანწილად თავად „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარმა პოლიტიკურმა მესიჯმა — გამდიდრებისა და ქონების დაგროვების იდეოლოგიამ შეუნყო ხელი. ივანიშვილი, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობის „ლიბერტარიანული ბიზნესმენებისგან“, უფრო ახლოს აღმოჩნდა კეთილი ხელმწიფის ტრადიციულ ქართულ ფეოდალურ წარმოდგენებთან, რომელიც უხვად გაცემს და ასაჩუქრებს თავის მომხრეებს, ანუ მას ყველას და ყველაფრის ყიდვა შეუძლია. შესაბამისად, მან უმარტივესად შეძლო ოპოზიციის, ანუ ხელისუფლებისათვის მეტრძოლთა — დაწყებული პროფაშისტული ულტრაკონსერვატორებიდან და სოციალ-დემოკრატებით დამთავრებული – საკუთარი ფიგურის და არა რომელიმე არარსებული პოლიტიკური პროგრამის ირგვლივ გაერთიანება.

დავუშვათ, რომ 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, რა გარანტია არსებობს, რომ კოალიციაში გაერთიანებული და ხელისუფლებას მონყურებული პოლიტიკოსები, რომელთა უდიდესი ნაწილისათვის დემოკრატიული ღირებულებები სრულიად უცხო და მტრულიცაა, საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტებს შექმნიან? ყველაზე სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ საქართველოს საზოგადოებამ ძალაუფლების მითოსიდან პოლიტიკურ პრაგმატულობაზე გადასვლა ვერ მოახერხა და „მესიანიზმის“ მოჯადოებულ წრეში გამოიმწყდეული დარჩა.



## დავით მაკარიძე, ვებ-დეველოპერი

### ინსტრუქცია ანარქისტებისთვის – როგორ მოვიქცეთ არჩევნების დროს?

„დემოკრატიული არჩევნები“ ყველაზე დიდი ტყუილია, რომელიც დასავლურმა ცივილიზაციამ მოგვასხვია თავს. არჩევანის გაკეთება მხოლოდ თავისუფალ არსებას შეუძლია, რომელმაც დააღწია თავი პრიმიტიულ ინსტიტუტებს და პირობით რეფლექსებს, დაეუფლა ადამიანის ბიოკომპიუტერის მეტაპროგრამირების უმაღლეს ხელოვნებას და გათავისუფლდა საზოგადოებრივი ცხოველის აზროვნების სტერეოტიპული კლიშეებისგან, განიკურნა ცნობიერების ვირუსებისგან და მიაღწია სულიერი სრულყოფის იმ საფეხურს, როდესაც თავისი არჩევანით შემოქმედის მსგავსად შეუძლია სპონტანურობა შეიტანოს რეალობის დიდ მექანიზმში. პოლიტიკური ბრძოლის მართაონში ირიბად, თუ პირდაპირ ჩაბმულ ნებისმიერ პიროვნებას თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტს მხოლოდ ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილი ამოძრავებს. ბევრ მათგანს ეს გააზრებული აქვს. პოლიტიკოსების მცირე ნაწილი კი გონების დაბინდვის იმ მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც საკუთარ თავში მანკიერი იმპულსების აღმოჩენის ნაცვლად, სხვებსაც ისევე ატყუებს, როგორც საკუთარ თავს და ათასგვარ კეთილშობილურ მიზანს იგონებს თავისი საქმიანობის გასამართლებლად.

პოლიტიკური პროპაგანდის მთავარ მიზანს ხალხის მასების სინქრონიზაცია და ცენტრალიზებული მართვა წარმოადგენს. სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების შეჯიბრის შედეგი კი იმ ჯგუფის გამოვლენაა, რომელიც უკეთესად გაართმევს თავს მასების მწყემსვას.

რთულია ასეთი მოცემულობით ეფექტურად იმოქმედო. მით უმეტეს, თუ თავს ანარქისტად თვლი, ეწინააღმდეგები ძალადობის ნებისმიერ მექანიზმს, არ გინდა ცხვრის ფარის ნაწილი გახდე და ცდილობ, საკუთარი თავის წინაშე თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე პასუხი აგო. თუმცა ისეთი ზღვრული მომენტები სოციალური ქსოვილის ტრანსფორმაციის პროცესში, როგორც არჩევნებია, კარგი საშუალებაა კიდევ ერთხელ სცადო რეალობის გატყუება. მთავარია, არ დაკარგო სიფხიზლე, არ გახდე პოლიტიკური ფარსის ბრმა მონაწილე, არ წამოეგო ძალაუფლების მოყვარულთა ცბიერ დაპირებებს და საკუთარი გადაწყვეტილება გამოიყენო, როგორც ხრიკი რეალობაზე ეფექტური ზემოქმედებისთვის.


ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ არ დაკარგო ამ ზემოქმედების მოხდენის საშუალება მომავალში. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ ძალაუფლებისთვის მხოლოდ პოლიტიკოსები არ იბრძვიან. მათ მიერ მოპოვებული სახელისუფლებო მანდატები გაცილებით უფრო ძლევამოსილ ინსტიტუტებს მოხმარდება. ხელისუფლება მხოლოდ მწვერვალია იმ აისბერგის, რომლის საფუძველს კულტურული და რელიგიური ინსტიტუტები შეადგენენ ისეთი ფარული რეპრესიული მექანიზმებით, როგორიცაა

განათლების სისტემა, ჯანმრთელობის დაცვა, პოპულარული ხელოვნება, გასართობი ინდუსტრია, რეკლამა და მასმედია. თავის როლი აქვს ორგანიზებული კრიმინალსაც, რომელიც სისტემას უქვემდებარებს ანარქისტული პოტენცილის მქონე პიროვნებებს. მათგან განსხვავებით, ჩვენი მიზანი, დიდი მექანიზმის მწყობრიდან გამოყვანა და ჩვენზე მისი ზეგავლენის შემცირებაა. ამიტომ თითოეული გადადგმული ნაბიჯი არ უნდა ემსახურებოდეს, რომელიმე ინსტიტუტის გაძლიერებას ან სხვადასხვა ძალის თანხმობაში მოყვანას. თავისუფლების მოპოვება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც მართვის კრისტალურ მესერში ღრეჭობია დარჩენილი, ნეიტრალური ტერიტორიები, სადაც შესაძლებელია დროებითი ავტონომიური ზონების დაბადება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამოცანა მრავალუცხოვანი, არანრფივ განტოლებას შეიძლება შევადაროთ, რომელსაც შეიძლება, ამოხსნა არც კი ჰქონდეს. თუმცა, ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, საკუთარი თავისუფლების გარდა. თავისუფლებას კი მხოლოდ მაშინ ვკარგავთ, როდესაც დინებას მივყვებით; დინებას, რომელიც წესრიგის და დაცულობის ილუზიას ქმნის. დინების მიღმა კი ქაოსის უკიდვანო ოკეანეა...

ჰაილ ერის! ვივა დისკორდია!  
ბიუროკრატის 41-ე დღე, 3178 წელი

დავით მაკარიძე  
ააიპ „სხვა საქართველო“, კავკასიის  
ერდიანული ფრონტი



## ვახუშტი მინაშვილი, იურისტი

### შესაძლოა თუ არა 18 სექტემბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები ახალ გამოცდილებად, სამოქალაქო ცხოვრების ახალ ათვლის წერტილად იქცეს?

ორდღიანმა სტუდენტურმა გამოსვლებმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია სისტემის (რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში არ ეპუებოდა სამოქალაქო პროტესტს) შერყევა. ორდღიანმა პროტესტმა ორი მინისტრი შეინირა. კიდევ ათეული ადამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო. თუმცა ეს სტუდენტების მოთხოვნების მხოლოდ ნაწილია. ისინი, ერთი ძველი გამოთქმისა არ იყოს, ამ ორი დღის შემდეგ, ამბობენ, რომ ეს შედეგი, არ არის დასასრული, ეს არც დასაწყისის დასასრულია, ეს შეიძლება მხოლოდ დასასრულის დასაწყისი იყოს. უკმაყოფილება არა მხოლოდ კონკრეტული პირების მიმართაა მიმართული, არამედ იმ რეალობის მიმართ, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელზეც ხელისუფლების ცვლილებას არსებითი გავლენის მოხდენა აღარ შეუძლია.

მთავარი, რამაც სისტემა დააბნია მოულოდნელობა იყო. ამ მასშტაბის პროტესტი, თითქოს არსაიდან გაჩნდა. ეს არ ყოფილა ერთი წვეთი საესე ჭიქაში. ფაქტები, რომელიც ამ დღეებში გამომჟღავნდა თავადვე იყო შოკისმომგვრელი. ამიტომ საქმე უფრო პირიქითაა. ჭიქაში წვეთი იყო და მას მთელი სათლი წყალი დაემატა. ამიტომ, შეუძლებელია ვისაუბროთ

პროტესტის წინაპირობებზე, ვინაიდან ამგვარ მოვლენებს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად არავითარი წინაპირობები არ სჭირდება. ის იმნუთიერად, გარდაუვლად, პირდაპირ და არაორაზროვნად აჩვენებს რომ სისტემა ქმნის ბოროტებას და რომ ამ ბოროტების მოსპობა მხოლოდ სისტემის განადგურებით არის შესაძლებელი.

სისტემას უფრო მასშტაბური პროტესტის დროსაც კი არ დაუკარგავს კონტროლი სიტუაციაზე, ის მუდამ ახერხებდა რეზისტენტობის შენარჩუნებას. აქ გადამწყვეტი ორი ფაქტორია: პირველი – პროტესტს გამოხატავს საზოგადოების ის ჯგუფი, რომელიც აქამდე ყველაზე ნაკლებად იყო ჩართული უკმაყოფილების ტალღაში; და მეორე – ეს ახალი პროტესტის ფორმაა, მოძრაობას არ მართავს გამოკვეთილი ლიდერი, ან ლიდერთა ჯგუფი.

სისტემა ამგვარ მოძრაობასთან გასამკლავებლად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ახალგაზრდული მოძრაობის გადაწყვეტილებები სპონტანურია, რაც სისტემას მოვლენების წინასწარ გათვლის შესაძლებლობას ართმევს. ძალაუფლების ვერტიკალურ იერარქიას ჰორიზონტალური უსისტემო უპირისპირდება. პირველის კოლაფსი გვაჩვენებს, რომ პროტესტის გაგრძელების შემთხვევაში სისტემა რეზის-

ტენტულობას დაკარგავს და დაინგრევა.

როგორც ჩანს, მხოლოდ საზოგადოების ეს ჯგუფი, სტუდენტები აღმოჩნდნენ ღია პროტესტის ახალი ფორმისა და შინაარსისთვის. მათ გააუქმეს იერარქია და ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების მოდელი შექმნეს.

საზოგადოებაში სისტემის უძლეველობის მითი დაინგრა. ნელ-ნელა აშკარა ხდება, რომ სისტემის დასამარცხებლად არ არის აუცილებელი პარალელური და იდენტური იერარქიის აგება – ავტორიტეტებით, ძალაუფლებით, მგლებით და ცხვრებით, მმართველებით და მართულებით. საზოგადოებად ყოფნა ნიშნავს, ბრაზობდეს და გამოხატავდეს პროტესტს, აკონტროლებდეს ხელისუფლებას, მუდმივად გესმოდეს მისი მაჯისცემა, რომ არ გამოგეპაროს ასეთი „მომენტები“.

ჭეშმარიტი საზოგადოებას არ მიაჩნია, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, სადაც მხოლოდ ბინძური პოლიტიკოსები დაძრწიან და თავიანთ ბინძურ ხელებს აფათურებენ. ჭეშმარიტი საზოგადოება თავად აკეთებს პოლიტიკას აქ და ახლა. ის არ აძლევს უფლებას ხელისუფლებას შექმნას ექსკლუზიურად თავისი პოლიტიკური რეალობა.

23 სექტემბერი, 2012

# დისკუსია

## სახელმწიფო და საზოგადოება – როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა

მოლაპარაკია: ნინო ზურიაშვილი



ფოტო: ლეონი სოსელია

### მონაწილეები:

სალომე ასათიანი  
ჟურნალისტი

ბასილ კობახიძე  
თეოლოგი

თამარ კორძაია  
ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თავმჯდომარე

გიორგი კიკონიშვილი  
ბლოგერი

**ნინო ზურიაშვილი:** ყველასთვის ცნობილია, რომ ძალადობის ფაქტები პატიმრის ციხეში შესვლის პირველივე დღეს იწყება. მე სწორედ ადამიანის უფლებათა დამცველებისგან გავიგე ტერმინი: „Welcome Beating“. თუ მსგავსი მოპყრობა წესად იყო დამკვიდრებული ციხეში, ამას, სავარაუდოდ, თავისი მიზეზი ექნებოდა. ეს იყო, ალბათ, იმისთვის, რომ პატიმრისგან ჩვენება მიეღოთ, ის მორჩილი და დამყოლი ყოფილიყო და ამით გამარტივებოდა საქმე პროკურატურასაც და სასჯელალსრულების დეპარტამენტსაც. მაინტერესებს, შეგვიძლია თუ არა დღეს გავიაზროთ შედეგები, რომლებიც განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა და კიდევ მოჰყვება? რა ზიანი მიაღდა საზოგადოებას? შეგვიძლია ვისაუბროთ სისხლის სამართლის საქმეების ფაბრიკაციაზე? თუნდაც ეს კადრები რა გავლენას, რა ზემოქმედებას

მოახდენს საზოგადოებაზე, ბავშვებზე? როგორ ფიქრობთ, დღეს შედეგების გააზრება შეგვიძლია? იქნებ ახლავე გვეფიქრა იმაზე, კიდევ სად შეიძლება დაგვხდეს ასეთი დონის ძალადობა?

**თამარ კორძაია:** საკმაოდ მრავალკომპონენტური შეკითხვაა და კომპლექსურ პასუხს საჭიროებს. თუმცა ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საზოგადოების მარცხი. რვა წლის შემდეგ, მხოლოდ ამ ყველაფრის ტელევიზიით ჩვენებით შევძელით იმის გააზრება, თუ რა ხდება ციხეში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი საპროცესო გარიგებებზე და ის პირველად განხორციელდა, ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ეს არ იყო საპროცესო გარიგება – ადამიანებისგან (პატიმრების ახლობლებისგან) ფულს იღებდნენ მხოლოდ და

დღემდე უცნობია, სად მიდიდოდა ეს ფული. ჯერ კიდევ მაშინ ვერ დავდექით იქ, სადაც უნდა ვმდგარიყავით, ვერ ამოვიღეთ სათანადოდ ხმა. ვერც გორგვლიანის საქმის დროს მოვახერხეთ იქ დგომა, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ადამიანი გაერთიანდა. როდესაც ევროპის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინაც ვერ მოვახერხეთ ის, რომ საზოგადოებას გაეგო ამ გადაწყვეტილების არსი. დღემდე ქართულმა საზოგადოებამ არ იცის, რა იყო ეს გადაწყვეტილება. როდესაც სკოლაში მანდატური შევიდა და ბავშვებს აწერიებდნენ თემას „მე მიყვარს პოლიცია“, მე მაშინ არ მივედი სკოლაში და არ გავაპროტესტე ეს. ერთადერთი, რაც გავაკეთე ის იყო, რომ როდესაც ერთმა დანერა, მეორეს ვუთხარი – შეგიძლია, არ დანერო და დატოვო-მეთქი კლასი; სულ ეს იყო, რაც გავაკეთე... დროა, ვალიართ, რომ ჩვენზე დაშვებით მივიღეთ ძალადობრივი სისტემა და ეს ჩვენი ბრალია.

**სალომე ასათიანი:** მართლაც, ეს ისეთი მასშტაბის ტრაგედიაა, რომ ალბათ, ფსიქოლოგების საკვლევი თემაა ის კოლექტიური ტრავმა, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად მივიღეთ იმ ღამეს, როცა ეს კადრები პირველად გავრცელდა. გავიგეთ პატიმრების, მათ შორის არასრულწლოვნების წამების, გაუპატიურების შესახებ და ბოლოს ისიც გავიგეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში თურმე არსებობს კატეგორია „ფსიქიკურად დაავადებული პატიმარი“, რაც თავზარდამცემი იყო. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ყველანი ტრავმირებულები ვართ. მაგრამ ჩვენი ტრავმა რა მოსატანია პატიმრების ახლობლების აგონიასთან, რომლებიც ამ წუთებშიც კი, როდესაც ჩვენ აქ ვსხედვართ და ამაზე მშვიდად ვლაპარაკობთ, თავიანთ ქმრებზე, შვილებზე, ძმებზე, მამებზე დარდობენ. კიდევ ცალკე თემაა თავად პატიმრების მდგომარეობა, რაზეც დღეს აღარავინ ლაპარაკობს. საქართველო მეოთხე ქვეყანაა მსოფლიოში, ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით. შესაბამისად, საქმე გვაქვს ძალადობის და წამების მსხვერპლთა ძალიან დიდ რაოდენობასთან. მთელი რესურსები – სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორი ამაზე უნდა იყოს მიმართული, რომ როგორღაც ამ ადამიანების დახმარება, მათი რეაბილიტაცია მოხდეს. ეს რაც შეეხება ფსიქოლოგიურ შედეგებს.

პოლიტიკურად, ვეთანხმები თამუნას, ეს არის სრული კრახი. აქამდე რაც გაგებული გქონდა, ახლა დადასტურებულად ვიცი – რომ ციხეებში უმძიმესი მდგომარეობაა, რომ იქ ადამიანებს აწამებენ, არასრულწლოვნებს აუპატიურებენ, მათზე ძალადობენ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს დასცინიან. ამის გააზრება „უკანა რიცხვით“ ყველაფერს აზრს უკარგავს – ვინ ვისი მომხრე იყო, ვის უჭერდა მხარს, ქვეყანა „შედეგა“ თუ ვერ შედეგა. ეს იმდენად შემზარავი რეალობაა, რომ ყველაფერი ემსგავსება ელიტისტურ, გულგრილ, სალონურ საუბარს და ამის გამო მე, პირადად, მართლა მაქვს სირცხვილის განცდა.

ადამიანის წამება ყველგან და ყოველთვის იკრძალება, მათ შორის ომის დროსაც, ჩვენთან კი ეს გავრცელებული პრაქტიკა ყოფილა. ხელისუფლებას აწი ძალიან უნდა გაუჭირდეს რეფორმებით, მოდერნიზაციით და განვითარების ტემპებით ტრავახი. გამოჩნდა, რომ ეს რეფორმები, რეალურად, ბარბაროსულ ძალადობაზეა დაფუძნებული. არადა, როდესაც ხელისუფლებამ

რეფორმა გაატარა და კრიმინალი მართლა შემცირდა, ყველას, ჩემი ჩათვლით, ძალიან მოგვწონდა, რომ ქუჩაში მშვიდად დავდიოდით. ეს ძალიან ძლიერი არგუმენტი იყო, რომელმაც დღეს ფასი დაკარგა. რასაკვირველია, კარგია, რომ ქუჩაში დაცული ხარ კრიმინალთა მხრიდან ძალადობისგან, მაგრამ დაცულობის განცდა მაინც არ გვაქვს. ძალადობის წყაროდ ახლა გვევლინება სახელმწიფო, რომელიც, თუ მოისურვებს, დაგვაპატიმრებს და ჩვენს უდანაშაულობას ვერც კი დავამტკიცებთ. სრულიად სხვადასხვა რამაა, როდესაც იცი, რომ კრიმინალთან გაქვს საქმე და როცა სახელმწიფო აპარატის წინაშე ხარ დაუცველი და უმწეო.

**ბასილ კობახიძე:** მე სრულიად ვეთანხმები თქვენ მიერ ასე დასმულ საკითხს, სისტემური და შედეგების შესახებ. გადატანითი მნიშვნელობით, მე ვფიქრობ, რომ არა მარტო პატიმრების წამება, არამედ საზოგადოების წამებაც გრძელდება. ხელისუფლებამ პატიმრების არაადამიანური წამება გახადა სახელმწიფო სისტემის ორგანული ნაწილი, რაც ცალსახად შემადრწუნებელია. და არა მარტო სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ყველანი ვანამებდით პატიმრებს – საუბრობდნენ ხოლმე, რომ სახელმწიფოს ძალადობის ლეგიტიმური უფლება აქვს, რაც არასწორია. ეს არის არა ძალის უსაზღვრო გადამეტება, არამედ განსაკუთრებული პათოლოგია და მანიაკობა. თუმცა იურიდიულად, ისინი ფსიქოლოგიურად შეურაცხადები არ არიან და ამ სტატუსს ვერ ამოეფარებიან. არსებობს მიმართულება – კრიმინალისტური ფსიქიატრია და სწორედ მათ უნდა იკვლიონ, როგორ მოახერხა სახელმწიფომ ამ დონის ძალადობის დანერგვა.

ვფიქრობ, რომ უნდა გადადგეს მთელი მთავრობა – პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი, უშიშროების საბჭოს მდივანი და სახალხო დამცველი. მათი ხელისუფლებაში ყოფნა უკვე ნიშნავს,



სალომე ასათიანი

„ვაცალოთ მუშაობა“ – ამ პოზიციის გამო იყო, რომ საზოგადოებამ დიდხანს არ მისცა ადეკვატური შეფასება იმას, რომ ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ელემენტი გახდა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს არც ისე კარგი, მაგრამ მთლიანობაში ნორმალური მოვლენა იყო, რომელსაც დრო უშველიდა.

## ლისკუსია

ადამიანების ნამების გაგრძელებას, რადგან თავის მომხრეებს რყვინან და ჩვენ ვუყურებთ, როგორ რყვინან. უსამართლობაა, როდესაც მათი ხელისუფლებაში დარჩენით, მათ მომხრეებში ამ ძალადობის გამართლება ხდება.

**ნინო ზურიაშვილი:** აი, ავტორმატურად მივადევით პასუხისმგებლობის საკითხს, რაც არ შეიძლება, რომ გამოგვჩრეს. ყველას პასუხისმგებლობა არსებობს? ვის უნდა შეეჩერებინა ეს ამბავი, ვისი პასუხისმგებლობა იყო ამის შეჩერება?

**სალომე ასათიანი:** ყველას პასუხისმგებლობაა. მე პირადად, როგორც მოქალაქე და ჟურნალისტი, ამ პასუხისმგებლობას ყოველდღე ვგრძნობ და მრცხვენია, რომ ამაზე ინფორმაცია გვექონდა და ბევრს ვერაფერს ვაკეთებდით. ხელისუფლებას რაც შეეხება — ის ვერ იტყვის, რომ ეს მისი სანქციით ხდებოდა. ამიტომ გვთავაზობენ ამგვარ არგუმენტს, რომ ეს მათთვის შოკისმომგვრელი მოულოდნელობა იყო. მე კი მგონია, რომ ეს მათი მხრიდან ჩვენი მორიგი შეურაცხყოფაა. თუ ეს ნამდვილად „არ იცოდნენ“, მაშინ ჩვენ, მოქალაქეებს, სრული უფლება გვაქვს, დავსვათ კითხვა — იქნებ სხვა სფეროებშიც ასეთი განუკითხაობა და მათ არაფერი იცინა? და კიდევ, მიაბიჭებთ რომ გავხდეთ და დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი მართლა არ იცოდნენ, მაშინ საქმე გვექნება სრულ არაკომპეტენტურობასთან და გულგრილობასთან, რაც ასევე დასჯადია. როგორც მინიმუმ, ის მაინც შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ხელისუფლებამ ნამების პრაქტიკა არ აღკვეთა. რაც თავისთავად უზარმაზარი პრობლემაა.

**გიორგი კიკონიშვილი:** მეც მიმაჩნია, რომ ამ მოვლენებზე პასუხისმგებლობა გვეკისრება აბსოლუტურად ყველა ადამიანს, ვინც საქართველოში ვცხოვრობთ და მეტ-ნაკლებად ვხედავთ, რა ხდება ჩვენ გარშემო. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელმაც ყურმოკვრით მაინც არ იცოდა, რომ ციხეებში ადამიანებს სცემენ, აწამებენ და ა.შ. პატიმრებისადმი ასეთი დამოკიდებულება რუტინულ რიტუალად იყო მიჩნეული საზოგადოებაში. შესაბამისად, აქ შეგვიძლია ვიკამათოთ პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე — დაწყებული სახელმწიფო სტრუქტურებიდან, დამთავრებული ეკლესიით, მედიით, რომელსაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ამ ამბების მიჩქმალვაში; და საზოგადოებით, რომელმაც ვიცოდით ეს ამბები. ძალიან კარგია, რომ ამ ვიდეოებს ასეთი სამოქალაქო აფეთქება მოჰყვა, მაგრამ ცოტა შემოფოთა იმან, რომ საზოგადოება ზუსტად მაშინ აენტო, როდესაც ნახა აბსოლუტურად პერვერსიული კადრები. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, პერვერსიულ ფანტაზიებსაც სცდება. არ ვიცი, ეს შეიძლება იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებას, ქვეცნობიერში აქვს პერვერსიული, ძალადობრივი მისწრაფებები, რაშიც მე ერთი რალაცა მაეჭვებს, რომ როდესაც ამაზე პროტესტი აგორდა, ადამიანები თითქმის იმავე ძალით მოითხოვდნენ მოძალადეებზე შურისძიებას, რა ძალითაც ისინი პატიმრებზე ძალადობდნენ — „დავიჭიროთ ახალაია და ცოცხი გაუკეთოთ უკან“. როდესაც ეს ფრაზა პირველი დღის ემოციებს, პირველ აღშფოთებას გასცდა და რამდენიმე დღე იტრიალა, დავრწმუნდი, რომ ძალადობის სურვილი ყველა ადამიანშია მი-

ჩქმალული და ამან ბევრ კითხვას პასუხი გასცა. არც ახალაია და არც მიშა მარსიდან არ ჩამოფრენილან, ამ საზოგადოებაში დაიბადნენ, ამ საზოგადოებაში გაიზარდნენ და ყველა ადამიანი, ვინც აქ დაიბადა, რალაც დოზით ვართ ამ საზოგადოების ნაწილი. მე საზოგადოების დანაშაულს ამ გაგებით ვხედავ.

**სალომე ასათიანი:** მართლაც, ეს ისეთი მასშტაბის ტრაგედიაა, რომ ბუნებრივია, აქ ირაციონალური აგრესია და უკუაგრესია ადამიანებში აუცილებლად გაჩნდება.

**ნინო ზურიაშვილი:** პარლამენტის პასუხისმგებლობას თუ ხედავთ? არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, როცა ბოლო რვა წლის მანძილზე, ცარიელ დარბაზებში იწყებოდა სახალხო დამცველის ანგარიშების განხილვა და „მიხუთშაბათება“. მაშინ მეგონა, რომ მხოლოდ სოზარ სუბარის მიმართ ჰქონდათ მსგავსი დამოკიდებულება, მაგრამ როცა მის მაგივრად ომბუდსმენის პოსტზე გიორგი ტულუში მოვიდა, რომელიც, სოზარისგან განსხვავებით, თავის საქმეს პოლიტიკურ კონტექსტში არ აქცევდა, არც მისი დასკვნები იქნა განხილული და პარლამენტმა მისი ანგარიშებიც ცნობად მიიღო. რამდენად ადეკვატური იყო ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანო ამ ამბებში, რატომ მოხდა, რომ ჩვენ ისინი ავირჩიეთ და მათ ასე უგულვებელგვყვეს? რატომ მოხდა ასეთი წყვეტა?

**სალომე ასათიანი:** შენ მიერ დასმული საკითხი რომ განვაზოგადოთ, მივიღებთ ძალიან ზუსტ სურათს იმ პრობლემისა, რომელიც დღეს გვაქვს საქართველოში. ქვეყანაში არის ძალაუფლების ვერტიკალი, რომელიც ემორჩილება ერთ, ორ, სამ კაცს, და პარლამენტი არის ფორმალური ორგანო. ჩვენი დღევანდელი პრობლემა არის ბანალური ჭეშმარიტების მორიგი დადასტურება — რომ ძალაუფლება რყვნის და აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის.

დასავლეთის ქვეყნებმა სწორედ ამ გარყვნის თავიდან აცილების მიზნით შეიმუშავეს ძალაუფლების გადანაწილების და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ ურთიერთკონტროლის მოდელი. ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ამ საქმის გამოძიება წესით მშვიდად უნდა მივანდოთ პროკურატურას — ვინ იცოდა, რა იცოდა, სადამდე მიდის კვალი. მაგრამ ჩვენთან ეჭვები მაინც დარჩება, იმიტომ, რომ პროკურატურა თავის ფუნქციას არ ასრულებს. პარლამენტი ძირითადად შედგებოდა ნაცრისფერი მასისგან, რომლის მოვალეობაც იყო ლილაკზე თითის დაჭერა და გვახსოვს, რომ ხანდახან ამასაც ერთი ასრულებდა ათის მაგივრად — ესეც კი ეზარებოდათ. პარლამენტში ჭარბობდნენ კომკავშირული სულისკვეთების ინდივიდები — რასაც პარტიის გენერალური ხაზი იტყოდა, ის ყველას უნდა დაეჯერებინა. ხოლო თუკი, სახალხო დამცველის ნათქვამი ამისგან განსხვავებული აღმოჩნდებოდა, ეს სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. ხაზგასმით უგულვებელყოფდნენ ომბუდსმენის სტუმრობებს პარლამენტში, გახსოვთ ალბათ, სხდომიდან გადიოდნენ, იცინოდნენ...

**თამუნა კორძაია:** პასუხისმგებლობისადმი წყვეტა ალბათ იმის ბრალიცაა, რომ კითხვებს არ ვსვამდით. პარლამენტისთვის არასოდეს დაგვისვამს კვალიფიციური შეკითხვა. მედიამონიტო-

რინგის სფეროში მუშაობის შედეგად, დავინახე, რომ არცერთ სფეროში ღრმა დისკუსიაში არ შევდივართ, ყველაფერი ძალიან ზედაპირულია. რატომ არ ჰქონდა პარლამენტს იმდენი ღირსება, რომ როცა გიორგი ტულუში მიდიოდა და სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობდა, დაესვა საკითხი და გადაემონმებინა, იქნებ, ეს კაცი ტყუილს ამბობდა. რატომღაც ყოველთვის ვიღაცის გვეჯერა, რომ სხვა გააკეთებს, მაგრამ რატომ გვეჯერა, რომ ამას აუცილებლად გააკეთებს, ეს ნარმოუდგენელია. სასამართლო ჯერ კიდევ მაშინ დაიხურა, როდესაც პროცესებზე ფოტო და ვიდეო გადაღება აიკრძალა. დღეს ტელეფონითაც ველარ შეხვალ სასამართლოში იმიტომ, რომ შეიძლება, ჩაინერო და ისე გამოიტანო ინფორმაცია. აი, ჯერ კიდევ მაშინ იყო საჭირო ამის განხილვა, მაგრამ ვერ მოიძებნა სივრცე საჯარო დისკუსიისთვის.

**სალომე ასათიანი:** ამ მედიის პირობებში სად უნდა ყოფილიყო დისკუსია, სად იყო ეს საჯარო სფერო? მეცხრამეტე საუკუნის მსგავსად, კაფეებში ხომ არ შევიკრიბებოდით და იქ ხომ არ დავინწყებდით საუბარს დემოკრატიის აღორძინებაზე? როდესაც სოლომონ ქიმერიძე ქვაბის ქურდობის ბრალდებით დაიჭირეს და შემდეგ, პოლიციამ გამოგვიცხადა, კიბიდან გადმოვარდა და დაიღუპაო, გავლენიანმა მედიამ – სახელისუფლო ტელევიზიებმა – ეს ამბავი, ზომბებივით, იდენტური ტექსტით და კადრებით გააშუქეს. ისე გამოიყვანეს, თითქოს ამ საშინელ ამბავში მთავარი პრობლემა ოპოზიცია იყო, რომელმაც თავისი კითხვებით და ადგილზე ჩასვლით თურმე ქიმერიძის ოჯახი შეაწუხა. რა დისკუსიის შესაძლებლობებზე ვლაპარაკობთ?

**ბასილ კობახიძე:** მე ვფიქრობ, რომ დანაშაულზე და უპასუხისმგებლობაზე საუბრის გარდა, უნდა გავაცნობიეროთ და ვისაუბროთ იმ იშვიათ პათოლოგიურ მოვლენაზე, როგორადაც საქართველო გადააქცია სააკაშვილის ხელისუფლებამ. თამამად შემიძლია შევადარო ეს რეჟიმი ნაცისტურ და სტალინისტურ საკონცენტრაციო სისტემას. სახაროვის რეჟიმმა გამოაქვეყნა ამ ბანაკებში მყოფი ადამიანების მემუარები, ერთ-ერთ მათგანში ლეონიდ პლიუშჩის ზუსტად ამ ფსიქოლოგიურ ნაშრომზე საუბრობს და მის ჩანაწერებში ასახული მდგომარეობა ზუსტად ემთხვევა იმას, რაც ბოლო დღეებში გავრცელდა. ფრანგი ისტორიკოსის, კრისტიან ინგრაოს ტექსტის – „ინტელექტუალები ეს.ეს.-ის სამსახურში“ მიხედვით, ყველა არ არის პათოლოგი სადისტი, მაგრამ როდესაც სამსახურს იწყებს და მმართველ პარტიაში ხვდება, ის ამით ნელ-ნელა ირყვნება. მათ აქვთ გუნდური პრინციპი, ცდილობენ, ეს გუნდი არ დაიშალოს, ამიტომაც მათ იციან, ვინ დასვან მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ამიტომაც ხდება ყველაფრის ბიუროკრატიზაცია და პოლიტიზაცია – კულტურის, ხელოვნების, ადამიანების უფლებების დაცვის და ა.შ. ვფიქრობ, როდესაც ტულუში წერდა, რომ პენიტენციურ სისტემაში ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, ეს უბრალოდ კი არ უნდა ეთქვა, ან გაემეორებინა და ხაზი გაესვა – ეს საკამრისი არ არის – მას უფრო კატეგორიული და რადიკალური შეფასება უნდა მიეცა ამისთვის. ამგვარი დიპლომატიით, ამგვარი მაკიაველიზმით, რომ ტულუში ანგელოზია და რა კარგი ადამიანია, კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ სიყალბე

ისევ რჩება და არ ქრება. ამიტომაც პასუხისმგებლობა უნდა განანიღდეს.

**ნინო ზურიამელი:** დახურულობაზე მინდა, ვთქვა. ამ ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი ნათელი ნიშან-თვისება იყო სისტემის ჩაკეტვა. ჩვენ ჟურნალისტები ვართ და საკუთარ თავზე გამოვცადეთ ეს. შიში და კომპლექსი მაქვს, რომ არავინ დამნამოს, თითქოს შევარდნაძის ხელისუფლებას ვეტროფდე. უბრალოდ ერთ რამეს ვიტყვი, იმ პერიოდში, მე თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან ინტერვიუც ამიღია, ახლა კი შიგნითაც ვერ შევალწევ, წერილიც რომ მივწერო, შეიძლება, პასუხი არც მომივიდეს. იგივე პრინციპით ჩაიკეტა პოლიცია. პატიმრებთან შევდიოდი და ინტერვიუებს ვაკეთებდი, ბოლო წლებში ციხის კარიც დაგვიკეტეს და იქ გუშინდელ დღემდე არ ვყოფილვარ. გენერალურ პროკურატურაში ტარდებოდა ხოლმე პრესკონფერენციები, შევარდნაძე ატარებდა ბრიფინგებს, ბოლოს და ბოლოს, მთავრობის სხდომა იყო ხოლმე ღია. ბოლოს სასამართლოში რომ შევედი, ტელეფონიც აღარ შემატანინეს. მე გამჭვირვალობასა და სისტემაში შეღწევალობაზე ვსაუბრობ. ხომ არ ფიქრობთ, რომ როდესაც ასეთ ჩაკეტილობას ვაწყდებით, თავიდანვე უნდა ვტეხდეთ განგაშს და პროტესტს?

**სალომე ასათიანი:** მაშინვე უნდა აგვეტეხა განგაში, როცა ციხის სისტემა ნელ-ნელა იკეტებოდა. არასოდეს, არცერთ ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ საზოგადოებას გადაუკეტოს კონტროლოს ბერკეტები. ჩვენი საზოგადოება არ არის ჯერ მომნიშვნელოვანი და ჩამოყალიბებული. ახლა ვსწავლობთ სამოქალაქო კულტურას, ჩვენს უფლებებს, მოვალეობებს, ბერკეტებს. ახლა ვიაზრებთ იმას, რომ სახელმწიფო ჩვენს წინაშე ანგარიშვალდებულია. ამიტომაც ჯერ კიდევ იოლად ვე-



თამუნა კორკინა

პასუხისმგებლობისადმი წყვეტა ალბათ იმის ბრალიცაა, რომ კითხვებს არ ვსვამდით. რატომ არ ჰქონდა პარლამენტს იმდენი ღირსება, რომ როცა გიორგი ტულუში მიდიოდა და სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობდა, დაესვა საკითხი და გადაემონმებინა, იქნებ, ეს კაცი ტყუილს ამბობდა.

გუებით უსამართლობასაც და მორჩილებასაც. იმედია, რომ მის მერე მაინც, რაც ამ დღეებში ვნახეთ, გვეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცეთ. უფრო მეტი წინააღმდეგობაა საჭირო.

**თამუნა კორძია:** გავისხენოთ, როგორ იხურებოდა სახელმწიფო უწყებები. როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მოსამართლე დარღვევაში ამხილა, იმ წუთასვე დაიხურა სასამართლო სისტემა. ანალოგიურად მოხდა სხვა უწყებებშიც. რვა წლის განმავლობაში ვმუშაობდი ინფორმაციის თავისუფლებაზე და სულ სასამართლოში სიარული მინევდა. დამერწმუნეთ, როდესაც კი მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესი იდგა, უმარტივესი ინფორმაციის მოპოვებაც კი შეუძლებელი ხდებოდა.

რეგოლუციის შემდეგ შეიქმნა ორი ასეთი ფონდი: სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი და არმიის განვითარების ფონდი. ჩვენ ამ ფონდების შესახებ ინფორმაციას ვითხოვდით, რადგან ვიცოდით, რომ საპროცესო გარიგებების თანხა ამ კერძო ფონდებში მიდიოდა. და როცა ამაზე ატყდა ერთი ამბავი, უცხად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ მაჭავარიანი საჯარო განცხადებას აკეთებს. მან თქვა, რომ შეგვეძლო, მობილურითაც მიგველო ინფორმაცია, რაზეც ჩვენც საჯარო განცხადება გავაკეთეთ და ვუთხარით ბატონ მიხეილს, რომ ინფორმაციის გამოთხოვა ტელეფონით არ ხდება, ამიტომ დახმარება ვთხოვეთ. დაგვიბარა და სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, მე პირდაპირ ვუთხარი, – ბატონო მიხეილ, თქვენ, ალბათ, არ ხართ ინფორმირებული, რომ ჩვენ ამაზე სასამართლო პროცესები გვაქვს წაგებული. არ ელოდა ამ ნათქვამს, რადგან არ იცოდა ეს, გაელიმა და გვითხრა: ჩათვალეთ, რომ ჩემთან ეს პროცესი მოიგეთ. ეს დაახლოებით 7 წლის წინ იყო და შოკირებული დავრჩი, რადგან პარლამენტის წევრი თვლიდა, რომ მასთან მოვიგე პროცესი მაშინ, როცა სასამართლო უარი მითხრა. ეს ყველა წერილობრივი უკვე ნათელს ხდიდა, რომ ჩვენ ყველა ერთად შევედით ამ სიბნელეში. ვაშავებდით მაშინაც, როდესაც პრობლემებზე მართალია, ვსაუბრობდით, მაგრამ როცა დიდი კომპრომიზიდან ხელისუფლება პატარა კომპრომიზზე მოდიოდა, მივიჩნევდით, რომ ეს გარკვეული გამარჯვება იყო.

**გიორგი კიკონიშვილი:** პირველი შეცდომა, რაც ამ საზოგადოებამ დაუშვა, ვფიქრობ, იყო ამ ფრაზის ატაცება და პროპაგანდისტულ ლოზუნგად ქცევა: „ვაცალოთ მუშაობა“. და როცა მუშაობა ვაცადეთ, მერე, მგონი, დაგვაფიქნდა, რომ მუშაობდნენ.

**სალომე ასათიანი:** ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხს შეეხო გიორგი. ამ ფრაზას – „ვაცალოთ მუშაობა“ ძალიან ბევრი გამოვლინება ჰქონდა და ეს პირდაპირ უკავშირდება იმ პრობლემას, რის წინაშეც დღეს დავდებით. ამ პოზიციის გამო იყო, რომ საზოგადოებამ, მისმა აქტიურმა ნაწილმა დიდხანს არ მისცა ადეკვატური შეფასება იმას, რომ ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ელემენტი გახდა. საზოგადოების ნაწილი – საჯარო ფიგურები, ინტელექტუალები, ექსპერტები – მიიჩნევდნენ, რომ ეს არც ისე კარგი, მაგრამ მთლიანობაში ნორმალური მოვლენა იყო, რომელსაც დრო უშველიდა.

ჩვენ მართლაც მძიმე წარსულიდან მოვიდვართ. ჩვენ ვართ ტოტალიტარული და ავტორიტარული წარსულის მქონე ქვეყანა

და საზოგადოება. მე იმ თაობას წარმოვადგენ, რომლისთვისაც სკოლაში სწავლის დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო კლასელი და სკოლელი ბიჭების მხრიდან ერთმანეთის ხოცვა და ისიც, რომ მკვლევები ელიტარულ უბნებში მერსედესებით დადიოდნენ იმიტომ, რომ გავლენიანმა მამებმა იხსნეს ციხისგან. ჩვენი წარსული მართლა მძიმეა – კორუმპირებული, უკონტროლო, აღვირახსნილი, ძალადობრივი დრო. ცალკე თემაა კანონიერი ქურდების ძალადობრივ იერარქიებზე დაფუძნებული ფენომენი. ამიტომ, როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლება გაძლიერდა და თავად დაიპყრო ძალაუფლების – და ხშირად ძალადობის – სადავები – ამას ბევრი მიესალმა კიდეც. ჩათვალეს, რომ მოხდა ძალადობის სტრუქტურირება და მის მთავარ მფლობელად ლეგიტიმური წყარო – სახელმწიფო – მოგვევლინა. დაინერა სტატიები ხელისუფლების მიერ „ძალაუფლების აღმოჩენაზე“, და ასე შემდეგ. და ჩაითვალა, რომ ამ პროცესში ბუნებრივად იქნებოდა „გადაცდენები“. ამ ლოგიკით, მაგალითად, 26 მაისი – რეალურად სადამსჯელო ოპერაცია და არა მიტინგის დაშლა – ბევრმა სწორედ გადაცდენად მიიჩნია და არა ძალადობად. 28 მაისს, როცა საპროტესტო აქცია გაიმართა და ახალგაზრდების ჯგუფი გამოვიდა მოთხოვნით – „არა ძალადობას!“, მათ ინფანტილიზმიც კი დასწამეს. ამბობდნენ, რომ ძალადობა ადამიანის ბუნების ნაწილია და რომ სჯობია, ამ ძალადობის სათავეები ხელისუფლების ხელში იყოს. მე ეს ლოგიკა მესმის, თუმცა მას არასოდეს ვიზიარებდი. ახლა ზუსტად ის დროა, რომ მოვლენებს, ბოლოს და ბოლოს, დავარქვათ სახელები: ძალადობას – ძალადობა და გადაცდენას – გადაცდენა. ძალადობა არის ძალადობა და ძალის გამოყენება არის ძალის გამოყენება. ამიტომ ჰქვია სხვადასხვა სახელი. ხოლო ძალადობის გამართლება და იგნორირება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება, რაც უნდა მანკიერი წარსული გვექონდეს.

**ბასილ კობახიძე:** ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ უფრო ღრმად შევეტოპეთ, ვიდრე გამოთქმის მნიშვნელობა – „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის“. ის, რაც მოხდა, აბსოლუტური არანორმალურობაა. გასაგებია, რომ ამ ხელისუფლებას აბსოლუტური ხელისუფლების დამყარება უნდოდა, მაგრამ ნაცისტურ დონემდე რომ მივიდა და ამ ნამებებს იღებდა, უკვე მივედით იქამდე, რომ მართალია, მათი უმრავლესობა სადისტი არ არის, მაგრამ ეს უკვე სისტემის ნაწილია. მომხდარი ამბების შემდგომ ეტაპზე თუ გადავალთ, უკვე ნათლად დავინახავთ ამ სახელმწიფოს პათოლოგიურობას და საზოგადოების ასეთ კლანურობას და ფეოდალურობას. რას ვგულისხმობ ამას? ვთქვათ, მე ვარ ჩინოვნიკი და ვანამებ პატიმრებს, რომელთაგან ზოგს სამი წელი აქვს მისჯილი, ზოგს – ხუთი. ისინი როდესაც ციხიდან გავლენ, ამ ნამების შესახებ მოყვებიან, მაგრამ მათ არავინ მოუსმენს იმიტომ, რომ საზოგადოება კლანური, ხელისუფლება კი – ტოტალიტარული, ამიტომ ორივე მხარე ეცდება ნამების მსხვერპლის მონაყოლი არ დაიჯეროს. ამის გამო, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ნანამები ადამიანი, რომელიც გარეთ გავა, ჩუმად ყოფნას აძვობინებს. ეს კიდევ უფრო აღრმავებს ამ პათოლოგიურ სიტუაციას და ამიტომაც ვამბობ: ვიდრე ეს ადამიანები ხელისუფ-



ფლებაში რჩებიან და თავიანთ ლოზუნგებს ხალხს თავს ახვევენ, იქამდე – ძალადობა გრძელდება.

**სალომე ასათიანი:** გუშინ პრეზიდენტის მიერ იუსტიციის სახლის საზეიმო გახსნა და თუნდაც პირველივე ბრიფინგი ვიდეოების გამოქვეყნების შემდეგ, რომლის დროსაც მიხეილ სააკაშვილი თბილისის ლამაზი ხედების ფონზე გვესაუბრებოდა – ძალიან არაადეკვატური და ყალბი ჟესტი იყო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობისთვის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ კადრებმა გამოიყონა და საზოგადოებამ იხილა. და არა ის, რომ ეს კომმარი ხდებოდა. ეს ძალიან დამთრგუნველი და თან გამაღიზიანებელი შთაბეჭდილებაა.

**ბასილ კობახიძე:** ადამიანი მინც ისეთი არსებაა, რომ გაურბის მტკივნეულ თემებს, ამიტომ ამ ამბავსაც ნელ-ნელა დაივიწყებს და ხელისუფლებასთან ისეთივე დამოკიდებულება ექნება, როგორც – აქამდე. მთავრობის წევრები ისევე ჩაველენ სოფლებში, შეხვედებიან ხალხს და ა.შ. ეს ყველაფერი კი იმას ადასტურებს, რომ ხელისუფლება პათოლოგიური არსებაა, რომელსაც ასეთ რეჟიმში ცხოვრება თავისუფლად შეუძლია. ჩვენც, ახლა, პათოლოგიური არსებები ვართ.

**თამუნა კორძაია:** ჩვენ ძალადობისადმი ძალიან მიმტეველები ვართ, მაგალითად, მთელ საქართველოს აქვს განცდა, რომ მას ტელეფონით უსმენენ, თუმცა ამას არავინ აპროტესტებს, არადა, როდესაც სრულიად უცხო ადამიანი გისმენს, ის ხომ ძალადობს შენზე, და ჩვენც, ზედაპირული დამოკიდებულებით, ვთანხმდებით ამ ძალადობას. კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო: ვფიქრობ, ძალადობის კადრები რომ ყოფილიყო არა მამაკაცებზე, არამედ ქალებზე, ეს საზოგადოების ასეთ აგრესიას არ გამოიწვევდა. როცა ჩვენს კულტურაში ვეგუებით იმას, რომ შეიძლება კაცმა ცოლი ცემოს და ეს არის ჩვენი კულტურის ნაწილი და თან ვცდილობთ, რომ ეს ოჯახის გარეთ არ გავიტანოთ, ჩვენ ვძალადობთ. ასეთ დროს შემადრწუნებელი პატრიარქის განცხადება, რომ მსგავსი რამ სხვაგანაც ხდება და იქ ხელისუფლებას და საზოგადოებას ეს გარეთ არ გამოაქვს. როცა ამას ვიღებთ პატრიარქისგან, ესე იგი, ძალადობასაც ვთანხმდებით.

**ნინო ზურიაშვილი:** თქვენი აზრი მინტერესებს, როგორ ღვივდება პასუხისმგებლობა? სამოქალაქო განათლებაში გვაქვს პრობლემა? რატომ ხდება ასე – ვიცით, რომ გვისმენენ, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ. ემხრობით ნულოვან ტოლერანტობას? გესმით, როგორ ასრულებს მას ხელისუფლება? პირადად მე, გუშინ, დოკუმენტი მეჭირა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 25 წლის ბიჭს, რომელმაც თელასის სადენები მოიპარა, 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პროკურატურის შეფასებით, ამ სადენების ღირებულება 5000 ლარს შეადგენდა. პროკურატურამ ეს ყველაფერი შეაჯამა და მოითხოვა სასჯელის 72 წლამდე გაზრდა, მაგრამ ქართული კანონმდებლობა ამას არ ცნობს, ამიტომ მოსამართლემ 30 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა (თუმცა, შემდეგ, პატიმრის ბიძამ ბევრი იბრძოლა და საბოლოოდ, განაჩენი 10 წლამდე დაუყვანეს). ასევე ჩვენი ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, 68 ლარის ქურდობისთვისაც

მიუსჯიათ 5-7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. აი, ეს არის ნულოვანი ტოლერანტობა. ეს არის პოლიტიკა, რომლის შედეგითაც ნინასწარი დაკავების პირობების სიმკაცრე. ჯერ დამნაშავე არ ხარ, გკიდებენ ხელს და მიყავხარ იქ, სადაც ასეთი ამბები ხდება, რის შემდეგაც დაკავებულები ადვილად თანხმდებიან აღიარებით ჩვენებაზე. ეს დღესაც ხდება და ამაზე ჯერ არავინ აღშფოთებულა. ტულუშიც, თავის მოხსენებებში, სულ აღნიშნავდა, რომ პროკურატურა ხშირად დაუსაბუთებელ განაჩენებს გასცემდა. შეიძლება, მსგავსი შოკი აღარ განგვაცდევინოს, მაგრამ ეს პრობლემები ნამდვილად არის. რა შეიძლება ამას დაუპირისპიროთ? სად უნდა დაიბადოს ეს პასუხისმგებლობა – სკოლაში ასწავლიან, თუ სინდისის ამბავია? როდესაც ქვეყანაში მსგავსი რამ ხდება, საგანმანათლებლო სისტემაში რაღაც იცვლება. ხომ არ არის დრო, შევავასოთ, თუ როგორი სამოქალაქო განათლების სისტემა გვაქვს? პროტესტი, რომელიც მომხდარს მოჰყვა, არ შეუწყობს ხელს ჩვენს სამოქალაქო გაზრდას?

**გიორგი კიკონიშვილი:** ნამდვილად მგონია, რომ გაგზრდის, ოღონდ, არ ვიცი, როგორ. მგონია, რომ ამის შემდეგ აბსოლუტურად უკომპრომისოდ უნდა გავაგრძელოთ სამოქალაქო აქტივობა.

**ნინო ზურიაშვილი:** გაქვთ სტუდენტების იმედი?

**გიორგი კიკონიშვილი:** ახლა უკვე მაქვს. მაგალითად „ლაბორატორია 1918-ის“ აქციები, რომელიც პოსტრევოლუციურ ეპოქაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სტუდენტურ პროტესტად იქცა, თავიდან ათ კაცზე მეტს არ სცდებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში ეს რიცხვი იზრდებოდა და ბოლო პერიოდში, თსუ-ს აქციებზე უკვე ძალიან ბევრი სტუდენტი გამოვიდა. ჩვენი მიზუსი ზედმეტი ემოციურობაა. იმდენად ერთდროულად ვახდენთ



ბასილ კობახიძე

ვფიქრობ, როდესაც ტულუში წერდა, რომ პენიტენციურ სისტემაში ასეთი მიმემდგომარეობა იყო, ეს უბრალოდ კი არ უნდა ეთქვა, მას უფრო კატეგორიული და რადიკალური შეფასება უნდა მიეცა ამისთვის. ამგვარი დიპლომატიით, ამგვარი მაკიაველიზმით, კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ სიყალბე ისევ რჩება და არ ქრება.

ყველა ემოციის ამოფრქვევას, რომ შემდეგ უემოციოდ ვრჩებით. ამიტომ ვისურვებდი, რომ ყოველთვის გვქონდეს პროტესტის განცდა, რადგან არცერთი გადაცდენა არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს. ყველა ის ადამიანი, ვისაც მეტი ბერკეტი აქვს უსამართლობის გამოსავლენად – მედია, ჟურნალისტები, მოქალაქეები, მუდმივად უნდა ვიყოთ ჩასაფრებულები მმართველი პარტიის შეცდომების გამოსაშვარავებლად. ნებისმიერ შეცდომას საჯარო ანალიზი, კრიტიკა და, თუ საჭიროა, მძაფრი პროტესტიც უნდა მოჰყვეს. აქ პრინციპი – „ვაცალოთ მუშაობა“ უკვე სისულელეა.

**სალომე ასათიანი:** ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სოციალური ფონი. 70 ლარის გამო რომ ადამიანს 6 წელს მიუსჯიან... ტოტალურად ჩაგრულ და დაუცველ პირზე გვაქვს საუბარი. ეს არის ადამიანი, რომელსაც ხმის მონვენენაც კი არ შეუძლია არავისთვის. ამ ადამიანსა და იმ ჩანასახოვან დისკუსიებს შორის, ჩვენს შეზღუდულ საჯარო სივრცეში რომ მიმდინარეობს, ჯერ კიდევ დიდი მანძილია. ჩვენს ქვეყანაში 1 600 000 ადამიანი ითხოვს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრების სტატუსის მინიჭებას. ეს უზარმაზარი რაოდენობაა, რომელიც მასობრივ სიღატაკეზე მიუთითებს. ამ პირობებში – როცა, რაც უნდა ბანალურად ჟღერდეს, ჩვენს გვერდით ბევრმა მშობელმა უბრალოდ არ იცის, ხვალ რა აჭამოს შვილს – ჩვენ ხშირად ვსხედვართ და დემოკრატიაზე, უფლებებზე და მოქალაქეების ჩართულობაზე დახვეწილი ტერმინოლოგიით ვსაუბრობთ, რაც, ცოტა არ იყოს, ელიტიტური და სოციალურ მგრძობელობას მოკლებულია. ჩვენ – მედიის მუშაკებს – პირველ რიგში, ამ ჩაგრული და დავინწყებული ადამიანების „ხმად“ ყოფნა გვმართებს.

**ნინო ზურიაშვილი:** გუშინაც, როცა ციხეში შევედი და ვეკითხებოდით პატიმრებს, რა უჭირდათ, რა პრობლემები ჰქონდათ, ისინი თავს ხრიდნენ და ჩუმად ყოფნას არჩევდნენ.

**ბასილ კობახიძე:** როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს ყველა საპრობილემო მოქმედი ეკლესებია, არიან მღვდლები, რომლებიც სრულიად დაუბრკოლებლად შედიან საცნებში. გარდა ამისა, არსებობს სტრუქტურა საპატრიარქოში – მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილება, რომლის თავმჯდომარეცაა გიორგი თევდორაშვილი. მედიამ ამ დღეებში აჩვენა მათი ინტერვიუები, მათ შორის რეგიონებიდან. ისინი ამბობდნენ, რომ მათ იცოდნენ საპრობილემოში არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამას ორი მიზეზით არ ამბობდნენ: ერთი, ეს იყო აღსარების საიდუმლოს დაცვა და მეორე, რომ ეთქვათ, შეიძლება, აღარ შეეშვათ ასე თავისუფლად. არადა, ეს რომ მათ თავის დროზე საჯაროდ ეთქვათ, პატიმრების წამების ამბავი უყურადღებოდ არ დარჩებოდა საზოგადოებას. უკვე ვნახეთ, რომ ზუსტად ამ ამბის გარეთ გამოტანამ შეწყვიტა წამება ციხეებში და მეორეც, წამებას ადგილი აქვს ჩინეთში, რუსეთში, მაროკოში და ამ ქვეყნებს უნდა მივბადოთ? ამ ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, ერთგვარი „სულიერი მიდგომის“ ტენდენცია, განსაკუთრებით სასულიერო წრეებში, რომ ადამიანი არ უნდა აწამო იმიტომ, რომ ის არის ხატება ღვთისა. იმის გამო,

რომ ქრისტიანობა დღეს იდეოლოგიზირებულია, მისთვის ყველა ადამიანი ღვთის ხატება არ არის, მაგალითად უმცირესობის წარმომადგენლები, არამართლმადიდებლები. ადამიანი არ უნდა აწამო, არა იმიტომ, რომ ის არის ხატება ღვთისა, არამედ იმის გამო, რომ ის ადამიანია და წამება – საღიზნო. ასევე არის მოსაზრება, რომ არც ჯალათები – მკვლელები არ უნდა აწამოს სახელმწიფომ, რადგან ის წარსდგება საშინელ სამსჯავროზე. ესეც ყალბი, ფარისევლური და, ვფიქრობ, არაქრისტიანული მიდგომაა, რადგან იმიტომ კი არ უნდა იყოს სახელმწიფო ჰუმანური, რომ ღმერთი „მის მაგივრად“ დასჯის, არამედ იმიტომ, რომ თავად შეინარჩუნოს ადამიანური იერი. არ არის საჭირო ქრისტიანული სიტყვების ბრახუნი და ზედმეტი მითოპოეტიკა, რადგან ასეთ დროს იკარგება პრობლემის არსი.

**სალომე ასათიანი:** მეც მგონია, რომ პატრიარქის მხრიდან ამ შეფასებამ უარყოფითი როლი შეასრულა. სიტყვებმა, რომ ეს თურმე სხვაგანაც ხდება და საჯაროდ არ უნდა გამოვიტანოთ, ამ შემზარავ რეალობას ბანალურობის ელფერი მიანიჭა. და პოლიტიკოსებს, უწინარესად პრეზიდენტს, რიხი დაუბრუნა.

**თამუნა კორძია:** მიმაჩნია, რომ ჩემზე უფრო დიდი ძალადობა განხორციელდა, ვიდრე ციხის ძალადობაა. მთავრობის წევრებს პატრიარქი რომ დაერწმუნებინათ იმაში, რომ ასეთი ძალადობა მეორედ არ განმეორდებოდა, პატრიარქიც სიმშვიდისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, მაგრამ როდესაც მან თქვა, რომ ეს გარეთ არ უნდა გავიტანოთ, მივხვდი, რომ ჩვენ სრულიად დაუცველები ვართ.

**სალომე ასათიანი:** კიდევ უფრო დაუცველები ვართ იმის გამო, რომ ძალაუფლებას მრავალი ფორმა თუ წყარო აქვს. ჩვენ ყველას მიმართ სკეპტიკურები უნდა ვიყოთ და ყველას უნდა მოვთხოვოთ ფასეულობების დაცვა, მით უმეტეს, ეკლესიას, რომელიც მორალურ ღირებულებებზე დგას. არსებული ტაბუები შემგუებლობის, გაკერპების, კრიტიკული აზროვნების უქონლობის შედეგი და მიზეზია.

**ნინო ზურიაშვილი:** ამ სიუჟეტების წვეთ-წვეთად მოწოდება და შემდეგ მისი ინტენსიური ტრიალი ეთიკის საკითხია, თუ პოლიტიკური სვლა? თითქოს ამ ვიდეოებს პირველ ოქტომბრამდე გვიზოგავენ.

**გიორგი კიკონიშვილი:** ვიდეოების მიწოდების ფორმებზე აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ. დავინწყოთ იქიდან, რომ ეს კადრები უკვე თვეებია, არსებობს და ვილაცა ამას მალავდა. გარდა ამისა, ფორმაა ისეთი, რომ სიმშველ და სახე არ არის დაფარული და ეს შემამფოთებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუკი ჩვენ ამ თემაზე საუბრისას მნიშვნელობას ვიდეოკადრების ეთიკურ სტანდარტებს მივანიჭებთ, ჩვენი ხელისუფლება ამას გამოიყენებს და ჩათვლის, რომ ჩვენ არ გვესმის ამ ამბის ძირითადი მხარე.

**თამუნა კორძია:** ცოტა უფრო შორიდან რომ დავინწყოთ, არის ადამიანური უფლებები და არა კოლექტიური უფლებები და

როდესაც მედია იმ ადამიანის უფლებებს ლახავს, რომელიც ღირსებაშეღაცებულია და ამას მთელ საქართველოს აჩვენებს, ის ზოგადად ადამიანების უფლებების შელახვაზეც თანხმდება. მე თანახმა ვარ, ვიყო ბანალური, მაგრამ აქედან გამოსავალი ერთია: თითოეულ ადამიანს საქართველოში უნდა ვასწავლოთ თავისუფლების სიყვარული. ამ ეტაპზე ეს ანბანური თემაა, მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ შევიყვარეთ თავისუფლება, ინდივიდუალურად ვერ გამოვცადეთ თავისუფლების გემო და ვერ ვხვდებით, რომ ვიღაცას როცა ჩვენს გვერდით ხმას არ ამოაღებინებენ, ხვალ იგივე ჩვენ შეიძლება დაგვემართოს.

**სალომე ასათიანი:** იმ ღამეს, როდესაც ტელევიზიამ პირველად გაავრცელა ეს კადრები, ჩვენ მივიღეთ ასეთი სურათი: ტელენამყვანი ამბობს, რომ ჩვენ ამ წუთებში ვიღებთ მასალას ბრიუსელიდან, რომელსაც პირდაპირ ეთერში გთავაზობთ. რას სთავაზობ, იქნებ, რა არის ასახული კადრებზე? ნორმალურ ქვეყანაში დაისმებოდა კითხვა, რა კადრებია, ვინ და რა მიზნით მოგვანოდა, საიდან მოვიდა? შეიძლება პირდაპირ გაშვება თუ, მაგალითად, სიუჟეტში უნდა ჩავრთოთ? და ასე შემდეგ. მაგრამ ჩვენ არ ვართ ნორმალური ქვეყანა. მედია, როგორც თავისთავად ძლიერი და გავლენიანი ინსტიტუტი, არ არსებობს, ის იარაღია პოლიტიკოსების ხელში. მედია არის ძალაუფლების სამსახურში ჩამდგარი ინსტიტუტი და არა ინსტიტუტი, რომელიც ძალაუფლებას სკეპტიკურად შეხედავს და საზოგადოების წინაშე პოლიტიკოსების ანგარიშვალდებულების საკითხს გაზრდის. თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს კადრები აუცილებლად უნდა გვეჩვენებოდა.

**ნინო ზურიაშვილი:** უნდა იჩივლონ თუ არა დაზარალებულებმა, უნდა მიიღონ თუ არა მათ კომპენსაცია? სამართლებრივად როგორ უნდა მოიქცეს დღეს სახელმწიფო დაზარალებულებისა და ციხის დაკავებული თანამშრომლების მიმართ?

**ბასილ კობახიძე:** პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს კადრები ყოველდღიურად, სახის დაფარვით, უნდა გადაიციეს ტელეეთერით. მაღლობელიც კი ვარ ბედუკაძის, რომ ეს კადრები გაჩნდა, და, ამას ვერ წარმოვიდგენდი, თუ ვიტყვი – მაღლობელი ვარ ირმა ინაშვილისაც. ჩვენ ამ კადრებმა ეს პათოლოგიური რეალობა დაგვანახა.

**სალომე ასათიანი:** დღეს საქართველოში ნამდვილად არსებობს ძალის კულტი. მთელი ვარდების რევოლუციის შემდგომი პოლიტიკა ძალის პოლიტიკა – ალღუმები, ჯარი, ძეგლები, ვერტიკალები, ბრჭყვიალა ფასადები, „შემდგარი სახელმწიფოს“ იდეა. ეს საზოგადოების დიდ ნაწილს მოსწონდა იმიტომ, რომ ამაში სახელმწიფოს და საკუთარ ძალას ხედავდა. არადა, ძლიერი საზოგადოება არ ნიშნავს მხოლოდ ალღუმებს. ძლიერი ქვეყანა, ძლიერი საზოგადოება ის საზოგადოებაა, რომელიც თავის სუსტ და დაუცველ წევრებს იცავს და მათ სამსახურში დგას. მაგრამ ჩვენ სულ სხვა კუთხით მოგვეწოდება ძალის და ძლიერების იდეა.

ამის ერთ-ერთი პირველი და თავზარდამცემი მაგალითი გირგვლიანის საქმე იყო. ვერასოდეს გავიგებ, მაინც რატომ ჩავკიდ-

გა ხელისუფლება ჯიბრში საზოგადოებას, რატომ არ მიიღო თავად ზომები, რატომ არ შეწუხდა ამ საშინელი ამბით. ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაგირების შემთხვევაში ეს ტრაგედია შეიძლებოდა კათარზისი გამხდარიყო მთელი საზოგადოებისთვის. რომ დაგვეჩვენებოდა, ხელისუფლება თვითონ სჯის თავის წევრებს, მართლა გაჩნდებოდა და გაძლიერდებოდა კანონიერების და სამართლიანობის განცდა. ამის ნაცვლად, მათ დაგვანახეს, რომ თავად როგორც უნდათ, ისე იქნება. იგივე, ოღონდ ბევრად უფრო დიდი მასშტაბით, მეორედება ახლა. ხელისუფლება ვერ გრძნობს მომხდარის მთელ საშინელებას. ის აგრძელებს საზეიმო ღონისძიებებს და ფიქრობს იმაზე, როგორ მოიგოს არჩევნები. ამით ძალიან ვზარალებით, როგორც ქვეყანა და როგორც საზოგადოება.

**ნინო ზურიაშვილი:** ყველაზე დიდი პრობლემა, ვფიქრობ, ის არის, რომ შეფასებებისთვის, ზიანის სრულად დანახვისთვის, საჯარო სივრცეში დისკუსია და მოსაზრებების ხარშვა გჭირდება. ასე თუ მივალთ რალაც დასკვნებამდე.

**თამუნა კორძია:** სისასტიკის ილუსტრაცია გრძელდება იმით, რომ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლება ირღვევა ასე მკაცრად, პრეზიდენტი გამოდის, ხსნის შენობას და ამბობს, რომ ჩვენ ვაშენებთ. ეს ხომ სრული არაადეკვატურობაა?! სანამ ხალხისთვის ვაკეთებთ, არაფერი არ გვექნება, როცა დავინყებთ ადამიანებისთვის კეთებას, შეიძლება, წინ წავიდე.



გიორგი კიქსონიძე

ვისურვებდი, რომ ყოველთვის გვექონდეს პროტესტის განცდა, რადგან არცერთი გადაცდენა არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს. ყველა ის ადამიანი, ვისაც მეტი ბერკეტი აქვს უსამართლობის გამოსავლენად, მუდმივად უნდა ვიყოთ ჩასაფრებულები მმართველი პარტიის შეცდომების გამოსააშკარავებლად. ნებისმიერ შეცდომას საჯარო ანალიზი, კრიტიკა და, თუ საჭიროა, მძაფრი პროტესტიც უნდა მოჰყვეს. აქ პრინციპი – „ვაცალოთ მუშაობა“ უკვე სისულელეა.

რეპორტაჟი ბათუმიდან

25 2/3 813/6

119.



ბათუმი, სავაჭრო ხაზი აღმოსავლეთიდან ავტორი: სერგეი პრიკუპლინ-გორსკი, 1905-1915 წლები

189-1038

189-1038

177

189-1050

Батуми. Искания

Батуми. Коса

Батуми

Коса

# სოციალისტური ქალაქი

ავტორი ნინო ნაბროშვილი  
ფოტო მაკა გოგელაძე



ზღვის სანაპიროზე, ავტორი: სერგეი პროკოდინ-ბორსკი, 1905-1915 წლები

– ბენზეში რომ შეხვალთ, სასტუმროს პირდაპირ, მუზეუმი ზუსტად რა ადგილასაა, იცით?

– კი, როგორ არა..

– დამანახეთ რა, რომ გავივლით..

– კი, ბატონო, გინდათ მიგიყვანოთ და ნახოთ?

ნამით ვყოყმანობ, მაგრამ მერე მახსენდება, რომ ჯერ დილის 8 საათია, სულ ახლახან ჩამოვედი მატარებლიდან და საერთოდ არა, რა მეჩქარება, როცა ამ მუზეუმის სანახავად ვარ ბათუმში.

– არა, არა, მერე მაინც აქ უნდა მოვიდე, საერთოდ ამ მუზეუმის გამო ვარ ბათუმში, – ფიქრს რაღაცნაირად ამაყად, ხმამაღლა ვიმეორებ: ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ მახინჯაურიდან ბათუმში ტაქსით მიმავალი, იმის ნაცვლად, რომ ტრადიციული პირველი კითხვა ამინდზე დავსვა, მუზეუმზე ვინყებ ლაპარაკს. ამინდი კი, მართლაც საშინელია, ნაცრისფერი და მოჟამული..

– აი, ესაა, – მეუბნება მძღოლი.

– უი, ვიცი ეს შენობა, – ხასიათი უკვე გამოკეთებული მაქვს, ამიტომ ადგილობრივი მძღოლის „გამოცდას“ ვინყებ:

– იცით, ვისი სახელობისაა, ან ვის უკავშირდება ეს მუზეუმი?

– არაა, მაგდენი ნამდვილად არ ვიცი..

– ნობელებს, ნობელებს..

– ხოო... მართალი ხართ, ახლა გამახსენდა, – ამბობს ბოდიშვით.

არ არის კარგის ნიშანი, როცა ტაქსის მძღოლმა რაღაც არ იცის... თუმცა მე ვისზე რა მაქვს სათქმელი... ათასჯერ ვიყავი ბათუმში და ერთხელაც არ მომსვლია თავში მისი ნახვა... ასეა სამწუხაროდ, საქართველოში რატომღაც მუზეუმებში სიარული არ გვიყვარს...

მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ იცის: სანამ ბათუმამდე მიხვალთ და ქალაქის თანამედროვე იერს, ახლად ამენებულ თუ მშენებარე სასტუმროებს, კაფეებს, პიაცას და ქანდაკებებს იხი-

ლავთ, გზად აუცილებლად უნდა გაიაროთ ბენზე – ეს ბათუმის გარეუბანია. ხელოვნებისა და კულტურის ცენტრამდე არმისული, მარცხნივ, პატარა შენობა შეგხვდებათ, ძველებური, პატარა გუმბათით და განსხვავებული არქიტექტურით.

ეს ძეგლი ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმია, თუმცა ეს ახლა... ორი საუკუნის წინ კი ამ სახლს ძეგლი ნობელების ბათუმსკა კონტორა ერქვა, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ნობელების კომპანიის ბათუმის ოფისი, საიდანაც, იყო დრო, როცა მსოფლიოს ნავთობის ბაზრის ნახევარი იმართებოდა; „ბათუმს ქათქათას და ბათუმს თვალწარმტაცს“ კი ნობელის ქალაქს უწოდებდნენ. ტექნოლოგიური მუზეუმი ბათუმის ძველ დიდებას, მის სტრატეგიულ თუ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ასახავს, და, როგორც დროის მანქანას, XIX-XX საუკუნეებში „ტექნიკურად“ გადააწყვეტა.

ზღურბლს მიღმა უკვე აღფრედ ნობელის იმიტირებული კაბინეტია, მე-19 საუკუნის ნივთებით განწყობილი და არქივში ნახაზი ფოტოების მიხედვით აღდგენილი... არავინ იცის, იმყოფებოდა თუ არა ოდესმე ყველაზე ცნობილი პრემიის დამაარსებელი ბათუმში, ამ ფაქტს მკვლევრები შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის გამო ვერც უარყოფენ და ვერც ადასტურებენ, თუმცა მისი ინვესტიციების კვალი დღესაც მრავლადაა შემორჩენილი ამ ქალაქში.

კედელზე, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის აზიური ნაწილის რუკა კიდია. წითელი წერტილებით ის ადგილებია აღნიშნული, სადაც ნავთობის საწყობები იყო. ბათუმიც წითელია. აქ, ძეგლი ნობელების – ლუდვიგის, რობერტისა და ალფრედის კუთვნილი ნავთობსაწყობები მდებარეობს. მეორე რუკაზე უკვე ის ტერიტორიაა დატანილი, რომელიც ძეგლს ბათუმში იჯარით ჰქონდათ აღებული. მაშინდელი საზომით – 10.399 კვადრატულ საყენზე გადაჭიმული სივრცე დღევანდელი პორტისა და ტერმინალის ტერიტორიაა. სწორედ იქ მდგარა ნობელების რეზერვუარები.

ნობელების სახელი ბათუმში პირველად მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გაიგეს. შვედეთიდან სანკტ-პეტერბურგში გა-

## რეპორტაჟი ბათუმიდან

დმოსახლებულ ოჯახს რუსეთში სხვადასხვა ბიზნესი ჰქონდა, მათ შორის ერთ-ერთი იყო იარაღის ქარხანა. ყირიმის ომის დროს ემანუელ ნობელის ერთ-ერთი ვაჟი, რობერტი, სწორედ ამ ქარხნისთვის მასალის მოსაპოვებლად ბაქოში ჩავიდა. აზერბაიჯანის დედაქალაქში კი მოულოდნელად ნავთობის ქაბურღილები და უდიდესი რაოდენობის „შავი ოქრო“ აღმოაჩინა... ნანახზე, უმაღლეს, ძმას – ლუდვიგს მისწერა, თან დასძინა: ეს ძალიან მომგებიანი ბიზნესი იქნებაო... ლუდვიგმა აწონ-დაწონა, იდეა მოიწონა და დაფინანსება მესამე ძმას, ალფრედს სთხოვა, რომელიც პერსპექტიული წინადადების ინვესტირებას უყოყმანოდ დათანხმდა. რუსეთის იმპერატორისგან შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ, 1879 წელს, ძმები ნობელების ამხანაგობა, კომპანია „БраНобель“ შეიქმნა.

ეს ის დროა, როცა ნავთობის ეპოქა ამერიკაში უკვე დაწყებულია, პენსილვანიაში პირველი ქაბურღილის აღმართვიდან კი

გრაფიულ გარემოშია, ქალაქს ზღვა სჭირდება მსოფლიოსთან დასაკავშირებლად და საერთაშორისო კონკურენციაში ჩასართავად. ნავთობმრეწველების ამოცანა ახალ გეოპოლიტიკურ ორიენტირებს აჩენს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნავთობმომპოვებელი ქვეყანა არ არის, მისი, როგორც ენერგომატარებლის როლი თვალშისაცემად იკვეთება: „ნავთობის მეფეების“ ყურადღებას პატარა ქალაქი ბათუმი იპყრობს.

იმ დროისთვის ბრიტანელების ინიციატივით ბათუმი უკვე პორტო-ფრანკოდაა გამოცხადებული: უბაჟო, თავისუფალი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები აქ 1878 წლიდან მოქმედებს, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, მეჩხერად დასახლებული განაპირა პროვინცია, გასასვლელი ზღვით ევროპისკენ, მშვიდი, ღრმა და მოსახერხებელი ნავსადგური ნავთობმრეწველების ინტერესის საგანი ხდება. ნობელებს ახალი ინიციატივა უჩნდებათ: ბაქოს ნავთობი მსოფლიოში სწორედ ბათუმის გავლით უნდა გავიდეს.



სულ რაღაც 20 წელია გასული. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ამერიკულ ნავთს ყიდულობენ, იქაური „შავი ოქრო“ უკვე რუსეთშიც ჩნდება, ამერიკული კომპანია Standard Oil Company of Ohio-ს დამაარსებელი ჯონ როკფელერი კი პრაქტიკულად მონოპოლისტია. „БраНобель“-ის შექმნით ნავთობმრეწველთა გაერთიანებებისა და მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება უკვე ბაქოშიც იწყება: ნობელების შემდეგ, 1883 წელს კიდევ ერთი კომპანია, „ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“ იქმნება, რომელიც, მოგვიანებით, ბარონ როტშილდის ხელში გადადის, ნავთობით ინტერესდება თბილისელი მანთაშევიც, 1889 წლისთვის კი აფშერონის ნახევარკუნძულზე უკვე 28 ფირმა და 41 ინდივიდუალური მენარმეა რეგისტრირებული.

ნობელებს წინ ამბიციური ამოცანა აქვთ: მათ კონკურენცია უნდა გაუწიონ ამერიკულ ნავთობს, საერთოდ გააძეონ ის რუსული ბაზრიდან და უფრო მეტიც: თავად გაიტანონ რუსული ნავთი საზღვარგარეთ. თუმცა ბაქოს ნავთობი ჩაკეტილ გეო-

ბათუმის პორტიდან პირველი ნავთობი ევროპაში 1882 წელს ჩნდება. 1883 წელს ძმები ნობელების ამხანაგობის ანგარიშში უკვე აღნიშულია, რომ კომპანია ბაქოს ნავთობზე დიდ უპირატესობას ფლობს და რომ რუსულ ნავთს ფართო არეალი აქვს. ნობელები იმავე წელს ბათუმის ტერმინალს აარსებენ. სხვათა შორის, სწორედ მისი მემკვიდრეა თანამედროვე ტერმინალიც, სადაც დღესაც დგას ნობელების პერიოდის ცისტერნა-რეზერვუარი, ჩამკეტი და მილის ხუფი წარწერით Нобель. ყველა მათგანი დღესაც გამართულად მუშაობს.

ტერმინალის აშენების შემდეგ, ბათუმის პორტის დახმარებით ბაქოს ნავთობი საერთაშორისო კონკურენციაში ერთვება. ნობელებთან ერთად „შავი ოქროს“ გატანას როტშილდები, მანთაშოვები და სხვა წვრილი მენარმეებიც იწყებენ, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისთვის კი ევროპის ბაზარზე რუსული ნავთის წილი უკვე 43,9%-ს შეადგენს. ექსპორტის მთავარი დასაყრდენ-

ნი ბათუმია. 1900-1902 წლებში ბათუმის პორტის ექსპორტში ნავთობს 88% უკავია.

ბაქოს ნავთობის პრიორიტეტული მდგომარეობა მთლიანად ბათუმის პორტზეა დამოკიდებული, „შავი ოქროს“ ბუმში რუსეთის იმპერია სწორედ მისი დახმარებითაა ჩართული, ბათუმი ტრანსნაციონალური დერეფნის როლს ირგებს და ქალაქის მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური ინტერესების ქრილში განიხილება.

რუსეთის ხელისუფლება ნავთობრეწველთა ინტერესებს ითვალისწინებს და ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზს ხსნის, 1883 წლიდან სამტრედია-ბათუმის მონაკვეთით ბაქო-თბილისის რკინიგზა იკვრება და დღის წესრიგში უკვე ბათუმის პორტის საკითხი დგება. აქ უკვე განსაკუთრებულ როლს ლუდვიგ ნობელი თამაშობს. ის თავად ჩადის ბათუმში, თავად შემოივლის შემოგარენს და ყველა პირობას ეცნობა, რათა საექსპორტო ვაჭრობა მაქსიმალურად სასარგებლო გახადოს. სწორედ

გამთხრელი მანქანის დახმარებით, სურამზე 62 ვერსის სიგრძის მილსადენს აშენებენ და ამისთვის 650 ათას მანეთს ხარჯავენ. ეს საქართველოში ნავთობის მილსადენის პირველი ნარმატებული პროექტია.

იმ პერიოდში ნავთობის ბიზნესი ტექნოლოგიური „ნოუ ჰაუს“ სიმცირეს განიცდის, ლუდვიგ ნობელი განსაკუთრებულ კონტროლს ნავთობის ხარისხზე აწესებს და ამერიკულ ნავთობთან კონკურენციაში ახალ გამოგონებას: ტანკერებსა და ცისტერნებს რთავს. ბათუმიდან მას ნავთი გერმანიაში სწორედ საკუთარი „Россия“-თი გააქვს, რომლის ტევადობაც 5500 ტონაა. ამერიკასა და რუსეთს შორის ტრანსპორტირების როლები იცვლება: ბაქო მსოფლიო ნავთობის 50%-ს აწარმოებს, ამერიკა უკვე რუსეთის მასწავლებელი აღარ არის. უფრო მეტიც, აშშ-ში პირველ ტანკერს მხოლოდ ლუდვიგ ნობელის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნახაზების მიხედვით აშენებენ. ნობელების ინჟინრული, გამომგონებლური ნიჭი დიდ გავლენას ახდენს მათი ბიზნესის ნარმატებაზე, მათი ინოვაციები კი მთლიანი პროცესის გაუმჯობესებას, სისწრაფესა და მომგებანობას განაპირობებს. ძმები მუდმივად ცდილობენ სატრანსპორტო ტექნოლოგიების გადახალისებას და ამჯერად ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის შექმნის ინიციატივით გამოდიან. იდეა ლუდვიგს ჯერ კიდევ 1884 წელს გაუჩნდა, თუმცა რუსეთის ხელისუფლებისგან უარი მიიღო, საბოლოოდ მისმა წინადადებამ მანაც გაიმარჯვა: 1897 წელს დაწყებული 835 კილომეტრიანი ბაქო-ბათუმის მილსადენის მშენებლობა 1906 წელს დასრულდა, იგი იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულებული და მძლავრი მილსადენი იყო. ტრასის გასწვრივ კი სატელეფონო კაბშირიც ფუნქციონირებდა.

ნობელების გარდა, 1888 წლისთვის ბათუმში რიხნერის, როტშილდის, ძმები ხაჩატუროვების, მანთაშევის, საინოვის, საიათის და სხვათა ქარხნებიც მოქმედებს. ყველაზე დიდი მათ შორის როტშილდისაა. იქ 11 ნავთის ჩამომსხმელი აპარატი ფუნქციონირებს, ყველა აპარატის მოქმედებას 4000 მუშა სჭირდება, თითო აპარატი კი 2000 ფუთამდე ნავთს იტევს. ხომალდებზე ხის ყუთებში ჩაწყობილი თუნუქის ბიდონები ელევატორების საშუალებით იტვირთება. ერთი ასეთი ბიდონი, ოლონდ კომპანია „შელის“ კუთვნილება, მუზეუმშიც ინახება. როტშილდის ნავთობი ინდოეთში, ამერიკაში და ოსმალეთში გააქვს. ნავთის ხარისხის განსაკუთრებულ მოთხოვნებს სულთანი აყენებს: ბიდონები, რომლითაც ნავთი ოსმალეთში იგზავნება, განსაკუთრებით სუფთა და პრიალა უნდა იყოს.

რიხნერის ქარხანას მოგვიანებით მანთაშევი ყიდულობს: მუზეუმში საპატიო ადგილს იკავებს მისი გემის მაკეტი, როგორც ნავთობის მაგნატის მოღვაწეობის სიმბოლო, ბათუმში კი თანამედროვე ავტოსადგურთან დღემდე არსებობს მანთაშევის გადასასვლელი, ადამიანების ლექსიკასა და მესხიერებაში მანთაშევი შემორჩა, როგორც საცხოვრებელი უზნის დასახელება. „მანთაშეველები“ ბათუმში ახლაც ცხოვრობენ.

უკვალოდ არ ჩაუვლია როტშილდების მოღვაწეობასაც. მუზეუმში დაცულია „მორგანის“ ქარხანაში დამზადებული დამლის დასასმელი აპარატი, რომელიც როტშილდის კუთვნილება იყო. ბათუმელები ბარონის ყოფილ სახლსაც მიგასწავლიან: ბარბარეს ეკლესიის წინ მდებარე შენობაში, სადაც როტშილდი



ქიმიკ ნოზაილუას  
სახალხოზის ბათუმის  
მუზეუმის  
მუდმივი  
გამოფენის  
გამოფენი

მისი ხელმძღვანლობით იქმნება ნავთობის საწყობების გეგმაც, რომელიც ქუჩების მითითებით, უზნებადაა დაყოფილი.

ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 1883 წელს დასრულდა, თუმცა 5 წლის განმავლობაში მენარმეებისთვის სარგებელი არ მოუტანია. მათ თავდაპირველად საკუთარი ვაგონების გამოყენების უფლება არ დართეს, ეს ნებართვა მხოლოდ 1888 წელს გაიცა. რკინიგზის გამტარუნარიანობა წელიწადში 5 მილიონ ფუთს შეადგენდა. ერთი მხარის დასაფარად ეშელონს, რომელიც 9 ვაგონ-ცისტერნისგან შედგებოდა, 60-70 საათი სჭირდებოდა. ამ დროისთვის „БраНобель“ 465 კერძო ვაგონს ფლობს, რომელიც ბაქო-ბათუმისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ტვირთების მოცულობას რკინიგზის დაბალი გამტარუნარიანობა აფერხებს. ლიანდაგების სიმცირესთან ერთად, პრობლემას ქმნის სურამის უღელტეხილიც. ამ სირთულის დასაძლევად ნობელები კიდევ ერთ ინოვაციაზე ფიქრობენ და ახორციელებენ კიდევ: საკუთარი გამოგონების, გვირაბის

## რეპორტაჟი ბათუმიდან

ცხოვრობდა, დღეს ბათუმის სამშობიარო სახლია. ბარონს მის ასაშენებლად ფრანგული აგური ჩამოუტანია და მუშებიც საფრანგეთიდან ჩამოუყვანია.

სხვა ცნობილი სახელების მოუხედავად, ბათუმის იმდროინდელ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს მანც ძმები ნობელები ასრულებდნენ. შავ ზღვაზე მათ მხოლოდ ორი ოფისი ჰქონდათ: ნოვოროსისკის და ბათუმის, რაც ამ ქალაქების პრიორიტეტულობაზეც მიანიშნებს. ყველაფერთან ერთად, ნობელები ქველმოქმედებაც იყვნენ და კომპანიის მართვის ინოვაციური მიდგომებითაც გამოირჩეოდნენ: 1885 წელს მათ ბაქოში მუშებისთვის სასადილოები და საბილირადოები გახსნეს, სახლებიც აუშენეს, ეხმარებოდნენ სკოლებს და ჰქონდათ საავადმყოფოც, შექმნეს პარკი „ვილა პეტროლეა“, რომელიც ახლაც ბაქოს ლირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ნობელები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ აზერბაიჯანულ მოსახლეობას, რაც კომპანიის ლოგოზე ცეცხლთაყვანისმცემლების კომპის გამოსახვითაც ასახეს.



„Бранобель“ საკუთარ PR-ზეც იმ დროისთვის ინოვაციურად ზრუნავდა: ბათუმის მუზეუმში დაცულია კომპანიის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კორპორატიული ჟურნალი, რომელშიც ლუდვიგ ნობელის ბათუმის პორტთან დაკავშირებით ნახაზების შექმნაზეა საუბარი. უნიკალური ექსპონატია ორი, ოდეკოლონის მსგავსი ბოთლი, რომელიც ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის საკუთრებაა. სპეციალური შეკვეთით დამზადებულ ბოთლებში სხვადასხვა ფერის სითხე ასხია, ორივე 1896 წლით თარიღდება, ორივეს წარწერა ТОВ Бранобель და იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივი ამშვენებს. „ერთი იმდროინდელი ნედლი ნავთი ასხია, მეორეში – კერასინი, ანუ გასანათებელი ნავთი, სინჯებიც და პლომბიც იმდროინდელია, საუკუნეზე მეტი ხნისაა. წინანდალში, ჭავჭავაძეების მუზეუმში ხომ გინახავთ ასწლოვანი ღვინოები, იგივეა დაახლოებით“, – ხუმრობთ ამბობს მუზეუმის კოორდინატორი თემურ ტუნაძე.

მუზეუმის პირველ სართულზე ბოლო გაჩერება უზარმაზარი, 1905-1915 წლებით დათარიღებული ფოტოა: სერგეი პროკუდინ-გორსკის მიერ გადაღებული ბათუმი. ფოტოგრაფი, რომელიც იმპერატორის დავალებით რუსეთის იმპერიაში შემავალ ქალაქებს ფოტოზე აღებეჭდა, ბათუმში სპეციალური ემელონით ჩავიდა, საკუთარი შთაბეჭდილებები ფირზე ასახა და ერთ-ერთ მათგანს სწორედ „ნობელის ქალაქი“ უწოდა. გორსკის, სამწუხაროდ, შრომა არ დაუფასეს, იმპერატორს მის მიერ დანახული იმპერიის რეალობა არ მოეწონა და გადაასახლა.

... ნავთობის კვალი ამით მთავრდება... მეორე სართულზე ავდივართ, „ნობელის ქალაქის“ ყოველდღიური ცხოვრების გასაცნობად, რომელსაც ბაქოდან წამოსულმა ნავთობმა ფერი უცვალა.

იმ პერიოდში კავკასიაში თურმე ძნელად თუ იპოვიდით ქა-

ლაქს, სადაც ამდენი უცხოელი ჩამოდიოდა და ამდენი სიახლე ჩნდებოდა. რკინიგზის სადგური ყოველთვის სავსეა, ნავსადგური – გადატვირთული. ქალაქსა და მის შემოგარენში მდიდრული ვილები, ბალები, რესტორნები შენდება, ფუნქციონირებს სასტუმროები: „ფრანცია“, „ლონდონი“, „იმპერიალი“. ბათუმი ევროპულ იერს იღებს, ლამაზდება და იზრდება. ქალაქის დუმის იმდროინდელ მასალებში მუდმივად ჩნდება თხოვნა ქუჩების და მთლიანად ბათუმის ტერიტორიულ გაფართოებაზე, ელექტროფიკაციისთვის სუბსიდიების გამოყოფაზე. მართლია, ქალაქს კარგი შემოსავალი აქვს, მაგრამ ამ თანხას რუსეთის ხელისუფლება საკუთარი სურვილის მიხედვით ანაწილებს და მაგალითად, კავკასიაში გზების გაყვანაზე ხარჯავს.

ბათუმში სამოქალაქო კულტურა და ცხოვრების სტილიც იცვლება: ქალაქი წელიწადში 500 ფუთ ყავას (დაახლოებით 8 ათასი კგ.) მოიხმარს, სანაპირო სავსეა იმ დროს მოდაში შემოსული გარუჯვის მოყვარულებით, მოდაშია ზღვაში ბანაობაც.



ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამოსს, გემებს ქსოვილები და ტანსაცმელი ჩამოაქვთ, ამიტომ ვეროპული მოდა 10 დღეში უკვე ბათუმური ხდება.

ნავთობმრეწველობის გარდა, ქალაქში სხვა ბიზნესსექტორებშიცაა გაჩაღებული: შელენგოვსკის ქარხანა – სახურავის ფილებს, კომპანია „Труд“ კი მეტლახის ფილებს ამზადებს, ფუნქციონირებს ბამბუკის ორთქლით გადამამუშავებელი საამქრო, პოპულარულია თამბაქოს წარმოება. იმ დროინდელ ბათუმურ ამბებს კი ადგილობრივი გაზეთები „Батумский день“ და „Южная речь“ ასახავენ, „Иштыра“ კი – ქართველ მუსლიმანთა გამოცემაა.

ბათუმელებს ფოტოგრაფიით გატაცება ეტყობოდათ. არადა, იმდროინდელი ტექნოლოგია ერთი და იმავე სურათის სტატიკურ მდომარეობაში სამჯერ გადაღებას ითვალისწინებდა, ფოტოგრაფი ფილტრებს სამჯერ ცვლიდა და შავ-თეთრ ფოტოებს ფერადად გამჟღავნების დროს გადააქცევდა. ამის

შემდეგი ექსპონატის დანახვა განსაკუთრებით მაკას, ჩემს თანმხლებ ფოტოგრაფს უხარია: ეს იმ დროინდელი ფოტოპარატია, ხელსაწყო, საიდანაც მართლა ფრინდებოდა ჩიტი და რომლის დანახვაზეც მართლაც ყველას ელიმებოდა. აპარატი ახლაც მუშა მდგომარეობაშია, ერთი შეხედვით დიდი ჩანს, მაგრამ იკეცება და პატარა ჩანთა ხდება.

ფოტოგრაფიიდან ღვინის წარმოებაში გადავდივართ და 1907 წელს ბათუმში ვლადიმერ დანელიას მიერ დაარსებული კომპანიის, „დანელია და კომპანიას“ ისტორიას ვისმენთ. ლოგოზე საინტერესო წარწერაა: „СУМЕЛ“. ვლადიმერ დანელიას ეს სიტყვა შემთხვევით არ დაუნერია: მისი კომპანია იმ დროს ერთადერთი იყო საქართველოში, რომელსაც საეკლესიო ღვინოების სხვადასხვა ჯიშისგან დამზადების ოფიციალური ნებართვა ჰქონდა.

ერთ-ერთ კედელზე ჩინური წარმომავლობის მამაკაცის ფოტოს ვამჩნევ, მკერდზე სტანისლავის ორდენით. ეს ლაო ჯინჯაოა, რომელიც პეკინიდან ბათუმში სამი წლით სპეციალურად ჩამოიყვანეს. გაზეთი „ივერია“ 1897 წლის 20 ივნისს წერდა: „ჩაქვსა და კაპრებუმში ამ დღეებში 28 ჩინელი ჩამოსულა, რომელთაც 700 ფუთი ჩაის თესლი ჩამოუტანიათ. ხსენებული ჩინელები პაპოვის მამულში იმუშავენ. ამათთან ერთად ჩამოსულა ჩინეთში ცნობილი ჩაის მომყვანი ჩონ-ჩაუ-ლაუ, რომლის ხელმძღვანელობითაც თურმე შეუდგებიან ჩაის მოყვანას“.

იმ დროს ქართული ჩაის ჯიშები უკვე ცნობილი იყო, იგივე „ივერია“ წერდა, რომ ისინი 1900 წელს პარიზის გამოფენაზეც გაიტანეს და მსურველებს უფასოდ ურიგებდნენ. სხვათა შორის, მაშინ ჩაის ნაყავდნენ და მარილით მიირთმევდნენ. ლაომ საქართველოში 3000-მდე ჩინური ჩაის ნერგი ჩამოიტანა. ჩინური ჩაი მაშინ ეტალონად ითვლებოდა: მუზეუმში დღემდე შემორჩენილია მაშინდელი „ბილბორდი“ წარწერით: **Ароматом и вкусом ровен китайскому**. საქართველოში ის 30 წელს დარჩა, წასვლისას კი საქართველოში ჩემს სულსა და გულს ვტოვებო, – დაიბარა. ლაოსთვის ჩაქვში სპეციალური სახლიც ააგეს, რომელიც ახლაც ამაყად დგას. ჩაისთან ერთად ლაომ სამშობლოდან 24-კაციანი კომპლექტი ჩამოიტანა. თუ ვინმეს განსაკუთრებულად დაუახლოვდებოდა, ამ კომპლექტიდან თევზს ან ფინჯანს ჩუქნიდა, როგორც ყველაზე ძვირფას ნივთს, რომელიც მას სამშობლოსთან აკავშირებდა.

ნობელების საქმიანობის შესახებ წერილობითი წყაროები მხოლოდ 1917 წლამდე არსებობს. ბევრი ინფორმაცია ჯერ კიდევ გამოუკვლევია და შესაძლოა, ვეროპის ან რუსეთის სხვადასხვა არქივში მკითხველს ელოდება. საბჭოთა პერიოდში ნობელების მსგავსი ადამიანები არცთუ სამაგალითოდ ითვლებოდნენ, ამიტომ ხელისუფლება მათ მოღვაწეობას მიზანმიმართულად ჩქმალავდა. ნობელების საქართველოსთან კავშირის შესახებ კი მხოლოდ ისტორიკოსთა ვიწრო წრემ იცოდა. შესწავლის პროცესი გრძელდება და ბათუმის ისტორიის ეს ეპიზოდი კიდევ ბევრ ახალ შტრიხს გვპირდება. რაც შეეხება ბათუმის ძველ დიდებას, მას ნერტილი ასევე საბჭოთა წყობამ დაუსვა: მუზეუმის სტენდებზეც და ზოგადად, ისტორიაშიც, თხრობა ერთი ფრაზით მთავრდება: მას შემდეგ ბათუმში საბჭოთა ცხოვრება დაიწყო...



კომპანია БРАНОБЕЛЪ-ის ბათუმის "კანტორის" შილა ხაღი

ნავთობპროდუქტების სინჯავი

წველი ნავთობით და ნავთობ სასა ეტალონური ზოთლავი

БРАНОБЕЛЪ-ის საწყოების რუკა – ბათუმი (ფრაგმენტი)

გამო ადამიანებს ზოგჯერ სავარძელზეც აბამდნენ, მიუხედავად ამისა, ყველა იმდროინდელ ფოტოზე ქართველებისთვის დამახასიათებელი არტისტულობა აღბეჭდილი, იქნება ეს უცნობი ქალი, რომელიც იმ დროს ბათუმის ქუჩებში დააბიჯებდა, ახალგაზრდა მამაკაცები ყაბალახებითა და „აზიატსკებით“, თუ ყვავილებიანი თმის სამაგრებით ან ჩიხტიკოპით დამშვენებული დარბაისელი ქალბატონები.

ბათუმში იმ დროს უცხოელი ფოტოგრაფები მოღვაწეობდნენ: ანტონოპულო, ცოლ-ქმარი ეგოროვები და მიხეილ გლაუდენი, რომელმაც ფოტოპარატი ატელიიდან პირველად გამოიტანა და 1911 წელს ბათუმის უჩვეულოდ თოვლიანი ზამთარი გადაიღო. იმ დროს ყველაზე ცნობილი ფოტოატელიე კი „Привет из Батума“-ა, სადაც დამატებით განათებას ფოტოგრაფები მინით გადახურული სახურავის წყალობით იღებენ. ამავე სახელწოდების პოპულარული კაფე გაგახსენდათ? დიახ, ზუსტად იმ ადგილას იყო ფოტოატელიე „Привет из Батума“-ც.

# Deep in Soviet Georgia



ფოტო: ვალერი (საშა) შიტიანიშვილი.  
 გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ კორესპონდენტი 1945-1990 წლებში.  
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის არქივი



„Deep in Soviet Georgia – ისინი მეგობრობის სიმღერებს მღერიან“ ასე ერქვა ქალაქ სინოპის ბიენალეზე წარდგენილ ფოტოგამოფენას, რომელზეც საბჭოთა აჭარის ამსახველი ფოტოებიც იყო გამოფენილი. სათაურს გამოფენის ორგანიზატორები 1980-იან წლებში „ლოს ანჯელეს ტაიმსში“ გამოქვეყნებულ რევიუს დაესესხნენ, რადგან ეს ფრაზა ყველაზე უკეთ გადმოსცემდა მათი ექსპოზიციის იდეას.

როგორც გამოფენის ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია TRAM-ის (Transform Art Module) წარმომადგენელი, კურატორი, ანა რიაბოშენკო ამბობს, მათი მიზანი იყო არა მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდისტული კადრების თავმოყრა – თავისი საზეიმო განწყობით, თუ რაოდენ ბედნიერი და წარმატებულია საბჭოთა ერი, არამედ სურდათ საბჭოური ფასადის მიღმა არსებული რეალობის აღწერაც, ხშირად სწორედ სახელმწიფო პროპაგანდის საპირისპირო რეალობით, ადამიანთა განსხვავებული ფიქრებითა და მისწრაფებებით, პრინციპებით და შეხედულებებით... ამიტომ ეს ფოტოები, გამოფენის ორგანიზატორებისთვის „არდაწერილი“, „არშექმნილი“ ისტორიის ერთ-ერთი უპირობო მტკიცებულებაა: „გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ფოტოგამოსახულება ერთად ქმნის იმ ნარატივს, რომელიც მომავალში ისტორიად იქცევა“.

გამოფენა სინოპის ბიენალეს შემდეგ „ჩანაკალეს“ ბიენალეზე (თურქეთი) წარმოადგინეს, შემდეგ კი მისი ჩვენება ბათუმის და თელავის საგამოფენო სივრცეებში იგეგმება.

გთავაზობთ რამდენიმე ფოტოს საბჭოთა ბათუმის ცხოვრებიდან.





















ჩუკა ქუპრავა

# პიკნიკი ელრავაზე

ავტორი ნინო ჯაფარიძე  
ფოტო ლევან ხერხეულიძე

СЧАСТЬЕ ДЛЯ ВСЕХ, ДАРОМ,  
И ПУСТЬ НИКТО НЕ УЙДЁТ ОБИЖЕННЫЙ!  
„პიკნიკი გზის პირას“, ძმები სტრუგაცკები.

გინახავს, როგორ იქსოვება რკინის ბადე? არასოდესაც არ გინახავს! მეც პირველად აქ ვნახე, მეტრ-ნახევრიანი რკინის ბადე, აი, ამხელა, – ჩუკა ხელებით მაჩვენებს – მოცუტეწულიო, ქოხმასში იქსოვება, ფარდულის კარი ოდნავ შეღებული იყო და ჭუჭყრუტანაში შევიხედე, თვალედაჭყეტილი ვუყურებდი ... ეს, იცი, როგორი საოცრებაა?! ხააა... ააააჰ! – აქ ისეთ რალაცებებს ნახავ!..

პარასკევს, დღის 11 საათზე ჩუკას ელიავას ბაზრობის წინ, „მეგალანის“ შესასვლელთან ვხვდები. რამდენიმე ადამიანი უნდა შევიკრიბოთ, უფრო სწორად, უნდა შეიკრიბონ – ელიავაზე ხმების საძებნელად მიდიან, მე, უბრალოდ, ავეკიდე – წესით, უცნაურ ექსკურსიაზე უნდა აღმოვჩნდე.

ჩუკამ და მე შორიდან შევნიშნეთ ერთმანეთი და ხელი დავუქნიეთ, რამდენიმე წამში ჩუკა დათოს და ქუჯის მაცნობს. დათოს შავი ჯინსი და შავი, ოდნავ გახუნებული მაისური აცვია, თავზეც შავი გაქეცილი კეპი ახურავს, მაჯაზე შავი საათი და ტყავის სამაჯური უკეთია. ქუჯის გრძელი, ხუჭუჭი თმა უკან აქვს შეკრული, ჭრელი, მგონი, სპეციალურად ერთი ზომით დიდი, მაღალყელიანი კედები აცვია. ზონარი ფეხსაცმელზე არც ერთს არ აქვს შეკრული, ეს რალაც სუბკულტურის კუთვნილების ნიშანი მგონია.

ნაზის ქერა, თხელი თმა, მწვანე ჯინსის შარვალი და შინდისფერი, თხელი სათვალის ჩარჩო დამამახსოვრდა, ფეხსაცმელზე ზონარი შეკრული არც მას აქვს.

ნაზიმ, ქუჯიმ და დათომ არტისტურიუმისთვის ელიავას ბაზრობის ხმების ინსპირაციით მუსიკა უნდა შექმნან. ჩაინერონ ბუნებრივი ხმები და მუსიკად აქციონ. ერთი იურისტია, მეორე ფსიქოლოგი, მესამე, მგონი, ორგანიზაციის მენეჯმენტის სპეციალისტი, ელექტროაკუსტიკური მუსიკის კეთება ერთად ილიას უნივერსიტეტის სტუდიაში დაიწყეს. ანდრია დოლიძეს ველოდებით. ანდრია მხატვარია.

– რომ მოგწერეთ – „ელიავა – ჟღერადი ობიექტი“ – ეს სათაური მოგეწონათ პროექტისთვის? – ეკითხება ქუჯი ჩუკას.

– კი, პრინციპში კარგია, გამოხატავს იმ იდეას, რომ ელიავას თავისი უნიკალური ხმა აქვს... მე როგორი მოლოდინი მაქვს, იცი, რომ ამ მუსიკაზე არც ჩამეძინება და არც დავტუბები. თავისი ეკლები უნდა ჰქონდეს, სადღაც, ღრმად, პრობლემები უნდა ჩანდეს, ასე რომ, სიუხემის არ მოგერიდოთ, ჰო?

– არა, იდეაში არ გვერიდება.

– ქუჯი, იცი, რა მაინტერესებს, ჩვენ ხმებს უფრო ცუდად ვიყენებთ, ვიდრე შეგვიძლია და სინამდვილეში ყველაფერი, რაც უღერს, შეიძლება მუსიკაც იყოს? დანარჩენი ყველაფერი ხმაურია?

– მმმმ, პრინციპში ჩვენთვის ხმაური არ არსებობს...

– და შეიძლება დავინახოთ როგორ გამოიყურება ეს ხმაური? არსებობს რაიმე ანბანი, რაიმე ნიშნები ამ მუსიკის დასანახად?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი ხმა შეიძლება გარდაქმნა გამოსახულებად!

– ოოოოო, ზუსტად ეს გვინდა... იცი, აი, ელიავას სთორითარტზე რომ ვფიქრობდი, მგონი, ეს ამბავი ძალიან გამოგვადგება – მეუბნება ჩუკა და მზერა გაურბის. „ააა, აი, ანდრია! გაიცანით, ეს ანდრია დოლიძეა. ანდრია შეეცდება ჩვენი მუსიკისთვის ვიზუალური არტი შექმნას. – ანდრია-საც დახეული კედები აცვია, ცისფერი, გამჭვირვალე თვალეები და ქერა თმა აქვს.

– მგონი უკვე ყველა ვართ, არა? ნავიდეთ?“

ჩუკამ ელიავაზე ის ადგილები უნდა გვაჩვენოს, რომლებსაც განსაკუთრებული უღერადობა აქვს. ზოგან ყველა ნამყოფები ვართ, მაგრამ ჩუკამ სხვა ადგილებიც იცის. ქუჩას ვკვეთთ და ბაზრობაზე შევდივართ. მგონი, თითოეული ჩვენგანისთვის, ჩუკას გამოკლებით, რომელიც ელიავაზე „სასერნოდ“ დადის ხოლმე, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ბაზრობაზე, არა როგორც მომხმარებლები, არამედ როგორც დამკვირვებლები ისე მივიღივართ.

„აქ კარგი წულის ხმა უნდა იყოს, ხანდახან ეს საოცარ კაკაფონიაში გადადის ხოლმე“, – ამბობს ჩუკა და

154-ე ჯიხურთან ჩერდება. „პლასტმასით დალენტვა“ – მიწერილია შუშის ჯიხურზე. დაახლოებით სამი კვადრატული ფართობის სივრცე ლამინატის ფირფიტებითაა გამოჭედილი. ოთახის შუაში მონყოილ დაზგაზე, ოფლსა და მტვერში ამოგანგლული ხელოსანი ერთ-ერთ ფირფიტას ხერხავს.

ეს ერთნაირი, თან განსხვავებული წუილი იმდენად ერთდროული კი არ არის, რამდენადაც ერთიმეორის საპასუხო, დაახლოებით ისე, ღამის სიჩუმეში ძაღლის ყეფას ან ბაყაყის ყიყინს გაბმული გამოძახილი რომ მოჰყვება. აქ ერთმანეთს „ბალგარკები“ ეპასუხებიან და ისეთი შეგრძნება გიჩნდება, თითქოს ეს ინსტრუმენტები ცოცხალი არსებები იყვნენ.

სანამ მუსიკოსები, რეკორდერი თხმას ინერენ, ანდრია კი იქაურობას აკვირდება, პირველად ვუგდებ ყურს ელიავას ხმას.

ბაზრობა ერთ უზარმაზარ ორკესტრს ჰგავს, სადაც ცალკეული ინსტრუმენტები – ადამიანების გადაძახილები, მანქანების სიგნალები, ურიკების რახარუხი, რკინის ბადის ქსოვისას წარმოქმნილი ჩუმი სისინი, სიცარიელის ყრუ დგაფუნი პლასტმასის ცარიელი კასრების დაგორებისას, ჩატეხილი ფიცარნაგის ბრაგუნი, რომელიც „ექსპერტის“ გაცვეთილი, ყალბი რიტორიკა, რომელიც დახლზე შემოდებული საბჭოთა რადიოდან ისმის და ათასი ასეთი ხმა შეგიძლია ერთ მთლიანობად აღიქვა, ან ცალ-ცალკე მიუგდო ყური.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ ეს ხმები სივრცეში შენს მოძრაობასთან ერთად იცვლება, ელიავას უღერადობა იმის მიხედვით ისმის და ინერება, თუ როგორ მოძრაობ. ყველა ადამიანისთვის ეს მუსიკა თან ერთნაირია, თანაც ინდივიდუალური – ამ კაკაფონიას ჰარმონიად შენ თვითონ გარდაქმნი. ჩემი ერთი მეგობარი ამაზე იტყოდა – ძალიან ტრანსმედიური პროცესიაო.

თითქმის ნახევარი დღის განმავლობაში, ჩუკამ ბაზრობის მიკარგული, მოულოდნელი კუნჭულები მოგვატარა და ელიავას კიდევ ერთი განზომილება – მისი უღერადობა აღმოგვაჩენინა.

ბეჭებში ოდნავ მოხრილი, კისერზე

გახუნებული შარფით, ისე მოძრაობდა, როგორც სტალკერი ზონაში – მსუბუქად, ფრთხილად, თან თამამად, თითქოს ზუსტად იცოდა, სად შეიძლება ფეხის დადგმა და სად არა, თითქოს უკვე იცოდა, სად იყო დაგებული ხაფანგები მისტიკური ნივთების დასამალად. დროდადრო, როდესაც განსაკუთრებული გატაცებით ლაპარაკობდა, თინეიჯერს ემსგავსებოდა. „ყოველ ჯერზე, იმის შესაბამისად, რისთვის მოვდივარ აქ, ან ვისთან ერთად მოვდივარ, ეს ადგილი სხვადასხვანაირად რეაგირებს, ეს სივრცე თავის სამყაროში ყველას არ უშვებს“, – მითხრა ერთხელ ჩუკამ, როდესაც მისხნიდა რა არის ელიავა, როგორც სივრცე და როგორც ადამიანთა ერთობლიობა.

ელიავა მისი ტერიტორიაა, რომელიც ისე კარგად იცის, როგორც არავინ. ეძებს ფაქტურებს, ადამიანებს, შემთხვევით ნასროლ ფრაზებს, წარწერებს, გამომეტყველებას, ნაგავს, მაგნიტის ჯადოსნურ ქანჭიკებს, ხმებს, მუყაოს ყუთებს, შუშის ნამტვრევებს. ეძებს თავისთვის და სხვებისთვის, აინტერესებს ყველა ის ნიშანი, რომელიც დაუდასტურებს, რომ ელიავას აქვს პოტენციური ტრანსფორმირდეს არტიტულ სივრცედ.

– ჩუკა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც საბადოს მიაგენი, რომელიც გინდა სხვებსაც გაუზიარო.

– კი, მინდა გაუზიარო. ეს ძალიან დიდია მხოლოდ შენთვის, ეს განძი ძალიან ბევრია მხოლოდ შენთვის. სამუშაო იმდენია, რომ არავისთვის არ მენანება, იმას, რაც ძალიან ჩემია, სხვა ვერ გააკეთებს და პირიქით, მაგრამ აქ იმდენი სამუშაო და სააზროვნოა, რომ იდეები ყველას ეყოფა.

ჩუკას ერთ-ერთი იდეა, იმ „კალეიდოსკოპიდან, რომელიც თავში უტრიალებს“ და რომელიც ელიავას არტიტულ პროექტს უკავშირდება, ელიავას რუკის შექმნაა.

„თავიდან მივხვდი, რომ მეგობრებისთვის, რომლებიც სულ მთხოვენ დახმარებას, შემიძლია დავხაზო ამ ქაოტური სივრცის გეგმა, მერე ვიფიქრე, რომ ძალიან საინტერესო იქნება, თუკი სხვებიც დაინტერესდნენ იმის აღნიშვნას, თუ სად რა ნივთს გადააწყდნენ და როგორ

იფანტება ეს ამ ტერიტორიაზე. მაგრამ ამას შეიძლება არტიტული განზომილებაც ჰქონდეს! მაგალითად, დაინტერესდე – ელიავაზე, სად რა სუნი დგას. ახლა სუნს როგორ აღნიშნავ, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ შეიძლება არსებობდეს, ჰო, სუნების რუკაც?! კიდევ, შეიძლება იყოს ხმაურის რუკა, ან, ვთქვათ, გენდერული რუკა – არის

**ბაჭაბუკი ოლნავი  
მოხრილი, კისარაზი  
ბახუნებული შარფით,  
ისე მოძრაობს,  
როგორც სტალკერი  
ზონაში – მსუბუქად,  
ფრთხილად, თან  
თამამად, თითქოს  
ზუსტად იცის, სად  
შეიძლება ფეხის  
დადგმა და სად არა.  
ელიავა მისი  
ტერიტორიაა,  
რომელიც ისე კარგად  
იცის, როგორც არავინ.  
ეძებს ფაქტურებს,  
ადამიანებს  
და ნამტვრევებს,  
ნაგავს,  
მაგნიტის ჯადოსნურ  
ქანჭიკებს, ხმებს,  
მუყაოს ყუთებს,  
შუშის ნამტვრევებს.  
ეძებს თავისთვის  
და სხვებისთვის,  
აინტერესებს ყველა  
ის ნიშანი, რომელიც  
დაუდასტურებს, რომ  
ელიავას აქვს პოტენციური  
ტრანსფორმირდეს  
არტიტულ სივრცედ.**

ადგილები, სადაც ძირითადად ქალები მუშაობენ, სადაც შერეულია, მაგალითად, ის ადგილი, სადაც საბურავებს ყიდნიან, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ კაცების ტერიტორიაა. ეს ადგილი ხმაურის რუკაზე ვერ მოხვდებოდა, მაგრამ შეიძლება მოხვედრილიყო სუნის რუკაზე, რეზინის და ტაოტის სუნის გამო, რომელიც აქ მუდმივად დგას. ვილაცამ შეიძლება

ეკორუკა, მწვანე კუნძულების რუკა გააკეთოს – სად და რამდენი ხე ხარობს ელიავაზე... წარწერების რუკა?! – მოკლედ, ასეთი რუკა შეიძლება იყოს უამრავი“.

ჩემთვის ფიქრობ – მათ შორის, ალბათ, „ელიავას მოულოდნელი“ ადგილების რუკაც. ზოგადად, ელიავაზე მაშინ მიდიხარ, როცა რაღაცის ყიდვა გჭირდება, მაგრამ შეიძლება მოულოდნელ ადგილებს გადააწყდე, სადაც რაღაც მხოლოდ კი არ იყიდება, არამედ კეთდება კიდევ.

„ეს შედარებით იშვიათი რაღაცაა, – მეუბნება ჩუკა. ერთხელ, ქვიშაზე შევივლილმა, შემთხვევით ღრიჭოში შევიხვედ და დავინახე, როგორ იქსოვება რკინის ბადე, თავისთვის ზის თურმე ამ ქოხმახში ერთი კაცი, უკვე წლებია ზის და სრ, სრ, სრ – ქსოვს! და შენ ეს არ გინახავს, შენ ეს არ იცი – ეს აღმოჩენაა!... აქ არის კიდევ ერთი ძალიან დიდი სივრცე, ჩემი ბოლო მიგნება, რომელიც მინდა რომ გაჩვენოთ, მინდა, რომ აქ იყოს არტიტული ლაბორატორია, სადაც ბევრი ადამიანი ერთად იმუშავებს, ამ ერთ მთლიანობაში გაზიარებაც მოხდება და თან ადგილზეც ვიქნებით“, – გვეუბნება ჩუკა, როდესაც თითქოს ვთანხმდებით, რომ ხანგრძლივი ბოდილის შემდეგ ყველა საინტერესო ხმა უკვე ჩაწერილია და შეიძლება დავიშალოთ.

ეს სივრცე ელიავას „მწვანე კუნძულზე“ ახლად აშენებული პავილიონის მეორე სართულია. ბეტონისა და რკინის კარკასი იმდენად დიდია, რომ ხმა ექოდ ისმის, ეს უზარმაზარი სიცარიელე ელიავას ბაზრობას გადაჰყურებს. თუკი ელიავას პროექტი განვითარდა და დაფინანსებაც მოიპოვა, ჩუკა ფიქრობს, რომ შეიძლება ეს სივრცე იქირაოს და სახელოსნოდ აქციოს. სანამ აქაურობას ვათვალიერებთ, მუსიკოსებს ვეკითხები:

– საინტერესოა, რას დატოვებთ და რას გადააგდებთ იქიდან, რაც ჩაინერეთ, რატომ გააკეთებთ ამას, როგორ ტრანსფორმირდება ის, რაც მოვისმინეთ მუსიკად, შეიძლება ამ პროცესს დავესწრო?

– ჰო, რა თქმა უნდა, უბრალოდ, ეს არ არის მუსიკა ჩვეულებრივი გაგე-

ბით, ზოგს იმედი უცრუვდება, როდესაც ამას ისმენს, – მიხსნის ნაზი.

– საინტერესოა, ხმა როგორ რეაგირებს დღის სინათლეზე, სიხშირეები როგორ ვარდება ღამე? შეიძლება ელიავაზე დროის სხვადასხვა მონაკვეთს სხვადასხვა უღერადობა ჰქონდეს?

– პრინციპში, არ მიფიქრია მაგაზე, თუმცა, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დილას, შუადღეს და საღამოს სხვადასხვა რიტმი უნდა ჰქონდეს.

„ეს ნამუშევრები შექმნილია იმ ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც ელიავას ბაზრობის, მიმდებარე ქუჩებსა თუ იქ არსებულ სხვადასხვა ტიპის სახელოსნოებშია შეგროვებული. მასალა თემატურად და უღერადობით, მაქსიმალურად ინარჩუნებს მოპოვებული დოკუმენტური, სტაციონარული და კვაზისტაციონარული ხმაურის ხასიათს და ინსპირაციის თემა ხდება სამ სხვადასხვა ნაწარმოებში:

„When night comes“ /შეზინდებისას. ნაწარმოების ემბინტური უღერადობა „ელიავას“ აქტიური დღის დასასრულის შემდგომ მდგომარეობას განსაზღვრავს. ავტორი დავით კიკაბიძე.

„Sounds as a gift“/ ხმა – საჩუქარი. „ელიავა“, ადგილი, სადაც ყველაფერი იყიდება, გარდა „ხმაურისა“. ავტორი ნაზი ჭავჭავაძე.

„Noise laboratory“ /„ხმაურის“ ლაბორატორია. „ელიავა“ – ბგერებით აღსავსე, ამოწურავი, უცხო მუსიკალური სივრცე, როგორც მოქმედების ახალი სფერო. ავტორი ქუჯი დავითულიანი.

ასე წარადგინეს ნაზიმ, დათომ და ქუჯიმ თავისი მუსიკა არტისტერიუმის პროგრამაში.

ელიავაზე მოწყობილი ექსკურსიდან 3-4 დღეში ანდრისაც შევეხმიანე და „ფეისბუქის“ ჩატში მივწერე:

„ანდრია, ჰეი, როგორაა შენი საქმეები? მიაგენი იმას, რასაც ეძებდი? უკვე იცი, რა გინდა, რომ გააკეთო?“

რამდენიმე წუთში მომწერა: „კი, უკვე ვიცი, რისი გაკეთებაც მინდა. იმ დღის შემდეგ ისევ დავბრუნდი ელიავაზე და რამდენიმე ადამიანს გავესაუბრე. საინტერესო რამეებს ჩავაველე ხელი და ბევრი იდეა წამოვიდა, მაგრამ ერთი რაღაც ისეთი იყო, რომე-

ლიც ყველაზე მეტად დამეჯახა. ერთ ტიპს ვეკითხები – რაზე ფიქრობ, როცა ამაზე მუშაობ-მეთქი და მიპასუხა – ვოცნებობო. სრული სერიოზულობით მელაპარაკა. მერე სხვებს მოვაცოლე თავის ფიქრებზე და სურვილებზე, ჰოდა, იმდენად ბუნებრივი იყო ეგ ყველაფერი, რომ მივხვდი, ამის გამოყენება მინდოდა. იმის მიუხედავად, რომ საუნდი ხელს მინცობს, რომ რამე ბრუტალური გამეკეთებინა, რაც ძალიან მიყვარს, მაინც ვიფიქრე, რომ რაღაც მარტივი და ისეთი მინდა, ცოტა იუმორი და შეიძლება, ირონიაც რომ იყოს. ძველი მანქანების გროვებისკენ ვიყავი, რკინაზე მუშაობდა ის ტიპი... და უცებ კუსტურიცას „არიზონული ოცნება“ ამომიტივტივდა თავში.

მოკლედ, მინდა გამოვიყენო უხილავი საღებავი, რომლითაც წარწერას გავაკეთებ სავარაუდოდ ელიავადან მოტანილი „ჟემპის“ ნაჭერზე ან მონიტორზე ან კედელზე და ულტრაიისფერი დასხივებით გამოჩნდება სიტყვა „EliavaDream“. რატომღაც ასე პირდაპირ და მინიმალისტურად, რაღაცნაირად გულწრფელად მომინდა მიდგომა... მე ასე დავინახე ეს ყველაფერი – იმ ტიპებთან ერთად, მთელი ელიავა და ელიავას ხმაური.

– შეგიძლია, ცოტა მეტი მომწერო ვინ არის ეს კაცი და რაზე ისაუბრეთ?

– მითხრა, რომ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი, მერე ცუდი დრო მოვიდა და სხვა რამეებზე დავიწყე ოცნებაო – მეტ შეკვეთაზე, კარგ ნაჭერებზე, ნაკლებად ატალახებულ ამინდებზე და საერთოდ რამე სხვა ბიზნესზეო. მოკლედ, ტიპი აღნობდა და აკერებდა რკინებს და ოცნებობდა რა... თან ამ მასალაზე ვინც მუშაობდა, ცოტა მძიმე ტიპები იყვნენ, და ეს კი უცებ ესეთებს მეუბნება. მერე კიდევ რამდენიმეს ვესაუბრე, ზოგმა ამხვევინა – არ გვცალია, რა დროს საუბარიო. წარმოვიდგინე, რომ არიან ამ ბზუილში და ხმაურში და ოცნებობენ რაღაცებზე. ხალხიც ხომ დადის, ზოგი შპალერს არჩევს, ზოგი კაფელს და ათას რამეს. ვიფიქრე, როცა სახლი მექნება, მეც ნავალ ელიავაზე და მეც ავარჩევ მილიონ რაღაცას, იმედია, სულ ატალა-

ხებული აღარ იქნება აქაურობა. და, უცებ, იმ მამუკას ოცნება გამახსენდა – ნაკლებტალახიან ამინდებზე. ამოვფიქრე სახლში და საუკუნის წინ ნანახ „არიზონულ ოცნებას“ ჩავუჯექი.

ჰო, კიდევ ერთი დეტალი, რომ მოგწერე – სახლი, როცა მექნება-მეთქი, მანდ გამომრჩა – ელიავაზე ყოველი ჩასვლა ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ თვალში გამეჩხიროს აუშენებელი კარკასი აქვე ხოშარაულზე. ბინა გავყიდეთ 7 წლის წინ, მშენებარეზე შევიტანეთ მთელი თანხა და იმის მერე ქირით ვცხოვრობთ.. მგონი, ეგ სახლი აღარც აშენდება, აღარც მეოცნებება, ისე ჩავიქნით ხელი“.

ელიავაზე ჩუკა ცხოვრობს, აგლადის 26 ნომერში. ეს ქუჩა, რომელზეც სულ საცობია, „მეგალიანის“ გაგრძელებაზეა, ყოფილი შოკოლადის ქარხნის ტერიტორიის მიმართულებით. ქუჩის ორივე მხარეს მანქანების სახელოსნოებია ჩამწყვილებული. მინა მაზუთით და ტაოტითაა გაფენილი. ძველი ავტომობილებიდან ამოგლეჯილი სავარძლები პირდაპირ გზაზეა გამოწყობილი. ხელოსნების ნაწილი, ისინი, ვინც კლიენტებს უტრიალებს, მანქანებთანაა ჩაცუცქული. როგორ ხდება ასე, არ ვიცი, მაგრამ უმრავლესობას ბანჯგვლიანი ტრაკი უჩანს, ისინი კი, ვინც კლიენტებს ელოდება, ქუჩაში გამოდგმულ სავარძლებში, ნახევრად წამოწოლილები, სიგარეტს აბოლებენ.

„კემპი, ჟემპიანშიკი, ხადავიკი, დვერშიკი, ზეთის შეცვლა უფასოდ – გარანტიით, მატორისტი, მინების დამუქება ამერიკული პლიონკით, ვიბარებ გლუმიტელებს, რადიატორის აღდგენა“ – გარემოს ათასი ეგეთი რუსულ-ქართული წარწერა აჭრელებს. ზუსტად ჩუკას სახლის პირდაპირ სასადილოა, თავზე აბრა ადგას – „მაიტა ნასოსი!“ ჩუკას ბინის ქვეშ კი „პულტით დაქოქვაა“.

– ჩუკა, მოგწონთ აქ ცხოვრება, გიყვართ აქაურობა?

– კი, პერიოდულად მაქვს ხოლმე განცდა, რომ ძალიან განსხვავებულ და სპეციფიკურ ადგილზე ვცხოვრობ. მგონი, მერიას არც კი წარმოუდგენია, რომ აქ ცხოვრობენ, იმიტომ, რომ ამის არანაირი ნიშნები არ ჩანს. ეს სახე-





ფოტო სერაი ბარსაგული

ფოტო სერაი ბარსაგული

ლოსნო მე და ნოდარმა დაახლოებით 30 წლის წინ ვიყიდეთ. ანა აქ დაიბადა. ეს მთლიანი სივრცე იყო, ერთიანი ეზოთი, სადაც მხატვრები ვიკრიბებოდით. როცა რალაც სივრცის რღვევა იწყება, მერე ქაოსური პროცესები მიდის. ერთი აქირავებს, მეორე ქირაობს, მერე იმისგან კიდევ ვიღაც ქირაობს... ხვდები, ხომ, რამდენი ხმა შეიძლება შემოდოდეს? არადა ისეთი წყნარი უბანი იყო, მახსოვს, სპიტაკის მინისძვრა როცა მოხდა, მეგონა სატვირთო მანქანამ ჩაიარა. ჩვენს სახლს შემოსასვლელი ქუჩის მხრიდან ჰქონდა. ნოდარის გარდაცვალების შემდეგ მეც გავაქირავე ის პატარა ოთახი – იქით არიან ახლა ესენი – „პულტი დაქოქვა“.

ჩუკას სახლში შესასვლელი ახლა ეზოს მხრიდან არის, ამ ტერიტორიის გადაღმა, რამდენიმე მეტრში დაშლილი მანქანების ბაზრობაა. ეზოს შესასვლელთან 2 უზარმაზარი რკინის ვაგონი დგას, წინ შლაგბაუმით, ერთ-ერთ მათგანზე კაშკაშა ყვირთელი ასობითაა მიწერილი – თმის შეჭრა 2 ლარად, ისარი პირდაპირ ჩუკას სახლისკენ მიუთითებს. ჩუკას ბინის ერთ-ერთი კედლის, უფრო სწორად, ტიხრის მიღმა მანქანების პროფილაქტიკაა და სახლში ხმა ისევე ისმის, როგორც იქით. თუ, მაგალითად, გვერდით რამე ჩამოვარდა და ამ კედელთან ზიხარ, გეგონება, რომ ეს რალაც პირდაპირ თავში გეცემს.

– ჩუკა, გახსოვს როგორ გაჩნდა ელიავა?

– 9 აპრილს ელიავა აქ არ არის. ეს ბაზრობა დაახლოებით აფხაზეთის ომის შემდეგ ჩნდება. ჩემთვის რალაც ათვლის წერტილი გახდა, როდესაც ეს ქუჩა აგლაძედ გადააკეთეს, იმიტომ, რომ ამ გვარმა ვერ მოასწრო ჩვენს ცნობიერებაში დარჩენა, ამ მომენტისთვის უკვე ჩნდება ბაზრობა, რომელსაც ყველა ელიავას ეძახის.

– ვინ არის ეს ელიავა, იცი?

ზუსტად კი არ ვიცი, მგონი, ვინმე შალვა ელიავა – ბოლშევიკი იყო 20-იან წლებში... როგორ არ გახუნდა ამ კაცის სახელი, არა?

– იცი, ის ლექსი გამახსენდა: „რა კარგია, რომ ბარათაშვილი ხიღია და

ჭაჭავაძე პროსპექტი. რა კარგია, რომ რუსთაველი მეტროა და წერეთელი გამზირი. რა კარგია, რომ ვაჟა-ფშაველა გრძელია და ნიკოლაძე მოკლე. რა კარგია, რომ კომკავშირი ხეივანია და სტალინი სანაპირო...“

– რა კარგია, რომ ელიავა ბაზრობაა, არა?! ჰოოოო, ესეც რალაც ჩუქურთმა ამ ამბავში. ეს ის სივრცეა, სადაც არტი არ მოსულა და მიწა რალაცნაირად აქაც მოვიდეს. ეჭვი მაქვს, რომ აქ უნდა იყოს საბალო მასალის, იდეების, ექსპერიმენტების, გამოსახულების და იმედი მაქვს, რომ ეს სივრცე შეიძლება ტრანსფორმირდეს არტისტულ უბნად. ეს ბოდება, რაზეც ახლა ვფიქრობ, წესით არ უნდა იყოს ბოღვა... ზოგჯერ მაქვს ხოლმე შეგრძნება, რომ სიტყვები რალაცას კარგავენ. რაც უფრო ვცდილობ, რომ დაეწერო ეს იდეები, მით უფრო რალაც იკარგება, იკარგება იმდენად, რომ – ჩუკა მთელი სხეულით იჭიმება, ისე, ზამბარა რომ ბოლომდე განელო. სკამიდან ოდნავ წამოიწევა, მერე ისევე ეშვება და სინანულით ამბობს, – ააააჰჰ, – თითქოს ხვდება, რომ ბოლომდე მაინც ვერ აგისნის, როგორ ტრანსფორმირდება მისი იდეები გადმოცემის პროცესში.

– ჩუკა, იცი, რა არის ის რაც იკარგება?

– კი, რა თქმა უნდა! ეს ცხოვრებისეული რალაცეობა – პულსი, დინამიკა, ის, რაც, როგორ გითხრა, ჩემი გაგებით, საინტერესოა არტისტის.

– რა შეიძლება გახდეს არტისტის ინტერესის საგანი? როგორ აზროვნებს არტისტი და როგორ აგნებს თავისი ინტერესის ობიექტს, მაგალითად, ისეთ სივრცეში, როგორც ელიავას ბაზრობაა?

– იცი, რა, მე რალაცნაირად ძალიან მოვშორდი ისეთ ხელოვნებას, რაც ესეთურად დამატკობს, რალაც მეტის გაკეთება მიწადა. ტექსტილის მხატვარი ვარ, 500 შარფი მაქვს შეღებილი ამ ეზოში, აბსოლუტურად წყნარად შემოდის ვაკეთო თეჟა, მოვხატო რალაც, გავაკეთო ისა, ესა... ხან რალაცას რალაც მივანებო, – ენას ოდნავ იჩლიქავს – დასცინის იმას რასაც ამბობს. პაუზის შემდეგ მკვეთრად იცვლის ტონს

და მკაფიოდ მეუბნება: – აღარ არის ეს აქტუალური ჩემთვის, ხვდები?! ეს უკვე ვიცი! ეს გამიკეთებია ერთხელ, ორჯერ, იმ გამოფენაზე, ამ გამოფენაზე და ეს აქ მთავრდება. აი, რალაც ხომ არის, რომ იცი და მეტი აღარ გინდა? ახლა რალაც უფრო საინტერესო უნდა გავაკეთო, სხვა ფორმა მივცე, რალაც სხვა მასალა უნდა ვიპოვო.

– და ეს ახალი მასალა, როგორც შენ ამბობ, „ელიავას ადამიანია“?

კი, მე აღარ მიწადა „სილამაზეების“ გაკეთება. მომწონს, რომ ხელოვნება პრობლემატური გახდა. გამოფენებიდან ძალიან იშვიათად გამოვიდვარ იმ ცოდნით, ანდა იმ განცდით, თუ რა უნდა მხატვარს. ცოტა უფრო აქტიური და სერიოზული რამის გაკეთება მაინტერესებს, ვიდრე ვიცი და გამომდის. ეს ხომ უნივერსალური ტიპია – ეს ელიავა. უბრალოდ წარმოიდგინე რამდენნაირი პროექტი შეიძლება გამოვიდეს... მას თავისი სტილისტიკა აქვს... ელიავას ხალხი გაჩნდა – ელიავას კაცი ცალკე ადამიანია, რომელიც ელოდება რალაცას და რუტინულად ერთსა და იმავეს აკეთებს. ეს თვითორგანიზებული, მაგრამ უსრულო რამეა და მე ვერ ვხედავ, როგორ ვითარდებიან ეს ადამიანები, სად წავლენ, ან როდის წავლენ, ან როგორ გაილამაზებენ ცხოვრებას, ან რას იზამენ საერთოდ?

– ჩუკა, რას ნიშნავს „ელიავას ადამიანი“, როგორია „ელიავას ადამიანი“?

– მგონია, რომ გამიჭირდება ამის ახსნა... ეს რალაცნაირი ერთობლიობაა საქციელის, გამომეტყველების, ჩაცმის, ქცევის, უდიერების. მე ეჭვი მეპარება, რომ აქ ვინმე 20 წელიწადია ფეხმოუცვლელად დგას, მაგრამ თვისობრივად ეს ხალხი ერთმანეთს გადასცემს, მემკვიდრეობით უტოვებს ჩვევებს.

ეს ტერიტორია არ გაჩერდებოდა ასე და ამდენ ხანს, ქალაქს რომ არ სჭირდებოდეს, უბრალოდ, საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანები რალაცას იყიდნენ, მანქანებს დატვირთვენი და წავლენ, მერე აღარ აინტერესებთ რა ხდება ამ ქუჩებში. ხვდები, ხომ, როგორი უტილიტარულია ეს სამყარო? გიფიქრია, საღამოს, სამუ-

შაოს მერე აქედან ვინმე შეივლის თუ არა კაფეში, ან წავა კონცერტზე? ან რატომ უნდა მოგინდეს თმის შეჭრა „შეჭრა ორ ლარად“-ში? აქაა ელიავას ადამიანის სამყარო და იმიტომ... გესმის? ახლა, მივედით იქამდე, თუ როგორ გამოიყურება ეს ადამიანი. მაგალითად, აცვია შარვალი, რომელიც კაცმა არ იცის, რომელი სეზონისაა, ძალიან მინდა ამ პროექტში მერე მოდის დიზაინერებმაც იპოვეს რაიმე საინტერესო, ეს ვინტაჟი არ არის, ეს არის რალაც სხვა, რომელსაც ვერ დარქმევ სახელს, უბრალოდ, როცა ამას ყოველდღე ხედავ, უცბად ხვდები.

– რა არის ის მთავარი, რისი გამოხატვაც გინდა ამ პროექტით?

ის, რომ მე ვფიქრობ მათზე და საერთოდ მინდა, რომ ის, რაც აკლიათ, და არასდროს არ ჰქონიათ – ცოტა შემოქმედებითი, ცოტა საინტერესო, ცოტა ირონიული დამოკიდებულება გაუჩნდეთ. ელიავალებმა თავისი ქვეყანა შექმნეს, მიუხედავად იმისა, რომ 50 მეტრში დიდუბის ეკლესიაა, ახლა ამ ტერიტორიაზე პატარა სამრეკლოც ჩადგეს, მალე მგონი თავისი ღმერთიც ეყოლება. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ იპოვეს ეს ადგილი, და მათ შეუძლიათ, რომ ის უფრო საინტერესო გახადონ. ჰო, ეს ყოფაა, მაგრამ არ ნიშნავს რომ მთელი ცხოვრება ასე უნდა გაატარო. რალაც არის სასოწარმკვეთი იმაში, რომ ოცი წელი გახდება მალე, რაც აქ არიან და მათი შრომა და პირობები დიდად არ უმჯობესდება.

ამ ყოფის სიმბოლურ იმიჯად ერთი საოცარი ადგილი გამახსენდა ელიავაზე. ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე „ველური“ მონაკვეთია ამ სივრცეში. სალამოს, როდესაც ბაზრობა უკვე დამთავრებულია, სხვადასხვა ზომის ჭანჭიკებს, ლურსმნებს, რკინის ათასნაირ ნაკეთობებს ძველ, დიდ რკინის მაცივრებში ინახავენ. დახლებზე კი რკინის ოთხკუთხედი ყუთები აწყვია, ესეც საცავებია, რომლებსაც სხვადასხვანაირი ბოქლომები ადევს.

მაგ ადგილზე დახლებს ორივე მხარეს ფიცარნავი მიუყვება, რომელიც ახლა, წლების შემდეგ, ჩამტვრეულია. ეს ადგილი პავილიონი გეგონება სა-

შინელებათა ჟანრის ფილმიდან. დილით, როდესაც ვაჭრობა იწყება, ამ დახლებს ნელ-ნელა ხსნიან და ყიდიან დათვლილ ჭანჭიკებს – ასეთი ჭანჭიკი სადღაც უნდა მქონდეს... ააა, არა, არა ეს ცოტა დიდი ყოფილა, აი, იმას უნდა ჰქონდეს – და გადაძახილი“. თავისთავად ეს რალაც უცნაური კულტურაა, უცნაური სტილისტიკაა, რომელიც არსებობს და მე ეს სტილისტიკა და

**„ეს ხომ უნივერსალური ტიპია – ეს ელიავა. მას თავისი სტილისტიკა აქვს, ელიავას ხალხი ბარნდა – ელიავას კასი ცალკე ადამიანია, რომლის ელოდება რალასს და რუტინულად ერთსა და იმავეს აკეთებს. ეს თვითორბანიზებული მაგრამ უსრულო რამეა და მე ვერ ვხედავ როგორ ვითარდებიან ეს ადამიანები, სად წავლენ, ან როდის წავლენ, ან როგორ ბაილაგაზებენ სხოვრებას, ან რას იზამენ საერთოდ?“**

ადამიანები ძალიან მაინტერესებს“. – განაგრძობს ჩუკა. რომ მკითხო, აქ რა გინდა რომ იყოსო, – ვერ გეტყვი, კაცმა არ იცის, რა მინდა... მინდა გასუფთავებული სივრცე? დიდი პავილიონები? ისეთი, როგორც საზღვარგარეთაა, შეიძლება, არც მინდა...

მე მაინტერესებს ეს ადამიანები და მგონია, რომ მათთვის საინტერესოა, რომ ვილაცხას ისინი აინტერესებს. მე მგონია, რომ ზიარჭურჭელივით შესაძლებელია ამ ხალხისა და ხელოვნების თანამშრომლობა შედგეს – მხატვრებმა „ელიავას ხალხის“ მოსაწყენი, რალაცნაირი, რუტინული ცხოვრება სულ სხვა პროექტში დაინახონ და მათთან ერთად გააკეთონ ხელოვნება.

ჩემს წარმოდგენაში არსებული პროექტის ნაწილია არასტანდარტული სოციოლოგიური კვლევა. საინტერესო მოლოდინი მაქვს – თითოეულ ადამიანს ელიავაზე განსაკუთრებული ისტორია აქვს. აქ შეიძლება შეხვდეთ სამიპლომიან ადამიანს, რომელიც ისეა ჩათრეული ამ პროცესში, რომ ვერასოდეს ვერ ამოვა, იმიტომ, რომ არც ფიქრობს, როგორ შეიძლება ამოვიდეს. ჩემი მიზანია, პროექტის განმავლობაში საინტერესო გაცვლა მოხდეს ჩვენს შორის.

– იცი, ჩუკა, შენსა და იმ ადამიანებს შორის, ვისაც აქ რალაცის გაკეთება მოუწდება, რა განსხვავებაა? შენ ამ სივრცის ნაწილი ხარ, შენი ყოფნა ამ სივრცეში ბუნებრივია. არ გეშინია, რომ არტისტების ჩარევა რალაცას გააფუჭებს? როგორ აპირებთ კომუნიკაციის დამყარებას?

– ოო, ამაზე ფიქრი ძალიან მაშინებს. მგონი, უნდა ავეუსნათ რა გვინდა, ამის გარეშე არა მგონია, ურთიერთობა შედგეს. მე ჯერჯერობით დავდივარ და ვაკვირდები, ვინ და რა შეიძლება იყოს ჩემი ინტერესის ობიექტი, მაგრამ არ არის ადვილი ურთიერთობის წამოწყება, ძალიან იოლია ადამიანების დაფრთხობა... პრინციპში, არტისტებმა თავად უნდა გადანწყვიტონ, როგორ მოიპოვებენ ამ ადამიანების ნდობას.

აბსოლუტურად არ მინდა მათი კრიტიკულად აღქმა, ამის უფლებას ვერაფრით მივცემ თავს, მინდა ისინი საინტერესო ადამიანებად დავეინახო. მე გულწრფელად მაინტერესებს როდის არის მათთვის ყველაზე კარგი სეზონი, დღის რომელი მონაკვეთია საინტერესო, ან, მაგალითად, აქვთ თუ არა რაიმე დათვლილი, ფულის გარდა. რით ცხოვრობენ? ანუ ჩემი



კითხვები ადამიანურია. საერთოდ არ მაინტერესებს რომელ მხარეს დგანან და ვის აძლევენ ხმას. ამ კვლევის შედეგად შეიძლება გავიგოთ რამდენი კაცი და რამდენი ქალია, ან რა პროცენტია ლტოლვილი და რომელი ომის შედეგად გახდნენ ლტოლვილები. თუ რაღაც არ განუხებს, აქედან კარგი არაფერი გამოვა, და რადგან აქაურობა ასე მანუხებს და ამდენს ვფი-

ქრობ მასზე, ეს მაძლევს იმედს, რომ ამ საქმიდან რაღაც გამოვივა.

– ეს ბაზრობა რაღაც თვალსაზრისით თავიდან ბოლომდე არტია, „ელიავას ადამიანის“ მიერ შექმნილი არტი და რა უნდა გააკეთოთ თქვენ, არტისტებმა, ამაზე მეტი?

– მმმმ, უცბად რაღაცეები წარმოვიდგინე, აბსურდული რაღაცეები, სალონი, სადაც გაყიდი ნახერხს, ანდა

რკინების ნაქლიბს, დაჭრილ არმატურებს, შუშის ნამსხვრევებს – ძალიან მაგარია!

შეიძლება ისეთი მასალა იპოვო, რომ მოგანდომოს და რამე გაგაკეთებინოს, გინდა აზრობრივად, გინდა გამოსახულების თვალსაზრისით. მე ერთხელ ცემენტის პარკები ვიპოვე, რომლებიც საბაზისო მასალა გახდა ჩემს შემოქმედებაში. საბჭოთა დროს



იყო გაკეთებული, „დაბროტნად“, რამდენიმე ფენა ჰქონდა. თუ მასალა დაინახე და მოგეწონა, მერე ჭია ხდები, ექსპერიმენტებში ხარ, ქვიშაში თამაშს ჰგავს – რალაცას გამოძერწავ, მერე დაშლი, არა, ესე არ ვარგა... და თავიდან იწყებ. ბევრ რალაცას ყრიან, საინტერესოს თრეპარტისთვის და მინდა ხელოვანებმა ესეც დაინახონ.

ფანტასტიკური ვიდეოარტების

გაკეთება შეიძლება! ვიცი, ძნელია ჩემი მოსმენა, დავხტივარ აზრიდან აზრზე, მაგრამ ეს ჰგავს კიდევაც იმ სიტუაციას, რაშიც ვცხოვრობ. რატომ არ არის ელიავა ზუსტად ის უბანი, სადაც არტისტი უნდა მუშაობდეს?! მასალას აქ პოულობ, აქვე გაქვს სახელოსნო და ეს ყველაფერი ძალიან იოლად, იფადად მოდის შენთან.

– ძალიან ბევრი, ძალიან სხვა-

დასხვანაირი მიკროსამყაროა, რომელსაც რალაც აერთიანებს, თითქოს გუმანით ყველა მიხვდება, რა შეიძლება ხდებოდეს ამ მასშტაბების ტერიტორიაზე, მაგრამ როგორც ჩანს, ჩუკა „ცალკე ამბავია“ ამ სივრცეში.

– ჩუკა არის ერთ იცალი, პატარა ამ გარემოში და მართლაც მაქვს ამის განცდა. რალაცნაირად შესაფერის სიტყვას ვერ ვპოულობ, მე არ ვარ დაკავებული ელიავას თემით... მე, როგორც მხატვარს კი არა, როგორც ადამიანს მინდა ამ პროექტის გაკეთება, ჩემთვის საინტერესო იყო, ეს სივრცე დიდი ამოცანებისთვის შემეჯახებინა.

სალამოს ჩუკასთან შევირბინე, მეორე დღეს ისევ ელიავაზე მივდივართ, იმიჯების და ფაქტურების საქმენელად. ჩუკასთან ბატონი იურა დამხვდა, რომ მივედი, მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ, შესვენება ჰქონდათ – პაპიროსს აბოლებდნენ. ორივე დალლილი ჩანდა, დილიდან ყურებს ასხამდნენ. ვილაცას ჩუკასთვის თაბაშირის ნაცვლად შპაკლი მიუყიდა და ელიავაზე დასჭირდათ მიბრუნება, ძლივს იპოვეს ის კაცი, „მოკლედ, ეს ელიავა ქალაქში ქალაქია, რა“, – ბუზღუნებს ბატონი იურა, ეზოში გადის და საქმეს უბრუნდება.

– ბატონი იურა მოქანდაკეა, იცი, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძის ნიღაბიც კი აქვს ჩამოსხმული... გარდაცვალების მერე – ხმადაბლა მეუბნება ჩუკა, ეგრევე მიხვდა, რომ შპაკლი მომყიდა! ბევრი დრო დავკარგეთ, მაგრამ არა უშავს, ახლა უკვე მეხუთე ყური გვაქვს!

– ეს ყურები რალაში დაგჭირდათ, ესეც პროექტის ნაწილია?

– იცი რა, გუშინ ერთი მოთხრობა დავწერე, რომელშიც გამოვხატე, რას უნდა მოიცავდეს „ელიავას ლექსიკონი“, ჰოდა, მართალია, ჯერ ზუსტად არ ვიცი, რას გამოვაბამ ამ ყურებს, მაგრამ მივხვდი, რომ ელიავას ბაზრობის ტერმინოლოგიის ლექსიკონს „ყური“ უნდა ერქვას.

როცა გეგმები საბოლოოდ დავაწყვეთ, ჩუკას დავემშვიდობე და ეზოს რკინის კარი მივიხურე, თვალი მოვკარი, რომ, იქვე, გასასვლელთან, გაზეთებგადაკრულ დაბალ მაგიდაზე უკვე 9 ცალი თეთრი ყური იყო.



15 წუთი

ნური ბილგე ჯეილანთან

# „უცხო“ კაცი

მსაუბრა: ანთა თვაური

კანის კინოფესტივალის გრან პრის მფლობელ თურქ რეჟისორს, ნური ბილგე ჯეილანს ბათუმის საავტორო კინოს მეშვედით საერთაშორისო ფესტივალზე შევხვდით. ვიცოდი, რომ ის ყურნალისტიკითან საუბარს ერიდება, ამიტომ რამდენიმე დღით ადრე დაფუკავშირდი ფესტივალის ორგანიზატორებს და ინტერვიუს შეთანხმება ვთხოვე. აღმოჩნდა, რომ ნური ბილგე ჯეილანი საქართველოში ჩამოსვლისთანავე, აჭარის მთიან სოფლებში წავიდა სამოგზაუროდ და მისი ბათუმში „გამოჭერა“ ორგანიზატორებისთვისაც რთული დავალება იყო.

საპატიო სტუმრად მოწვეულმა ჯეილანმა მასტერკლასი 19 სექტემბერს გამართა. ორსაათიანი კითხვა-პასუხის შემდეგ, დალილი და სევდიანი ჩანდა, თუმცა ინტერვიუზე უარი არ მითხრა და ზუსტად 15 წუთი დამითმო.

ნური ბილგე ჯეილანი 1959 წელს, სტამბულში დაიბადა. პირველი ფილმი 36 წლის ასაკში გადაიღო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიხვდა, რომ ინჟინრობა მისი საქმე არ იყო. თუმცა არც ის იცოდა, რისი გაკეთება სურდა მომავალში. პასუხის მოსაძებნად ის ლონდონში წავიდა. „თავს მიმტანობით და მსგავსი სამუშაოებით ვირჩენდი. ძალიან მომწყინდა იქ, ყოველდღე ან კინოში მივდიოდი, ან წიგნებს ვკითხულობდი. 6 თვის თავზე მივხვდი, რომ დასავლეთში ცხოვრება აღარ მინდოდა“, – უთხრა მან Guardian-ის ჟურნალისტს გეოვ ენდრიუსს 2003 წელს.

80-იანი წლების შუა ხანებში ის ნეპალში გაემგზავრა. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ბუდისტური სალოცავიდან მთებს გაჰყურებდა, მიხვდა, რომ სამშობლო მოენატრა. თურქეთში დაბრუნების შემდეგ სამხედრო სამსახურში დაინიშნა.

სწორედ ამ პერიოდში წააწყდა ნური ბილგე ჯეილანი რომან პოლანსკის ავტობიოგრაფიულ წიგნს „ბოშა“. ამბავი გეტოდან ჰოლივუდამდე მისთვის იმდენად გასაოცარი იყო, რომ კინორეჟისორობა გადაწყვიტა. მან კინოხელოვნება მიმარსინანის უნივერსიტეტში ორი წელი ისწავლა.

„პირველი ფილმის გადაღებამდე 10 წელი დამჭირდა. დაწყება ყველაზე რთულია, – ამბობს ჯეილანი Guardian-თან

ინტერვიუში, – არასდროს მიმუშავია რეჟისორის ასისტენტად. ფილმების გადაღების შესახებ მხოლოდ წიგნებიდან ვიცოდი“.

1995 წელს, ჯეილანმა დასთან ერთად სცენარი დაწერა და მოკლემეტრაჟიანი ფილმი „Koza“ („აბრეშუმის ჭიის პარკი“) გადაიღო. ამავე წელს, ფილმი კანის კინოფესტივალზე აჩვენეს. ამას, 1997-99 წლებში ორი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი „Kasaba“ („პატარა ქალაქი“) და „Nuages de Mai“ („ღრუბლები მაისში“) მოჰყვა.

2003 წელს ფილმისთვის „Uzak“ (შორეული) ნური ბილგე ჯეილანმა კანის გრან პრი მიიღო. 2006 წელს მან ცოლთან ერთად დაწერა სცენარი და თვითონვე შეასრულა მთავარი როლი ფილმში „Iklimler“ („კლიმატები“. შეიძლება ითარგმნოს, როგორც „წელიწადის დროები“).

2008 წელს ნური ბილგე ჯეილანი კანის კინოფესტივალზე კიდევ ერთხელ, ამჯერად ფილმისთვის „Uc Maymun“ („სამი მაიმუნი“) საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს.

ჯეილანი კანის კინოფესტივალის გრან პრის მფლობელი (ძმებ დარდენებთან ერთად), კიდევ ერთხელ 2011 წელს გახდა ბოლო ფილმით „Bir Zamanlar Anadolu’da“ („ერთხელ ანატოლიაში“).

**თქვენი ფილმები გრძელი და რთული საყურებელია. მაგალითად, ბოლო ფილმი „ერთხელ ანატოლიაში“ თითქმის სამ სა-**



**ათს გრძელდება. ერთ ინტერვიუში თქვით, რომ ხანდახან გინდათ კიდევ, მაყურებელი მოაწყინოთ. რატომ?**

ბევრი მიზეზის გამო. პირველ რიგში მოწყენილობა მნიშვნელოვანია. მგონი, ვითკენმტანინმა თქვა: „თუ ძილი სხეულის დასასვენებლად საუკეთესო საშუალებაა, მოწყენილობა სულს ასვენებსო“. მოწყენილობას ახალ რეალობასთან მიჰყავხარ, ახალ მდგომარეობაში გადაჰყავხარ, სადაც მზად ხარ – სიახლეები და შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი გადანაცვლებები მიიღო. მე ვფიქრობ, მოწყენილობა კარგი მასწავლებელია.

რაც შეეხება ბოლო ფილმს, პირველ ნაწილში, სადაც პოლიციის ჯგუფი დამნაშავესთან ერთად გვამის სამარხს ეძებს, გრძელი დიალოგები და გაუთავებელი ძებნა გიქმნის შეგრძნებას, რომ ეს მოგზაურობა არასდროს დასრულდება. მე მინდოდა, რომ ეს შეგრძნება გასჩენოდა მაყურებელს. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის გამოცდა რალაც თვალსაზრისით მაყურებლის სელექციაა. თუ აუდიტორიას არ შეუძლია რეალობის მეორე მხარეს გავიდეს, ვერ უძლებს ამ ნელ ტემპს, მაშინ ის ფილმის სათქმელსაც ვერ გაიგებს. ეს, რა თქმა უნდა, მისი გამონწვევაა.

ფილმის შემსუბუქება და გამარტივება ჩემი მოვალეობა არ არის. მე გასართობ ფილმებს არ ვიღებ.

**თქვენს ფილმებში ხშირად ასახავთ ქალაქის და პროვინციის კონტრასტულ გარემოს და მათ გაუცხოებას. რატომ ინტერესდებით ამ თემით და რისი ჩვენება გინდათ ამ დაპირისპირებით?**

მე ვფიქრობ, რომ ფილმები უნდა განსჯიდნენ იმ ღირებულებებს, რომლებშიც ვცხოვრობთ. ჩემი ცხოვრების ბევრ ეტაპზე ხელიდან გაუშვი შესაძლებლობა, გამეანალიზებინა ჩემ გარშემო არსებული ღირებულებები. პროვინციის და ქალაქის ღირებულებები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და მათი შეერთება, ნამდვილი ღირებულებების დანახვის საშუალებას გაძლევს. ეს დაპირისპირება ნათელს ხდის მათ შორის არსებულ განსხვავებას. ეს ჩანს, მაგალითად, ჩემს ფილმში „უზაკ“ („შორეული“). ჩემში ორივეა – ერთი ნაწილი პროვინციელია (ბავშვობა იქ გავატარე) და მეორე ნაწილი ქალაქელი (სადაც დღეს ვცხოვრობ).

მათ შორის მუდმივი ბრძოლაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი ჩემი შინაგანი ბრძოლის კინოში გადმოტანაა.

**დღეს მასტერკლასზე რამდენიმეჯერ გაიმეორეთ, რომ „უცხო“ ხართ საზოგადოებაში და ასეთი ფილმებიც გაქვთ. რა განაპირობებს ამ გაუცხოებას და თქვენი აზრით, როგორ ღებულობს თქვენს ფილმებს მსაყურებელი?**

უცხოდ თავს, არა მხოლოდ ჩემს საზოგადოებაში, მთელს სამყაროში ვგრძნობ. ჩემს ფილმებს მსაყურებელი როგორ ღებულობს, არ ვიცი, ეს ჩემთვის გამოცანაა. როცა ფილმებს ვიღებ, ვფიქრობ, რომ ის არავის დააინტერესებს, მაგრამ არის უმცირესობა, რომელიც ჩემს შემოქმედებას იზიარებს. ალბათ, ეს ის ადამიანები არიან, ვინც ჩემსავით უცხოდ გრძნობენ თავს.

ფილმი წყვილია და გაგზავნილი წერილია, რომელსაც მონათესავე სულები პოულობენ. არასოდეს იცი, რა წერილი მოვა ამ უკუნი სიბნელიდან.

„უცხოობა“ გრძნობაა. ის გააზრებული ქმედება არ არის. როდესაც ახალგაზრდა ხარ და ხედავ, რომ ის, რისი კეთებაც ადამიანებს მოსწონთ, შენ საერთოდ არ გაინტერესებს, გაუცხოებას ბუნებრივად გრძნობ. ეს სასიამოვნო სულაც არ არის, მეც მინდა სხვებივით მარტივი ადამიანი ვიყო, მსუბუქად ვუყურებდე მოვლენებს, მაგრამ ამას ვერ აირჩევ.

**თქვენ ფოტოგრაფიც ხართ და რეჟისორიც. რით განსხვავდება თქვენთვის თვითგამოხატვის ეს ორი საშუალება?**

ჩემთვის კინო ღრმა საკითხების გამოხატვის უფრო ძლიერი საშუალებაა. ფოტოგრაფია კი ამ კუთხით არ მაინტერესებს. ჩემი აზრით, ღრმა და უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გამოსახატავად, ფილმს მეტი პოტენციალი აქვს.

ფოტოგრაფია ჩემთვის თერაპიაა. როდესაც ფოტოებს ვიღებ მარტო ვარ – და ეს კი ყველაზე მეტად მომწონს მასში. ფილმის შექმნაში ათასობით ადამიანთან გინევს ურთიერთობა. მე მარტოობა მიყვარს. ფოტოგრაფი ღმერთივითაა, ის სამყაროს მთლიანად თვითონ ქმნის. თუმცა ჩემი თავის გამოხატავად, ის საკმარისად ძლიერი არ არის.

**თქვენს ფილმებში პოლიტიკა მცირე დოზებით არის, ის მთავარი თემა არასდროს არაა. თქვენი აზრით, რამდენად უნდა ასახავდეს კინო და ზოგადად ხელოვნება პოლიტიკას?**

პოლიტიკას ჩემთვის საკმარისი სირთულე, საკმარისი სიღრმე არ აქვს. უმარტივესია, გაიგო, რა იმალება მის მიღმა. ზედაპირზეა, ფაქტობრივად, ყველაფერი. ამიტომ ჩემში სათანადო მუხტს ვერასდროს იწვევს. ჩემი აზრით, ჟურნალისტიკა პოლიტიკის ასახვისა და გაანალიზებისთვის აბსოლუტურად საკმარისი მედიუმი. ხელოვნება უფრო მეტად ღრმა და დამაფიქრებელი თემებით უნდა ინტერესდებოდეს.

**ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ ადამიანები რეალობის მხოლოდ ერთ ნა-**

**წილს შეიცნობენ, ხოლო მეორე ნაწილის მხოლოდ გამოცნობა უნვით, იმიტომ, რომ ერთმანეთს გამუდმებით ატყუებენ, რადგან ამით საკუთარ თავს იცავენ. არის თუ არა ხელოვნება ამ რეალობის აღქმის მცდელობა?**

ჩემი აზრით, ხელოვნება ზუსტად ამისთვის არის. თუ საკუთარ თავს არ იცნობ, სხვებსაც ვერ გაიცნობ. ხშირად სხვებს იმიტომ ვეძებთ, რომ საკუთარი სულის ბნელი ნაწილები გვაინტერესებს. ადამიანების დიდმა ნაწილმა ბევრი რამ იცის, თუმცა საკუთარი თავის შესახებ – თითქმის არაფერი. სინამდვილეში საკუთარი თავის შეცნობა ყველაზე რთულია. ჩვენ საკმარისად მკაცრები არ ვართ, რომ რეალისტები ვიყოთ და ვიცნობდეთ ჩვენს თავს. ხელოვნება კატალიზატორი უნდა იყოს. ფილმმა რაღაც ახალი უნდა მითხრას ცხოვრების შესახებ.

**კრიტიკოსები და ჟურნალისტები ხშირად მელანქოლიურ რეჟისორად გასახელებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თქვენი ფილმები მელანქოლიური და რატომ?**

კი, მე მელანქოლიურ ფილმებს ვიღებ. იმიტომ, რომ ასე აღვიქვამ ცხოვრებას. და საერთოდ, რა არის მელანქოლია? ის მაშინ გეუფლება, როდესაც რაღაც განუხებს, პრობლემა გაქვს და ამის მიზეზი არ იცი.

ხელოვნება ჩემი შინაგანი მელანქოლიის დაძლევის და გაკონტროლების საშუალებას მაძლევს.





**FM**  
**სენტი**  
**98.0**





ფოტო რიჩარდ აკელენი

# გაუჩინარებული

## როგორ შევალა ფაქტმა მწერლის სხოვრება

კვტორი სლმან რაული  
17 სექტემბერი, 2012  
ინტლისურიდან თარგმნა ხათუნა სხაღაძე.

1989

მერეც, როცა სამყარო ლამის თავზე ექცეოდა, საკუთარ თავზე ბრაზობდა, ვერაფრით იხსენებდა BBC-ს რეპორტიორის სახელს, რომელმაც ამცნო, შენი ძველი ცხოვრება დამთავრდა და ახალი, ბნელით მოსილი არსებობა დაიწყო. სახლის ტელეფონზე დაურეკა ქალმა, არ აუხსნია, საიდან ჰქონდა ნომერი: „როგორი შეგრძნებაა, როცა იცი, რომ ეს-ესაა, აიათოლა ჰომეინიმ სიკვდილი მოგისაჯა?“ მზიანი სამშაბათი დღე იდგა ლონდონში. იმ შეკითხვამ თითქოს სინათლე გამორთო ქალაქში. არც კი გაუცნობიერებია, რას ამბობდა, ისე უპასუხა: „სასიამოვნო არაა“. გაფიქრებით კი გაიფიქრა: „ჩემი საქმე წასულია. ნეტავ, რამდენი დღე დამრჩა?“ მიხვდა, ეს, ალბათ, ერთნიშნა ციფრი იქნებოდა. ყურმილი დაკიდა და თავისი სამუშაო ოთახის კიბეები ჩაირბინა. იზლინგტონის უბნის ვინრო სახლი იყო, მწკრივებდა რომ დგანან, ისეთი. რატომღაც საგულდაგულოდ ჩარაზა სასადილო ოთახის ფანჯრების ხის დარაბები და შესასვლელი კარიც გადაკეტა.

წმინდა ვალენტინის დღე იყო. მის ურთიერთობას ცოლთან, ამერიკელ მწერალ მერიენ უიგინსთან, ბზარი გასჩენოდა. იმ ამბამდე ხუთი დღით ადრე უთხრა ცოლმა, ბედნიერი აღარ ვარო. კარგად აღარ ვარ შენთანო, – ასე თქვა. სულ რაღაც ერთი წელი გასულიყო მათი ქორწინებიდან, მაგრამ უკვე მანაც იცოდა, რომ შეცდნენ. ახლა ქალი უხმოდ მისჩერებოდა ქმრის

ნერვიულ მოძრაობებს: კაცი აქეთ-იქით აწყდებოდა, ფარდებს აფარებდა, ფანჯრების საკეტებს ამოწმებდა – გაუთავებლად მოძრაობდა, თითქოს ახალ ამბავს ელექტროდენივით გაევილო მასში. იძულებული გახდა, აეხსნა ცოლისთვის, რა ხდებოდა. ქალი გამოცოცხლდა, ხმამალა დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა ექნათ. თქვა – „ჩვენო“. ეს გამბედაობა იყო მისი მხრიდან.

სახლს CBS-ის მანქანა მოადგა. შეხვედრა ჰქონდა American network’s studios-ში, ნაითსბრიჯზე, სატელიტით პირდაპირ ეთერში უნდა ჩართვოდა დილის გადაცემას. „უნდა წავიდე. არ შეიძლება, ცოცხალი ეთერი აქვთ, ხომ არ გადავაგებ?“

იმ დილას, მოგვიანებით, მისი შიდასით გარდაცვლილი მეგობრის, ბრუს ჩეთინის პანაშვიდი იყო დაგეგმილი ბაისუოთერში, მოსქოუ სთრითის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. „წირვაზე მოხვალ?“ – ჰკითხა ცოლმა. არ იცოდა, რა ეპასუხა. კარი გააღო, გარეთ გავიდა და მანქანაში ჩაჯდა. მაშინ ჯერ არ იცოდა, რომ იმ სახლში, სადაც ხუთი წელი ცხოვრობდა, სანტ პიტერს სთრითის 41 ნომერში, აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ამიტომ სახლიდან გასვლის წამი მისთვის განსაკუთრებული არაფრით ყოფილა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა ამ ადგილას, როცა უკვე სხვაგან ცხოვრობდა.

CBS-ის ოფისში თვითონ იყო დღის მთავარი სიახლე. ყველას პირზე ეკერა სიტყვა, რომელიც დოლაბის ქვასავით

დატრიალდებოდა მალე მის თავზე: „ფათვა“.

„ვამცნობ ამაყ მუსულმანებს მთელს მსოფლიოში, რომ „სატანური აიების“ ავტორს, რომელიც ისლამს, წინასწარმეტყველსა და ყურანს შეურაცხყოფს, ასევე ყველას, ვინც გარეული იყო ამ წიგნის გამოქვეყნებაში და იცოდა მისი შინაარსი, სასიკვდილო განაჩენი აქვთ გამოტანილი. მე ვთხოვ მუსულმანებს, სადაც არ უნდა ნახონ ეს ადამიანები, სისრულეში მოიყვანონ განაჩენი“.

ვილაცამ ტექსტი დაუბეჭდა. მიაცილეს სტუდიაში, სადაც მისი ინტერვიუ უნდა ჩაენერათ. მის ძველ „მეს“ სურდა, გაეპროტესტებინა სიტყვა „განაჩენი“. ეს არ იყო რომელიმე იმ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლებსაც ის აღიარებდა, ან რომლის იურისდიქციაც მასზე ვრცელდებოდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ ძველ ჩვევებს უნდა გამოთხოვებოდა, რომ ახლა ახალი „მე“ ჰქონდა. ახლა ის იყო ადამიანი, რომელიც შტორმის პირისპირ დარჩა და არა ძველი სალმანი, ისეთი, როგორსაც მეგობრები იცნობდნენ. ის იყო „სატანური აიების“ ავტორი რაშიდ; ავტორი წიგნისა, რომლის სათაურიც ოსტატურად დაამახინჯეს არტიკლის ჩამოშორებით. The Satanic Verses რომანი იყო, Satanic Verses კი – სატანურად მიჩნეული აიები, და ის იყო მათი სატანური ავტორი.

ერთი უცხოელი კორესპონდენტი მეგობრულად გამოელაპარაკა. იმ კაცს ჰკითხა, რას ფიქრობთ ჰომეინის განცხადებაზე, მხოლოდ რიტორიკულ

ბაქიაობად მიგაჩნიათ, თუ რეალურ საფრთხედო? „ასე ნუ იჯავრებთ – უთხრა ჟურნალისტმა – ჰომინი ყოველ პარასკევს საღამოს უსჯის სიკვდილს ამერიკის პრეზიდენტს“.

ეთერში ჰკითხეს, როგორ უპასუხებდა ამ მუქარას. „ვისურვებდი, უფრო მწვავედ კრიტიკული წიგნი დამეწერა“. ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ამაცობდა. ამაცობდა მაშინაც და მერცე. მართალს ამბობდა: სულაც არ ფიქრობდა, რომ მისი წიგნი განსაკუთრებულად აკრიტიკებდა ისლამს. და რელიგიას, რომლის ლიდერებიც ამგვარად იქცევიან, ცოტა კრიტიკა არ აწყენდაო, – ასე თქვა იმ დილას ამერიკული ტელევიზიის ეთერში.

ინტერვიუს ბოლოს უთხრეს, რომ ცოლი ეძებდა. შინ დარეკა. „აქ არ დაბრუნდე – უთხრა მერიენმა – ორასი ჟურნალისტი ჩასაფრებული სახლთან, ტროტუარზე“.

დედამისი და მისი უმცროსი და ყარაჩიში, პაკისტანში ცხოვრობდნენ. რა ელოდა მათ? შუათანა და დიდი ხნის წასული იყო ოჯახიდან, კალიფორნიაში, ბერკლიში ცხოვრობდა. უსაფრთხოდ იქნებოდა იქ? უფროსი და კი სამეენი, მისი „ირლანდიელი ტყუპისცალი“, უემბლიში იყო, ოჯახთან ერთად, სტადიონთან ახლოს ცხოვრობდნენ. ვინმე დაიცავდა მათ? ანდა შვილი, ზაფარი? ბავშვი დედასთან, კლარისასთან ერთად ცხოვრობდა, კლისოლდის პარკთან. სამ თვეში ათი წლის გახდებოდა. უცებ ისე შორეულად მოეჩვენა ზაფარის მეთავე დაბადების დღე...

თიატირის ეპარქიის წმინდა სოფიას ტაძარი ძველი ბიზანტიური კათედრალის ყაიდაზე იყო ნაგები. წკრიალა, იდუმალ ბერძნულზე წირავდნენ.

ის და მერიენი მარტინ ემისის და მისი ცოლის, ანტონია ფილიპის გვერდით ისხდნენ. „ძალიან ველავთ თქვენზე“, – უთხრა მარტინმა. უხერხულად იგრძნო თავი: „მეც ველავ ჩემზე“, – უპასუხა. მათ უკან პოლ ტერუ იჯდა. „მგონი, მომავალ კვირას თქვენ გამო მოგვიწვეს ამ ტაძარში შეყრა, საღამან“ – ჩაულაპარაკა.

მოსკოუ სთრითზე ჟურნალისტები ისე ფუთფუთებდნენ, როგორც მამრე-

ბი დედა ფუტკრის მოლოდინში. ფოტოგრაფები ერთმანეთს მოტორტმანე კოშკებით ადგებოდნენ მხრებზე, თან ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ. ის დაბნეული მისჩერებოდა ამ სანახაობას, თვალებს ჭუტავდა, ვერ გაეგო, საით წასულიყო. მანქანამდე შეუმჩნევლად მისვლა შეუძლებელი იყო, რამდენიმე ასეული მეტრი უნდა გაეყო, კამერებიანი, მიკროფონებასხმული ტიპები აედევნებოდნენ, საგანგებოდ დარაჯობდნენ გარეთ. მეგობარმა, ალან იენტობმა – BBC-ს რეჟისორმა და წამყვანმა – ისხნა. მანქანი გაარღვია ხალხი, ტაძრის კართან გაუჩერა და გამოსძახა: „დაჯექი“. რამდენიმე წამში გაცალნენ აყაყანებულ ჟურნალისტებს. ნოთინგ ჰილს შემოუარეს. დიდი წრე გააკეთეს, სანამ ტაძრის გარეთ ბრბო არ დაიშალა და მერე უკან, მის „საბთან“ დაბრუნდნენ. ის და მერიენი მანქანაში ჩასხდნენ. უცებ დარჩნენ მარტო. „სად წავიდეთ?“ – ჰკითხა ცოლს, თუმცა პასუხი ორივემ იცოდა. მერიენს ცოტა ხნის წინ ექირავებინა პატარა ნახევრსარდაფი ლონსდეილის მოედნის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში, იზლინგტონში, სენტ პიტერის ქუჩიდან ახლოს. ვითომ სამუშაოდ უნდოდა ის ბინა, ნამდვილი მიზეზი კი მათი დაძაბული ურთიერთობა იყო, სულ უფრო რომ უარესდებოდა. სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა იმ ბინის შესახებ. იქ რამეს მოიფიქრებდნენ, გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. გზაში ხმა არ ამოუღიათ: სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

საღამო მოახლოებული იყო. იმ დღეს მათი ქორწინების სიძნელეებს თითქოს მნიშვნელობა დაეკარგა. თიერანის ქუჩებში ბრბო მის თვალვებდათხრილ სურათებს აფრიალებდა, გვამს ჰგავდა ფილმიდან „ჩიტები“: ნისკარტით ამოკორტნილი თვალების ჩაშავებული ბუდეებიდან თითქოს სისხლი სდიოდა.

ზაფარი უნდა ენახა. კლარისას და ზაფარის სახლთან პოლიცია დაინახა. „აქ ყოფილხართ, – უთხრა ოფიცერმა, – გინდოდა, გაგვეგო, სად წახვედით“.

„მამა, რა ხდება?“ – ბიჭს ისეთი სახე ჰქონდა, როგორც არასდროს არ უნდა ჰქონდეს ცხრა წლის ბავშვს.

„ახლა ვეუბნებოდი, რომ დაგიცა-

ვენ, სანამ ეს ყველაფერი ჩაივლის, და ყველაფერი კარგად იქნება“, – უთხრა კლარისამ და ისე მოეხვია ყოფილ ქმარს, როგორც არასდროს მოჰხვეოდა მას დაშორების შემდეგ...

„უნდა ვიცოდეთ, რა გეგმები გაქვთ უახლოეს დღეებში“, – უთხრა ოფიცერმა.

ის წამით დაფიქრდა. „აღბათ სახლში წავალ“, – უპასუხა ბოლოს.

„არა, სერ, ამას არ გირჩევთ“.

მერე ლონსდეილის მოედნის ბინის შესახებ გაუხილა, სადაც მერიენი ელოდებოდა. „არავინ იცის, რომ იქ იქნებით, სერ?“

„არა, ოფიცერო, ამ ბინის არსებობა არავინ იცის“.

„კარგია. თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, დღეს ნულარ გამოხვალთ გარეთ. შეხვედრებია დაგეგმილი და ხვალ შეგატყობინებენ მათ შედეგებს, რაც შეიძლება, მალე. იქამდე სახლში დარჩით“.

მერე შვილს დაელაპარაკა. ჩახუტებული ელაპარაკებოდა, გადწყვიტა, რაც შეიძლება, მეტი აეხსნა ბავშვისთვის, უსაფრთხოდ, მსუბუქად წარმოეჩინა ყოველივე. ეს ერთადერთი გზა იყო, დახმარებოდა ზაფარს იმის აღქმაში, რაც ირგვლივ ხდებოდა და რისი მოსმენაც ბავშვს უეჭველად ელოდა სკოლის სათამაშო მოედანზე თუ ტელევიზორში.

„ხვალ გნახავ, მამა?“

მან თავი გააქნია. „მაგრამ, დაგირეკავ. ყოველ საღამოს დაგირეკავ, შვიდ საათზე“ „თუ სადმე წახვალთ – მიუბრუნდა მერე კლარისას – გთხოვ, შეტყობინება დამიტოვე და დამიბარე, როდის დაგირეკო“. ეს შორეული 1989 წელი იყო. სიტყვები „კომპიუტერი“, „ლეპტოპი“, „მობილური ტელეფონი“, „ინტერნეტი“, „ვიფი“, „ტექსტური შეტყობინება“ და „ელექტრონული ფოსტა“ ჯერ არ იხმარებოდა, ან ძალიან ახალი იყო. მას არც კომპიუტერი ჰქონდა და არც მობილური. მაგრამ სახლი ჰქონდა, სახლის ტელეფონს კი – ავტომოპასუხე. „შვიდ საათზე – გაუმეორა – ყოველ საღამოს, კარგი?“

შინ მარტო დაბრუნდა. რადიოში ცუდ ამბებს გადმოსცემდნენ. ჰომინი მარტო ძალაუფლების მქონე კლერიკა-

ლი არ იყო. ის სახელმწიფოს მეთაური იყო და უკვეთავდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მკვლელობას, რომელზეც მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. მკვლელთა მთელი არმია ჰყავდა, რომელსაც ის ადრე ირანული რევოლუციის „მტრების“ წინააღმდეგ იყენებდა, იმათი ჩათვლითაც, ვინც ირანის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა. ერთხელ ვოლტერმა თქვა, მწერლისთვის ქვეყნის საზღვართან ახლოს ცხოვრება სჯობია, თუ ერთ დღესაც ხელისუფალს განარისხებ, სწრაფად გადაკვეთ საზღვარს და თავს გადაირჩენო. თავად ვოლტერსაც მოუწია საფრანგეთის დატოვება და ინგლისში გაქცევა, როცა შვეალიე დე როანი განარისხა. სამ წელიწადზე მეტი გაატარა დევნილობაში. მაგრამ ახლა საზღვარგარეთ ცხოვრება უსაფრთხოებას არ ნიშნავდა. ახლა მღვეარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც მოქმედებდა.

ლონსდეილზე გატარებული პირველი ღამე ცივი და ბნელი იყო. მოედანზე ორი პოლიციელი იდგა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, ვითომ ვერ შენიშნეს. ბინის ახლო-მახლო ქუჩებზე პატრულირებდნენ. სახლშიც კი ესმოდა მათი ნაბიჯების ხმა. და იმ ნაბიჯების ხმაში გააცნობიერა, რომ საკუთარი ცხოვრების ხმა აღარ ესმოდა, ცხოვრების, თუ იმის, რადაც მისი ცხოვრება გადაქცეულიყო.

მერიენი ადრე დანვა. გვერდით როცა მიუწვა ცოლს, ქალი გადმობრუნდა და მოეხვია, რაღაცნაირად, უხერხულად, ისე, როგორც მათნაირ წყვილს შეშვენოდა: წყვილს, რომელიც ბედნიერი არ იყო. ასე ჩაეძინათ. ცალ-ცალკე, თითოეულს საკუთარი ფიქრების მოტყუების მცდელობაში.

1966

კემბრიჯში მეორე კურსზე იყო, როცა „სატანურ აივებზე“ გაიგო პირველად. ისტორიის ბაკალავრის კურსის მეორე ნაწილში სამი „სპეციალური საგანი“ უნდა შეერჩია და მესამე საგნად იმ წელს სიაში პირველად ჩასმული თემა – „მუჰამედი, ისლამის აღმავლობა და ადრეული ხალიფატი“ – შეარჩია. მისი ხელმძღვანელი არტურ ჰიბერტი იყო, შუა საუკუნეების მკვ-

ლევარი, გენოსი, რომელზეც ლეგენდებს ჰყვებოდნენ.

ერთობლივი მუშაობის დასაწყისში ჰიბერტმა რჩევა მისცა, რომელიც არასოდეს დაგინწყია: „არასოდეს შეუდგე ისტორიის წერას, ვიდრე ყურში არ ჩაგესმება ამ ისტორიის მონაწილეთა ხმები“. ჰიბერტის სიტყვებზე ის ოთხ წელს ფიქრობდა და მისთვის ეს რჩევა მთავარ პრინციპად იქცა რომანების წერაშიც კი. თუ ვერ გრძნობ, როგორ ლაპარაკობენ ადამიანები, კარგად არ იცნობ მათ, ვერ შეძლებ – არ შეიძ-

**ლონსდეილზე  
გატარებული  
პირველი ღამე სივი  
და ბნელი იყო.  
მოედანზე ორი  
პოლიციელი იდგა.  
სახლშიც კი ესმოდა  
მათი ნაბიჯების ხმა.  
და იმ ნაბიჯების  
ხმაში გააცნობიერა,  
რომ საკუთარი  
ცხოვრების ხმა აღარ  
ესმოდა, ცხოვრების,  
თუ იმის, რადაც  
მისი ცხოვრება  
გადაქცეულიყო.**

ლება – მოჰყვე მათი ამბავი. ის, თუ როგორ ლაპარაკობენ ადამიანები, უამრავ რამეს გვამცნობს მათზე: გეოგრაფიულ თუ სოციალურ წარმომავლობას, ხასიათს, ტემპერამენტს. და ამ ტემპერამენტის მიღმა ჩანს მათი ნამდვილი ბუნება, ინტელექტუალური თუ მინიერი, გულლია თუ გულჩახვეული და, დიახ, კარგი თუ ცუდი. მეტი რომ არაფერი ესწავლა არტურისგან, ესეც იკმარებდა. მაგრამ მან ბევრად მეტი ისწავლა. შეიცნო მთელი სამყარო. და იმ სამყაროში იყო დაბადებული მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგია.

ეს ხალხი მომთაბარეები იყვნენ, ახლახან დაეწყოთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დასახლება. ახალი ქალაქები ჰქონდათ. მექა სულ რამდენიმე თაობის წინ იყო დაარსებული. იათრიბი, რომელსაც მოგვიანებით შედინა ეწოდა, ოახისის ირგვლივ არსებული დასახლება იყო, გალავნის გარეშე. მომთაბარე საზოგადოება კონსერვატორული ნესებით ცხოვრობდა, ჯგუფის კეთილდღეობა ინდივიდუალურ თავისუფლებაზე მაღლა იდგა, თუმცა პირველი შეიცავდა მეორეს. საზოგადოება მატრიარქატს ემყარებოდა. დიდ ოჯახებად მცხოვრებ ხალხში ობლებსაც კი ჰქონდათ დაცულობის, იდენტობის, ჯგუფისადმი მიკუთვნების შეგრძნება. მაგრამ ერთ ადგილას დასახლების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ქალაქმა პატრიარქალური სტრუქტურა მოიტანა: ახლა მემკვიდრეობა მამაკაცის ხაზით გადადიოდა. ასე ისურვეს მმართველმა ოჯახებმა.

ქალაქის შესასვლელების გარეთ სამი ღვთაების ტაძრები იდგა: ალ-ლათის, ალ-მანათის და ალ-უზასი. ყოველთვის, როცა მოვაჭრეთა ქარავნები ქალაქის ზღუდეს კვეთდნენ, რომელიმე ტაძართან ჩერდებოდნენ და შესანიშნავს უძღვნიდნენ მას. ან, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ბაჟს იხდიდნენ. ტაძარს მექას უმდიდრესი ოჯახები აკონტროლებდნენ და მათი ქონების დიდი ნაწილი სწორედ იმ შემონირულობებისაგან შედგებოდა. ღვთაება ახალი ქალაქის ეკონომიკის ბირთვი იყო, ახალჩასახული ურბანული ცივილიზაციის გული.

ქალაქის ცენტრში მდებარე შენობა, რომელიც ქაბას, იგივე კუბის, სახელითაა ცნობილი, მიედგნა ღვთაებას „ალაჰ“, რაც ნიშნავდა „ღმერთს“. ალაჰი მამაკაცი ღვთაება იყო, ალ-ლათი – ქალი. ალაჰი უჩვეულო იმით იყო, რომ მას არ ჰქონდა „სპეციალიზაცია“: ის არ იყო არც ნვიმის, არც კეთილდღეობის, არც ომების, არც სიყვარულის ღმერთი; ის იყო უბრალოდ ყოველივეს ღმერთი. ამის გამო თავიდან მას ნაკლებად ეთავყვანებოდნენ. ხალხი, როგორც წესი, კონკრეტული მიზეზების გამო სწირავდა ღმერთებს შე-

სანირს: შვილის ჯანმრთელობისთვის, საქმის, ხელობის წარმატებისთვის, გვალვის თავიდან ასაცილებლად, სასამართლო დავის მოსაგებად, სიყვარულისთვის. ასე რომ, ხალხს საკუთარი დარგის ექსპერტი ღმერთები ერჩივნა ამ არაკონკრეტულ, ყოვლისმომცველ ღვთაებას.

კაცი, რომელმაც ალაჰი ამ მდგომარეობას ამოგლიჯა, მის მოციქულად იქცა და ძველი აღთქმის ერთარსება და ახალი აღთქმის სამარსება ღმერთის ტოლ-სწორად აქცია, მუჰამედ იბნ აბდულა იყო, ბანუ ჰაშიმის გვარიდან. მუჰამედ იბნ აბდულას უნარიანი ვაჟისა და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა. ოცდახუთი წლის ასაკში მას მდიდარმა, მასზე უფროსმა ქალმა, ჰადიჯამ დაქორწინება შესთავაზა. მომდევნო თხუთმეტი წლის მანძილზე მუჰამედ იბნ აბდულა წარმატებით ვაჭრობდა და ქორწინებაშიც ბედნიერი იყო, მაგრამ დროდადრო განმარტოების მოთხოვნილებაც ჰქონდა, ამიტომ ხანდახან რამდენიმე კვირას განდევნილობაში ატარებდა ხოლმე ჰირას მთის გამოქვაბულში. ორმოცი წლისას ანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და უბრძანა, შეეთხზა აიები, რომლებიც ახალ წმინდა წიგნში, ყურანში შევიდოდა. თავიდან მუჰამედმა იფიქრა, რომ გააგჟდა. ანგელოზის სიტყვებს მხოლოდ მას შემდეგ დაუჯერა, როცა ცოლმა და მეგობრებმა დაარწმუნეს, მთაზე დაბრუნებულიყო და დარწმუნებულიყო, მართლა ცდილობდა თუ არა ღმერთი მასთან დაკავშირებას.

შემდეგ, ვაჭარი ღმერთის მაცნედ იქცა. ყურანის ეთოსი, ღირებულებათა სისტემა, რომელსაც ის ქადაგებდა, არსებითად მომთაბარე არაბთა გაუჩინარებული კოდექსი იყო: მატრიარქალური, უფრო მზრუნველი საზოგადოება, რომელიც ობლებს სიცივეში არ დაყრიდა, მუჰამედისნაირ ობლებს, რომელსაც იმედი ჰქონდა, თუკი ვაჭრობაში გამიმართლებს და საქმეს ავანყობ, ქალაქის მმართველ ორგანოებშიც დავიმკვიდრებო ადგილს. მაგრამ მაღალ საზოგადოებაში ის არ შეუშვეს, რადგან არ ჰყავდა ძლიერი ოჯახი, რომელიც მუჰამედზე იზრუნებდა.

იყო ამაში რალაც მომხიბლავი პარადოქსი: არსებითად კონსერვატიული დოქტრინა, რომელიც სინანულით, სიყვარულით იყურებოდა უკან, გამქრალი კულტურისაკენ, რევოლუციურ იდეად იქცა. ადამიანები, რომლებსაც ის იზიდავდა, ურბანიზაციის პროცესის მიერ მარგინალიზებულები იყვნენ. ისინი, ვინც არავის უყვარდა, ქუჩის ბრბო. შესაძლოა, სწორედ ამის გამო იყო, რომ ისლამი – ახალი იდეა – ასე აშინებდა მექას ელიტას; რატომაც სდევნიდნენ მას ასე სასტიკად, და – შესაძლებელია – მის დამფუძნებელს ამიტომაც შესთავაზეს მიმზიდველი გარიგება, რათა თავი „გამოესყიდა“ ამ ვითარებიდან.

ისტორიული დოსიე არასრულია, მაგრამ ჰადისების – იგივე მუჰამედის ცხოვრების ეპიზოდების – კრებულების უმრავლესობაში ნახსენებია შემთხვევა, რომელიც მოგვიანებით „სატანური აიების“ სახელით გახდა ცნობილი. წინასწარმეტყველი ერთ დღეს მთიდან ჩამოვიდა და წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც შემდეგ 53-ე სურაში შევიდა. მასში იყო შემდეგი სიტყვები: „განა გინახავთ თქვენ ალ-ლათი და ალ-უზა ანდა მანათი, მესამე სხვა?... და არ ზეგარდმოუვლენია ალაჰს მათზე რაიმე საბუთი... მათ კი უკვე მოუვიდათ თავიანთი უფლისაგან წინამძღვარობა“ (ყურანი, სურა 53-ე, „ვარსკვლავი“, აია 19-22. გიორგი ლოლუანიძის თარგმანი). მოგვიანებით კი – რამდენიმე დღისა თუ კვირის (თუ თვის?) შემდეგ მუჰამედი კვლავ ავიდა მთაზე და იქიდან შეცბუნებული და დაბნეული დაბრუნდა. თქვა, რომ წინა გამოცხადებაზე მოატყუეს, დემონი გამოეცხადა მას ანგელოზის სამოსში, ამიტომ მისი შეთხზული აიები ღვთიური კი არა, სატანური იყო და ისინი ყურანიდან უნდა ამოეღოთ.

ამგვარად, ტექსტი განიწმინდა დემონის ხელისგან. მაგრამ კითხვები რჩება: რატომ მიიღო მუჰამედმა „ცრუ გამოცხადება“ თავიდან მართლად? რა მოხდა მექაში ორ – სატანურ და ღვთიურ – გამოცხადებას შორის? რატომ უარყო წინასწარმეტყველმა საკუთარი სიტყვები? დასავლეთის ისტორიკოსები ამ ეპიზოდის პოლიტიკურ-

რად მოტივირებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ. სამი ღვთაების ტაძრები ეკონომიკურად მნიშვნელოვანი იყო ქალაქის მმართველი ელიტისთვის. მუჰამედი ამ ელიტის მიღმა იყო, მისი აზრით, უსამართლოდ. შესაძლოა, მას რალაც ამგვარი გარიგება შესთავაზეს: თუ ისლამის მიმდევრები სხვა ღვთაებებსაც სცემდნენ თავყვანს, არა როგორც ალაჰის თანასწორთ, მაგრამ თუნდაც როგორც მეორად, უფრო დაბლა მდგომ არსებებს, მაგალითად, ანგელოზებს (ისლამში უკვე იყვნენ ანგელოზები), რატომ არ შეიძლებოდა, მათ რიცხვს კიდევ სამი ღვთაება დამატებოდა, რომლებიც უკვე აღიარებულები იყვნენ მექაში? – მაშინ მუსლიმთა დევნა შეწყდებოდა, თავად მუჰამედი კი ქალაქის მმართველ საბჭოში გაინალდებდა ადგილს. ალბათ, სწორედ ამ ცდუნებას ვერ გაუძლო წინასწარმეტყველმა.

და რა მოხდა მაშინ? შეუძლებელია დანამდვილებით ამის თქმა. მაგრამ ყურანი ამბობს, როგორ ცდიდა და აწრთობდა ცდუნება ყველა წინასწარმეტყველს. 22-ე სურაში წერია: „და არ წარმოგვიგზავნია შენამდე ერთი მოციქული და წინასწარმეტყველიც კი, რომ აჰა, შაითანს არ ესურვებინა მისი გაბმა თავის მახეში“ (ყურანი, სურა 22-ე, „ჰაჯი“, აია 51. გიორგი ლოლუანიძის თარგმანი). და თუ „სატანური აიების“ ეპიზოდი მუჰამედის გამოცდა იყო, მან საკმაოდ კარგად გაართვა მას თავი. ორივე მოვალეობა შესასრულა: აღიარა, რომ ცდუნება ეწვია და დაამტკიცა, რომ გაუმკლავდა მას...

მშვენიერი ამბავია – ფიქრობდა ის, როცა ამ ამბებს კითხულობდა, კემბრიჯში. მაშინ უკვე ოცნებობდა მწერლობაზე და ეს ისტორიაც გონებაში საგულდაგულოდ გადაინახა – მომავლისთვის. თუმცა, მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ აღმოაჩინა სინამდვილეში ამ ამბის მთელი მშვენიერება.

1984

გონებაში რომანი უმწიფდებოდა, თუმცა ჯერ მკაფიოდ ვერ ხედავდა მას. დაახლოებით ზომავდა სივრცესა და დროს და ხედებოდა, რომ დიდტანიანი, სათავგადასავლო წიგნი იქნე-

ბოდა. ეს სწორად განჭვრიტა. იმ სამყაროებს ეხებოდა, რომლებსაც მისი ფესვები უკავშირდებოდა. და ის სამყაროები ახლა უკიდურესად განსხვავებულ სამყაროსთან უნდა დაეკავშირებინა, იმასთან, სადაც ცხოვრების ძირითადი ნაწილი გაეტარებინა. ფიქრობდა, რომ სწორედ ეს იქნებოდა მისი რომანის ბირთვი და არა ინდოეთი, პაკისტანი, პოლიტიკა ან მაგიური რეალიზმი. ეს იქნებოდა მისი თავსატეხი კარიერის ბოლომდე, ეს დიდი საკითხი: მსოფლიოს შერწყმა. ამაში არა მხოლოდ აღმოსავლეთის დენა იგულისხმება დასავლეთისკენ, ან დასავლეთისა – აღმოსავლეთისკენ, არამედ ისიც, თუ როგორ ქმნის, ფორმას აძლევს ნარსული ანმყოს, თუმცა კი ანმყოს მიხედვითაც გვეცვლება ნარსულზე შეხედულება; როგორ ხდება, რომ ნარმოსახვითი სამყარო, ოცნებების, ხელოვნების, გამოგონების – და, დიახ, რწმენის სამყაროც კი, ზოგჯერ სცდება იმ ზღვარს, რომელიც მას „რეალური“ სივრცისაგან ყოფს; ანუ ყოფს იმ სივრცისაგან, რომელშიც ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცხოვრობენ.

ეს ჰქონდა ხელთ: მიგრანტების, ან, როგორც ბრიტანეთში ამბობენ ხოლმე, „იმიგრანტების“ ჯგუფები, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და ბანგლადეშიდან ჩამოსული ადამიანები, რომელთა პირადი თავგადასავლის კვალდაკვალ შეეძლო გამოეკვლია აქაური თუ იქაური, მაშინდელი თუ ახლანდელი, რეალობისა თუ ოცნებების, შერწყმაცა და დაშლაც. რომანის დასაწყისში შემოყავდა პერსონაჟი სახელად სალაჰუდინ ჩამჩაუალა, ინგლისურ ყაიდაზე – სალადინ ჩამჩა, რომელსაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამასთან და ინგლისელობას აფარებდა თავს. ჩამჩა უნდა ყოფილიყო ფესვებდაკარგული ადამიანის პორტრეტი, რომელმაც უარყო მამა, სამშობლო, ეროვნება და ინგლისელი გახდა, თუმცა ინგლისი ბოლომდე მაინც არ უშვებდა მას: ჩამჩა მსახიობი იყო და იქამდე, სანამ რადიოში, ან სატელევიზიო გახმოვანებებზე მუშაობდა, ანუ, სანამ არ ჩანდა, მშვენივრად მისდიოდა საქმე. თუმცა, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩამჩას, მიუხედავად მისი ანგლოფილისა, „ინ-

გლისელების ფერადი ტელევიზორების შესაფერისი კანის ფერი არ ჰქონდა“.

ჩამჩას საპირისპირო სახე... ალბათ, დაცემული ანგელოზი უნდა ყოფილიყო. 1982-ში, მსახიობი ამიტაბჰ ბაჩანის, ბომბეის უდიდეს კინოვარსკვლავს, ბენგალორში გადაღებებზე რაღაც ილეთის შესრულებისას, ელენთა გაუსკდა. მსახიობი ბენვზე გადარჩა. თვეების მანძილზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას ყველა გაზეთის პირველი გვერდი ეთმობოდა. მდგომარეობა უკიდურე-

**„მიგრაცია, –  
ჩანერა თავის ნიგნაკში –  
საძირკველს ურყევს მიგრანტში  
ყველაფერს:  
თვითშეზნებას,  
კულტურას, რწმენას.  
და თუ ეს რომანი  
მიგრაციაზეა, მასში  
უნდა დაისვას ეს  
პრობლემა“.  
და მერე დანერა  
ფრაზა: „სატანური  
აიეზი“.**

სად მძიმე იყო, მთელი ერი გასუსული ელოდა სიახლეებს. მსახიობის კომიდან გამოსვლას მესიის მოვლინების ეფექტი ჰქონდა. სამხრეთ ინდოეთში იყვნენ მსახიობები, რომლებსაც ლამის ღმერთებად აღიქვამდა ხალხი, რადგან ამა თუ იმ მითოლოგიურ ფილმში ამა თუ იმ ღვთაებას განასახიერებდნენ. ბაჩანი ასეთი როლის გარეშეც ღმერთკაცად იქცა. მაგრამ რა მოხდებოდა, რომ იმ ღმერთკაც მსახიობს, რომელსაც ასეთი საშინელება შეემთხვა, გასაჭირში ეხმო თავისი ღმერთისთვის და პასუხი ვერ მიეღო? რა მოხდებოდა, რომ ღმერთის დუმილის შედეგად ამ კაცს საკუთარ რწმენაში ეჭვი შეჰპარვოდა, ან სულაც დაეკარგა იგი? ასეთი

სულიერი კრიზისის დროს გონებრივ სიმხნვევსაც უნდა ელაღატა მისთვის? რაღაცას გაქცეოდა, ნახევარი სამყარო შემოველო და ის კი დაინწყებოდა, რომ საკუთარ თავს ვერ გაექცევი? რა უნდა რქმეოდა ასეთ ჩამოვარდნილ ვარსკვლავს? სახელი უცებ მოუვიდა აზრად, თითქოს მარად ელოდა და როგორც იქნა, დაიჭირა: გიბრეელი. ანგელოზი გაბრიელი, გიბრეელ ფარიშტა. გიბრეელი და ჩამჩა: ორი დაბნეული სული, უსახლკაროთა ჭერახდელ კონტინუუმში. ისინი იქნებოდნენ მისი მთავარი გმირები.

„მიგრაცია, – ჩანერა თავის ნიგნაკში – საძირკველს ურყევს მიგრანტში (ინდივიდი იქნება ეს, თუ ჯგუფი) ყველაფერს: იდენტობას, თვითშეგნებას, კულტურას, რწმენას. და თუ ეს რომანი მიგრაციაზეა, მასში უნდა დაისვას ეს პრობლემა. ამ რომანმა თავად უნდა განასახიეროს კრიზისი, რომელსაც აღწერს“.

და მერე დანერა ფრაზა: „სატანური აიეზი“.

ნიგნის წერას ხუთ წელიწადზე მეტი მოანდომა. და როცა სცადა, მისი ნაშრომი უბრალო „შეურაცხყოფამდე“ დაეყვანათ, მას უნდოდა ეპასუხა, შეურაცხყოფას ამდენი დრო არ სჭირდება, ხალხის აბუჩად აგდებას გაცილებით სწრაფად მოვახერხებდით. მის ოპონენტებს უცნაურად სულაც არ მოსჩვენებიათ ის, რომ სერიოზული მწერალი თავისი ცხოვრების მეათედს რაღაც შეურაცხყოფელის შექმნაზე ხარჯავდა. უცნაურად არ მოსჩვენებიათ იმიტომ, რომ მათ უარი თქვეს, აღექვათ ის, როგორც სერიოზული მწერალი. მასზე და მის ნიგნზე თავდასხმისათვის სჭირდებოდათ, ის ცუდ ადამიანად, მოლაღატედ, სახელის, დიდებისა და კეთილდღეობის უნამუსო მაძიებლად წარმოეჩინათ, ოპორტუნისტად, რომელმაც „ისლამი შეურაცხყო“ საკუთარი გამორჩენის მიზნით. სწორედ ამას ნიშნავდა სიტყვები, რომლებსაც გამუდმებით იმეორებდნენ მისი მისამართით: „მან ეს განზრახ გააკეთა“. რა თქმა უნდა, რომ განზრახ გააკეთა: განა, შეიძლება, ადამიანმა ორასორმოცდაათი ათასი სიტყვა შემთხვევით დანეროს? სა-

ქმე ისაა – როგორც ბილ კლინტონმა თქვა ერთხელ – ამ „ეს“-ში რას ვიგულისხმებთ.

ირონიული ქეშმარიტება ის იყო, რომ ორი რომანის შემდეგ, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა ინდოეთის სუბკონტინენტის საზოგადოებრივ ისტორიას, მისთვის ეს წიგნი უფრო პირადი კვლევა, ჩაღრმავება იყო; პირველი მცდელობა, დაენერა წიგნი მიგრაციისა და მეტამორფოზის საკუთარი გამოცდილების მიღმა. მისთვის ეს წიგნი ყველაზე ნაკლებ პოლიტიკური იყო სამიდან. ისლამის წარმოშობის ისტორიიდან აღებული მასალა კი, მისი აზრით, არაფრით შეურაცხყოფდა ისლამის წინასწარმეტყველს, უფრო მეტიც, აღფრთოვანებას გამოხატავდა მისდამი. იმ მასალაში მოციქული ისე იყო წარმოჩენილი, როგორც თავად სურდა მუდამ: არა ღვთიურ ფიგურად, არამედ – ადამიანად. ის წარმოჩენილი იყო, როგორც თავისი დროის კაცი და თან – როგორც ლიდერი, რომელსაც ცდუნებაც სძლევს და მასთან გამკლავების უნარიც შესწევს.

1988

„სატანური აიების“ ბრიტანული გამოცემა 1988 წლის 26 სექტემბერს გამოვიდა, ორშაბათს. მომდევნო კვირების მანძილზე ეს გამოცემა ლიტერატურულ მოვლენად იქცა. მართლა იმსახურებდა წიგნი ამას? მართლა სჯობდა ის „შუალამის ბავშვებს“, როგორც ვიქტორია გლენდინინგი ამბობდა „თაიმსში“? თუ ჰერმიონ ლის „ობსერვერში“ დაბეჭდილი მკვახე შეფასებისამებრ, ეს იყო „რომანი, რომელიც ზღაზვნით მიგათრევდა აუტანელი მონყენილობისკენ“?

თუმცა, ძალიან მალე მსჯელობის ლიტერატურული ენა სულ სხვა დისკურსის კაკოფონიაში ჩაიკარგა: ატყდა პოლიტიკური, რელიგიური, სოციოლოგიური, პოსტკოლონიალისტური ყაყანი და ხარისხის, მხატვრული ჩანაფიქრის თემა ლამის სრულიად უმნიშვნელო გამოჩნდა. არსებული წიგნი თითქოს გაქრა და ის არარსებულმა წიგნმა ჩაანაცვლა, რომელშიც რაშიღი „უქნარებსა და ნადირებს“ უწოდებს წინასწარმეტყველსა და მის თანამოა-

ზრეთ. სწორედ ამ არარსებულ წიგნს დაატყდა თავს ისლამის რისხვა და ამიერიდან თითქმის აღარავინ ახსენებდა ნამდვილ წიგნს, ჰერმიონ ლის უარყოფით შეფასებას თუ არ ჩავთვლით – ის ნამდვილად მას ეხებოდა.

როცა მეგობრები ეკითხებოდნენ, რით დაგეხმაროთო, სთხოვდა, „ტექსტი დაეცვათ“. თავდასხმა მეტისმეტად კონკრეტული იყო, დაცვა კი – ძირითადად – მეტისმეტად ზოგადი. დამცველები, როგორც წესი, სიტყვის თავისუფლების უზენაეს პრინციპს იშველიებდნენ. მას კი იმედი ჰქონდა, რომ უფრო კონკრეტული გზით დაიცავდნენ, გრძნობდა, რომ ეს სჭირდებოდა: ის, რაც, მაგალითად, „ლედი ჩეთერლის საყვარლის“, „ულისეს“ ან „ლოლიტას“ შემთხვევაში მოხდა, როცა ამ წიგნებს თავს ესხმოდნენ. მის შემთხვევაში გააფთრებულები უტყვენ არა ზოგადად რომანს ან სიტყვის თავისუფლების პრინციპს, არამედ – სიტყვების კონკრეტულ, სპეციფიკურ ნაკრებს და მათი ავტორის განზრახვას, მიზანს, პატიოსნებასა და უნარს. ფულისთვის გააკეთა ეს. ებრაელებმა დაუკვეთეს. არავინ იყიდდა მის ულიმდამო წიგნს, ისლამი ლაფში რომ არ ამოესვარა. ასეთი იყო შეტევა. „სატანურ აიებს“ არ აცადეს, რომანის ცხოვრებით ეცხოვრა: დააკნინეს და დაამახინჯეს, შეურაცხყოფამდე დაიყვანეს. ავტორი კი ლაფის მსროლელად გამოიყვანეს არა მხოლოდ მუსულმანთა თვალში, არამედ – ფართო საზოგადოების წინაშე.

მაგრამ 1988 წლის იმ რამდენიმე კვირის მანძილზე წიგნი ჯერ კიდევ „მხოლოდ რომანი“ იყო და მასაც ჯერ არ დაეკარგა საკუთარი იდენტობა. „სატანური აიები“ „ბუქერის“ პრემიის შორთლისტში მოხვდა, პიტერ კერის, ბრუს ჩათვინის, მარინა უორნერის, დევიდ ლოჯის და პენელოპე ფიცჯერალდის წიგნებთან ერთად. ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, მისმა მეგობარმა, სალმან ჰაიდარმა – ლონდონში ინდოეთის უმაღლესი კომისრის მოადგილემ – დაურეკა და ოფიციალურად შეატყობინა, რომ ინდოეთში „სატანური აიები“ აიკრძალა. წიგნი არანაირ საგანგებოდ უფლებამოსილ ორგანოს

არ განუხილავს, არც იურიდიული პროცესი წარმართულა მის თაობაზე. უცნაურია, მაგრამ აკრძალვა ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით მოხდა, „საბაჟო აქტის მე-11 სექციის თანახმად, რომელმაც აკრძალა წიგნის იმპორტი“. საბედნიეროდ, სამინისტრო იტყობინებოდა, რომ „აკრძალვა წიგნის ლიტერატურულ ან მხატვრულ ასპექტებს არ ეხებოდა.“ „კიდევ კარგი, მადლობა სამინისტროს“, – გაიფიქრა მან. 10 ოქტომბერს მისი გამომცემლის, „ვიკინგ პინგუინის“ ლონდონის ოფისს პირველად დაემუქრნენ. მეორე დღეს კემბრიჯში დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა, რადგან, როგორც უნივერსიტეტი იტყობინებოდა, მათაც დაემუქრნენ.

წელი ცუდად დამთავრდა. ბოლტონში, ინგლისის ჩრდილო-დასავლეთში, 2 დეკემბერს „სატანური აიების“ წინააღმდეგ ჩატარებულ საპროტესტო დემონსტრაციაზე წიგნი დანვეს. 3 დეკემბერს კლარისას პირველად დაემუქრნენ ტელეფონით. 28 დეკემბერს მასთან ოფისში დარეკეს და აფეთქებით დაემუქრნენ. ამას მოჰყვა 1989 წელი, წელი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა.

1989

ორი ათასი მომიტინგე პანანინა ჯგუფი იყო პაკისტანში. ყველაზე უმნიშვნელო პოლიტიკოსის ერთი ტაშის შემოკვრაზეც ბევრად მეტი ადამიანი მოგროვდებოდა. თავისთავად კარგი ნიშანი იყო, რომ ორი ათასზე მეტი „ფუნდამენტალისტი“ ვერ მოაგროვეს შეერთებული შტატების საინფორმაციო ცენტრზე შეტევისთვის ისლამაბადის ცენტრში 12 თებერვალს. პრემიერი ბენაზირ ბჰუტო ოფიციალური ვიზიტით ჩინეთში იმყოფებოდა ამ დროს და იყო ვარაუდი, რომ დემონსტრანტთა ნამდვილი მიზანი ბჰუტოს ხელისუფლების დესტაბილიზაცია იყო. „სატანური აიებიც“ პოლიტიკურ თამაშში ბურთად გამოიყენეს. სამართალდამცავებს აგურები და ქვები დაუშინეს, გაჰყვიროდნენ: „ამერიკელი ძალები!“ „ჩამოხრჩობა სალმან რაშდის!“ – როგორც იციან ხოლმე. ცხადია, ეს არ ამართლებს პოლი-





ციის რეაქციას, რომელმაც ცეცხლი გაუხსნა ბრბოს, შაშხანები, ნახევრად ავტომატური იარაღი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. დაპირისპირება სამ საათს გაგრძელდა და მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, დემონსტრანტებმა შენობამდე მიაღწიეს და ამერიკის დროშა დაწვეს. დაწვეს „შეერთებული შტატებისა“ და რაშდის სურათები. სხვა დროს ის ალბათ იფიქრებდა, ნეტავ რომელი ფირმა ამარაგებს მსოფლიოს ამერიკის დროშებითო, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ყოველდღიურად დამწვარი დროშები ხომ უნდა ჩაენაცვლებინა ვინმეს. მაგრამ იმ დღეს ყველაფერი გადაფარა ერთმა ცნობამ: შეტაკებაში ხუთი ადამიანი მოკლეს. „სისხლს სისხლი მოსდევს“, – გაიფიქრა.

მისდამი მუქარა უაღრესად სერიოზულად იყო მიჩნეული: მე-2 დონე, ასე უთხრეს. ეს ნიშნავდა, რომ მას მეტი საფრთხე ემუქრებოდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადამიანს ქვეყანაში, შესაძლოა, მხოლოდ დედოფლის გამოკლებით. და ვინაიდან მას უცხო ქვეყანა ემუქრებოდა, ის ბრიტანეთის სახელმწიფოს დაცვის ქვეშ უნდა ყოფილიყო. დაცვის ორ თანამშრომელს, ორ მანქანას და ორ მძღოლს მიუჩინდნენ. ასე წარუდგინეს პირველი „დაცვის“ ჯგუფი: სტენ-ლი დოლი და ბენ უინთერსი. (სახელები და მცირე დეტალები შეცვლილია). „რა თქმა უნდა, სახლში ვერ დაბრუნდებით, – უთხრა ბენმა, – შეგიძლიათ, სადმე გაჩერდეთ რამდენიმე დღე?“ „სადმე კარგ ადგილას წადით, – უთხრა სტენმა, – ჩვენ მოგხედავთ“.

შვილის ნახვა უნდოდა, სანამ სამალავს შეაფარებდა თავს. თავისი დაც უნდოდა, ენახა, სამეენი. „გაგიხერხებთო“, – უთხრა დაცვამ. სამეენი იურისტი იყო (თუმცა ახლა ზრდასრულთა განათლების სისტემაში მუშაობდა), მუდამ შეუვალი, უკომპრომისო პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა და კარგად ერკვეოდა არსებულ ვითარებაში. ირანის რევოლუციას იქამდეც მორყეული ჰქონდა საძირკველი, სანამ ჰომეინის აიძულებდნენ – მისი სიტყვებით – „სანამლავის ფიალა შეესვა“ და ერაყის ომის წარუმატებელ დასასრულს დათანხმებოდა – ომისა, რომელმაც ირანის ახალგაზრდობის მთელი თაობა შეინირა ან ხეიბრად აქცია. ჰომეინისთვის ფათვა გზაა, კვლავ მოიგოს პოლიტიკური მომენტუმი, კვლავ მოიპოვოს,

აღიდგინოს ნდობა ხალხში – უთხრა სამეენმა. აი, ჩემს ძმას კი არ გაუმართლა, რომ სულის მღაფავი კაცის ბოლო სამიზნე გახდაო.

„ბრიტანელ მუსლიმ „ლიდერებზე“ კი საერთოდ რა უნდა ვთქვა? ვისი წინამძღოლები არიან? მათ მიმდევრებიც კი არ ჰყავთ და ცდილობენ, იმით გაიკეთონ კარიერა, რომ ჩემ ძმას არ გაუმართლა. ბრიტანეთში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პოლიტიკოსების მთელი თაობა სეკულარისტი და სოციალისტია. ბრიტანელი აზიელები ადრე არ იყოფოდნენ ჰინდუს მიმდევრებად, მუსლიმებად, სიქებად. ვილაცამ უნდა გასცეს პასუხი მათ, ვინც განხეთქილების შეტანას ცდილობს ამ ხალხში; ვილაცამ უნდა უწოდოს მათ ის, ვინც სინამდვილეში არიან: ფარისევლები და ოპორტუნისტები“.

სამეენმა თქვა, მზად ვარ, მე გავაკეთო ესო. იცოდა, რომ მისი და მართლა შესანიშნავად გაართმევდა თავს საქმეს, მაგრამ სთხოვა, ასე არ მოქცეულიყო. მისი გოგონა, მაია, ჯერ ერთი წლისაც არ იყო. სამეენი რომ ძმის დამცველად გამოსულიყო, ჟურნალისტები მისი სახლის წინაც დასცემდნენ ბანაკს. მისი და მისი შვილის ცხოვრება მიკროფონებისა და კამერების ჩხაკუნად გადაიქცეოდა. თანაც, შეუძლებელი იყო საფრთხეების გათვლა. ვერ დაუშვებდა, რომ სამეენს მის გამო რამე დაუქრებოდა. ბოლოს სამეენი დაეთანხმა.

მეორე დღეს სტენმა და ბენიმ სასტუმროს ნომერში მიაკითხეს, რაღაც ფურცელი ეჭირათ ხელში. ირანის პრეზიდენტი ალი ჰომეინი ამბობდა, რომ თუ ბოდიშს მოიხდიდა, „ამ ბილწ კაცს ჯერ კიდევ ჰქონდა შეწყალების შანსი“. „როგორც ჩანს, – უთხრა სტენმა, – თქვენ რაღაც ნაბიჯი უნდა გადადგათ ვნებათა გასაგრილებლად“.

„ჰო, – კვერი დაუკრა ბენიმაც, – ასე ამბობენ. სწორი განცხადება შეიძლება დაგეხმაროთ“.

ამბობენ, ფიქრობენ... „ვინ, ვინ ამბობს“, – ჰკითხა პოლიციელებს.

„ზოგადად, – მიკიბე-მოკიბვით უპასუხა სტენმა, – ასე ამბობენ ზევით“.

„ზევით“ პოლიციას ნიშნავდა თუ მთავრობას?

„მათ ტექსტი მოამზადეს, – უთხრა სტენმა, – მაგრამ თქვენ მაინც გადაავლეთ თვალი“.

„ჩაასწორეთ, თუ სტილი არ მოგწონთ, – დაამატა ბენიმ, – თქვენ ხომ მწერალი ხართ“.

„მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს ტექსტი მონონებულ-შეთანხმებულაა“, – უთხრა ბოლოს სტენმა.

ლაჩრის დანერილი, დამამცირებელი ტექსტი ეჭირა ხელში. იმის ხელმოწერა მარცხის აღიარებას ნიშნავდა. ნუთუ გარიგებას სთავაზობდნენ? მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა მთავრობისა და პოლიციის მხარდაჭერას, თუ საკუთარ პრინციპებზე, თავისი წიგნის დაცვაზე უარს იტყოდა, მუხლებზე დაცემოდა და პატიებას ითხოვდა?

სტენი და ბენი საშინლად უხერხულად გამოიყურებოდნენ. „როგორც გითხარით, – უთხრა ბენიმ, – შეგიძლიათ, შეცვალოთ ტექსტი, – მერე ვნახავთ, რას იზამენ ისინი“.

შეუძლებელს ავალებდნენ: რაღაც ისეთი დაენერა, რაც მისაღები იქნებოდა, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანს არაფერს შეეხებოდა. მაშინ დანერა თავისი ცხოვრების მანძილზე ყველაზე საძულველი განცხადება.

„როგორც „სატანური აიების“ ავტორი, ვალიარებ, რომ ჩემმა რომანმა გულწრფელად შეძრა მუსულმანები მთელს მსოფლიოში. ძალიან ვწუხვარ იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც ჩემმა წიგნმა გამოიწვია ისლამის გულწრფელ მიმდევრებში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ დღევანდელ, უკიდურესად მრავალსარწმუნოებრივ სამყაროში დიდი სიფრთხილე გვამართებს, როცა სხვათა მგრძობილობას ვეხებით“.

უაზრო ნაბიჯი იყო. ჯერ არ მიიღეს ის, მერე სანახევროდ მიიღეს, მერე ისევ უარყვეს, როგორც ბრიტანელმა მუსულმანებმა, ასევე ირანის ხელი-სუფლებამ. მყარი პოზიცია იქნებოდა, უარი ეთქვა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. მან სუსტი პოზიცია დაიკავა და შესაბამისად – ისე მოქცენენ, როგორც სუსტს შეეფერებოდა. „ობსერვერმა“ დაიცვა: „არც ბრიტანეთს და არც წიგ-

ნის ავტორს საბოდიშო არაფერი აქვსო“, მაგრამ არ ეშვებოდა ფიქრი, რომ საშინელი შეცდომა დაუშვა. ეს მალე დადასტურდა კიდევ. „სალმან რაშიმ თუნდაც შეინანოს და ყველა დროის ყველაზე მორწმუნე ადამიანად გადაიქცეს, თითოეული მუსულმანის ვალია, ჯოჯოხეთის გზას გაუყენოს ის“, – განაცხადა მომაკვდავმა იმამმა.

დაცვის ოფიცრებმა აცნობეს, რომ ორ ღამეზე მეტს ვერ გაატარებდა სასტუმრო „ლიგონ არმსში“. მაშინ გაიგო კიდევ ერთი მწარე სიმართლე: თავად უნდა ეპოვა თავშესაფარი. პოლიცია ურჩევდა, სახლში არ დაბრუნებულიყო, იქ შეუძლებელი იქნებოდა (მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა) მისი დაცვა, მაგრამ „უსაფრთხო სახლებს“ პოლიცია არ სთავაზობდა. თუ არსებობდა კიდევ ასეთი ადგილები, მას არ უნახავს. შპიონურ ფილმებზე გაზრდილ ადამიანებს ღრმად სწამთ, რომ არსებობს „დაცული სახლები“, ბევრს ეგონა, რომ ის ერთ-ერთ ასეთ ციხესიმაგრეში იყო დამალული სახელმწიფოს ხარჯით. რაც დრო გადიოდა, მის დაცვაზე დახარჯულ სახელმწიფო სახსრებზე სულ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ. მაგრამ „ლიგონ არმსში“ მეორე დღეს აცნობეს, რომ ოცდაათხ საათში უნდა მოეძებნა თავშესაფარი. ავტომობილზე დებოდა როჯერსის, მისი ყოფილი ლიტერატურული აგენტის, შეტყობინება დახვდა: „დამირეკე. ვფიქრობ, შეგიძლია, დაგეხმაროთ“. დები და მისი ქმარი, კომპოზიტორი მაიკლ ბერკლი, თავიანთ ფერმაში ინვესტდნენ უელსში. „თუ გჭირდება, – უთხრა დებორამ უბრალოდ, – იცოდე, სახლი შენია“.

გული აუჩუყა ამ სიტყვებმა. მეორე დღეს უკვე მიდღ პიტი იყო, უელსის უკიდურეს საზღვარზე, პანანინა, სოფლურ სახლში. „რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი“, – უთხრა დებიმ.

მაიკლის და დებორას ცხვრებს ერთი ადგილობრივი ფერმერი უვლიდა, ერთხელ მთიდან ჩამოვიდა და სახლში მოაკითხა მაიკლს, რაღაცაზე უნდოდა დალაპარაკება. „სჯობია, არ გამოჩნდე“, – სწრაფად უთხრა მაიკლმა და ფერმერთან შესახვედრად გაემართა. რა ექნა, დაიხარა და სამზა-

რეულოს დაბალ მერხს ამოეფარა. და როცა ამ პოზაში ჩამუხლული უსმენდა თუ, როგორ ცდილობდა მაიკლი, მალე დახსნოდა იმ ადამიანს, საშინლად შერცხვა. ასე დამალვა ყველანაირი ღირსებისა და თავმოყვარეობის დამრთგუნველი იყო. იფიქრა, ასე ცხოვრებას ალბათ სიკვდილი სჯობიაო. თავის რომანში „სირცხვილი“ ის მუსულმანური „ღირსების კულტურის“ მექანიზმებზე წერდა; წერდა მათზე, რომელთა მორალურ ღერძსაც ღირსება და სირცხვილი წარმოადგენდა, რაც ძალიან განსხვავდებოდა დანაშაულისა და ცოდვის გამოსყიდვის ქრისტიანული ნარატივისაგან. ის ამ კულტურის შვილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არარელიგიური კაცი იყო. ჩქმალვა მისთვის პატივყარილ სიცოცხლეს ნიშნავდა. იმ წლებში მას არაერთხელ უგრძენია ის საშინელი სირცხვილი. ორივე, დამცირება და სირცხვილი.

ახალი ამბები კი ქუხდა. პაკისტანის პარლამენტის წევრები დაუყოვნებლივ აგზავნიდნენ მკვლელებს დიდ ბრიტანეთში. ერთი ირანელი აიათოლა, ვინმე ჰასან სანეი მილიონ დოლარს იძლეოდა მოლაღატის თავში. გაუგებარი იყო, როდის იშოვა იმ აიათოლამ მილიონი დოლარი, ან როგორ მოითხოვდა შემდეგ მკვლელი დანაპირებ ჯილდოს. მაგრამ ლოგიკა ამ შემთხვევაში არ მუშაობდა.

22 თებერვალს რომანი ამერიკაში გამოიცა. „თაიმსში“ ამერიკელ გამოცემელთა ასოციაციამ, ამერიკის წიგნით მოვაჭრეთა ასოციაციამ და ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციამ ერთგვერდიანი სარეკლამო ფართი შეისყიდეს და სპეციალური მოწოდება გამოაქვეყნეს: „ვითხოვთ წიგნების გამოცემის თავისუფლებას, წიგნების გაყიდვის თავისუფლებას. სიტყვის თავისუფლების ამერიკული პრინციპის სახელით ვატყობინებთ საზოგადოებას, რომ ეს წიგნი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი იქნება წიგნის მაღაზიებში და ბიბლიოთეკებში მთელ ქვეყანაში“. ამერიკის პენ-ცენტრმა, რომელსაც მისი საყვარელი მეგობარი, კლერ ბუმი ხელმძღვანელობდა, რომანის საჯარო კითხვა მოაწყო. სონტაგი,

დონ დელილო, ნორმან მაილერი, კლერ ბლუმი და ლარი მაკარტი კითხულობდნენ წიგნს. ამ ღონისძიების ჩანაწერის ნახვა მისთვის იგივე იყო, რაც ჭუჭრუტანაში დანახული სინათლის სხივი. დიდი ხნის შემდეგ გაიგო, რომ რამდენიმე მნიშვნელოვან ამერიკელ მწერალს თავიდან თავი შეუკავებია, ალბათ, შიშის გამო. არტურ მილერსაც კი ბოდიში მოუხდია იმ საბაბით, რომ მისი ებრაელობა უკურეკლამას გაუკეთებდა წიგნს. მაგრამ მოგვიანებით, სუზან სონტაგის მაგალითით, თითქ-

**ამერიკის პენ-  
სენტრმა, რომელსაც  
მისი საყვარელი  
მეგობარი, კლერ ბუმი  
ხელმძღვანელობდა,  
რომანის საჯარო  
კითხვა მოაწყო.  
სონტაგი, დონ  
დელილო, ნორმან  
მაილერი და  
ლარი მაკარტი  
კითხულობდნენ  
წიგნს. ამ ჩანაწერის  
ნახვა მისთვის  
იგივე იყო, რას  
ჭუჭრუტანაში  
დანახული  
სინათლის სხივი.**

მის ყველამ მოიკრიბა გამბედაობა და ფეხზე წამოდგა.

წიგნი ზედიზედ სამ კვირას ლიდრობდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ბესტსელერების სიაში. ამის გამო ჯონ ირვინგმა, რომლის წიგნიც სიაში მეორე ადგილს ვერ გასცდა, თქვა, თუ ეს იყო საჭირო სიის თავში მოსახვედრად, კმაყოფილი ვარ, რომ მეორე ადგილი მიკავიაო.

თავადაც კარგად იცოდა, რომ სკანდალმა გაქაჩა გაყიდვები და არა წიგ-

ნის ლიტერატურულმა ღირებულებამ. ისიც იცოდა, და კმაყოფილი იყო ამით, რომ ბევრი „სატანურ აიებს“ მხოლოდ სოლიდარობის გამო ყიდულობდა.

და ამ დროს „სატანური აიების“ ავტორი სამზარეულოს კარადის ქვეშ იყო მიწას გართხმული, უფლელ მეცხვარეს არ დაენახა...

მერიენმა ბინა იშოვა. მოკრძალებული კოტეჯი იყო, შეთერთებული კედლებით, „ხის სახლებს“ რომ ეძახდნენ იმ მხარეში. წვიმიანი ადგილი იყო. რომ ჩავიდნენ, ციოდა. პოლიციის ოფიცრებმა დიდი წვლების შემდეგ აანთეს ქურა. მეორე სართულზე პატარა ოთახი იყო, სადაც შეეძლო ჩაკეტილიყო და თავი მოეკატუნებინა, ვმუშაობო. სახლი ცივი იყო, ისეთივე უფერული, როგორც ის დღეები. ტელევიზორში ტეტჩერი ჩანდა, აცხადებდა, რომ შეურაცხყოფილი მუსულმანების კარგად ესმოდა და თანაგრძნობას გამოხატავდა მათადმი.

საგანგებო დანიშნულების განაყოფის უფროსმა, ჯონ ჰოულიმ ჩაკითხა უელსში. ჰოულიმ უთხრა, ახლა საფრთხე ხანგრძლივი დროის მანძილზე გემუქრებათ და ეს უკვე საგანგებო დანიშნულების განაყოფის საქმე აღარააო. ახლა არაფერს შევლიდა „დროებით გაუჩინარება“ და ლოდინი, თუ როდის მოაგვარებდნენ პოლიტიკოსები პრობლემას. უკვე აღარ ჩანდა იმის პერსპექტივა, რომ მისცემდნენ უფლებას, ჩვეულ ცხოვრებას დაბრუნებოდა. უნდა მოეცადა, სანამ „რამე საგრძნობი პოლიტიკური ცვლილება არ მოხდებოდა“. „ეს რას ნიშნავს? – ჰკითხა მან ჰოულის, – ესე იგი, სანამ ჰომეინი არ მოკვდება? თუ არასდროს?“ ჰოულიმ ვერ უპასუხა. ვერავინ გათვლიდა წინასწარ, რამდენი დრო დასჭირდებოდა ამ ყველაფერს.

ერთი თვე სიკვდილის საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. „სატანური აიების“ წინააღმდეგ გამოსვლები ჩატარდა პარიზში, ნიუ-იორკში, ოსლოში, ბანგლადეშში, თურქეთში, გერმანიაში. მოკლულთა რიცხვმა იმატა. ახლა რომანი სირიაში, ლიბანში, კენიაში, ბრუნეში, ტაილანდში, ტანზანიაში, ინდონეზიაში და არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებში აკრძალეს. მარტში

ის ორუელის ჯოჯოხეთის ფსკერზე დაეშვა. „ერთხელ მკითხე, – უთხრა ო’ბრაინმა, რა იყო 101-ე ოთახშიო. მაშინ გითხარი, თავადაც იცი-მეთქი პასუხი. 101-ე ოთახში ყველაზე დიდი საშინელებაა“. ის კი სხვადასხვა რამე შეიძლება, იყოს. ყველაზე დიდი საშინელება ყველა ადამიანისთვის სხვადასხვა რამეა. უინსტონ სმიტისთვის ორუელის „1984“-ში ეს კომმარო ვირთხები იყო. მისთვის კი, უელსის იმ გაყინულ კოტეჯში, სატელეფონო ხარი იყო, რომელიც უპასუხოდ დარჩა.

ჩვეულებრივი დღე იყო: შვიდ საათზე დაურეკავდა კლარისას, ზაფარს მოიკითხავდა. თუ კლარისა და ზაფარი სახლში არ იქნებოდნენ, ავტომობასუხე ეტყოდა, როდის დაბრუნდებოდნენ. მის ზარს არავინ უპასუხა. შეტყობინება დაუტოვა კლარისას და აეკვიტა ფიქრი, რატომ არ დახვდა შეტყობინება. თხუთმეტი წუთის შემდეგ კიდევ დარეკა. არავინ უპასუხა. ათი წუთის შემდეგ მესამედ სცადა. კვლავ დუმილი. რვას თითქმის თხუთმეტი წუთი აკლდა. უცნაური იყო, რომ ასე გვიან სახლში არ ყოფილიყვნენ. მომდევნო ათ წუთში კიდევ ორჯერ დარეკა. პასუხი არ იყო. პანიკა დაეწყო. გადარეულივით რეკავდა, ზედიზედ, ხელები უკანკალებდა. იატაკზე იჯდა, კედელს მიყუდებული, ტელეფონი კალთაში ედო და რეკავდა. სტენმა და ბენიმ შენიშნეს „ობიექტის“ აგზნებულობა და თავზე დაადგნენ, რათა ენახათ, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა.

არაფერიც არ იყო რიგზე. დანიშნული დროიდან საათი და თხუთმეტი წუთი იყო გასული და კლარისა და ზაფარი სახლში არ იყვნენ, შეტყობინებაც არ დაეტოვებინათ. სტენს სახე მოექუფრა. „ასე არასოდეს მომხდარა?“ – ჰკითხა. – „არასოდეს“. „ოკ“, – თქვა სტენმა, „მე მომანდე ეს საქმე. რამეს გავარკვევ“. გავიდა და რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა. უთხრა, რომ ლონდონის პოლიცია მანქანას გაგზავნიდა ადგილზე. ამის შემდეგ აუტანლად ნელა მიიზღაზნებოდა დრო და როცა პასუხი მოვიდა, გული გაეყინა. „მანქანა გაგზავნეს, – უთხრა სტენმა, – ვწუხვარ, რომ ამას გეუბ-

ნებით, მაგრამ შესასვლელი კარი ღიაა და შუქები ანთებულია“. ხმა ვერ ამოიღო. „ცხადია, ოფიცრები ვერ შევიდნენ შიგნით, – განაგრძობდა სტენი, – ასეთ ვითარებაში არავინ იცის, რა დახვდებათ შიგნით“.

შესასვლელის კიბეზე გამოტილი სხეულები დაუდგა თვალნინ. ცხადად დაინახა თავისი შვილისა და ყოფილი ცოლის სისხლში მოსვრილი უსულო გვამები. სიცოცხლე დამთავრდა. ის გაიქცა, დამფრთხალი კურდღელივით დაიშალა და მისმა საყვარელმა ადამიანებმა გადაიხადეს საზღაური. „უნდა გითხრათ, რას ვაპირებთ, – ამბობდა სტენი, – ახლა სახლში შევლენ, მაგრამ დაახლოებით ორმოცი წუთი უნდა მოგვეცეთ. მათ შეიარაღება უნდა მიიყვანონ“.

იქნებ არ იყვნენ მოკლულები? იქნებ მისი შვილი ცოცხალი იყო და მძევლად ჰყავდათ? „ხომ გესმით,“ – ეცა სტენს, „თუ ბავშვი მათ ჰყავთ და გაცვლა უნდა, უნდა წავიდე, თქვენ ვერ დამაკავებთ“. სტენი ერთ ხანს დუმდა, როგორც პინტერის პიესის გმირი. მერე ხმა ამოიღო: „მძევლების გაცვლა მხოლოდ კინოში ხდება. სინამდვილეში ასე არაა. ძალიან ვწუხვარ, რომ ამას გეუბნებით, მაგრამ თუ ეს მტრის ჩადენილია, შეიძლება ორივე მკვდარი იყოს. მაშინ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენც გასურთ სიკვდილი?“ მერე, უცებ, რაღაცამ გაიჩხაკუნა. ხაზის მეორე მხარეს ვიღაცამ ყურმილი აიღო. „ალო“, – ძლივს ჩაიჩურჩულა მან.

„მამა!“ – ზაფარი იყო. „რა ხდება, მამა? კართან პოლიციელია, მეუბნება, რომ გარეთ კიდევ თხუთმეტი კაცი ელოდება“. თითქოს რაღაც მოსწყდა და ენა დაებორკა. „მამა, გესმის ჩემი?“ სკოლის სპექტაკლზე ყოფილან, გვიან დამთავრებულა. მერე კლარისა მოვიდა ყურმილთან: „ბოდიში, შეტყობინება უნდა დამეტოვებინა, დამავიწყდა, მაპატიე“. „კი მაგრამ, კარს რა სჭირდა?“ – ჰკითხა, „რატომ იყო შესასვლელი კარი ღია და შუქები ანთებული?“ ისევ ზაფარის ჩაესმა ყურმილში: „არა, არ ყოფილა კარი ღია, ახლა მოვედით, კარი გავაღეთ და შუქი ავანთეთ თუ არა, პოლიციაც მოვიდა“.

„როგორც ჩანს, – უთხრა სტენმა, –

შეეშალათ. პატრული სხვა სახლთან მისულა“.

ლონდონში წიგნის მალაზიები „კოლექსი“ და „დილონსი“ ააფეთქეს. ბიბლიოთეკები უარს ამბობდნენ წიგნის მიღებაზე. ქსელები უარს ამბობდნენ მის გაყიდვაზე, მუსულმანები მუსულმანებს ხოცავდნენ, თუ ისინი ტოლერანტულ აზრს გამოთქვამდნენ წიგნზე. ბელგიაში მოკლეს მოლა, რომელსაც ქვეყნის მუსულმანთა სულიერ ლიდერად თვლიდნენ; საუდის არაბეთში – აბდულა ალ-აჰდალი და მისი ტუნისელი მოადგილე, სალემ ელ-ბეჰირი მოკლეს, რადგან მათ უთქვამთ, რაც არ უნდა უთხრას ჰომეინიმ ირანელებს, ევროპაში სიტყვის თავისუფლებააო.

„პირში ბურთჩაჩრილი, დატუსაღებული ვარ, – წერდა ის თავის დღიურში, – ლაპარაკიც არ შემიძლია. მინდა, ჩემს შვილს ფეხბურთი ვეთამაშო პარკში. ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება მინდა და ეს აუხდენელ ოცნებად მექცა“. მეგობრები, რომლებმაც მაშინ ინახულეს, გაოგნებულები იყვნენ, ისე საშინლად გამოიყურებოდა, გასუქებულიყო, გაბურძნული წვერი მკერდამდე ჩამოზრდოდა, თვალები ჩაცვენოდა. ნაცემს ჰგავდა.

მას სახელი სჭირდებოდა, ასე უთხრა პოლიციამ უელსში. მისი ნამდვილი სახელის გამოყენება კი არა, წარმოთქმაც არ შეიძლებოდა როგორც ვოლდემორის სახელისა „შარი პოტერის“ წიგნებში, რომლებიც მაშინ ჯერ არ იყო დაწერილი. თავისი სახელით ის ვერც სახლს იქირავებდა, ვერც ხმას მისცემდა: ხმის მისაცემად მისამართი უნდა მიეთითებინა, მას კი სახლი არ გააჩნდა. სიტყვის თავისუფლების დემოკრატიული უფლების დასაცავად მან დათმო დემოკრატიული უფლება, თავად აერჩია თავისი მთავრობა. ახალი სახელი სჭირდებოდა. მერე თავისი ბანკის მენეჯერს უნდა დალაპარაკებოდა, რომ ბანკს მიეღო იმ ყალბი სახელით ხელმოწერილი ჩეკები და მისი სახელი არსად გამოჩენილიყო. დაცვის ოფიცრებიც უნდა შეჩვეოდნენ ახალ სახელს და შემთხვევითაც არასდროს წამოსცდნოდათ მისი ნამდვილი სახელი. მის საქმეს ასე ერქვა: „ოპერაცია

მალაქიტი“. არ იცოდა, რატომ მაინცდამაინც წვანე ქვის სახელი. ეს არც პოლიციელებმა იცოდნენ. ისინი მწერლები არ იყვნენ და სახელებს მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ახლა მისი ჯერი იყო, სახელი აერჩია.

„აღბათ, აჯობებს, აზიურ სახელს ერიდოთ, – უთხრა სტენმა, – ორჯერ ორს მალე გამოთვლის ხალხი“. სჯობდა, თავისი წარმომავლობაც დაემალა. ევროპული სახელით ის უფრო უხილავი იქნებოდა.

საყვარელი მწერლები გაიხსენა და მათი სახელების კომბინირება სცადა. ვლადიმერ ჯოისი, მარსელ ბეკეტი, ფრანც სტერნი. ასეთი კომბინაციების მთელი სია შეადგინა, მაგრამ ყველა სასაცილოდ ჟღერდა. ბოლოს მიაგნო: გვერდი-გვერდ დაწერა კონრადისა და ჩეხოვის სახელები, რომელთა ერთ-

ბლიობაც იქცა მის სახელად მომავალი თერთმეტი წლის მანძილზე: ჯოზეფ ანტონი.

კონრად ჩეხოვი არ გამოვიდოდა, მაგრამ ჯოზეფ ანტონი სრულიად ჩვეულებრივად ჟღერდა, შეიძლებოდა ეარსება ასეთ ადამიანს. ხომ მართლაც იარსება თერთმეტ წელს. კონრადი – წყევლიადის ბინადრების, საიდუმლო აგენტების, ქილერებისა და ბომბების სამყაროს ტრანსლინგვისტური შემქმნელი, თუნდაც ერთი უკვდავი ნაძირალას შემქმნელი, რომელიც საკუთარ სირცხვილს ემალებოდა; და ჩეხოვი – მარტოობის, სევდის, სილამაზის, ახალი სამყაროს სისასტიკით ჩაკლული, ალუბლის ბალივით მშვენიერი, ძველი, გაუჩინარებული სამყაროს დიდოსტატი; ჩეხოვი, რომლის „სამ დას“ ბოლომდე სჯეროდა, რომ რეალური

ცხოვრება სხვაგვარი იყო და შენატროდნენ მოსკოვს, სადაც დაბრუნება აღარ ენერათ. ეს მწერლები იყვნენ მისი ახალი ნათლიები. სწორედ კონრადს ეკუთვნოდა სიტყვები, რომლებსაც ის ასე სასონარკვეთილი ებლაუჭებოდა იმ დაუსრულებელი წლების მანძილზე: მოთხრობაში „ზანგი ნარციისიდან“, რომლის სათაურიც ახლა სრულიად მიუღებელი იქნებოდა, მოქმედ გმირს, ჭლეკით დაუძღურებულ მეზღვაურს, ჯეიმს უაითს, თანაშემწე ეტყვის, რატომ ამოხვედი გემზე, როცა იცოდი, რომ ავად იყავიო. „ხომ უნდა ვიცოცხლო, სანამ მოვკვდები?“ – კითხვას უბრუნებს უაითი.

ეს შეკითხვა ახლა ბრძანებასავით ჟღერდა. „ჯოზეფ ანტონ, – უთხრა მან საკუთარ თავს, – უნდა იცოცხლო, სანამ მოკვდები“.

**ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს**



**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:**  
სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

**პროგრამის ამოცანებია:**

- ▶ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ▶ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

**კონკურსის პირობები**  
განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1977-1990 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური ან/და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც გვთავაზობენ თემატურ და მეთოდოლოგიურ სიახლეს, ზეპირი ისტორიების, შედარებითი კვლევების და თვისობრივი კვლევების ახალ მეთოდებს.

**ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:**

1. სახელმწიფო და საზოგადოება: სოციალური სტრუქტურები, პოლიტიკური კულტურა და ინსტიტუტები;
2. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები: კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება – განსხვავებული ხედვები;
3. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები: მარგინალიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები;
4. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები: ადაპტაციისა და ინტეგრაციის ფორმები;
5. სოციალური სქესის მიმართ მგრძობელობა და გენდერული როლები პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში;
6. საბჭოთა წარსულის გააზრება: მკვლელობა და მიკროისტორია;
7. ურბანული განვითარების პოლიტიკური და სოციალური ასპექტები;
8. გარემო და განვითარება: კონსერვაციისა და ტრანსფორმაციის პრობლემები;
9. მიგრაცია: სტრუქტურებისა და ტენდენციების მრავალფეროვნება.

**სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა:**  
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2013–31.12.2013). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. პროგრამა ასევე მოიცავს ფონდის მიერ ორგანიზებულ თანმდევ სემინარებს, საზაფხულო სკოლას და პუბლიკაციებით მხარდაჭერას.

საბუთები მიიღება 2012 წლის 17 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებგვერდზე [www.ge.boell.org](http://www.ge.boell.org)

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი  
2012

**14 - 30 სექტემბერი**



**ზოგჯერ ბრძენის შესდეგა**

ოლეგ ტაბაკოვის თეატრი - სტუდია, რუსეთი

სხადი

შოქოდეი

ლიტერატურა



# ქართული ლიტერატურა თარგმანში

ავტორი მანანა თანდაშვილი,  
ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი



## შესავალი

უძველეს ბილინგვურ წარწერებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ძვ. წ. აღ.-ის 247 წელს ებრაულიდან ბერძნულად თარგმნილი სეპტუაგინტა (ებრაული ბიბლია) პირველ ძეგლად უნდა ჩაითვალოს, რომელმაც თარგმანის პრაქტიკას დაუდო სათავე. მას შემდეგ თარგმანი მეცნიერების ერთ-ერთ ინტერდისციპლინარულ დარგად – ტრანსლატოლოგიად ჩამოყალიბდა.

პრობლემაში ჩაუხედავი მკითხველი სამეცნიერო ტერმინებით რომ არ დავაზნით და ძირითად თემასაც რომ არ გადავუხვიოთ, დავიწყებთ იქიდან, რის გამოც ამ სტატიის დაწერის იდეა გაჩნდა. უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს კულტურის სამინისტრო აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის დირექციასთან 2015 წლის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად. ამ ფონზე უდავოდ ჩნდება კითხვა – მოახერხებს თუ არა ქართული ლიტერატურა მსოფლიო (ან თუნდაც

ევროპულ) ლიტერატურულ პროცესებში ჩართვას და რა წინაპირობები არსებობს ამისთვის?

სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, ალბათ უპრიანი იქნება, დავაზუსტოთ, რომ ლიტერატურულ ინტეგრაციაზე საუბრისას იგულისხმება ორი განსხვავებული პროცესი – ცალკეული მწერლის მსოფლიო ბაზარზე გასვლა (მაგ. როგორც იყო თანამედროვე თურქი მწერლის ორჰან ფაშუქის გამოჩენა მსოფლიო ლიტერატურაში) და ქვეყნის ლიტერატურის მსოფლიოს ფოკუსში მოქცევა. ამ მიზნის მისაღწევად მრავალკომპონენტია იქიდან, რის გამოც, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი კარგი თარგმანია. თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ ქვეყანაში გაიტანოთ ფიროსმანის ნახატები, ნებისმიერ ქვეყანაში ააყდროთ „ჩაკრულო“, მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოეტურ და ფილოსოფიურ სამყაროს ვერსად წაიღებთ, თუ იგი არ თარგმნეთ, თანაც იმდენ ენაზე, რამდენ ქვეყანაშიც მისი წარდგენა გასურთ. ამიტომ, ქართული ლი-

ტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ჩართვა, სწორედ ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნის უაღრესად რთულ და მნიშვნელოვან პროცესზე არის დამოკიდებული.

რა მდგომარეობა გვაქვს ქართული ლიტერატურის თარგმნის მხრივ?

ქართული გამოცემლობების უდიდეს დამსახურებად მიმანია ის ფაქტი, რომ სერიოზული კონკურენცია გაუწიეს უცხოენოვან, განსაკუთრებით რუსულენოვან შემეცნებით, საბავშვო და საგანმანათლებლო ლიტერატურას და საკუთარი, ძლიერი ქართულენოვანი ბაზარი შექმნეს. ასევე დასაფასებელია ის ფაქტიც, რომ თითქმის არ განწყვეტილა მსოფლიო ლიტერატურასთან კონტაქტი ბესტსელერებისა და სხვა ახალი თარგმნილი ლიტერატურის სახით – ქართველი მკითხველი თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება მსოფლიო ლიტერატურის სიახლეებს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ბოლო დროს მომრავლდა კლასიკური ნაწარმოებების ხელახალი თარგმანის შემთხვევები, რაც





უცხო ენიდან ქართულად მთარგმნელობითი პროცესის სასიკეთოდ ლაპარაკობს და უდავოდ მისასაღებელია, მაგრამ მსოფლიოსთან ქართული საზოგადოების ლიტერატურული ინტეგრაცია რომ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩას დაემსგავსა, რის შედეგადაც ქართული ლიტერატურა საგრძნობლად დაიჩაგრა, ესეც ფაქტია. ქართულად მეტ-ნაკლები წარმატებით ვთარგმნით, მაგრამ ქართულიდან უცხო ენებზე თარგმნის საკითხი თანმიმდევრულ, მაღალხარისხიან პროცესად ვერაფრით ვაქციეთ. მწერლისა და ნაწარმოების მოკლე სინოფსისის შედგენასა და ევროპული გამომცემლობისათვის რამდენიმეგვერდიანი უხარისხო, ნაჩქარევი თარგმანის შეთავაზება შედეგს ვერ მოიტანს და მწერალს „გააფუჭებს“. მწერლის უცხოეთში გამოცემა ხარისხიანი თარგმანის შესრულებაზე დამოკიდებული. თარგმანის ხარისხს კი ორი არსებითი ფაქტორი განაპირობებს – მთარგმნელი და დაფინანსება.

**დავითოთ დავინანსებით**

სულ ათიოდე წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, რომ სახელმწიფო სერიოზულ ყურადღებას დაუთმობდა ქართული ლიტერატურის მსოფლიოში გატანას, ალბათ არ დავიჯერებდი – აღმშენებლობის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის ცოტა მოულოდნელი და არარეალური მომეჩვენებოდა. არადა, ასე მოხდა. უკვე სამი წელია, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა და ფუნქციონირებს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის ხელმძღვანელის, დეა მეტრეველის ინიციატივით, წელს უკვე მეორედ ჩატარდა ლიტერატურული ფორუმ-დიპლომატიური გამომცემლობების, მწერლებისა და მთარგმნელებისათვის. ფორუმ-დიპლომატიური გამომცემლობა და 17 უცხოელი სტუმარი, მათ შორის ფრანკფურტის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტი ტობიას ფოსსი ესწრებოდა. ვინაიდან ფორუმის ჩატარების დრო თბილისის წიგნის ფესტივალს დაემთხვა, უცხოელ

გამომცემლებს საშუალება ჰქონდათ არა მარტო საკონფერენციო დარბაზში შეხვედროდნენ მწერლებსა და გამომცემლებს, არამედ რეალურად გადაეკლათ თვალი ქართული ბაზრისთვის. თუ რამდენად მოქნილი და ეფექტურია ეს პროგრამა, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, ალბათ მაინც რჩება სადისკუსიო საკითხები. მაგალითად, ეს პროგრამა თარგმანს აფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხოური გამომცემლობა თანხმობას განაცხადებს წიგნის გამოცემაზე. უცხოური გამომცემლობა რომ დააინტერესოს, აუცილებელია გამომცემლობას შესთავაზოთ კვალიფიციური თარგმანი. კვალიფიციური თარგმანის შესრულება კი სერიოზულ დაფინანსებას მოითხოვს. მოკლედ, ჯადოსნური წრე იკვრება და აღარ იცი კაცმა, საიდან დაიწყოს. თუ თარგმანის დაფინანსების საკითხი შედარებით გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან კულტურის სამინისტრომ ასე თუ ისე აიღო საკუთარ თავზე ამ პრობლემის მოგვარება, მთარგმნელე-

ბის პრობლემა ისევ რჩება ქართული ლიტერატურის აქტიურობის ქუსლად. დღეს 10-ოდე მთარგმნელსაც ვერ მოაგროვებთ გერმანულთან მიმართებაში, ვინც ქართულიდან გერმანულად თარგმანის სფეროში მუშაობს ან მუშაობას აპირებს. საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი გემიური თარგმანის პროგრამა წარსულს ჩაბარდა, ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში კი მთარგმნელების ახალი კადრების მომზადებაზე არავინ იზრუნა, ასე რომ, დღესდღეობით ქართულიდან გერმანულად ლიტერატურის თარგმანზე 5-ჯერ მეტიც რომ გამოყოფს სახელმწიფომ, საკითხავია 2015 წლამდე რამდენს მოვასწრებთ. ვინმეს ჩემი სიტყვები გადამეტებული რომ არ ეჩვენოს, ისევ სტატისტიკას დავიმოწმებ. უკვე ორი წელია, თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და ბონის ფონდის ინიციატივით თბილისში „მთარგმნელთა სემინარი“ ტარდება. გასულ წელს ქართულიდან გერმანულად თარგმანის ჯგუფში მხოლოდ 4 განაცხადი შევიდა, წელს – ხუთი. ერთი 200-250 გვერდიანი წიგნის თარგმანს ლექტორატისა და რედაქტირების გათვალისწინებით, მინიმუმ ერთი წელი სჭირდება. გამოდის, რომ 2015 წლამდე დარჩენილი სამი წლის განმავლობაში 12-13 წიგნზე მეტის თარგმნას ვერ მოვასწრებთ, ისიც უცხოური გამოცემლობების აქტიური დაინტერესების შემთხვევაში.

ცხადია, კულტურის სამინისტრო ყველა პრობლემას დამოუკიდებლად ვერ გადაჭრის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი კვალიფიციურ მთარგმნელთა მოსაზიდად.

**მთარგმნელი**

კარგი მთარგმნელი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს „ტრანსლატოლოგიის“ ყველა ძირითად პრინციპს. მეცნიერების ეს დარგი ინტერდისციპლინარული იმდენადაა, რამდენადაც აზრის ერთი ენიდან მეორე ენაში გადატანა ურთულესი პროცესია და მთარგმნელისაგან ენობრივი კომპეტენციის გარდა ორივე ენის მატარებელი ერის ისტორიული, სოციოკულტურული, ლინგვოკულტურული და ფსიქოლოგოკულტურული ასპექტების ცოდნასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

მთარგმნელი ორივე ტექსტთან თანა-

ბრად არის მიბმული – თარგმნილი ტექსტი, ერთი მხრივ, უნდა ინარჩუნებდეს ავტოქტონურობას, მეორე მხრივ კი ისე უნდა მოხდეს ინფორმაციის ტრანსლაცია სათარგმნ ენაზე, რომ იგი ამ ენის მკითხველისათვის ენობრივ (და მენტალურ-კულტურულ) დონეზე გასაგები და მისაღები იყოს, ანუ მოხდეს ტექსტის (ჩვენ შემთხვევაში) „გაგერმანულება“ – გერმანულ ენობრივ გარემოში მისი ტრანსლაცია. წარმატებულად განხორციელებული თარგმანის შემთხვევაში მკითხველს უჩნდება „სიახლის“ შეგრძნება, მაგრამ არა „უცხოობის“ – ლიტერატურული ნაწარმოები მისი მშობლიური ენის ცნობიერ დონეზე გასაგები და მისაღებია.

წარმატებული თარგმანი, ანუ ლიტერატურული ნაწარმოების ერთი ენიდან მეორეზე ტრანსლაცია, მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სამი ძირითადი პირობაა დაცული:

1. მთარგმნელმა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ უნდა „გამიფროს“ ორიგინალური ტექსტი არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ისეთი ენობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც მხოლოდ საკომუნიკაციო-პრაგმატულ და ფუნქციურ დონეზე „იკითხება“;
2. ფრაზის ან წინადადების სათარგმნ ენაზე გადატანის დროს არ უნდა დაირღვეს ინფორმაციული სტრუქტურა (როგორცაა წინადადებაში ფოკუსი, თემა-რემისა და ტოპიკის საკითხი);
3. თარგმანის დროს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ეკვივალენტობის პრობლემას, განსაკუთრებით – ფუნქციურ ეკვივალენტობას.

მკითხველი რომ სამეცნიერო სპეციფიკური ტერმინოლოგიით არ გადავლდეთ, შევეცდებით ტრანსლაციის სპეციალურ პრობლემებზე ერთი კონკრეტული კრებულის, „თანამედროვე ქართველი ქალების ანთოლოგიის“ მაგალითზე ვიმსჯელოთ. ეს ანთოლოგია ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის მიერ შედგენილი და თარგმნილი მეორე ანთოლოგია გახლავთ და მას მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოსცემს გერმანული გამოცემლობა „Frankfurter Verlagsanstalt“. ანთოლოგია კონცეპტუალური ხასიათისაა და მასში შვიდი ქართველი მწერალი ქალი შევიდა: ნინო ხარატიშვილი, ნენე კვინიკაძე, ანა კორძაია, მაკა მიქელაძე, თამთა მელაშ-

ვილი, ეკა თხილავა, ეკა ტოგონიძე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანთოლოგიის შედგენის დროს ჩვენთვის ლიტერატურული ნაწარმოებები იყო გადამწყვეტი და არა ავტორი. თუმცა, ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ შვიდი ავტორიდან ოთხი ეროვნული ლიტერატურული პრემიის, „საბას“ მფლობელი (მაკა მიქელაძე, ანა კორძაია, თამთა მელაშვილი და ეკა ტოგონიძე), ერთი კი მრავალგზის საერთაშორისო პრემირებული, გერმანიაში მოღვაწე ნინო ხარატიშვილი გახლავთ.

ანთოლოგიაც სწორედ ამას ისახავდა მიზნად – თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის ფონზე ევროპელი მკითხველისათვის ახალი, ქართველი მწერალი ქალების პერსპექტივის გახსნას და რაც მთავარია, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ლიტერატურული ფორმებისა და სტილის ჩვენებას.

ანთოლოგიის შედგენა და თარგმნა იმითაც გამოირჩევა ერთი ავტორის კონკრეტული ნაწარმოების თარგმნისაგან, რომ მასში შესული ავტორები როგორც წესი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მხატვრული ენის, ასევე სტილისა და ესთეტიკის თვალსაზრისით. მაგალითად, ანა კორძაიას „ისტორიული მეხსიერება“ საბჭოთა მენტალიტეტისა და შესაბამისი ენობრივი გამოხატულების ფორმების ცოდნას მოითხოვდა, ნენე კვინიკაძის „იაგუარების ტექნო“, პირიქით, თანამედროვე თინეიჯერების სამყაროსა და შესაბამისი სლენგის (როგორც ქართულ, ისე გერმანულ ენებზე) ფლობის აუცილებლობას; სამაგიეროდ, ეკა თხილავას „ცხრა ქონის“ თითქმის პოეტური ლექსიკა გერმანულში შესაბამისი ფუნქციური ეკვივალენტების დაძებნის სირთულით გამოირჩეოდა და აქედან გამომდინარე, მთარგმნელისაგან გერმანული პოეტური ენის ძალიან კარგ ცოდნას და გაბედულებას მოითხოვდა. ამიტომ, პირველ ეტაპზე ანთოლოგიაში შესული მწერლებისათვის კონკრეტული მთარგმნელები შევარჩიეთ და სათარგმნ ტექსტები აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით ხუთ მთარგმნელზე გადავანაწილეთ (მაკა კანდელაკი, მაია თაბუკაშვილი, ირმა შიოლაშვილი, ანასტასია და მარიამ ყამარაშვილები).

თარგმანის პროცესის სირთულე რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, ორი მწერლის მაგალითს მოვიყვანოთ.

ეკა თხილავას პროზისათვის ნიშანდობლივია მეტაფორებისა და სიმბოლოების მეტად თავისებური პარადიგმა, რომელიც ავტორს პირველს შემოაქვს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში – მინის ოკეანე, ხრიკი ველი, გარუჯული ცხოვრება, წყლისფერი სისხლი, კბილებზანჯგვლიანი კაცი, მინისფერი მზე... მეორე თავისებურება, რომელიც ეკას პროზას ახასიათებს, არის ფერის, სუნისა და გემოს, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის საშუალებების გამოყენება, რომელსაც ეკა პერსონაჟებისა და მათი განწყობების დასახასიათებლად ხმარობს: მყავე ხორბლის სურნელი, მწიფე ხორბლის სურნელი, ბზის გემო, სეკვიოას სუნი... ზოგადად, ეს მეთოდი უცხო არ არის ლიტერატურაში, მაგრამ ამ მეთოდს ეკა თხილავა სისტემატურად მიმართავს, რითაც პერსონაჟის ასაკის, ხასიათისა და განწყობის სინთეზურ დახასიათებას იძლევა და ერთგვარ სიმბოლიკას ქმნის. აქედან გამომდინარე, ეკას პროზა სათარგმნელად ძალიან ძნელია – ის მეტაფორები, რომელსაც ეკა იყენებს, გერმანულ ენაში შესაბამისი ლექსიკური შესიტყვებების დონეზე არ გადადის, მათი ფუნქციური ადეკვატებია დასაძებნი.

კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა მაკა მიქელაძის პროზაზე მუშაობა. მისი მოთხრობები ისეა დატვირთული ლექსიკური ალიტერაციით, იდიომატური გამოთქმებითა და ასოციაციებით, რომ სრულიად განსხვავებული, კომპლექსური პრობლემები შეუქმნა მთარგმნელს მუშაობის დროს. მწერლის ენის ლიტერატურული სტილი დიდწილად მაკას არაჩვეულებრივად ლაღი და კრეატიული სიტყვათმშენებლობის უნარს ეფუძნება, მისი „არშენარჩუნება“ ლიტერატურული ნაწარმოების საგრძნობ გაღარიბებას იწვევს და ნაწარმოები უინტერესო ხდება. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: „გამოვავიანდი“ (აივანზე გამოვედი), „მეზობელი შემოერტოვზყავისთხოვდა“ (მეზობელი ერთი კოვზი ყავის სათხოვნელად შემოვიდა), გამომიოქროკბილეს (გამიღიმეს და ოქროს კბილები გამოუჩნდათ), ლაზათიანად მივფულე (ძალიან ბევრი ფული გადავუხადე, მოვერთამე), მიუკომპლიმენტეს (კომპლიმენტი უთხრეს) და ა. შ.

ლიტერატურაში განაფული და ყურგამხვილებული მკითხველისთვის ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ „მიუკომპლიმენტეს“ კონოტატიური ეკვივალენტი თავად ქართულში „კომპლიმენტი უთხრეს“ კი არა „კომპლიმენტი მიაშავეს“ არის და უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. ისევე როგორც, კონტექსტის მიხედვით „გამოვავიანდი“-ში შესუხებული, გაღიზიანებული გმირის აივანზე გამოსვლა, ანუ სიტუაციიდან თავის დახსნა იგულისხმება. სიტყვათწარმოების ამგვარ ფორმებს მაკა ძალიან ხშირად მიმართავს და პერსონაჟის ინტენციის (ამ შემთხვევაში მომხდარი ფაქტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების) გამოხატვის მხატვრულ ფორმას წარმოადგენს, რაც მაკას ლიტერატურულ ენას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს, შესაბამისად, მათი უთარგმნელობა არაფრით შეიძლება.

ამხელა ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური ექსკურსით მკითხველი იმიტომ გადავალაღე, რომ მეჩვენებინა, რამდენად რთულია მაღალი ხარისხის კვალიფიციური თარგმანების შესრულება, რომელიც მთარგმნელისაგან ორივე ენის მატარებელი სოციუმის სოციოკულტურული და ისტორიული მოვლენების საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ამიტომ ქართული ტექსტის გერმანულად ტრანსლაცია ანთოლოგიაზე მუშაობის პროცესში ჩვენ სამ ეტაპად დავყავით:

1. პირველ ეტაპზე მთარგმნელი დენოტატიური და ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტობის დაცვით ცდილობს თარგმანის პირველი ვერსიის შექმნას;
2. მეორე ეტაპზე თარგმანს კითხულობს გერმანულენოვანი ლექტორი, რომელსაც საგამომცემლო გამოცდილება გააჩნია;
3. მესამე ეტაპზე თარგმანს კითხულობს რედაქტორი, რომელსაც ღრმა ლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენცია გააჩნია ორივე ენაში, რათა ტექსტობრივ-ნორმატიული ეკვივალენტობის თვალსაზრისით გამართოს თარგმნილი ტექსტი.

არ ვიცი, რამდენად გასაზიარებელია ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის მიერ შემუშავებული ტრანსლაციის ჩვენ მიერ აღწერილი მეთოდი. ეფექტიანი რომ არის, ამის დასტური კი ალბათ ორი გერმანულად გამოცემული ანთოლოგია

გახლავთ. ვისაც უცხოურ გამომცემლობებთან ურთიერთობის გამოცდილება გააჩნია, კარგად მოეხსენება, რა ძნელია, გამომცემელი დაინტერესო უცნობი ქვეყნის უცნობი ავტორების ლიტერატურულ ბაზარზე შეყვანით. წარმატების ერთადერთი კრიტერიუმი კი, ჩვენი გამოცდილებით, სწორედ შერჩეული ავტორები და მაღალმხატვრული, ლიტერატურულად უზადოდ გამართული თარგმანები გახლავთ.

ვიდრე ამ წერილს დავამთავრებ, კიდევ ერთ პრობლემას მინდა შევეხო – ორენოვანი ლექსიკონების პრობლემას. ორივე ანთოლოგიის თარგმანზე კვალიფიციური ლინგვისტების მთელი ჯგუფი მუშაობდა და ვფიქრობ, თარგმანების ხარისხიც მეტწილად მათმა კომპეტენტურობამ განაპირობა. რასაკვირველია, კარგი თარგმანის უამრავი შემთხვევა არსებობს, რომელიც მანცდამანც ლინგვისტების მიერ არ არის შესრულებული – აქ მე დიდი სიამოვნებით გავიხსენებდი რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილ შექსპირის სონეტებს, მაგრამ ასეთი შემთხვევები ერთეულია და გამორჩეული ადამიანების ხვედრია. იმისათვის, რომ ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე, და ჩვენს შემთხვევაში გერმანულად, თარგმანის პრაქტიკა განვითარდეს, აუცილებელია რეპრეზენტატიული ქართულ-გერმანული ელექტრონული ლექსიკონის შექმნა და გერმანული სინონიმური ლექსიკონის მასში ინტეგრაცია. შეიძლება ვინმეს ჩემი განცხადება ლინგვისტის პროფესიული ახირება ეგონოს, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო – სანამ საქართველოში ლექსიკოლოგია ამ მიმართულებით არ განვითარდება, ქართული ლიტერატურის თარგმანი ბევრად ვერ წაინეგს წინ და ქართული ლიტერატურის მსოფლიო ბაზარზე გასვლაც შეფერხდება. მით უმეტეს, რომ მთარგმნელთა ახალგაზრდა კადრები ქართულიდან გერმანულად თარგმანის თვალსაზრისით მოსაზიდი და გასაზრდელია.

სწორედ ეს პრობლემებია გადასაჭრელი, თუკი, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსის მაქსიმალურად გამოყენება გვსურს. მანამდე ეს თემა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს – ერთმანეთს ფრანკფურტში, ოქტომბრის ბაზრობაზე შევხვდებით.

20<sup>წელი</sup>  
12<sup>თვე</sup>

# „თიბისის კინომატარებელი დაიძრა“

ავტორი სალომე აფხაზიშვილი  
ფოტო ლევან მაისურაძე



საზაფხულო შესვენების შემდეგ „თიბისი ბანკის“ კინომატარებელმა, გეზი თბილისიდან ბათუმის მიმართულებით აიღო. პროექტის – „20 წელი/12 თვე“ მორიგმა მონაწილემ, კინორეჟისორმა და სცენარისტმა სანდრო ჯანდიერმა თავისი რვაწუთიანი ფილმის სცენარი სწორედ მატარებელს დაუკავშირა. ვაგონი ფილმის მთავარი სასიყვარულო ისტორიის განვითარების ადგილი და სამოგზაურო მიზნების განხორციელების საშუალებაა. მოკლემეტრაჟიანი ფილმის ფაბულა 19 წლის ბიჭის, ზაზოსა და მისი ახლად შექმნილი მეგობრის, ლულას ურთიერთობის ისტორიაა, რომელიც თბილისი-ბათუმის მატარებელში იწყება... ლულა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დაწყებას აპირებს, ზაზო აღტაცებულია ამ იდეით, თუმცა მეორე დღით, კუპეში გაღვიძებულ ზაზოს ლულა აღარ ხედება. ის თავისი ახალი მეგობრის ძიებას იწყებს და გადაწყვეტს, რომ მოგზაურობის იდეა მართომ განახორციელოს, თუმცა როგორც მოგვიანებით ირკვევა, ახალგაზრდული და სათავგადასავლო ფანტაზიის განხორციელება არც ისე ადვილია.

პროექტმა – „20 წელი/12 თვე“ – მწერლები, ფოტოგრაფები და კინემატოგრაფისტები მიმდინარე წლის დასაწყისში გააერთიანა. პირველ ეტაპზე მწერლებისა და ფოტოგრაფების თორმეტმა შემოქმედებთმა წყვილმა წელიწადის თორმეტ თვესთან დაკავშირებით, ამავე რაოდენობის ორიგინალური ნოველა და ფოტო შექმნა. მეორე ეტაპზე კი, პროექტს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფი შემოუერთდა. რეჟისორების ნაწილმა რვაწუთიანი ფილმებზე მუშაობა უკვე დაასრულა. თუმცა, ვიდრე თორმეტ ფილმს,

პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი, კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე ერთ სრულმეტრაჟიან ფილმად შეკრავს, გადაღებებზე მუშაობას კიდევ რამდენიმე რეჟისორი აგრძელებს.

პროექტი „თიბისი ბანკის“ საიუბილეო საჩუქარია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კინოსამყაროში ახალ ნაბიჯებს დგამენ. სანდრო ჯანდიერი ერთ-ერთია, ვინც „თიბისი ბანკის“ კინოპროექტში მონაწილეობს და სწორედ ახლა საკუთარ საავტორო ფილმზე მუშაობს. სანდროსთვის ეს ფილმი პირველი არ არის. მან შემოქმედებითი პაუზა „თიბისის“ მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებით ჩაანაცვლა. ფილმზე ის მხატვარ სიმონ მაჩაბელთან და ოპერატორ კობა შველიძესთან ერთად მუშაობს.

„ფილმის დასრულებიდან ახალი ფილმის გადაღებამდე დიდი დროა, ამიტომ საჭიროა მუდმივად ფორმაში იყო. ეს არის შესაძლებლობა, რომელსაც „თიბისი ბანკის“ პროექტი მონაწილეებს აძლევს. როდესაც, ფინანსური და ტექნიკური ბაზა ყველანაირად მოწესრიგებულია, ამგვარ შემთავაზებებზე უარი რატომ უნდა თქვა?“ – ამბობს რეჟისორი სანდრო ჯანდიერი და აღნიშნავს, რომ მისთვის ეს პროექტი მხოლოდ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმით არ მთავრდება. ამ პროექტმა სანდროს კიდევ ერთი კინოსცენარი შთააგონა, რომელსაც ფიქრობს, რომ მომავალში გამოიყენებს.

რეჟისორი ამ პროექტს „საზაფხულო კინოსკოლას“ ადარებს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო სწორედ სტუდენტებისთვისაა:

„ნებისმიერი სტუდენტისთვის, რომელსაც ფილმის გადაღების შესაძლებლობას მისცემენ, თუნდაც მას ჰქონდეს



კრემისორი სანდრო ჯანდიერი

გადაღებული სტუდენტური ფილმი, ეს მათთვის ძალიან სერიოზული შანსია. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუ აქამდე მუშაობ ადამიანებთან, რომლებიც შენი თანაკურსელები არიან, ამ პროექტში სრულიად უცხო ადამიანებთან ერთად რჩები და მათთან ახალ ურთიერთობებს იწყებ“.

ორგანიზებული გადაღებები და ურთიერთობა პროფესიონალ ჯგუფთან – ეს ამ პროექტის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა, რომელსაც ყველა მონაწილე უსვამს ხაზს და წარმატებული შედეგის განმაპირობებელ ფაქტორებად მიიჩნევს. სამუშაო პროცესისადმი მკაცრად ორგანიზებული მიდგომა ჯგუფის შეკრების პირველი დღიდანვე იწყება და ფილმის პოსტპროდუქციამდე გრძელდება.

„ძალიან იშვიათია საქართველოში კინოს გადაღებისას სტანდარტული გზით ნახვიდე, ანუ მოემზადო ისე, როგორც საჭიროა, გადაილო ადეკვატური ტექნიკით, გააკეთო ადეკვატურად ხარისხიანი პოსტპროდუქცია და ბოლოს, მარკეტინგულად ისეთი მიმართულება მისცე, როგორსაც იმსახურებს მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია – სტანდარტული მუშაობის გრაფიკიც, რომელსაც ასევე ძალიან იშვიათად იცავენ საქართველოში. ამ პროექტში კი ვცდილობთ, რომ ყველაფერი სტანდარტული გეგმის მიხედვით გავაკეთოთ, ერთადერთი შემზღუდველი ფაქტორი მხოლოდ დროა“, – აღნიშნავს პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მთავარი პროდიუსერი პაატა გოძიაშვილი.

კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე, „თიბისი ბანკის“ ამ პროექტს უანგარო საჩუქარს უწოდებს და ამბობს, რომ ამგვარი პროექტები ძალიან დიდი იმპულსია, იმისთვის, რომ საფუძველი ჩაეყაროს ხარისხიანი კინოს შექმნას. ის ამ კინოპროექტს თავისი სტუდენტობის დროინდელ გაერთიანებას – „დებიუტს“ ადარებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ამგვარი პროექტები და ინიციატივები უწყობდა ხელს ნამდვილი ქართული კინოშედეგების შექმნას.

„თიბისი ბანკის“ პროექტი ახალგაზრდებში ინიციატივებისა და ახალი იდეების გაჩენას უწყობს ხელს, რომლის ორგანიზებას და განხორციელებას, პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად, პროდიუსერების, ოპერატორებისა და მრჩეველების გამოცდილი გუნდი უზრუნველყოფს.

„ხშირად ადამიანებს არ აქვთ წარმოდგენა, როგორი კონკრეტული საქმეა კინოს გადაღება, როგორ უნდა მოემზადო ჯგუფში მუშაობისთვის, როდესაც ყველა შენს მითითებებს ელოდება. გადაღებამდე ჩვენ ერთად განვიხილავთ პრობლემებსა და საკითხებს, რომლებიც გადასალეზ მოედანზე შეიძლება წამოიჭრას. მე მათ ვეხმარები, რაც შეიძლება პროფესიულად გავიძინე გადაღებებზე, ვუთითებ როგორ გაიარონ მთელი სანარმოო პროცესი, თუმცა ამ ყველაფერს ძალიან ფრთხილად ვაკეთებ, რომ მათ შემოქმედებით დამოუკიდებლობაში არ ჩავერიო“, – აღნიშნავს ნანა ჯანელიძე.

პროექტის დასრულებამდე სამი თვე რჩება. გადასალეზი მოედანი კიდევ რამდენიმე დამწყებ რეჟისორს, სცენარისტს, ოპერატორს, კომპოზიტორსა და მხატვარს ელოდება. სრულმეტრაჟიანი ფილმის ნახვას კი დიდ ეკრანზე მაყურებელი 17 დეკემბერს, „თიბისი ბანკის“ დაბადების დღეზე შეძლებს. სწორედ ამ დღეს „თიბისი ბანკი“ 20 წლის ხდება...



## ისპალნიელი

ნახვებები პირადი ინტერვიუში

### აკა მორილაძე

ერთხელ, არასრულწლოვან ასაკად მყოფი, უცხოური მაგნიტიფონების და ვიდეოების მალაზიაში ვიდეი და ცხოვრებულ გლინკას ველაპარაკებოდი. საკომისიო და მიმდებარე ტერიტორია მაშინ ჩვენი ეზოს ბირჟად ითვლებოდა.

საკომისიო შემოვიდა გამხდარი კაცი, ლაიკის კურტკით, მივიდა პირდაპირ დახლთან და გამყიდველ ერიკას უთხრა: დაი დვე კასეტი.

ერიკამ უსიტყვოდ მისცა კასეტები და იმას ფულიც არ გადაუხდია. უბრალო კასეტები კი არ იყო, ფერუმ-ქრომი, სონისი. თითო ოცდახუთი მანეთი ღირდა.

ის კაცი ეგრევე წავიდა.

ვინ იყო-მეთქი.

ერიკა ხალისიანი ბიჭი იყო, ოღონდ მოწყენილად გამოუვიდა: ეგ ისპალნიელია ორთაჭალის ციხეზე... ბარდოვი ნოლაძინი ყავს.

ვერც მივაგინეთ, ერიკას გამომეტყველებამ არ გაგვიშვა, თორემ ის კაცი, რომლის სახეც ვერ დავიმახსოვრეთ, კაინის წასული იყო და მაგ ასაკში წასულზე მიგინება, მაინც მიგინებას ნიშნავს. თანაც, ისპალნიელის ამბავი მთლად კარგად არ ვიცოდით. ახლა ვიცი, რომ ეგ სიტყვა რუსული წინადადებისგან მოდის: პრივესნი პრიგოვორ ვ ისპალნიე. ქართულად განაჩენის სისრულეში მოყვანად თარგმნიდნენ, გაზეთებში ხომ იყო ხოლმე ცნობა, როცა თბილისის ციხეში ვინმეს დახვრეტდნენ. უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ, განაჩენი აღსრულდაო, მაგრამ ალბათ სამი სიტყვა ჯობდა ორს. თან მაშინ რუსულის კალკები იყო, ირიბი მაინც. მერე მაინტერესებდა, ნეტა, პირველად ვინ თარგმნა ეს წინადადება ქართულად-თქო. ალბათ, 1921 წელს, მაგრამ მაშინ სხვანაირად თარგმნიდნენ. მერე დაიხვეწებოდა.

ჰოდა, ეს ტიპი ხვრეტდა. ორნი არიანო – ერიკამ, ჩვენ ეს ერთი ვნახეთ. ანუ, უბრალოდ ჯალათი იყო. სიტყვა ჯა-

ლათს მაშინ მოიხმარდნენ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მასობრივ მკვლელობებს უბრძანებდნენ. კამპუჩიელი ხალხის ჯალათი პოლ პოტი. თუმცა, სიტყვა ჯალათზე სხვა სურათი დამიდგებოდა თვალწინ. უფრო, რომელიღაც საბჭოთა მულტფილმიდან, სადაც კაპიუნიანი ჯალათი დიდი ნაჯახით ხელში დაჰყვებოდა მშიშარა და მკაცრ მეფეს. თურმე, რა გემულტფილმება. ჯალათები უფასოდ ითრევენ კასეტებს და როგორც მერე და მერე გამოირკვა, ბევრ სხვა რამესაც უფრო იოლად აკეთებენ, ვიდრე შენ მოგინვეს.

სიტყვა ისპალნიელში კი სწორედ იმ ეპოქაში იდო სხვა მნიშვნელობაც, ალბათ, ერიკას გაღმურმა ნათქვამმა იმიტომაც დამაბნია. იმ დროს შემოსულ მაფიის ფილმებში მსროლელ მკვლელებს უფროსი ბიჭები ისპალნიელებს უწოდებდნენ. ლუკა ბრაზის, მაგალითად. ანუ, საქმის მაგრად შემსრულებელს.

მაშინ ოცდამეერთე საუკუნის მიჯნის ტერმინი – იმენა შეუსრულა – არ არსებობდა, რადგან შეუსრულა ენტევე ფუტბოლის სიგრად ნა ისპალნიე-დან მოდის და ტოტალიზატორებიდან გავრცელდა ჩვენში. მოკლედ, ისპალნიელად კინომირ ქილერებს მოიხსენიებდნენ. სიტყვა ქილერი არ არსებობდა.

ისპალნიელს ჰქონდა სხვა ქართული მნიშვნელობაც, არანაკლებ სახიფათო და საზიზარო. როგორც ვხვდები, ის ნიშნავდა ხელქვეითს, რომელიც რაღაც ისეთ დავალებას შეასრულებს, რაზეც სხვა ხელქვეითი წამსვლელი არ არის. თუ დადებითი კუთხით იტყოდნენ ვინმეზე ისპალნიელიაო – უფრო ხუმრობით. ანდა, შექებით, საქმის კაციაო, ან რაღაც ასეთი.

ეს მესამე ისპალნიელი თავისი არსით პირველს უკავშირდება. მეორე, კინოისპალნიელი, მაინც უფრო სისხლიან

ხელობასთან ხასიათის და ოსტატობის შეხამებას ნიშნავს, მაშინ, როცა პირველი და მესამე, იმას, თუ რაზე ხარ წამსვლელი, სხვანაირად კი – ხელის მომწერი, უფროსის ბრძანების შემდეგ. ის ორთაჭალელი ჯალათი, სახეზე რომ ვერ დავიმახსოვრეთ (რადგან ყველა ჯალათის სახე ემშაკმა გადარეცხა) და ნაჩაღის პარუჩენით მოქმედი ისპალნიწელი ერთი ხალხია, ოღონდაც, ჯალათი კანონის აღმსრულებელია და სასამართლოს განაჩენს აღასრულებს, ეს მეორე კიდეც, სწორედ რომ იმას, რაც არცერთ განაჩენში არ წერია.

ჯერ იმ სასამართლოს რა უნდა უთხრა, ჯალათს რომ ხალხის ხვრეტას უბრძანებს, მაგრამ იერი მაინც აქვს რაღაც: ვილაცა კაცი რაღაცას ამბობს, დამნაშავეს და, ხშირად, თავადაც მკვლელს უსჯის სიცოცხლის წართმევას... თუმცა, რაც სასამართლოებს უდანაშაულო ხალხი უხვრეტია, ეგეც არ გვესწავლება. მაგრამ, მესამე ისპალნიწელი მაინც სხვაა.

მესამე ისპალნიწელი გახლავს მონა. ოღონდ მსუქანი.

პატრონმა იცის, რომ მას ცუდი რამე უნდა დაავალოს. იმიტომ, რომ კარგ რამეს, ჩვეულებრივ გამხდარი მონა აკეთებს.

ყოფილა ხოლმე, რომ გამხდარ მონასაც დაუწყია ცუდი რამეების კეთება და გასუქებულა. ადამიანები შესუქდებიან ხოლმე რაღაც ასაკს რომ უწევენ, მერე ისევ ხდებიან. მსუქანი მონა ადრე იწყებს გასუქებას, თავისი პატრონისგან განსხვავებით, ის სხეულს არ უფრთხილდება – თქვლევს და ხვრეპს განუზომლად.

განსხვავება მასსა და ჯალათ ისპალნიწელს შორის ესაა. ჯალათი ჭამის მოყვარე არ არის. იმას უფრო სმა უყვარს.

ოცდაათიან წლებში მოსკოვში ერთი ნალატიშარი ჯალათი იყო, საქმეს ვერ აუდიოდა, ნერვები ღალატობდა, სულ ბიდონით ედგა სპირტი და განუწყვეტლივ იბანდა იმ სპირტით და სვამდა კიდეც. იყო სათვალისანი, გალუული კაცი, რომელიც ამდენი შრომისგან ადრე დაავადმყოფდა და გარდაიცვალა.

ძველ დროში, სანამ თავსა კვეთდნენ, ჯალათი მკლავმგარი უნდა ყოფილიყო და მდუმარეც. იმის ხმა არავის აინტერესებდა. ხალხი თვითონ ჟივილ-ხივილობდა მოედანზე. იყვნენ სარდაფის ჯალათებიც, ვინაიდან მრავალ საუკუნეს ითვლებოდა, რომ კაცს თუ არ ატკინე და თუ კარგად არ აწამე, სიმართლეს არ იტყვის. გამოძიების შემდეგ ადამიანს არავინ აწამებდა.

მსუქან მონას ეგეთი რამე არ მოსდის. არა აქვს ისეთი პრობლემები, როგორც იმ ლატიმ ჯალათს ჰქონია.

მსუქანი მონა ბედნიერია საკუთარი თავით და იმით, რომ ქონი აქვს ფერდებში.

მსუქან მონას ეტყვიან: მიდი, გააწვინე ის ტყვე ჯარისკაცი და ზედ იარე ფეხებით, და ის არ დაიზარებს. საერთოდ, რაიმეს დავალება ერთხელ უნდა, მერე, სანამ არ გააჩერებ, თავისით აკეთებს. თან, უკეთესად და უკეთესად. რაებს აღარ გამოიგონებს, რომ პატრონს მოეწონოს. თავისი გამოგონებლობით კმაყოფილია. სული სრულ წესრიგში აქვს, სხეულზე არ დარდობს, მთავარია, ჯანი მოსდგამდეს.

მსუქან მონებს ბევრი ვერავინ ხედავს, იმის მიუხედავად,

რომ ისინი ათასობით არიან და სულ სხვადასხვა წოდებისა და შემოსავლებისა. უფროსი კმაყოფილია ხოლმე ამნაირი ისპალნიწელებით, ძალიან კმაყოფილი, მსუქანი მონაც კმაყოფილია ხოლმე უფროსით, იმის უკეთესი ქვეყანაზე არავინ ჰგონია. მით უმეტეს, თუ უფროსი თავს გაუყადრებს და მასთან ერთად გატეხს იმ საწყალ პურს, რომელიც ამათი შესაჭმელი უნდა გახდეს. ამ ამბავს მსუქანი მონა აუცილებლად უამბობს ოჯახის წევრებს და ნათესავებს, ზუსტად ისე, როგორც ერთ ძველ ქართულ ანექდოტშია, გლეხი რო შინ მოვა და მაგიდას მიუჯდება, ცოლი კი არ ეკითხება, სად იყავიო. ჰოდა, გლეხი ვერ მოითმენს და შეუძახებს, რამე მაჭამე, ქალო, იმისი არ იყოს, დღეს რომ პრისტავმა ჩამომართვა ხელიო.

მესამე ისპალნიწელი ბედნიერია პატრონით. ცოლი არაფერს ეკითხება საქმისას, არცა ვინმე. მხოლოდ, რომ შეთვრება ხოლმე მსუქანი მონა, კაცთა წრეში დაიწყებს ამბების გადმოყრას და ისინიც უსმენენ ხოლმე, უფრო ხშირად აღტაცებით, რადგან თავის პატრონზე ჰყვება ხოლმე და ცოტასაც იმაზე, თუ რას აკეთებს პატრონის გულისთვის.

ერთი უხერხულობა ის არის, რომ მსუქანი მონა დევსა ჰგავს.

დღეი ყველას გაუგია, მაგრამ მაინც სასურველია, რომ ხალხმა კარგად წარმოიდგინოს, როგორები იყვნენ დევები. გარეგნული იერისა გასაგებია, მაგრამ დევებს ჰქონდათ სიმყრალე. ანუ სუნი ასდიოდათ. არის ფრაზაც განთქმული ზღაპრიდან – იქით გაინი, შე, აყროლებულოო.

ჰოდა, მსუქან მონებსაც სიმყრალე აქვთ. ოღონდაც, რახან ერთად ტრიალებენ, ერთმანეთის სიმყრალისას ვერ გრძობენ. ოჯახში კი მათ სიმყრალეზე არაფერს ამბობენ. ამიტომაც, უყვართ ოჯახური გარემო ამ მსუქან მონებს და ამიტომაც უყვართ თავიანთი უფროს-პატრონები, რომლებიც თუ ისპალნიწელი არ შეცდა, არასოდეს შეიმჩნევენ მის სიმყრალეს. მსუქან მონებს ასევე უყვართ ხორცი. არა აქვს მნიშვნელობა, რისა და ვისა და ამაშიც გვანან დევებს.

სიმყრალე გადამდები არ არის, მაგრამ მსუქან მონებს აქვთ გადამდები თვისებებიც. ისინი სულ მოთხვრილები არიან. თან სულ ნაირგვარი რამით: მსხვერპლთა გოდებით, მოურიდებელი თვლებით, სხვისი სისხლით, მავდერებელი უპასუხო სულებით, პატრონის განავლით და კიდეც ათასი რამით.

ჰოდა, ეს მოთხვრილობა სწორედ ის არის, რაც გამოარჩევს მსუქან მონას თავის პატრონისგან და რის გამოც ჰყავს პატრონს მსუქანი მონები.

მსუქანი მონა არა მხოლოდ ისპალნიწელია, არამედ მტვირთავიც და ეგებ ეს უფრო მნიშვნელოვანიც არის მისი პატრონისათვის. თუმცა, პირდაპირ ვერ იტყვი, რომ რომელიმე ამ საქმეთაგანი უფრო მნიშვნელოვანია. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობს, პატრონს ორივე სჭირდება.

მტვირთავობა ისეთი რამ არის, რომ რაც რამ ნაგავი და საზიზღრობა აქვს პატრონს თავის კმაყოფილ სულში, ისპალნიწელსთან ერთად მთლიანად მსუქანი მონის სულსა და სხეულში უნდა გადააბარგოს. ხოლო ყოველივე, რაც გადაბარგდება, თანდათან იწვევს მონის მოთხვრილობას.

რახან მსუქან მონას სული პირობითად აქვს, მას არ ანალ-ვლებს ხოლმე რით არის მოთხვრილი. მას მხოლოდ სიმსუ-ქნე უყვარს თავის გარეგნობაში და მიტომ ჭამას ჩქარობს. პატრონს მით უმეტეს არ ანალვლებს მსუქანი მონის მო-თხვრილობა. მონა იმისია, რომ მოითხვაროს და რაც უფრო მოთხვრილი იქნება, მით მეტ ისეთ საქმეს მოიშორებს პა-ტრონი, გულში რომ აქვს და გაკეთებას კი არ კადრულო-ბს. პატრონისთვის საჭირო ის არის, რომ მსუქანი მონა ზუსტად დაუხვდეს და მიუხვდეს, რასაც ეს უკანასკნელი კარგად ასრულებს, მაგრამ დგება ერთი დღეც და რაც არ უნდა იძახო, არ არი გადამდებიო, ის, რაც პატრონმა თავი-სი კმაყოფილი სულით ჩაღვარა მსუქან მონაში, და რამაც თანდათან მოთხუპნა და დათითხნა მსუქანი მონა, პატრო-ნისკენ მოიწვეს.

ეს იმ დროს ხდება, როცა მსუქანი მონა საერთოდ ვე-ლარ ხვდება ვინ არის და თავისი ჩადენილი საქმეებით პა-ტრონისკენ გაიწვეს ჩასახუტებლად. იმ დროს მსუქან მონას დიდი სამართლიანობის სურვილი გაეღვიძება ხოლმე, რო-მელიც მიანიშნებს, რომ ისა და პატრონი ერთნი არიან. გა-მხდრისგან განსხვავებით, მსუქანი მონა პატრონზე არ ბრა-ზობს, მხოლოდ უნდა, რომ მიეფეროს მას, ალოკოს, ეგებ

**გალერეა**



გიორგი ტაბატაძე  
"You", 2012

სიყვარულით გააუპატიუროს კიდეც, ან თავი გააუპატიუ-რებინოს. ამას შესთხოვს, და იმიტომ ეხუტება პატრონს.

რახან მსუქანი მონის მეტყველებაც პირობითია, სიტყვით ის ვერაფერს აგებინებს პატრონს – ღმუთუნებს, როგორც საბრალო ლეგჩოხა ბიჭი ტოტია (ის ამ ამბავში რა სახსენე-ბელი იყო) და მიიწვეს სახუტებლად პატრონისა, კოცნის მას, როგორც მთვრალი კაცი მთვრალ კაცს, ხოლო პატრონი კი უყურებს ამ კოცნას როგორც ფხიზელი კაცი და ცდილობს როგორმე მოიშოროს მსუქანი მონა. მაგრამ ვაჰ! საქმეც ეს არის, რომ მსუქანი მონა პატრონზე უფრო ღონიერიცაა და უფრო მოსიყვარულეც. და, ბოლოს და ბოლოს, მოიქცევს პატრონს თავის ნეხვისა და სიამოვნებისგან დამპალ ხელე-ბში და ჰეეე, პატრონის საქმეც იქ დამთავრდა.

ყველა ის სიბინძურე და ოხრობა, ის ლეშობა და ძმარი საზიზღარი, რაც ზედა ჰქონდა მსუქან მონას, გადაედება პატრონს და ამასაც წამსვე დაეღრიჯება ის ნაფერები და დამალული სახე, მოექცევა სიავის ყბა და გაუკვესავს ბო-როტის თვალი, სულ დამალული იქამდე. პატრონს არ უნდა, რომ ხალხს მსუქანი მონა ეგონოს. ხალხი კი ვერ ამჩნევს მსუქან მონას, სანამ მსუქანი მონა ხვდება, რომ მსუქანი მონაა, მაგრამ როგორც კი მსუქანი მონა ისე დათვრება სიმყრალით, რომ სურს პატრონი გალოკოს, ის შესამჩნევი ხდება, მისი სიმყრალე – შესაგრძნობი. იმ დროს პატრო-ნი მოედანზე გამოათრევს ხოლმე მსუქან მონას და სცემს და აწამებს, რათა ხალხს დაანახოს, როგორ სძულს იგი. მსუქანი მონა წამებას იტანს, რახან პატრონისგან ეწამება, მაგრამ ხალხი ველარ არჩევს პატრონს და მონას, რახან იმ თავისი სასიყვარულო ბლლარძუნის დროს მონას მოუ-ხერხებია და მთლად საკუთარი თავისთვის დაუმსგავსებია პატრონი. ჰოდა, ველარ გაიგებ, მსუქანი მონა სცემს პა-ტრონს, თუ პატრონი მსუქან მონას.

მთავარი, რაც ასეთ დროს უნდა ქნას მოსეირემ, ის არის, რომ იმათგან გადმოვარდნილი თუთხნები აიცილოს, თო-რემ, ჩვეულებრივი ადამიანისთვის ისინი ათასჯერ უფრო მწველი და მტანჯველია, ვიდრე პატრონისა და მსუქანი მო-ნისთვის.

თან კიდეც, პატრონი ისევ შეიტკობს მსუქან მონას, თვი-თონ კი, როგორც ძველი მწერლები იტყოდნენ, ჩაჯდება ვერცხლისფერ ლაინერში და გაფრინდება სადღაც იმ სი-ბინძურეთა მოსაშორებლად (მაგის კლინიკებიც არსებობს), სანამ მორიგ მსუქან მონას არ დაავინყდება, რომ მასსა და პატრონს შორის დიდი განსხვავებაა და პატრონის კოცნა არ შეიძლება და იმისთვის ხარ ასეთი მახინჯი, რომ პა-ტრონის მაგივრად ამოთხარო თვალები ქალწულებს და რომ დათვრები, ამის შესახებ ბიძა-ბიძამვილებს უამბო იმ შენ სუნთან სუფრაზე.

იმ ორთაჭალის ციხის ისპალნიწელის გვარი კი მახსო-ვს, მაგრამ არ დავნერ. იმისთვის ეგ სულერთია, ჩვენს ნაზ და მგრძნობიარე მხარეში კიდეც, იტყვიან, ქსენოფობიური იერი დაჰკრავსო, ან სულაც, შეუწყნარებლურიო, და ის კიდე, მესამე როა, პოლიტიკორექტულიო. რახან არცერთი არ დამკრავს და იმ ძველი ისპალნიწელის პასპორტიც ხელ-ში არა მჭერია, იქამც იყოს, სანამ მზე ჩავა.



**KIA Sportage**



**iPhone 4**



**iPad 3G**



**MacBook Pro**

# MOBILE BANKING INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📱 \* 27 27  
[www.tbconline.ge](http://www.tbconline.ge) [www.tbcmobile.ge](http://www.tbcmobile.ge)



# ფოტოალბომი

ავტორი ნა არუაშვილი  
ილუსტრაცია ნათია კვარაცხელია

## ფოტო №1 ვაშლი

ვერცხლისფრად შეღებულ რკინის პატარა კარსა და ბოძს შორის ვდგავარ ჩაჭყლებილი. ასე ცოტათი გამოვლულხარ მარტო მე და ჩვენი ძალი, ხალისა ვეტყვი. მიყვარს აქ დგომა, ხან რომ ქუჩაში ვიხედები და ხანაც – ეზოში, ორივეგან რომ ვარ. თანაც არავინ მეუბნება, კარში ნუ დგახარო. მარჯვენა ხელში უზარმაზარი სინაფი ვაშლი მიჭირავს. ზედა, წითელი მხარე ეს-ესაა გავუპრიალე, ქვემოთა, ხელის-გულისკენ მოქცეული მწვანე გვერდი კი ისევ დაბინდული აქვს. მასაც ახლავე გავაპრიალებ, ოღონდ ვაშლი ჯერ მარცხენა ხელში უნდა გადავიტანო, მარჯვენა დამეღალა. მართლა ძალიან დიდი ვაშლია, მთელი ძალით ვუჭერ თითებს რომ არ ჩამივარდეს და წრიულად ვისვამ კაბაზე, ბარძაყთან ახლოს.

ქუჩიდან ხალისა შემოიძურნა და ფეხებში გამიძვრა. უნდა მეთქვა, სად ეტენები, მე ძლივს ვეტყვი, ვერა ხედავ-მეთქი, მაგრამ სველი ცხვირი ისე ალერსიანად გამისვა შიშველ წვევებზე, რომ ვეღარ დავტუქსე. ეზოსკენ არც გაუხედავს, მარტო ჩემს გაპრიალებულ ვაშლს ამოხედა წყლიანი თვალებით, იტრიალა, იტრიალა, კუდი ამოიკეცა და გრილ ცემენტზე, ფეხებთან მომიწვა. რა გემრიელად წევს, შემოდგომის მზე გრძელ სხეულზე დაჰყურებს და სასიამოვნოდ უბზინებს ჯანმრთელ, წითურ ბენეს. ვიცი, ახლა მეც მასავით მიბრწყინავს თმა და ძალიან მიხდება, რამდენიმე წუთით მეც დამახედა ზემოდან საკუთარი თავისთვის.

ვაშლის გაპრიალებას რომ მოვრჩი, მაშინვე არ დამიწყია ქამა. ჯერ ცოტა ხანს ხელებში ვაბურთავე და ლოყებზე

ვისვი აქეთ-იქიდან სლიკინა კანით, მერე მონაცვლეობით ჭოგრიტივით ვიდებდი თვალებზე და იქაურობას ვზვერავდი. ბოლოს მომბეზრდა თამაში, ვაშლი რამდენჯერმე ისევ გავისვი კაბაზე, მზეზე გავხედე, მის იდეალურ სიპრიალეში კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნებულიყავი და ჩასაკებჩად მოვემზადე.

ხრამში... ნიკაპიდან და იდაყვებიდან წურწურით ჩამომდის ქაფნარევი, კალიისფერი წვენი და ხალისას მივივით ეწვეთება ლამაზ, გვერდზე გადაგდებულ ყელზე. ერთი-ორი, ერთი-ორი... სიამოვნებისგან თვალებმილული გემრიელად ვახრამუნებ სინაფის ლუკმებს. მიყვარს ვაშლი.

„– რო დამეკარგო, იცი როგორ გიპოვი? – მაგ ნაფოტა კბილებით! იაპონიაშიც გიპოვი, სხვაგანაც, ყველგან...!“ – მთვლემარე ხალისა მოულოდნელად თავს წამომდგარი მამაჩემის ლაპარაკზე ფხიზლდება და გარბის. მამა გაბრწყინებული თვალებით დაჰყურებს ვაშლზე დატოვებულ ჩემს ნაკბილარებს. მერე იხრება და თბილ თმაზე მკოცნის. მე ვიტრუნები. მეზობლის სახლის ყრუ კედელთან მდგარი ნაწყენი ხალისა თავს აქეთ-იქით იქნევს და ბენზე დაწუნებულ ვაშლის წვეთებს იყრევინებს...

## ფოტო № 2 ფანჯარა

პირველი სართულის ბოლო ოთახის ფანჯარა იყო. სხვა ფანჯრებთან შედარებით ფართო და მაღალი. თეთრი, კრიალა საღებავით შეღებილი, ახალიც უფრო. მისი მუდამ სუფთა, განკრიალებული შუშები დღისით წითელ მზეს ირეკლავდნენ, ღამით ქარვისფერ, ხან – ფერდაკარგულ, მიღეულ მთვარეს. ფანჯრებს მე სახლის თვალებს ვეძახდი.

თუ სახლში ფანჯრები დაკეტილი იყო, ჩემთვის სახლს ეძინა, თუ ღია იყო, მაშინ – ეღვიძა და ეს ძალიან მახარებდა. ჩვენი სახლი თითქმის არასდროს იძინებდა, იმიტომ, რომ ეს ფანჯარა სულ ღია იყო წელიწადის ნებისმიერ დროს, ოდნავ მაინც გამოღებული, რომ სახლს ღრმა ძილით არ ჩასძინებოდა. მარტო დიდი წვიმებისა და ყინვების დროს იგმანებოდა ძლიერად, მჭიდროდ.

ჰოდა, მიყვარდა ეს ფანჯარა, იმიტომ, რომ ძილს ვერ ვიტანდი. აბა, ფანჯრის სიყვარული სად გაგონილა, მაგრამ... თუ იმ ფანჯრიდან სულ ორიოდ წამში გადაძვრებოდი შენს ოთახში დედის უწუმრად, როცა კარი შორს იყო და იქიდან მოვლა გეზარებოდა? თუ იმ ფანჯრიდან პირველი შენ დაინახავდი ქალაქიდან დაბრუნებულ საყვარელ ძიას? თუ მის რაფაზე ახლად გაღვიძებულს დაგხვედებოდა უჩინარი ხელისაგან მომცრო ჯამით შემოწვდილი თუთა ან ბალი? ან ვენახიდან მოსული პაპის მოტანილი ადრეულა ყურძნის კუფხალი? თუ ოთახიდან გაუსვლელად დაყნოსავდი ფანჯრის ჩარჩოზე შემოხვეულ სამურაბე ვარდს? ან მერცხლები თუ ცხოვრობდნენ მის კუთხეებში და შენი ძალიც, უდარდელად გაშხლართული მის ქვეშ თუ თვლემდა? მითხარით... თქვენ არ გეყვარებოდათ?!

მაგრამ... ერთ დილით, კიდევ ერთი „მაგრამი“ გაჩნდა და ფანჯარა გადამიყვარდა.

ბოლომდე იყო გაღებული, როგორც სხვა დროს, როგორც ყოველთვის, როცა ცხელოდა, მაგრამ ახლა საზარლად, ურჩხულივით დაელო პირი. მეშინოდა რომ ვუყურებდი, თან კიდევ – მიძულდა.

მის ერთ, შიდა, ოთახის მხარეს ორნი იდგნენ, მეორე მხარეს მგონი – სამნი, ვერ ვხედავდი, არც მასხოვს კარგად. – დედაჩემი რომ გამოიყვანეს აქეთ-იქიდან ხელგაყრილი და დანარჩენი ქალებიც რომ გამოვიდნენ, შიგნით დარჩენილმა კაცებმა გარეთ მდგომებს „ფრთხილადო, ფრთხილად“ – ჩუმად უთხრეს და ჩემი უმცროსი დის პატარა კუბო, რიდით, კრძალვით, სინანულით გადმოიტანეს შიგნიდან გარეთ. მერე წაიღეს, როგორც დიდები მიაქვთ ხოლმე – რწევით, ტირილით, ბევრი ხელით ატატებული. მტვრიან გზაზე ნება-ნება მიდიოდნენ არც ისე ბევრნი. ხან ჩერდებოდნენ. შავ გორგალს ჰგავდნენ ამ დროს ერთად შეჯგუფებულები. მე კი დამტოვეს.

„მტრედი იყო და ფანჯრიდან იმიტომაც გაფრინდა ცაში!“ – მითხრა იმ ქალმა, ვისაც სთხოვეს, შენთან დარჩესო. მე მაშინვე ავიხედე და ცას შევლიმე. მერე ხელი ბრაზიანად ჩავიქნიე. გულში ვთქვი, ჩემთვის: „ახლავე მოვალ, თვალს დაგიხუჭავ და სახლს დავაძინებ“.

**ფოტო №3  
ბაშილა**

ავიღებ ხოლმე ამ შენს ფოტოს, სადმე ჩამოვჯდები, ან იქვე, წიგნების კარადასთან მოვკეცავ, სადაც მიდევს, შორსმხედველივით დავიჭერ ხელში და დიდხანს ვუყურებ. ერთი წელია რაც ეს სურათი ჩემთან არის. წამოვიღე, რომ შენგან სახსოვრად მქონოდა. შენს ერთ-ერთ გაქუცულ, დანესტილ ფოტოალბომში ვნახე და ავიღე. სხვებიც იყო, მაგრამ მე ეს მომეწონა, ეს ამოვირჩიე – შენი ბავშვობის დროინდელი. თუმცა აქ უკვე ბავშვი აღარ გქვია, მაგრამ ჯერ არც ქალი ხარ.

დაბალი ხარისხის ფოტოა. შავ-თეთრს ვერ დაარქმევ. უფრო ნაცრისფერ-ყვითელია. გარშემო ისეა დაკბილული, როგორც თითქმის ყველა მაშინდელი, უბრალო ფოტო. იმ სახლში გაქვს გადაღებული, სადაც ბავშვობა გაატარე, სადაც, როგორც სულ ამბობდი, ისეთი ბედნიერი იყავი, თავს დანატროდი. მეც მასხოვს ეგ სახლი: ალიზით ნაშენი, ცისფრად შეფეთილი სახლი იყო. თხელი კედლებით გადატვირთული სამი ოთახითა და ვინრო დერეფნით, თავსა და ბოლოში ორი შესასვლელი ხის

კარით. ყავარით იყო გადახურული, იატაკი კი დატკეპნილი მიწისა ჰქონდა.

ჯერ მარტო სკამი როგორა დგას, ადამიანივით, და შენ მასზე როგორა ხარ მიწობილი, საზურგეზე იმედიანად ჩამოდებული მარჯვენა ხელით. ალბათ ფოტოგრაფმა დაგარიგა, ასე დადექიო და შენც დაუჯერე. ეგ სკამებიც მასხოვს: მრგვალი ფანერის დასაჯდომი რომ ჰქონდა და, სიმტკიცისთვის, ცოტა ქვემოთ, ხის სალტე რომ ჰქონდა რკალად შემოვლებული. არა, ცამეტი-თოთხმეტი წლისაზე მეტი წამდელია არ იქნები.

ახლა ფეხები როგორ გიდგას, შავ შტიბლეტებში ჩანყობილი, ერთმანეთზე გულისამაჩუყებლად მიტყუებულები... დარწმუნებული ვარ, სკოლაშიც ასე იდგებოდი, მასწავლებელი დაფასთან რომ გაგიძახებდა. რა ლამაზი ფეხები გაქვს! მაშ მერე რაღა მოუვიდათ, რამ დაასივა, დაანყლულა, რამ გახადა ისეთი, რასაც შენ „ზადიან ფეხებს“ ეძახოდი? როგორ გეჯავრებოდა მათი დანახვა.

როცა ბავშვობის ამბებს გაყოლებდი, სულ ამბობდი, რომ დედაჩემი „კარგად მაცმევდაო“. ახლა გეტყვი, მე მაშინ გულში ჩუმად მეცინებოდა ხოლმე მაგ შენს ნათქვამზე და არ გიჯერებდი. სულ მეგონა, რომ აბუქებდი, აზვიადებდი (ისე, ცოტა გიყვარდა ტრაბახი, სულ ცოტა-ცოტა). ვფიქრობდი, სადღაც, მიყრუებულ სოფელში, დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინ, კარგად როგორ უნდა სცმოდა-მეთქი. ეს ფოტო რომ ვნახე, მაშინლა დავიჯერე. ხომ არ გეწყინა?

ალბათ ეგ ფეხსაცმელი უცხოურია, ძალიან ლამაზები ჩანს. ნაცრისფერი, ფართხუნა ქვედაბოლო მუხლს გიფარავს. ზემოთ როლინგი, მომდგარი ფილეთი და ძალიან კობტად შეკერილი, შეიძლება – ნაყიდიც, შავი პიჯაკი გაცვია. ჩემი „მოდნიცა!“ შენ რომ თმა გაქვს, სშირი, ქერა და დატალღული, ეხლა მასე სალონებში იკეთებენ შენსავით ლამაზი გოგოები – შენ კი ბუნებრივი გქონდა. საათიც რომ გიკეთია? მძივიც? საყურეებს ვერ ვხედავ მარტო, მაგრამ მასხოვს, რომ ყურები გახვერტილი გქონდა. აგიმტვერებდნენ „პობედინი“ და „მოსკვირინი“ ბიჭები სოფლის ერთადერთ, პატარა ქუჩას, მაშ რა იქნებოდა? აი, ის კი ვერ გავარკვიე,

**ბალერაა**



გიორგი ტაბატაძე  
"File/open" project

მხარზე, ირიბად, ფოტოაპარატი გაქვს გადაკიდებული თუ რადიო? მე უფრო პირველი მგონია და შენი სამშენისებიდან ყველაზე მეტად მაგან გამაკვირვა.

იცო, კიდევ რა არ მჯეროდა? საჭმელზე რომ ამბობდი ხოლმე, ამდენი და ამდენი თაფლს ვწურავდით, ამდენი ძროხა გყავდა და ამდენი „სმეტანა“, ყველი, კარაქი, ხაჭო გვქონდა, ამდენი „ვიჩინა“ ეკიდა ჩვენი მარნის კოჭებზე, ამდენი კარტოფილი გვედგა ტომრებით, კვერცხი – კალათებით, ხილი და მურაბაო... და კიდევ, იმდენი ვიყავით ოჯახში, რომ დიდ, ათლიტრიან ქვაბში აკეთებდა ხოლმე სადილს ჩემი რუსი „ბაბუშკა ნინა“. მერე კიდევ, ზაფხულობით, თუთების ქვეშ, გრძელ „სტოლზე“ იმართებოდა ვახშამი და თუ ბავშვის „ნორმას“ არ დაჯერდებოდით, ნინა ჩამჩას ჩავგვარტყამდა ხელბშიო. „სტროგი“ იყო, ასე ამბობდი, მაგრამ ძალიან გვიყვარდაო. უფრო სწორად, განა არ მჯეროდა, მიჭირდა ამდენი სანოვარის ერთად წარმოდგენა.

კარგი თხრობა კი იცოდი. მესხიერებაც იშვიათი გქონდა. ისე დალაგებულად, დეტალურად ყვებოდი ძველ ამბებს, ძალიან მომინდებოდა ხოლმე იმ შენი „უცნაური“ ბავშვობის ნახვა. შენ თვითონაც როგორ გინდოდა იქ დაბრუნება...

გახსოვს, ერთხელ, დილაუთენია რომ მოხვედი ჩემთან და მთხოვე, მაცვლის „ვარენიკები“ გამიკეთო? რალაცნაირად, უცებ, პატარა ბავშვივით იცოდი საჭმლის მონდომება. გიყვებოდი „ვარენიკებზე“, ჩვენი, პოლონელების საყვარელი საჭმელიაო, ამბობდი. კიდევ ბიგოსი გიყვარდა – ერთად ჩაშუშული წვრილად დაკუნწული თეთრი კომბოსტოს მწნილი და ხორცი. შენ ამ საჭმლის სახელი არ იცოდი, მარტო როგორც კეთდებოდა, ის გახსოვდა. მერე მე სადღაც შემთხვევით ამოვიკითხე და ისე მოგახარე, როგორც რალაც კარგი ამბავი. ჰო, „ვარენიკებზე“ ვამბობდი, ცოტა კი მეზარებოდა გაკეთება, მაგრამ ხათრი ვერ გაგიტყე. როგორ მონატრებულნი ჭამდი მერე თაფლში ამონობილს... ღირდა ჩემს ნვალეზად შენი კმაყოფილი სახის დანახვა.

ერთი დღით მაინც ხომ დაგაბრუნე მაშინ ბავშვობაში?

გიყურებ ფოტოზე და ამ ქერათმიან, კარგად ჩაცმულ, სახემოცინარ ლამაზ გოგოს, ვერაფრით ვერ ვაკავშირებ ცხოვრებისგან განამეზულ, დაცოტავებულ, დამჭენარ, დაშრეტილ, დაუძღურებულ მოხუც ქალთან, რომელიც სიკვდილს ასე ნატრობდა.

ნეტავ ფოტო მაინც გვქონოდა ერთად გადაღებული!

**ფოტო №4  
ბიჭი**

ორ ჭიქას რო გადაჰკრავ და ჭკუაზე დარიგებას დამინწყებ ხოლმე, ნუ ფიქრობ ამდენს თორემ, ერთხელაც იქნება, ქვების სროლას დაინწყებ და ბედიანაში გიკრავენ თავსაო, თუ ეგეთი მაგარი ხარ, წამალი მასწავლე აბა მაგისი. შენა გგონია, მე გულზე მეხატება რო ეგრე ვარ? მაგრამ რა ვქნა, რო დამეხვევიან ტარაბუასავით, რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი.

დღისით კიდე არა უშავ რა, ეგრე იოლად ვერ გერევიან. სოფელია, გახვალ, გამოხვალ, ხან შენ დაელაპარაკები ვიღაცას, ხან სხვა მოვა შენთან რამის საკითხავად. ხანაც, სულაც რო არ გინდოდეს, ტყუილათ დადგები ცოტა ხნით ჯვარედინაზე, ერთი-ორს ჩახეველებ, პაპიროზს მოუკიდებ, გაილანძღები კიდევ, ან ამინდზე იტყვი რამეს, ან მოსავალზე, ან პოლიტიკაზე, რო სოფელმა თავისათ ჩავთვალოს და ბაიყუში და უჭმური არავის ეგონო. ჰოდა, გინდა-არგინდა, ესენიც ეგრე ადვილათ ველარა გჯაბნიან, ყურდებიან.

სამაგიეროდ, ღამე მაგათია. რო ველარ და ველარ მოვიმორებ ხოლმე თავიდან, გაბეზრებული წამოვხტები და ხან ოთახში, ხან ეზოში წინ და უკან სიარულში ველოდები რიჟრაჟს, რო ავიკრა გუდა-ნაბადი და ან ვენახში, ან მინდორში სამუშაოთა ვცვიოთ თავი. ხო ერთი ვარ, ორი-სამი კაცისას ვმრომობ, რო იქნება დალილობისგან მაინც მომწყდეს ყინნი და სადამოს ტახტზე რო მივეგდები მისავათებული, მაშინ მაინც წამთვლიმოს. გაგიგონია? იმ მიმკვდარებულზე უფრო მოდიან. ჯერ ხო მთელ დღეს კინოს ლენტასავით გადავხვებ ხოლმე – ვის შევხვდი, რა ვნახე, ვის ჭკუაზე დავარიგე, ვისთან მე მივქარე... მერე წარსულში

ვინცებ ბლოტიალს, დავდივარ, დავნაკნაკებ, დავათრევე ამოდენა ფიქრებს და ფიქრშივე ვარჩევ ჩემი ჭკუით თეთრსა და შავს, მტყუნს და მართალს.

ფიქრი ფიქრათ და, რო ვტირივარ ეს ამხელა კაცი, ამას უკვე მართლა აღარ ვიცი რა მოვუხერხო. თან ხშირათ, განა. შეიძლება სიბერისგანაც არი. აი, ჯერ აქედან, კუჭისთავიდან წამოვა რალაცა – დადის, ბორგაგს, წრიალებს შიგნით, აქეთ-იქით აწყდება, მერე გულზე მომანვება, გულიდან ყელში ამოვა, ყელიდან – თვალბთან, ამიკანკალდება ნიკაპი და გამდის ღვიარება. კიდევ კარგი, ლამეა, მარტოკა ვარ და კაციშვილი ვერა მხედავს.

ეხლა და ეხლა, რაც ასაკი მოვიდა კიდე, ვატყობ, ჯანი ველარ უძლებს. ბედიანა-ბედიანაო, რო გაიძახი, განა არა, კარგა ხანია, მართლა იქა ვარ გამოსაცხადებელი, მაგრამ გარედან რო არ ვიმჩნევ, ალბათ ეგა მშველის. მე ჩუმი გიჟი ვარ. მთელი ცხოვრება ჩემთვისა ვგიჟდები, მარტოკა; მარტო მე ვიცი, ეს რა ჯოჯოხეთია, როგორ ვიტანჯები ამისგან და იმან – მალლა. მესამე დედაჩემი იყო, საწყალი, და ის კიდე, აბა, უკვე რამდენი ხანია აღარ არი. ან რო იყოს, რას მიშველიდა? ამის წამალი ჯერ არ მოუგონიათ. რა ვქნა, ალბათ ჩემი ბედი ეს არის – სანამა ვარ, ეგრე უნდა შევეჭმეინო. განყდეს სადაც წვრილია.

**ფოტო №5  
ქაკალი**

ას წელზე მეტი ხნის იყო. ჯერ კიდევ ჩემს დიდ პაპას დაერგო ახალგაზრდობაში. სახლთან ახლოს იდგა და ნახევარ სახურავს ფარავდა უზარმაზარი, სიგრძე-სიგანეში ლამის თანაბრად გასული ვარჯებით. შემოდგომაზე მისი ქათქათა, ნოყიერი ლებნები მიყვარდა, გაზაფხულობით – მწვანედ გაბობლილი ფოთლებიდან კუნწულებად ჩამოკიდებული მომწვანო-მოშავო ყვავილი, ზამთარში – მისი თეთრი თოვლით დაფარული და შავი ყვავებით დახუნძლული კენწერო და ზაფხულობით, აივანზე ჩამოფხატული მისი ტოტების ქვეშ გაშლილი დედაჩემის დაბადების დღის სუფრა.

ძალიან ბევრი წლის განმავლობაში, აგვისტოს ცხრაში, ჩვენი სახლის წინ

მუდმივად ჩერდებოდა მახლობელი სოფლიდან ამოსული ბიძაჩემების მსუბუქი ავტომანქანები: თეთრი „გაზ 21“ და შოკოლადისფერი „03“, საიდანაც ჩემი დეიდები და დეიდაშვილები გადმოიშლებოდნენ ხოლმე; მალე ამ მანქანებს ქარხნიდან პირდაპირ ჩვენთან მოსული უმცროსი ბიძა მიუყვებოდა თავის „ლვინის ცისტერნას“ გვერდით; პაპაჩემი და ბაბოჩემი კი მესამე უბნიდან წამოსულ დეიდასთან ერთად მოკლზე, ბალჩა-ბალჩა გადმოდიოდნენ; თუ ჯვარედინაზე მცხოვრები პაპიდაჩემი და მისი ქმარიც მოვიდოდნენ, სულ, ბავშვებიანად, ოცდასამნი ვგროვდებოდი და ქეიფიც იწყებოდა.

სანამ იუბილარის სადღეგრძელო და სხვა „აუცილებელი“ სადღეგრძელოები ყანებითა და „განსხვავებულებით“ ისმებოდა, სანამ ფხალეული წარამარა ჩასამატებელი ხდებოდა და ახალ-ახალი ცხელი კერძები მოჭქონდათ, მანამდე იყო სუფრასთან ქაოსი, თორემ, მერე, როცა კაცები თლილი ჭიქებით დაიწყებდნენ ღვინის დალევას, როცა საჭმლით დაზნექილ სუფრაზე ძირითადად მწვანილია იწინებოდა და ქმრების გვერდით მსხდარი დედაჩემი და ჩემი დეიდები სიმღერას იწყებდნენ, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

თავიდან გაუბედავი, დაბალი ბგერები ამოდიოდა ყელიდან; მერე ეს ბგერები გზადაგზა მყარდებოდა, ძალას იკრებდა და როცა მათ ღამის გრილი ნიავისგან აშრიალებული კაკლის ხის თამამი ხმაც შეუერთდებოდა, მაშინ უკვე ნამდვილ სიმღერად გადაიქცეოდა ხოლმე. ეს იყო თავიანთ ოჯახებზე, ქმრებზე, შვილებზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალების – დედების, ცოლების, დების სიმღერა, რომელთაც ძალიან ცოტა რამ სჭირდებოდათ ბედნიერებისთვის და ჰქონდათ კიდეც იმ წუთებში ეს ბედნიერება.

არ ვიცი, რომელიმე პოეტს თუ აქვს კაკლის ხეზე ლექსი დაწერილი. თუ არა აქვს, იქნებ ოდესმე დაწეროს ვინმემ; მე კი ახლა სულ სხვა ლექსის გენიალური სტრიქონები მახსენდება, რომელშიც კაკლის ნაცვლად ალუჩა ყვავის და, რომელიც, ზუსტად შეესაბამება ამ პატარა ფრაგმენტის განწყობას. აი, ისიც: „მზეზე ჰყვავოდა სოფლად ალუჩა და გაისმოდა დების სიმღერა...“

**ფოტო №6  
ალმა**

ვერც უბეში ჩავისვი, ხეზე აძრომისას არ გამეჭყლიტოს-მეთქი; შარვლის ჯიბეშიც მეშინოდა – რომ გადმომვარდ-

ნოდა ან გამგუფვოდა? ცხვირსახოცში გამოკვრალა მოვიფიქრე. ამოვიღე ჯიბიდან ოთხად გაკეცილი, გატკიცინებული, მინაზე გაფიფინე და ბარტყი ზედ დავსვი. მერე კუთხეები მსუბუქად გამოვუკვანძე – ორი ერთად და ორი – ერთად, საპაეროც დავეუტოვე და კბილები მოვჭიდე.

მანამდე ჯერ თვალით ბუდე მოვძებნე. სულ წვერში იყო. მერე ხე კარგად შევათვალიერე დაბლიდან მალამამდე და მივხვდი, აძრომა გამიჭირდებოდა – ყველაზე დაბალ ტოტამდე ორი-სამი მეტრი მაინც იყო და იქამდე, ტანზე ერთი პატარა ყლორტი და კოჭრიც არა ჰქონდა, რომ ასვლის დროს მოვჭიდებოდი.

ეს ქარიც ჩემს ჯიბრზე ამოვარდა. არადა, როგორ არ ავიყვანო? რა დღე-შაი დედა ჩიტი, რაც მოვედი, არ გაჩერებულა: ჟიფიფებს, თავზე დამტრიალებს, ხან ხისკენ გაქანდება, ხან ისევ ჩემკენ და ბარტყისკენ მოფრინავს და არის ერთ ამბავში. თან ჯერ ისიც არ იცის, მტერი ვარ თუ – მოკეთე.

ხეს შემოვხვიე, თითები დაშაშრული კანის ნახეთქებში შევყავი, როგორც შევძელი, მოვეჭიდე და ტანის ზევით ატანა ვცადე. ცოტაზე ავცოცდი, მაგრამ ხელის მონაცვლების დროს ისევ უკან ჩამოვვარდი.

ხე მსხვილი იყო, მე კი ჯერ პატარა საიმისოდ, რომ ხელები და ფეხები კარგად შემომერკალა, ერთმანეთზე გადამეჯვარედივინა და ისე ავცოცებულყავი ზედ. მაინც უნდა მეცადა. ცხვირსახოცი ისევ კბილებით დავიჭირე. მერე უცებ – ეს წინასწარ არ მომიფიქრებია – როგორც დიდმა კაცებმა იციან ხოლმე რამე საქმის დაწყების წინ, ბარის ან თოხის ხელში ალებისას ან შეშის დაჭრის დროს, ხელებზე დავიფურთხე, ხელისგულები ერთმანეთს რამდენჯერმე გავუსვი და ხეს შემოვეხვიე.

მივცოცავ, ოფლად ვიღვრები, თან კისერი განზე მიჭირავს, ბარტყს რამე რომ არ დაუშავდეს და ცოტა მტკივა. ორჯერ ან სამჯერლა მინდა ტანის აწევა და პირველ ტოტსაც ჩავეჭიდები. აჰა ისიც. ხელი შორიდანვე გავიწვინე და ჩავაფრინდი. მერე მარცხენა ფეხი ავნიე, ტოტს ზემოდან გადავატარე და

**ბალერაა**



გიორგი ტაბატაძე  
When East meets West

ცხენივით ზედ გადავაჯექი. იმავე წამს მეორე ხელიც მივაშველე და აკანკალებულმა, სველი შუბლი ხეს მივაყრდენი.

კანკალი რომ გამიჩერდა, ცალი ხელით ცხვირსახოცი გამოვიღე პირიდან, ბარტყს ჩავხედე. კარგად იყო. მერე ქსოვილის კუთხეებს ისევ კბილები მოვჭიდე და ნელ-ნელა ფეხზე წამოვდექი. რაც უფრო ზევით მივიწვედი, ტოტები მით უფრო წვრილი და მყიფე ხდებოდა. ერთი-ორგან ჩამიტყდა კიდეც და ძალიან შემეშინდა. დედა ჩიტი ახლა ზევით, ჩემსა და ბუდეს შორის დაჟიჟივებდა.

როგორც იქნა, ბუდეც გამოჩნდა, მაგრამ იქ ტოტები ისეთი სუსტი იყო, რომ ძალიან ახლოს ვერ მივიდოდი – ვერ გამიძლებდა. თვალთ ბუდემდე მანძილი მოვზომე. თუ ოდნავ ცერებზე ავიწყოდი, მივწვდებოდი. სხვა რა გზა იყო. წონასწორობა რომ შემენარჩუნებინა, ორი თანაბარ სიმაღლეზე ამოტანილი ტოტი მოვძებნე ფეხების ცალ-ცალკე დასადგმელად, ერთ ტოტს ზურგით მივეყრდენი, კარგად გავმაგრე და ცხვირსახოცი მარჯვენა ხელისგულზე დავიდე. კბილებით ახლა კვანძების გახსნას შეეუძლევი. მალე მოვრჩი – ძალიან რომ არ გავუჭირე, იმან მიშველა. ჯერ ბარტყიანი ხელი ავინე ზევით, მერე მთელი ტანით ავინე, კისერი წავიგრძელე და ბარტყი ესევე, ცხვირსახოციანად ჩავსვი ბუდეში.

ძირს რომ ჩამოვხტი, ერთი ღრმად ამოვისუნთქე და ხელები ისევ ერთმანეთზე გავისვ-გამოვისვი, მაგრამ ახლა უკვე კმაყოფილებისგან. აღარც ზედ დამიფურთხებია. რამდენიმე ნაბიჯი გავიარე, ხიდან განზე გავდექი და ისე ავიხედე მალა – დედა ჩიტის ამბავი მაინტერესებდა. აღარ ჩანდა, ეტყობა ჩაუჯდა თავის ბარტყს ბუდეში. ვერც ბუდე დავინახე. მარტო ცხვირსახოცის გადმოფენილი კუთხე ფრიალებდა ფოთლებში თეთრად. ჩემთვის წარმოვიდგინე, როგორ ისხდნენ დედა-შვილი ბუდეში მყუდროდ, ერთმანეთს მიხუტებულები და გამელემა.

დაბლიდან რომ აჰყურებდი, იცი, როგორი ხე იყო? აი, მხატვრები რომ ხატავენ ხოლმე თავიანთ ნახატებში – მაღალი, ცისკენ წაგრძელებული კენწე-

როები რომ აქვთ და ეს კენწეოები ხან მარჯვნივ რომ არის ხოლმე გადახრილი, ვითომ ქარისგან, ხან კიდეც – მარცხნივ.

**ფოტო №7**

**ბარბარობა**

ჩემს ბავშვობაში, ბარბარობა დღეს სატიერთო მანქანებით მიდიოდა ხოლმე იქ მთელი სოფელი. გამაზადებდნენ წინა დღეს ხარჯს: ქალები ლობიანებს, ქაღებს, ნაზუქებს, პურს დააცხობდნენ და საქათმეში დაბუდეულ, შეთქმულ მამლებს ფეხებს გაუკრავდნენ დილისთვის. კაცები ტანინიან რქანითელს და საფერავს ჩამოსახამდნენ მოწულ ბოცებში – უსაფრთხო რომ ყოფილიყო ნასაღებად – და შესანიერი ცხვრისთვის ან მოზვერისთვის მარილს გამაზადებდნენ ასალოკად.

დილით, როგორც კი ცოტა მოთბებოდა, დიდი და პატარა ძარებზე შეიხუნძლებოდა და მანქანებიც დაადგებოდნენ სალოცავისკენ მიმავალ გზას. თბილ შალებსა და „ადილეებში“ გამოხვეული ქალები და ბავშვები ჩაკუნტულები არიდებდნენ თავს დეკემბრის სუსხიან ქარს; საქეიფოდ საღერღელაშლილ კაცებს კი, ამ დროს „ოთხი სახარება“ უკვე „გადაკრული“ ჰქონდათ და სიამოვნებდათ კიდეც სუფთად გაპარსულ სახეებზე ცივი ქარის ტყლაშუნი.

იქ მისულები, ჯერ სამჯერ შემოატარებდნენ შეთქმულს საყდრის გარშემო. მერე შიგნით შევიდოდნენ. ანთებდნენ სახლში ჩამოქნილ სანთლებს, კრამიტის ნატეხზე ან სალა ქვებზე დადებულ ფიჭვის საკმეველსაც თვითონ შემოატარებდნენ, შეავედრებდნენ წმინდა ბარბარეს ოჯახებს და ბავშვების მფარველობას სთხოვდნენ. ამას რომ მორჩებოდნენ, ისევ გარეთ გამოვიდოდნენ. საყდრიდან ოდნავ მოშორებით ცეცხლს დაანთებდნენ და გრძელ ზედადგრებზე დიდი, გამურული ქვაბებით წყალს შემოდგამდნენ ასადულებლად. მერე ქალები და ბავშვები განზე გადგებოდნენ და იქიდან უყურებდნენ, ხელებდაკაპინებული კაცები როგორ წარბშეუტოკებლად ლადრავდნენ ყელს შიშველ მიწაზე დაგდებულ თუ კუნძებზე მორჩილად თავგადაგდებულ საქონელსა და მამლებს.

მერე ჭრელ-ჭრელ მუშამბებზე დაუდევრად იშლებოდა საქმელ-სასმელი და ინყებოდა ქართული ლხინი, თავისი რიხიანი სადღეგრძელოებით, მრავალხმიანი სიმღერებით, დოლ-გარმონითა და ცეკვა-თამაშით.

უფრო მერე კი... უკანასკნელი მომლოცველიც რომ დატოვებდა წმინდა ადგილს, ტაძრის გარშემო დამდგარ სისხლის გუბებზე და დახვავებულ ძვლებს, დიდხანს დაჰყურებდა ჟანგისფერი კრამიტით დახურული, კედლებშებოლილი ბარბარეს მოწყენილი საყდარი.

**ფოტო №8**

**სოლო**

მზე ის-ის იყო ინვერებოდა. „ფინური ქოხის“ წინ იჯდა, საფუტკრეში, დიდი ზღმარტლის ძირში მიწაში ჩარჭობილ პალოებზე გაკეთებულ მაგიდასთან და სანამ ცოტა მოდღვევებოდა, ბუდის ახალ ჩარჩოებსა კრავდა. ცდილობდა, ბევრის გაკეთება მოესწრო, სანამ ფუტკარი ღალაზე გავიდოდა, რადგან მერე ისევ სკების გადასინჯვა უნდა გაეგრძელებინა. გუშინ რაც ნახა, უმეტესობა უკვე დამატებითი ჩარჩოების მიდგმას ითხოვდა. თუ ესეთი სტაბილური ამინდები წავიდოდა, შეიძლება წელს ორჯერაც აელო მოსავალი.

მაგიდაზე საჩარჩოე მასალა, წვრილი ლურსმანი, ჩარჩოებში გასაბმელი, კოჭზე დახვეული მავთული და ამ ზამთარს სანთელში გადაცვლილი ქარხნული ფიჭები ეწყო. გადალაჯული იჯდა გრძელ, უზურგო სკამზე, პირით ტყისკენ მიმავალი გზისკენ, და ისე მუშაობდა. ბოლო წლებში მომრავლდა გარშემო საფუტკრეები. ზევით და ზევით, ტყისკენ გზას რო აუყვებოდა, სულ სხვა რაიონებიდან ჩამოსულ უცხო ხალხს ეწყო ფუტკარი. ეს ადგილები ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა იყო ფუტკრისთვის და გემოც განსაკუთრებული ჰქონდა აქაურ თაფლს. თან ახარებდა ამდენი ახალი საფუტკრის დანახვა, თან კიდეც, გულში, რაღაცნაირად, მაინც არა სიამოვნებდა ათასი ფეხისა და ჭრელ-ჭრელი ხალხის არევა.

დღე არ გავიდა, ვინმე უცხოს რომ არ შემოელო საფუტკრის კარი. ხან ინვენტარის სათხოვნელად მოდიოდნენ,

ხან, უბრალოდ, გასაცნობად – პურის საჭმელად და თითო ჭიქის დასალევად ეპატიჟებოდნენ ცოცხალზე ან ნანადირევზე; უფრო ხშირად კი თაფლის გამოწურვის დროს ეძახოდნენ ხოლმე ახალბედა მეფუტკრეები – სკებიდან სავსე ჩარჩოების „ამოსაყრელად“ და ფიჭის ასათლელად – ხელიცა სჭირდებოდათ და რჩევაც. საერთოდაც, თაფლის გამოსხდის დროს მისმარება დაუნერული კანონი იყო მეფუტკრეებში. რამდენჯერ თავისი საქმე გადაუდვია და სულ უცხო კაცთან წასულა ხელის გასამართად.

უკვე მთელი კვირა გადიოდა, რაც ყარაული გაუხდა ავად და თვითონა რჩებოდა აქ ღამეც. ახლის აყვანა არ უნდოდა ჯერ. მიეჩვია პეტრეს – პატროსანი კაცი იყო, თან – ყოჩალი და უშიშარი. ელოდებოდა, იქნება მომჯობინდესო. არც თვითონ ემინოდა არაფრისა შუაგულ ტყეში მარტო დარჩენილს. ბავშვობაში მთიან სოფელში გაზრდილი, მიჩვეული იყო ტყის ხმებსაც და სიბნელესაც. თან ამხელა ძალე ჰყავდა, თოფიცა ჰქონდა, რას უნდა შეეშინებინა? უბრალოდ, იმასა ჯავრობდა, ამდენ ხანს რომ გაუგრძელდა აქ ყოფნა და ცოლ-შვილი რომ მიტოვებული ჰყავდა. ნანის კი შეუთვალა ერთი ზემოთა უბნელი მეფუტკრის პირით, ღამე მარტო არ იყო, დედაშენი ან შენი და გადმოიყვანე ხოლმეო.

უკვე შეკრულ, გამზადებულ ჩარჩოებს ითვლიდა და ისე აწყობდა გარდემო ერთმანეთზე. ამ მეოცესაც გავაკეთებ და ავდგებოი, გაიფიქრა. ის იყო, გახვრტილ ხეში მავთული უნდა გაეყარა, რომ საფუტკრის კარს მოზრდილი, ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი მოადგა. ისე იჯდა, რომ მარტო თვითონა ხედავდა გარედან მოსულს – მაგიდის კიდემდე ჩამოფხატული ზღმარტლის ტოტები, თითქმის მთლიანად უფარავდა სახესა და ტანს. დგას ეს ბიჭი, იხედება აქეთ-იქით სკებისკენ, საფუტკრეს ათვალეირებს და არც იძახის და არც არაფერი. გრძელ მავთულზე ჯაჭვით გამობმულმა ბოთვერამ კიდევ ღამის აინყვიტოს, გაგიჟებული, ყვფით იკლებს იქაურობას და წინ და უკან დარბის. ბიჭმა ყოველი შემთხვევისთვის უკან დაიხია და, როგორც იქნა, გაუბედავად დაიძახა. თვითონაც მორჩა ამასობაში მავთულის

გაყრას, დაადო ეს მეოცე ჩარჩო დანარჩენებს ზევიდან, მუხლებზე ხელი გაისვა და ადგა. ახლა უკვე შეამჩნია ბიჭმაც და ისევე წამოვიდა კარისკენ.

„– თქვენთან წერილი გამომატანეს... მამაჩემმა... მე გოგილაანთ ავთოს ბიჭი ვარ, ერთად მოვდიოდით მანქანით და, ბამბუკები როა, ქვევით, იქ გაგვიფუტდა, თვითონ ველარ მოვიდა, მე გამომაქცია; თან დამაბარა, სასწრაფოაო“, – ჯერ კიდევ ქოშინებდა და ისე ლაპარაკობდა ნარბენი ბიჭი. მერე ორად გაკეცილი, თავდაუნებებელი კონვერტი გაუნოდა და იმ წამსვე უკან გაბრუნდა. გული გადაუქანდა წერილის დანახვაზე. მაღლობა კი უთხრა ბიჭს, მაგრამ, დაუდევრად, მართლა ზრდილობისთვის. მთელი ყურადღება წერილისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

რაც ეს საფუტკრე გააკეთა, მესამედ მოუტანეს უკვე აქ წერილი. პირველად, უმცროსი ბიჭი რომ ჩამოვარდა ლეღვიდან და ხელი მოიტეხა; მეორედ – მამამისის ამბავი რომ გააგებინეს; ახლაც რამე ცუდი რომ იყოს? – ფიქრობდა ფერდაკარგული და კონვერტიდან ხელის კანკალით იღებდა მათემატიკის რვეულის ფურცელს. როგორც იქნა, საშველი დააყენა და გაშალა. შუა ადგილას, გაკრული ხელით ეწერა ფანქრით: „– სასწრაფოდ წამოდი, შენი ძმა, სოლო აღარ არის“ – ნანის ხელს ჰგავდა და თან არა ჰგავდა.

თვალეზი აუჭრელდა. რომ არ ნაცქეულიყო, იქვე მდგარ ცაცხვის ხეს მიეყრდნო ზურგით. მერე ესევე, ნელ-ნელა ჩაცურდა ქვევით და ბალახებში ჩაჯდა. იჯდა ასე გარინდებული. ნესიერად ვერც იაზრებდა წერილის შინაარსს, არცა სჯეროდა. მიწას ჩამტერებული კარგა ხანს ადევნებდა თვალს ტყის ჭინჭვლებების ენერგიულ ფუსფუსს. მერე უცებ ძალიან მოუნდა მოწვევა. თავი ასწია და შარვლის ორივე ჯიბე ერთდროულად მოისინჯა ხელებით. სიგარეტი არ დახვდა. გაახსენდა, რომ წელან მაგიდასთან გახსნა ახალი „კოლხეთის“ პაჭკა და ასანთთან ერთად იქ იდო. ბალახებში დაგდებული ფურცელი აიღო, მიწას მარჯვენა ხელისგული დააბჯინა და წამოდგა. „ელხა რა უნდა ვქნა... იქნებ ტყუილია... იქნება მართალი არ არის?...“ – ვინ იცის, უკვე მერამდენედ ეკითხებოდა მაგიდასთან

მდგარი ორიოდ მეტრში თათებზე მიწოლილ, დამშვიდებულ ბოთვერას და გამწარებული ლეჭავდა მოკიდებულ სიგარეტს.

ყველაფერს მექანიკურად, მაგრამ სწორად და საქმიანად აკეთებდა. გამზადებული ჩარჩოები, ფიჭა და მაგიდაზე გაბნეული ინვენტარი ქოხში შეიტანა. იქ, ლურსმანზე ჩამოკიდებული ტომრიდან სამი აგურის პური ამოიღო, დიდ ლუკმებად დატეხა და ძალღს ჯამში ჩაუყარა; მეორე, უფრო დიდი ჯამი წყლით გაუვსო. წასვლის წინ ავუშვებო, გაიფიქრა და ახლა მდინარეზე ჩავიდა – ესევე, მოკლეზე, საფუტკრის ბოლოდან. ტანსაცმლიანად განვა დაგუბებულ, ყინულივით წყალში და რამდენიმე წამით ჩაყვინთა. უსიამოვნოდ დასუსხა წყალმა, მაგრამ შვება აგრძნობინა. ჩქარი ნაბიჯით უკან ამოსულმა სასწრაფოდ გამოიცვალა სველები, გარეთ გამოიტანა და ხეებს შორის გაბმულ მავთულზე გადაკიდა. მერე ქოხის კარი ჩაკეტა ბოქლომით, ძალი აუშვა და საფუტკრიდან მოტოციკლეტი გამოიყვანა.

თითქმის ცარიელ ტრასაზე მიჰქროდა. თან გამოყოლილი მდინარის სიცივის, დილის გრილი ნიავისა და ნერვიულობისგან მთელი სხეული ერთიანად უკანკალებდა. საჭეს ძლივს იმორჩილებდა, მაგრამ მაინც არ ანელებდა სიჩქარეს. არ ახსოვს, როგორ ჩავიდა სოფლამდე. შორიდანვე შეამჩნია ძმის სახლთან მდგარი ბიძაშვილების მანქანები. მოტოციკლეტი გააჩერა და გადმოვიდა. სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. მარტო წინ, სახლისკენ იყურებოდა. აქეთ-იქიდან ჯგუფებად მდგარი, აჩოჩქოლებული ხალხის სიბრალოლით სავსე მზერას გრძნობდა. როგორც კი ეზოში ფეხი შედგა, ქალის სასონარკვეთილმა კვილიმა ბასრი დანასავით გაუარა გულ-მუცელში. ისევე ისე აუჭრელდა თვალეზი, ნაბიჯიც აერია. ვიღაცამ ხელი წააშველა და სახლამდე მიიყვანა. იქ წყალი დაალევიწეს, სკამიც შესთავაზეს, მაგრამ არ დაჯდა. კარის ზღურბლთან, კედელს შუბლით მიეყრდნო და აქედან გახედა შუა ოთახში მშვიდი სახით მწოლიარე, გულზე ხელებდაკრევილ ძმას. თურმე, სოლო მართლა აღარ იყო.





# ამერიკულ-ქართული ბანათლების ცენტრი

## აბიტურიენტებს

საკუთარს პირობები 8+1 გამოცდაბისათვის მოსამზადებლად

## TOEFL / IELTS

თითოეულ თქვენგანზე მორგებული კურსი

## SAT

სრულყოფილი მომზადება ამერიკული უნივერსიტეტების მისაღები გამოცდისათვის

## College Counseling

დახმარება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებასა და დაფინანსების მოპოვებაში

ისარგებლეთ ფასდაკლებით. აიღეთ 8+1 გამოცდებისათვის მოსამზადებელი სრული პაკეტი.

სწავლის საზღვარგარეთ გაცემის მსურველებს LEAF დაგეგმარებათ უნივერსიტეტების შერჩევასა და სააკლიკაციო პროცესის გალაში. ეს ნოვატორული სერვისი საშუალებას მოცემთ, ჩაინიცხოთ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში და მოიპოვოთ დაფინანსება.

ცენტრის ყველა კურსდამთავრებული ინიცხება საქართველოს, ამერიკისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

ცენტრში ასწავლიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველი და უცხოელი პედაგოგები. სწავლება მიმდინარეობს უახლესი მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოების გამოყენებით.

*შენი ვა უპატიოხი ვანათხოვბისკენ*

შეიტყვე შეტი: [blog.leaf.ge](http://blog.leaf.ge) ; [www.leaf.ge](http://www.leaf.ge)

ტელ: 237 70 08; 222 06 69, [info@leaf.ge](mailto:info@leaf.ge);

საბურთალოს ფილიალი: ე. ჩერქეზიშვილის ქ. 4

ვაკის ფილიალი: ვ. ბარნოვის ქ. 73

თბილისი, საქართველო



**მინდია გოგოჭური**  
**პოეტი**

მინდია გოგოჭური ლიტერატურულ საიტებზეც აქვეყნებს ლექსებს და ბეჭდვით სივრცეშიც. წარმოდგენილი ლექსები, შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედების რჩეული ნაწილიდანაა. იყენებს თავისუფალ სალექსო ფორმას, რომელსაც, ცდილობს, ხევისურული დიალექტი, მისი ენობრივი თავისებურება მოარგოს – როგორც ეს, მაგალითად, სასიყვარულო ლირიკის შემთხვევაშია. წარმოდგენილი ლექსებიდანაც ჩანს, რომ პოეტის შემოქმედებითი ინტერესის სფერო უფრო ფართოა – აქ შეხვდებით „განსჯას“ ისეთ მარადიულ თემებზე, როგორცაა სიკვდილი და სიცოცხლე, ასევე – სოციალურ თემატიკას.

განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „მოხუცი იოჰანი“, სადაც ავტორი ცვლის დროსა და სივრცეს – ლირიკული გმირი გადაჰყავს მომავალში; იცვლება ანტურაჟი, ჩნდება ფანტასტიკური ელემენტებიც, თუმცა არსი კი იგივე რჩება – ის, რასაც თანამედროვე ადამიანის, მომხმარებლის ინტერესებს მისადაგებული დღევანდელი ყოფითი კონტენტი მოიცავს. აქ უსარგებლო ადამიანი – ადამიანი, რომლისგანაც ვერანაირ მატერიალურ სიკეთეს ვერ მიიღებ – უსულო ნივთია; ყოფაში, რომელიც მექანიკას ემორჩილება, თანაგრძნობისთვის ადგილი აღარაა.

... ჩემს მოსავლელად ნაყიდ რობოტს ვუყურებ, ვიკასაც ზიზლი დასთამაშებს ფოლადის სახეზე, ჰო, ვიკა რობოტია, უჟანგავი ფოლადის სახით, რძალიც რობოტია, ხელოვნურად დაბერილი მკერდით (ორივე – შეიღმა მომიყვანა).

მინდია დაიბადა 1985 წლის 11 ივლისს. დაოჯახებულია. ამბობს, რომ მთელი დღე ციფრებთან დამღლელი მუშაობის შემდეგ პოეზია მისთვის განტვირთვაა და ამავე დროს, სათქმელის გადმოცემის საუკეთესო ფორმაც. მინდია: „ისევე, როგორც მე, ჩემს ლექსებსაც ორი მხარე აქვთ – ხევისურული და თანამედროვე. დანარჩენს, ალბათ, ლექსები უკეთ იტყვიან“.

**მოხუცი იოჰანი**

ამ ბოლო დროს ჩემს ნაჭურჭში შევიკეტე,  
თითქოს მეგაპოლისი დაცარიელდა,  
ხალხისგანაც და მოვლენებისგანაც  
(ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის).

ვზივარ და ვფიქრობ რძალზე,  
რომელიც ზიზლით უყურებს ჩემი ჭამის პროცესს...  
შვილი, როგორც წესი, მაგ დროს სახლში არაა,  
თუმცა, როცა არის, არც მაშინ იცვლება არაფერი.

მგონი, ჩემი დრო მოვჭამე - ასე ამბობდა ბაბუა, ჩემს ბავშვობაში,  
მეც ვერე ვფიქრობ და ჩემს მოსავლელად ნაყიდ რობოტს ვუყურებ,  
ვიკასაც ზიზლი დასთამაშებს ფოლადის სახეზე,  
ჰო, ვიკა რობოტია, უჟანგავი ფოლადის სახით,  
რძალიც რობოტია, ხელოვნურად დაბერილი მკერდით  
(ორივე - შეიღმა მომიყვანა).

აივანზე გავდივარ, მაინც რა მაღალია მეოთხმოცე საართული...  
ბავშვობაში მეშვიდეზე ვცხოვრობდი,  
ამბობენ, რაც უფრო ბერდები, ღმერთს უახლოვდები -  
ჩემზეა ნათქვამი.

ვიღებ ერთ ღერს, ვიკა მიკიდებს და  
ირონიით ჩამჩინებს - მონვეა ორსულობის დროს  
ინვეს გენეტიკურ დეფექტებსო ნაყოფში,  
ჯერ ვბრაზდები, მერე მეცინება და ჩემს ქვევით, ნისლში ვიძირები.

ამ ბოლო დროს ჩემს ნაჭურჭში შევიკეტე,  
თითქოს მეგაპოლისი დაცარიელდა...

**მამეზადე, არიან ქალაქები...**

მამეზადე,  
არიან ქალაქები თავიანთი დროებით ცაზე,  
სადაც ცა  
სულაც არ ნიშნავს ღრუბელს  
და არც ის ბავშვი  
ცრემლი რომ დასდის სისხლიან ტანზე  
აფეთქდა ბომბზე,  
მან ეს-ესაა დატოვა დედა  
და  
ფანჯრის მიღმა მომავალს გაჰყავა.

მამეზადე,  
არიან ქალაქები თავიანთი პორტებით ზღვაზე,  
სადაც ზღვას  
სულაც არ მოჰყავს გემი -  
გემი რომლითაც დახმარებებს ეზიდებიან  
ლტოლოვლებისთვის  
და იქ  
ვარდისფერ სახლებს აშენებენ ყვითულ ქვიშაზე,  
ცისფერ სათვალეს იკეთებენ

მწვანე თვალბზე,  
თეთრ კრემს უსვამენ ხორბლისფერ კანს და  
ავოკადოს ხეებს რგავენ  
ჩაყოლებით მწვანე გაზონის.

მაშეზადე,  
დამიჯერე,  
არიან ქალაქები  
სადაც ცა და მიწა ცვლიან ადგილებს,  
სადაც მკვდრებს კიდებენ ცაზე  
და სულს ღმერთი  
იღებს მიწაში.

ამ ქალაქებში ღმერთის ცნება პირობითია და  
იცვლის ფორმას, როგორც წყალი,  
როგორც ცოდვილი ვამპირი - რალა  
ამ ქალაქში გარდავიცვალე, ხუთშაბათ  
დილას  
როცა დავტოვე დედა  
და  
ფანჯრის მიღმა  
მომავალი დარჩა წარსულში.

أَلِقَابُ (Al-Qa'ida)

რა დროს სიკვდილია  
აღ ქაედა  
აღ და აღ და  
აღისფერ ჩადრებში და ჩალმებში  
ჩაფლული დედამინა  
კრწანისის ყაყაჩოებს წააგავს ფერებში

აღ და  
აღ და  
ვიძირებით ზიზღში და ჯვართში  
და ფუთქლებს  
ჯერ ზიზღი და მერე ჯვართი  
და ვკვდებით,  
ვეცემით ქუჩებში,  
ტრანსპორტში,  
ვიფანტებით ჰაერში, აზრებში,  
ბოლბოში,  
ვღვრით სისხლს, ცრემლს, ოფლს,  
რათა დავეცეთ საკუთარი შვილების  
თვალწინ,  
დედების თვალწინ,  
ცოლების თვალწინ,  
ვღვრით, რათა დავინყოთ დედების,  
ცოლების, შვილების, ძმების სურათები  
მკერდზე  
მრგვალ მედალიონებად  
შავი არშიებით  
და რა დროს სიკვდილია

აღ და  
აღ და  
ჩემ კატას კნუტი ყავს პატარა  
ჩემ ძალს ლეკვი ყავს პატარა  
და ბელურები ისევ ჯდებიან ჩემს აივანზე  
საჭმლის მოლოდინში  
რა დროს სიკვდილია  
أَلِقَابُ

მამავ, მინის შვირი ბაღევს  
მამაჩემო - თოვლის ფერო,  
დედაჩემო - ფერო მინის...  
ტ. ხარხელაური

მამავ, მინის ფერი გადევს,  
მამავ, გადევს მინა...  
ერთი-ორი ფიცარით და  
ერთი-ორი მეტრით -  
ქვევით ხარ და  
ნაცრისფერ თვალს,  
აღბათ გიჭამს მახრა,  
აღბათ კანიც გაგიშვდა,  
აღბათ კიდევ გახდი.

მამავ, მინის ფერი გადევს,  
მამავ, გადევს მინა...

მუხის ხესთან ხომ დაგმარხე,  
შემოდგომით ფოთლებს  
ქარი დამცხრალ მკერდზე გაყრის,  
ქარი გაფენს საბანს -  
ესლა მალე თოვლი მოვა,  
მოვა, მალე თოვლი.

მამავ, მინის ფერი გადევს,  
მამავ, გადევს მინა...

ლურჯი, წითელი, მოკლე  
გამარჯობა, მეგობარო ჩემი ბავშვობიდან,  
შეცვლილხარ საკმაოდ,  
მე ცელქი მახსოვხარ,  
მოკლე, წითელი კაბით.

ზაფხულის ფოთიში - ბაღის კუთხეში  
შენ გერქვა გოგო...

მე - ცოტებს ვტყუდობ ბანანა ხეებს  
და როგორც კაცი  
ვაგებდი ქოხებს  
ნაგლეჯზე მინის.

შენ გერქვა დედა...  
მე ისევ მახსოვს მაისის თქემში  
როგორ ვპარავდით დაძვინარ იასამნებს  
მოსუც მეზობელს,  
მერე კი გავურბოდით  
ხმელი ტუჩებიდან  
ამოშლილ წყევლას.

გამარჯობა მეგობარო ჩემი ბავშვობიდან,  
შეცვლილხარ, არა?  
შენ აღბათ წყნარი გგონივარ ისევ,  
დროიდან - "შიჭი,  
შორტებით ლურჯი"...

თაიას

წამოდი, თაი, ვისაუბრათ.  
შენ თქვი - მიყვარხარ,  
მანჩინხარ-მეთქი, გიპასუხებ  
აღბათ, ქალშავო,  
მერე შენ წყენას გამისხენებ  
ისევ შარშანდელს  
და ჩუმად ივლი  
მწვერვალები ვიდრე შეშრება...

ახლა დილაა,  
დაქუეხი მოჩანს აქედან,  
ბოლოქანქარა ჩიტი გიზის,  
ქალო, კარვის წინ...  
ქვევით არღუნი წარსულ ცოდვეს  
მიერეკება  
და ჩრდილოეთი ფიქრებს გვიშლის  
გადაფრენაზე -  
ერთი ვარჯიდან მეორეზე,  
უნდა გაბედო,  
უნდა ადგე და ჩამოხიო  
ციდან ავდარი,  
როგორ გადგება ეგ ღიმილი  
რომ მე ამრიო...  
შორს დაქუეხი  
და ბორბალო მოჩანს, დამადე  
თავი და ერთად გავიაროთ  
ერთი სიზმარიც.

\*\*\*

მზესთან დავსახლდით.  
ზოგს ეგონა  
გავხუნდებოდით,  
ჩვენ კი გავღვივდით.  
ახლა მე ვწვევარ  
და ნამრავლი  
მკერდზე მადევს - შენი თითები.



საუბრები აბაშურის ქვეშ

# მზით გასვითა...

ავტორი თამარ ბაბუაძე

დედაჩემის მეგობარი ქალია, ქალბატონი ნანული, მოხევე, ახოვანი ტანის, როხროხა და მოსიყვარულე. მესხიერებაში ჩარჩენილ ბავშვობის იმიჯებს ხომ განსაკუთრებულად ტკბილი სურნელი ასდის, ჰოდა, მეც არასდროს დამავიწყდება ერბოში ამოვლებული კვერების („ჩანობილების“ – ასე ეძახდა თვითონ) გემო ყაზბეგში, თავის სახლში რომ სახელდახელოდ მოგვიხარშა სამებიდან ახლად ჩასულებსა და დამშეულებს; და კიდევ არ დამავიწყდება ერთი ჩვეულებრივი დღე: მესამე თუ მეოთხე კლასში ვარ, სკოლიდან დავბრუნდი, გავიცხელე გახეურაზე ჩემთვის დატოვებული კარტოფილის რალაცნაირი წვნიანი (1990-იანებია, ყველაფერთან ერთად, სახელდახელო

კერძების შეთხზვის დროც) და ისაა, უნდა ვისადილო, რომ სამსახურიდან დედაჩემიც დაბრუნდა, გაბრწყინებული სახით – საჩუქარი მოგიტანე, ნანული დეიდამ გამოგიგზავნაო (ეს ის დროცაა, როცა არც საჩუქრის ყიდვის ფული აქვს მაინცდამაინც ბევრს ჩემ გარშემო). ხელში დიდი, სქელყდიანი წიგნი უჭირავს, კაკაოსფერი ყდით. ზედ აწერია: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. გამოვართვი უემოციოდ, ოდნავ გაკვირვებულმა და ვერც ვერაფერი ვუთხარი (90-იანებში, მესამე თუ მეოთხეკლასელს სხვა რალაცები უფრო გამიხარდებოდა, ალბათ, საჩუქრად), მაგრამ აი, გადავშალე და მაშინ კი აღმომხდა გაცოცხლების შეძახილი: ეს რა სილამაზე იყო, დეიდა ნანულის

სულ ხელით გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“. გადანერაცაა და გადანერაც. აჩუქურთმებდა, თითქოს, ასობეს, ასეთი გაპრანჭული, ასეთი კეკლუცი, ასე სათუთად გამოყვანილი „რომელმან შექმნა სამყარო...“ მერე აღარსად მიწაწაწა. ახლაც არ ვიცი, რამდენი ხანი მოანდომა გადაწერას. ალბათ, ძალიან დიდი ხანი, ალბათ, წელიწადი, ან მეტი დრო, რადგან, ალბათ, ძალიან ნელა, ძალიან დიდი მონღომებით გამოჰყავდა თითოეული ასო. ესო, მზითევეში წაიღეო, – მითხრა დეიდა, რომელსაც ისევ უბრწყინავდა თვალები – ხომ იცი, ძველად ასე იყო, ყველაზე საპატიო რამ, რაც გოგოს მზითევეში მიჰქონდა, „ვეფხისტყაოსანი“ იყოო. არ მახსოვს ახლა, მაგრამ მესამე-მეოთხე კლასე-

ლი გოგო 1990-იანებიდან, ალბათ, იმ წამსვე დავინწყებდი ოცნებას გათხოვებაზე და იმ მომენტსაც წარმოვიდგენდი, როგორ მიმაქვს სახლიდან კაკაოსფერყდიანი, ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ ჩემს ახალ სახლში. მერედა, როგორი „ვეფხისტყაოსანი“ – სხვას რომ არავის ექნებოდა, ისეთი...

წლების მერე, ამ ბავშვობისდროინდელი ოცნების ხატობით, ასეც მოვიქეცი. ჩვენს ნაქირავებ ერთოთახიანში, „დანიურ სახლში“ ნაყიდ, ნახერხისგან დამზადებულ, უხარისხო წიგნის თაროზე, „პარფიუმერის“, კერუაკის, დი.ბი.სი პიერის, ზედი სმიტის და კიდევ ბევრი სხვა ჩემი ავტორის გვერდით, საპატიო ადგილზე დავაბრძანე ყველაზე ძვირფასი წიგნი...

მაინც, რომელია – მზითვი, მზითევი? სულხან-საბასთან ამ სიტყვას ვერ ვპოულობ, არნოდ ჩიქობავას მიერ შედგენილ განმარტებით ლექსიკონში კი წერია: „მზითევი (მზითვისა, მზითვიანი) ქონება, რომელსაც ქალებს თან ატანდნენ გათხოვებისას“ – აი, ასე, წარსულ დროში წერია. და, დღეს, ეს ფენომენი, მგონი, მართლაც რომ წარსულშია დარჩენილი. უფრო სწორად, თუ შემორჩა, ალბათ, უფრო – გამოწვევის სახით; უფრო, ალბათ, სოფლად; და უფრო, შემსუბუქებული და გამარტივებული სახით.

რა კარგია, ეროვნულ ბიბლიოთეკას ელექტრონული კატალოგები რომ აქვს. ამასწინათ, სულ სხვა თემაზე ვეძებდი წიგნს ონლაინ კატალოგში, როცა ეთნოგრაფიის განყოფილებაში მივაგენი ნაშრომს სათაურით – „ქართლის საოჯახო ურთიერთობის ისტორიისათვის. მზითვის შემადგენელი ელემენტები. მამული“ (ნ. მაჩაბელი, 1972 წ.) და მეორე კვლევას, ისევე ნუნუ მაჩაბლის ავტორობით – „ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. ქალის გამზითვა“. თავის მხრივ, ნუნუ მაჩაბელი ივანე ჯავახიშვილის კვლევებს, ხელნაწერთა ფონდში დაცულ, ქართველ დიდგვაროვანთა „მზითვის წიგნებს“ და 1960-იან წლებში, ხანდაზმულ ადამიანებთან ჩაწერილ ინტერვიუებს ეყრდნობა, მაგრამ მე ასე ღრმად აღარ წავსვლავარ; მაჩაბლის ნაშრომებიც საკმარისი იყო, მოგონებები რომ ამშ-

ლოდა და ჩემი „სამზითვო“ რუსთაველი გამსხენებოდა...

თუმცა, საუკუნეების წინაც და ახლაც (ვინც ამ ტრადიციას დღემდე მისდევს), მზითვს რომანტიკულ-ლირიკულ დანიშნულებაზე მეტად, ძალიან სამომხმარებლო ფუნქცია ჰქონდა: მშობლებს სურდათ, გათხოვილი ქალიშვილისთვის ცხოვრების კარგი პირობები შეექმნათ. ამიტომ, საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, ქალს, პირველ რიგში, მინას ჩუქნიდნენ (რათქმა უნდა, ამ წესს ყველა ისე ასრულებდა, რისი შესაძლებლობაც ჰქონდა. დიდგვაროვნები გასათხოვარ ქალებს სახანავ-სათეს მიწებთან ერთად, ტყეებს და სოფლებსაც კი აძლევდნენ). რაც მთავარია, ქალის მზითვი გათხოვების შემდეგ, მის პირად საკუთრებად რჩებოდა. ეს ასე იყო დიდგვაროვნების და გლეხების შემთხვევაშიც. როგორც ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში წერია: „მზითვი თავთავის არის, თუ რამ სასახლოდ დახარჯულა, პასუხი უნდა მისცენ... თუ დიაცი მოკვდეს (უშვილოდ), (მზითევი) მისსა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად...“

ეს წესები მოქმედებდა თითქმის იმ დროიდან, როდესაც გამზითვის ფაქტები გაჩნდა საქართველოს ისტორიაში (მზითევი ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“, და მოგვიანებით, 1084 წელს დაწერილ იოანე პეტრიანის ავტობიოგრაფიაშიც. თუმცა, მზითეზე ლაპარაკია გაცილებით უფრო ადრეც – ჯერ კიდევ ძვ. წ. აღმ-ით 8-7 საუკუნეების ასურულ წარწერებში).

ხომ ასეა – წეს-ჩვეულებებს უმთავრესად იმ კონკრეტული ეპოქის განვითარების დონე, ფასეულობები და ცხოვრების ტემპიც კი განსაზღვრავს. აი, რისი თქმა მინდა: შეუძლებელია, ჩვენს აჩქარებულ დროში სრული სახით შემორჩენილიყო სამზითვე კომპონენტების მომზადების წესი, რაც ქართველებს თუნდაც მე-18-19 საუკუნეებში ჰქონდათ (რომ აღარაფერი ვთქვათ ქალის როლისა და ფუნქციების, ასევე ოჯახური ცხოვრების დაგეგმვის პრინციპების სრულ ტრანსფორმაციაზე). არადა, როგორი სიმშვიდე, როგორი წელი ტემპი და როგორი ზრუნვა ჩანს თუნ-

დაც ქართლ-კახეთში გავრცელებული ტრადიციების ამ ეთნოგრაფიულ აღწერებში: „ოჯახი ნელ-ნელა აგროვებდა მატყლს და ბუმბულს და ქალიშვილის სამზითვო ლოგინის მომზადებას იწყებდა. ჯერ უფროს ქალიშვილს უმზადებდნენ საბნებსა და ბალიშებს, შემდეგ – დანარჩენებს. როცა კერვის დრო მოაღწევდა, მოიწვევდნენ მეზობლებს, მზის ამოსვლისას მატყლს წამოყრიდნენ და განწავდნენ. მასპინძელი გამოიტანდა პურს, არაყს, ხილს, მურაბებს და დაალოცვინებდა ქალსა და სიძეს თავის მოკეთებებს. როდესაც ლეიბის შეკერვას დაამთავრებდნენ, მოიყვანდნენ პატარა ბიჭს და ზედ გადააგორ-გადმოაგორებდნენ – ახლად შექმნილ ოჯახში ჯერ ვაჟი დაიბადოსო...“ მთიანეთში კი, გოგო 16-17 წლისა თავად იწყებდა „წასალების“ მომზადებას. თუ ოჯახს ცოტა ცხვარი ჰყავდა, ვინც ძლიერი ოჯახი იყო, მატყლსაც მას გამოართმევდა და იმ ოჯახის ქალსაც უმზადებდა „წასალებს“. „ვისაც ჩქარი ხელი ჰქონდა, წელიწადში 4 სადიაცოსა და ორ ქოქლოს გაიკეთებდა“... სამზითვო კაბების შეკერვას ბედნიერ დღეს იწყებდნენ, „მზით“ იწვევდნენ ოსტატს, ტოლ-ამხანაგებს და ტკბილი სუფრის გარშემო იწყებდნენ ფუსფუსს... მზითვში რას ატანდნენ ქალიშვილს, ამას ყველა „აკონტროლებდა“ – პირველ რიგში, სანათესაო-სამეზობლო. უმზითვოდ ვერავინ გათხოვდებოდა. მზითვის მოუმზადებლობა საპატიო მიზეზი ხდებოდა ქორწილის გადადებისთვის და არასასურველი სასიძოს ჩამომორებისთვისაც კი...

მომწონს ზოგიერთი ტრადიციის რომანტიზება. ამ ძველისძველი ამბების ამოქექითაც ვისიამოვნე. რაც შეეხება ხელით გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“, მას, ალბათ, ბოლომდე შევიწინაბავ, როგორც ყველაზე ძვირფას რელიკვიას, რაც ბავშვობის სახლიდან წამოვიღე.

ბოკრომის  
წყაროები

რუსთაველის სახელობის ეთნოგრაფიის მუზეუმი

# მომჭირნე მდიდარი

ავტორი ლიანა ანთიპაძე



თეა თოფურია, „ეკოციდი“ გამომცემლობა „დიოგენე“ 2011

ანა ვერუბიცკას, პოლონელი წარმოშობის ავსტრალიელ ენათმეცნიერს, ძალიან საინტერესო თეორია აქვს ე.წ. სემანტიკური პრიმიტივების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, სემანტიკური პრიმიტივები ისეთი პირველადი ელემენტარული ცნებებია, რომელთაც განმარტება არ სჭირდება, რადგან ისინი ყველასთვის ინტუიციურად გასაგებია. ენის ათვისებისას ბავშვი პირველ რიგში სწორედ ასეთ ცნებებს სწავლობს, ადამიანებს ერთმანეთის გაგება იმიტომ შეუძლიათ, რომ რთულ გამონათქვამთა მნიშვნელობები აგებულია ამ უნივერსალური ელემენტებისაგან.

თუკი პოეზიას ასეთივე სემანტიკური პრიმიტივების ლექსიკონად განვიხილავთ, ცალსახა გახდება, რატომ არის ზოგიერთი ლექსი უკეთ გასაგები, განსაკუთრებით თარგმანში, ზოგიერთი კი — არა, რატომ აღწევს ზოგიერთი ლექსი მკითხველთა

ზუსტ კომუნიკაციას, ზოგიერთს კი, უფრო ძნელი ენობრივი გზების გავლა სჭირდება, რატომ ხვდება ზოგიერთი ლექსის ემოცია მიზანში, ხოლო ზოგიერთი ფიქრსაც არ აუშფოთებს მკითხველს.

თუ ლექსებს სემანტიკური პრიმიტივების, ანუ ძირეული, ერთგვარად მთავარი ლექსიკონის არსებობა-არარსებობით განვიხილავდით, პირველ, ანუ სიტყვათა მოჭირნახულე, ძალიან ფრთხილად და ზედმიწევნით ზუსტად გამომყენებულ ავტორთა სიაში ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდა ქართველი პოეტი, თეა თოფურია გამახსენდებოდა. სიტყვა, რომ არამხოლოდ ლექსიკური, არამედ მატერიალური სიმდიდრეც იყოს, თეა თოფურიას, როგორც პოეტს, გალარობება არ დემუქრებოდა, არა იმიტომ, რომ მისი ავლადიდება განუზომელია (თუმცა, ასეც არის), არამედ იმიტომ, რომ ყოველ სიტყვას ისეთი მომჭირნეობით იყენებს, თითქოს ეს უკანასკნელი ჭიქა წყალია შუაგულ საპარას უდაბნოში.

„მინდა ის დღე იყოს, ხუთი დღის წინანდელი, გავიღვიძო და წავიდე ძველ სამსახურში, ორი ლარით და ძველი ტალღონით, მეცვას ძველი ჯინსი, მაშინ ახლად ნაყიდი, დავეჯდე ჩემს კომპიუტერთან და დავეწერო სტატია, რამე იმდღევანდელ გასაჭირზე, მინდა ის დღე იყოს, იმ დღეს არ გიცნობდი“.

თეა თოფურიას პოეზიის პირველი კრებული „ეკოციდი“ გამომცემლობა „დიოგენე“ გამოსცა. ეს არის წიგნი სიყვარულის მსხვერვის, როგორც ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ. თუ ადამიანი მართლაც გარემოს ნაწილია, როგორც იყო გათვალისწინებული ადამიანის შექმნის დღეს, მაშინ ყოველი სიყვარულის სიკვდილი, მდი-

ნარის დაშრობასა თუ ტყეების გადაწვის მსგავსად, ეკოლოგიური კატასტროფების რიგში მოიაზრება.

თუმცა, ყველაზე მეტად დამახასიათებელი და ამავე დროს უცნაური ის არის, რომ ამ კატასტროფების შესახებ ავტორი არა ხმამაღლა, ქუჩაში ტრანსპარანტებით გამოსვლებით ან მრავალსიტყვიანი აქციებით ამბობს, არამედ ჩუმად — როგორც გაბრაზებული დიასახლისის სამზარეულოში — სიტყვას რომ არ იტყვის, სამაგიეროდ, თითო მჭრელი დანით გადაისერავს.

არ მიყვარს პოეზიაზე საუბრის დროს: ეს ფორმა, ის ტროპი, ეს მეთოდი, ის მიმდინარეობა... პოეზია ყველაზე მეტად ენაა და თეა თოფურიას პოეტური ენა, უფრო ისეთ ენათა რიგს ეკუთვნის, სადაც ყველაფერი ისე იწერება, როგორც იკითხება, ყოველგვარი ზედმეტი ტრანსკრიფციული და დამატებითი ნიშნების გარეშე.

ეს ენობრივი სიზუსტე არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს გამოხატვათა ერთფეროვნებას, ამ პატარა წიგნში ბევრი მკვლელი და მაცოცხლებელი ფრაზაა, ბევრიც უბრალოდ გამოაგნებელი და მოულოდნელი:

„და იმ ადგილს გაჩვენებდი, სადაც მდინარე თევზით ხსნილია“;  
„რალაცაზე მოკვდით სიცილით, ნეტა ვისი დაკრძალვა იყო?“;  
„იმ უცნაური ჯვრისწერის მერე, ყველა ღამე, რომელიც უნდა ყოფილიყო შენი — ბართლომესია;  
„სამშობლო იქ არ არის, სადაც დაგაბამენ“.

და უამრავი ასეთი — მომჭირნე მდიდრის სალაროდან.

ასეთია თეა თოფურიას პოეზია, ენის ძირეული, მთავარი სემანტიკური ლექსიკონი, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში შეიყვარებ, იმისდა მიუხედავად, ამ ენას მხოლოდ ხუთი თანხმოვანი აქვს თუ ოთხმოცი.

# პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდება

## “ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ზამბის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აბაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

## წიგნის მაღაზიები:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

## ღვინის მაღაზიები:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
  - პეკინის #45
  - ლესელიძის #55
- “ხარება” - რუსთაველის #50
- “ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლალიძის #2
- შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

## სასტუმროები:

- “რჩეული”
  - ბათუმი, ჟორდანიას #31
  - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
  - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
  - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
  - თბილისი, თელავის #20
  - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

## მაღაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

## ბალერები:

- წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
- ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
- ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

## “საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:  
ტელ: + 995 32 2471005  
მედია ჰაუსი დეკომი



2012

ქართული  
ღვინის გზამკვლევი


Georgian  
Wine Guide



მალხაზ ხარბედია  
Malkhaz Kharbedia

# ნადლი და უბრალო

ავტორი ანინა ტაფაძე



ზურაბ ლეჟავა, „სინალდე სიყალბისა“ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

არსებობენ მწერლები, რომლებიც წინიდან წინამდე ძალიან იცვლებიან: ხან უარესობისკენ, ხან უკეთესობისკენ. პირველ შემთხვევაში ამბობენ, ავტორმა ამ კონკრეტული ნაწარმოებით იმედი გაგვიცრუაო, მეორე შემთხვევაში – ხომ ხედავთ, როგორ დაიხვეწა და გაიზარდაო. ზურაბ ლეჟავას წიგნის კითხვისას ყველაზე ცოტას იმაზე ვფიქრობ, როგორ შეიცვალა იგი. თუნდაც მისი ბოლო წიგნი ავიღოთ – „სინალდე სიყალბისა“: ეს კრებული გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა, მაგრამ ამ ცვლილებას ვერც გაზრდას და ვერც დახვეწას ვერ მივანერო. ზურაბ ლეჟავა წინა წიგნშიც ისეთივე კარგი მწერალი იყო, როგორც ამ წიგნშია. კონკრეტული მოთხრობები კი შეიძლება იყოს უბრალოდ საინტერესო, კარგი, ანდაც ადფროფანების გამომწვევი. ერთი ისაა, რომ ყველა მათგანს აქვს საერთო რამ, რაც მათ ავტორს კარგ მწერლად აქცევს. სწორედ ამიტომ, ზურაბ ლეჟავას წიგნის კითხვისას ყველაზე ცოტას იმაზე ვფიქრობ, როგორ შეიცვალა იგი. ყველაზე მეტ დროს კი ამ „საერთოზე“ დაკვირვებას ვუთმობ.

უჩვეულო ლექსიკა, ფანტაზიის უნა-

რი და სრულიად გამორჩეული იუმორის გრძნობა – ყოველივე ამან ერთ დროს ჩემი წარმოდგენა ქართულ პროზაზე თავდაყირა დააყენა. მაშინ მივხვდი, რომ თურმე არსებობენ მწერლები, რომლებსაც ძალიან მაგარი ამბების მოყოლა შეუძლიათ; მწერლები, რომლებიც თავს ნებისმიერად არ გაგრძნობინებენ იმის გამო, რომ შენ მათი ცხოვრებით არ ცხოვრობ. მწერლები, რომლებსაც შეუძლიათ ტრივიალური დეტალები საინტერესო დეტალებად გადააქციონ. ზურაბ ლეჟავას პერსონაჟები ადამიანები არიან ამ სიტყვის ყველაზე პრიმიტიული გაგებით და რაკი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ტყუალტმიც დადიან. თქვენ შეიძლება თქვათ, ეგ რა დიდი რამეაო, მაგრამ უამრავი მწერლის უამრავი პერსონაჟი ზედმეტად რთული და ამაღლებულია იმისთვის, რომ ტყუალტში იაროს. როცა ამას აცნობიერებ, შეუძლებელია ზურაბ ლეჟავას, როგორც მწერლის მიმართ პატივისცემით არ განიმსჭვალო.


„სინალდე სიყალბისა“ ხუთი მოთხრობისაგან შედგება, რომელთაგან ზოგი კარგია და ზოგი – უფრო კარგი. ამ წიგნშიც, ისევე როგორც სხვა კრებულებში, შეხვედებით ციხის გასაოცარ ამბებს, რომლებსაც ზურაბ ლეჟავა თავისებურად, სიცილითა და ექსპრესიით გვიყვება. შეხვედებით გონებაშეშლილ მეტაფორებსაც, რომლებიც ასეთი ჩვეულია ამ ავტორისათვის და ასეთი უჩვეულო – სხვებისათვის. სიუჟეტები მრავალფეროვანია და „ჩამთრევი“. მოთხრობაში „სამანტას შეუსაბამო პოზა“ ავტორი პრაპორშჩიკისა და პატიმრის სექსს აღგვინერს პირველ პირში და თანაც იმდენად ნატურალისტურად, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ; კიდევ ერთ მოთხრობაში („ერთი კრუშკა სისხლი“) პატიმარი თანამოსაკენებს სთავაზობს, ითამაშონ ერთ კრუშკა სისხლზე, რომლითაც მერე კერძს შეაზავებენ. არის ისეთი მოთხრობებიც, რომელთა სიუჟეტიც ქალაქის გარეუბნებში ვითარდება. ამ მოთხრობების გმირები წესიერი, უბრალო კაცები არიან, რომლებიც ფულის დაზოგვის მი-

ზნით ლუდს სარაჯიშვილის მეტროსთან ყიდულობენ, ტყუალტის ქალაქს კი – ჩინურ მაღაზიაში. კრებულის ყველა ნაწარმოებში მწერლის შეუდარებელი ოსტატობა ჩანს. არავის შეუძლია ამ ამბების მოყოლა ზურაბ ლეჟავაზე უკეთესად, იმიტომ, რომ ზურაბ ლეჟავა თავად ცხოვრობს სრულიად არაელიტურ-არა-ბოჰემური ცხოვრებით. ის ცხოვრობს მისივე პერსონაჟების გვერდით, აქვს მსგავსი საზრუნავი და შეუძლია ჩვენ, ვისაც არაფერი გაგვიკება ამ საქმისა, მათი ამბები მოგვიყვეს. სწორედ ამაშია მისი სინალდე.

ზურაბ ლეჟავას შესანიშნავად გამოსდის მკითხველის გაცინება, მაგრამ ეს მოთხრობები სულაც არაა გულის გადასაყოლებელი საკითხავი. ყველაფერი, რაც მათშია გადმოცემული, ჩვენი ცხოვრების ბუნებრივ და ძირითად მოტივებს ეხმიანება. ხანდახან კი ისე ღრმა მოტივებსაც, რომ შესაძლოა, გაოგნებული დარჩე („ერთი კრუშკა სისხლი“). ავტორი კი ისე დაუზარებლად და ნაივურად გიყვება ამბებს, რომ შენ თვალწინ ნელ-ნელა ცხადდება სურათები მისი მონათხრობიდან: ამაყი კურორტოლოგი, რომელმაც შემთხვევით ედისონ ჰარტის სურათი მიიჭიკარტა საჯდომზე; ვაგონი სარაჯიშვილის მეტროსთან, სადაც გრაფი დრაკულა, ფრანკენშტაინი და აინშტაინი ერთად ელიან ლარიოციან ლუდს; პატიმარი, რომელიც სამანტა ფოქსის სურათს უყურებს, რათა როგორმე ფერშალის ნითურ სხეულს აარიდოს თვალი და ასე შემდეგ. რა საერთო აქვთ ამ გმირებსა და ისტორიებს? ბევრი არც არაფერი. მაგრამ ზურაბ ლეჟავას მათი გამოგონება სულ ადვილად შეუძლია, შენ კიდევ არ შეგიძლია და ისლა გრჩება, მის მონაყოლს მიჰყევი.

დასასრულს იმას ვიტყვი, რომ ზურაბ ლეჟავას წიგნებს მხოლოდ ქართული პროზისათვის ფეხის ასაწყობად არ ვკითხულობ. ვკითხულობ იმიტომ, რომ მჯერა, ასეთი სხვა მწერალი არც საქართველოში და არც სხვაგან არ არსებობს. ასეთი ნადლი და უბრალო.





**ხელოვნების ამბავი**

ე.ჰ. გომბრიხი  
**გამომცემლობა „ლოგოს პრესი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 49.90 ლარი**

„ხელოვნების ამბავი“ – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული წიგნია ხელოვნების ისტორიის შესახებ, რომელიც ოდესმე გამოცემულა. 50 წლის განმავლობაში იგი რჩება შეუცვლელ შესავლად მთელი საგნისთვის – უძველესი მღვიმის ფერწერი-

დან თანამედროვე ექსპერიმენტულ ხელოვნებამდე. პროფესორ გომბრიხის თქმით, მისი მიზანია „სიცხადე და ნესრიგი შეიტანოს უამრავ სახელში, პერიოდსა და სტილში, რომლებიც სავსეა უფრო ამბიციური ნაშრომები“. გომბრიხი იყენებს სახვითი ხელოვნების ფსიქოლოგიის ცოდნას და თხრობის მარტივი და ყველასთვის გასაგები სტილით ცდილობს დაგვანახოს „ტრადიციების უწყვეტი შერწყმა და მონაცვლეობა, რომლის გამოც ყოველი ნაწარმოები წარსულსაც ხარკს უხდის და მომავლისკენაც ილტვის“. წიგნი ამ კლასიკური ნაშრომის განახლებული, მე-16 გამოცემაა.

**სირცხვილი**

ჯონ მაქსველ კუტზეე  
**მთარგმნელი** გია ბერაძე  
**გამომცემლობა „დიოგენე“**  
**გამოცემის წელი 2012**

ჯონ მაქსველ კუტზეე (1940) თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისურენოვანი რომა-

ნისტია. მწერალი ბუკერის პრემიის ისტორიაში პირველი ავტორია, რომელსაც ეს ჯილდო ორჯერ გადასცეს. მეორე ბუკერი კუტზეეს სწორედ 1999 წელს გამოქვეყნებულ რომან „სირცხვილისთვის“ მიენიჭა. 2003 წელს კი, მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

წიგნის მთავარი გმირი კეიპტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ლურია, რომლის ცხოვრებაც თავდაყირა დგება მას შემდეგ, რაც სტუდენტ გოგონასთან მისი სასიყვარულო ურთიერთობის ამბავი მჟღავნდება.

**გზაზე**

ჯეკ კერუაკი  
**მთარგმნელი** თაკო ჭილაძე  
**გამომცემლობა „დიოგენე“**  
**გამოცემის წელი 2012**

ამერიკელი მწერალი და პოეტი ჯეკ კერუაკი (1922 – 1969) ბიტ-მოძრაობის პიონერია. „გზაზე“ კერუაკის საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. რომანი ძალიან სწრაფად – სამ კვირა-

**ჩარბიშვილის საადვოკატო დარბაზი**

**ბიზნეს და საგადასახადო დავები**  
**სამეწარმეო**  
**კორპორაციული სამართალი**  
**შრომის სამართალი**



**სამოქალაქო სამართალი**  
**სისხლის სამართალი**  
**(ეკონომიკური დანაშაულები)**  
**ადმინისტრაციული სამართალი**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა, ქ.თბილისი  
 ტელ: (+995 32) 237 93 00  
 ფოსტა: info@chargeishvili.ge  
 ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

## ნიგნები

ში დაინერა, თუმცა მისი გამოქვეყნება ავტორმა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ – 1957-ში მოახერხა.


„გზაზე“ ავტობიოგრაფიული წიგნია. სალ ფარადაიზი (რომლის პროტოტიპი თავად ჯექ კერუაკია) შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში მოგზაურობს. მისი ლეგენდარული ოდისეა ამერიკული ლიტერატურის კლასიკად იქცა. წიგნი, რომელსაც გამოქვეყნებისას კრიტიკოსების უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, დღეს მეოცე საუკუნის ასი საუკეთესო ინგლისურენოვანი რომანის სიაშია შეტანილი.

### ტკბილ-მწარე ამბები

ვახტანგ ჭელიძე  
**გამომცემლობა „ინტელექტი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 8.60 ლარი**



ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე წლების მანძილზე იყო სხვადასხვა ლიტერატურული გამოცემის („ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ხომლი“) მთავარი რედაქტორი; მის სახელს უკავშირდება უილიამ შექსპირის, ჯონ მილტონის, დანიელ დეფოს, მარკ ტვენის, რადიარდ კიპლინგის, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ სტაინბეკის, ჯერომ სელინჯერის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა ქართული თარგმანები; ისტორიული ნაშრომი „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ (ხუთ ტომად), ასევე უამრავი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილი. ვახტანგ ჭელიძის „ჩანაწერები“ ერთგვარი მასალაა იმ ავტობიოგრაფიული წიგნისათვის, რომელიც მწერალს დაუმთავრებელი დარჩა.



**კარდიოგრამა**  
გვანცა ჯვობავა  
**გამომცემლობა „ინტელექტი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 5 ლარი**

„გვანცა ჯვობავა მალე თავისი პოეტური თაობის ერთ-ერთი ემბლემატური სახე გახდება. თუმცა ეს არ იქნება რაიმე განსაკუთრებულობის ან უპირატესობის მაჩვენებელი. უბრალოდ, მისი ხასიათია ამ მოტივით კოდირებული. მაძიებელია, ბევრს მუშაობს და ცდილობს დროის ადეკვატური სტილი თავის თავში იპოვოს და არა სხვასთან, სხვის მიერ გაკვალულ გზებსა და ბილიკებზე“ – აღნიშნავს „კარდიოგრამის“ წინასიტყვაობაში კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ივანე ამირხანაშვილი და გვანცა ჯვობავას ლექსისთვის დამახასიათებელ სამ ძირითად თვისებას გამოყოფს – უშუალობას, გულწრფელობასა და სისადავეს.

### კირჩხიბის ტროპიკი

ჰენრი მილერი  
**მთარგმნელი** თამარ ჯაფარიძე  
**გამომცემლობა „დიოგენე“**  
**გამოცემის წელი 2012**

„კირჩხიბის ტროპიკი“, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ექსცენტრიკული და თამამი მწერლის, ჰენრი მილერის (1891-1980) სკანდალური რომანი, მისი სხვა წიგნების მსგავსად, დიდწილად, ავტობიოგრაფიულია. რომანი გასული საუკუნის 30-იან წლებში პარიზში მცხოვრები, უფულობითა და შიმშილით გატანჯული ავტორის მონოლოგია.

წიგნი პირველად 1934 წელს, პარიზში გამოიცა და მილერის თანამედროვეთა – მათ შორის, სემუელ ბეკეტისა და

ჯორჯ ორუელის – დიდი მოწონება დაიმსახურა. პორნოგრაფიულობასა და ამორალურობაში ბრალდების გამო მწერლის რომანები მის სამშობლოში კარგა ხანს აკრძალული იყო. „კირჩხიბის ტროპიკი“ შეერთებულ შტატებში მხოლოდ 1961 წელს გამოიცა.

### „მეგი – ქართველი გოგონა“

გრიგოლ რობაქიძე  
**მთარგმნელი** ნანა გოგოლაშვილი  
**გამომცემლობა „არტანუჯი“**  
**გამოცემის წელი 2012**  
**ფასი 8 ლარი**



გრიგოლ რობაქიძის „მეგი – ქართველი გოგონა“ 1932 წელს ტიუბინგენში, რაინერ ვუნდერლიხის გამომცემლობაში დაიბეჭდა. რომანის თავდაპირველი სათაური „მედეას ნაწნავები“ იყო და როგორც ჰანს ჰატო ფონ ველტჰაიმი-სადმი მიწერილი ბარათიდან ირკვევა, მწერალს ორიგინალის ტექსტი რუსულ ენაზე შეუქმნია. ამ ფაქტს გრიგოლ რობაქიძე შემდეგნაირად ხსნის: „მაშინ უკვე მქონდა საიდუმლო განზრახვა გერმანიაში გაპარვისა. მიწოდდა გერმანული ტექსტი ხელთ მქონოდა. ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი, რომელიც ამ წიგნის მთარგმნელად არის დასახელებული, ქართულს არ ფლობდა. ორმაგი სამუშაო რომ თავიდან ამეცდინა, ჯერ ქართულად დამეწერა რომანი და მერე რუსულად მისთვის, „მეგის“ ორიგინალური ტექსტი იმთავითვე რუსულად შეიქმნა“.

წინამდებარე გამოცემა მკითხველს საშუალებას აძლევს, გაეცნოს რომანის სრულ ტექსტს ქართულ ენაზე.

**ახალი ქართული კერძები**

ნათია მონტგომერი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი 2012

ფასი 22.90 ლარი

წიგნის ავტორი, ნათია მონტგომერი დაიბადა და გაიზარდა თბილისში. 1998 წელს საცხოვრებლად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშაობდა შეფ-მზარეულად. 2006 წელს დაქორწინდა რობერტ მონტგომერიზე და ჰყავს ერთი შვილი, ალექს მონტგომერი. ნათია სწავლობდა ნიუ-იორკში, ფრანგულ კულინარიულ ინსტიტუტში კულინარიული ხელოვნების, შოკოლადის დამზადებისა და არტიზანული პურის ცხობის მიმართულებით. ქმნის ახალ რეცეპტებს, იკვლევს ახალ გემოებს და ასწავლის კულინარიას. ეს წიგნი გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას, მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოთ თქვენი ოჯახის ყოველდღიური თუ სადღესასწაულო



მენიუ. ტრადიციულ კერძებში ახალი ინგრედიენტების დამატებით, ან მსოფლიოში ცნობილ კერძებში ქართული ინგრედიენტების შერევით მიიღება არაჩვეულებრივი არომატი

და დაუფინყარი გემო. როცა ამ რეცეპტებით მომზადებულ ახალ ქართულ კერძებს გასინჯავთ, ეს წიგნი თქვენი სამზარეულოს მუდმივი მეგზური გახდება.





# კონსტანტინე მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი



კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მკურნალობისა და დიაგნოსტიკის უახლესი აპარატურა და თანამედროვე მეთოდები საქართველოში ბევრი პაციენტისთვის პრობლემაა. ამ მიზეზის გამო ხშირად ისინი უცხოურ კლინიკებს მიმართავენ ხოლმე. კონსტანტინე მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი კი, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიხსნა, ბევრი პაციენტისთვის სწორედ უცხოური კლინიკების ალტერნატივაა.

კლინიკა 15 წლიან გამოცდილებას აერთიანებს. 1996 წელს, როცა ჯერ კიდევ კერძო კლინიკები არ არსებობდა და ონკოლოგიური პაციენტების მომსახურების დონეც დაბალი იყო, კლინიკის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა კოტე მარდალეიშვილმა, გიორგი ლოლაძემ და ვლადიმერ ხატელიშვილმა გერმანულ პარტნიორებთან ერთად ქართულ-გერმანული ონკოლოგიური კლინიკა დააარსეს. იმ დროს კლინიკის ძირითადი მიმართულება თავისა და კისრის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა იყო, 2000 წლიდან კი უკვე აქტიური მუშაობა ადამიანის ღეროვან უჯრედებზე დაიწყო, რომელიც იმ დროს ახალი, პერსპექტიული და იმედის მომცემი დარგი იყო.

კლინიკა წარმატებით მუშაობდა ფეტალურ, ძვლის ტვინის და ჭიპლარის სისხლის ღეროვან უჯრედებზე, მათ მიღებაზე, დამუშავებასა და სხვადასხვა კლინიკურ დარგებში გამოყენების კლინიკურ კვლევებზე. შესაბამისი გამოცდილების საფუძველზე 2006 წელს საქართველოში ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების პირველი ბანკი „ჯეოქორდი“ დაარსდა, რომელიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს. „გარკვეული პერიოდის შემდეგ საჭირო გახდა ჩვენი მიღწევების კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა. დღეს მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი აერთიანებს იმ გამოცდილებას, რაც ჩვენმა ჯგუფმა 15 წლის განმავლობაში დააგროვა“, - აღნიშნავს ცენტრის დირექტორი გიორგი ლოლაძე.

კლინიკის ძირითადი მიმართულება ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაა: ცენტრში თავისა და კისრის, გინეკოლოგიური და მამოლოგიური სიმსივნეებით დაავადებულებს მკურნალობენ. სამედიცინო პერსონალი აქტიურად მუშაობს დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებზე, სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინებზე, ლაკ-თერაპიაზე, რომელიც საქართველოში სრულიად ახალი მიმართულებაა. „სიმსივნური უჯრედი ორგანიზმის მიერ



ალიქმება, როგორც საკუთარი უჯრედი, ამიტომ ადამიანის იმუნიტეტი მას არ ებრძვის. შესაბამისად, სიმსივნური დაავადებების მკურნალობა მხოლოდ გარეგანი ზემოქმედებით - ქირურგიით, სხივური და ქიმიოთერაპიებით ხდება. კიბოს იმუნოთერაპიის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: „ავუსსნათ“ ორგანიზმს, რომ კიბო არის უცხო სხეული, რათა მან დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი იმუნიტეტით დაიწყო. სწორედ ასეთი მეთოდია ლაკთერაპია. ასევე, უახლოეს მომავალში ჩვენთან დაიწყება კიდევ ერთი ახალი მიმართულება - კიბოს ინდივიდუალური ვაქცინები, რომლებიც გაცილებით ზრდის ქირურგიული, სხივური და ქიმიოთერაპიების მკურნალობის ეფექტიანობას“, - აღნიშნავს გიორგი ლოლაძე.

მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი აგრძელებს მუშაობას ღეროვანი უჯრედების სხვადასხვა დარგში გამოყენებაზე, მათ შორის, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებით კარდიოლოგიური და ჰემატოლოგიური დაავადებების მკურნალობაზე. ცენტრში ფუნქციონირებს ტიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ბანკი „ჯეოქორდი“, რომელსაც უკვე ბევრი მომხმარებელი ჰყავს და მუშაობას კვლავაც ინტენსიურად აგრძელებს.

მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი ყველა თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებითა და ყველა საჭირო ტექნიკითა აღჭურვილი, მათ შორის, ლაბორატორიული ხელსაწყოებით, ციფრული რენტგენით, ექოსკოპიის თანამედროვე აპარატებით, კომპიუტერული ტომოგრაფიითა და გამაკამერით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარისებური ჯირკვლის სიმსივნით დაავადებული პაციენტებისთვის, რომლებსაც ამ გამოკვლევების საქართველოში არარ-

სებობის გამო დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის სხვა ქვეყნებში უწევდათ წასვლა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ კლინიკა მაღალი დონის, ცნობილი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული: თავისა და კისრის სიმსივნეებით დაავადებული პაციენტების მკურნალობას პროფესორი კოტე მარდალეიშვილი ხელმძღვანელობს, ძუძუს პათოლოგიებით დაავადებულთა მკურნალობას - პროფესორი გია ციხისელი, გინეკოლოგიურ განყოფილებას კი - პროფესორი ირაკლი ცინცაძე. „ეს სამი მიმართულება, რომლებსაც მეორენაირად ენდოკრინულ ქირურგიასაც უწოდებენ, მჭიდროდაა ერთმანეთთან კავშირში, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ კლინიკაში იმ ჯგუფის შექმნა, რომელიც კომპლექსურად მიუდგება საკითხს. დაავადების მკურნალობისას ძირითადი ნაწილი მაინც ექიმსა და მკურნალობის ტაქტიკის სწორად შერჩევაზეა დამოკიდებული. ცხადია, დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, აპარატურას უდიდესი როლი აქვს, მაგრამ არა - გადამწყვეტი. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვალიფიციური პერსონალი და ექიმები, რათა სწორად მოხდეს დიაგნოზის დასმა, სხვადასხვა სადიაგნოსტიკო საშუალებებიდან მიღებული დასკვნის ინტერპრეტირება და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა“, - განმარტავს გიორგი ლოლაძე. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში მიმდინარეობს ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპიაც, უახლოეს მომავალში კი დაიწყება ბრახითერაპია - კონტაქტური სხივური თერაპია, რომელიც ძალიან ბევრი ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდაა ეფექტიანი.



# „ჩვენ ვართ დედები, ჩვენ ვართ დედები საქართველოსი“...

ავტორი თაო ხატიაშვილი

რუსუდან ჭყონიას პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი წლებიდანვე ვენეციის საერთაშორისო ფესტივალის პარალელურ პროგრამაში Venice Days მოხვდა. ეს არის კონკურსგარეშე ჩვენება, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და კანის ფესტივალის Quinzaine des Réalisateurs-ის მიხედვით შეიქმნა. ყოველწლიურად მასში 12 ფილმი შეირჩევა. არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, მთავარი კრიტერიუმი ინოვაცია, ორიგინალობა, დამოუკიდებლობა, პრობლემ(ებ)ის კვლევაა.

## To Be Looked

იყო „დამზერილი“, მზერის, მუდმივი თვალთვალის/დათვალეობის ობიექტი – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც წლების წინ ბრიტანელმა ფემინისტმა მკვლევარმა ლაურა მალვიმ იხმარა კლასიკური ჰოლივუდის კინონარატივის განხილვისას. ვიზუალური სიამოვნება, რომელსაც ეს პროცესი იწვევს, მან მასკულიზური სამყაროს ვუაიერისტულ ვნებას (და ძალაუფლებას, რამდენადაც ის არის „მზერის სუბიექტი“) დაუკავშირა.

„თქვენგან რაც გვჭირდება, ეს არის სულის სტრიპტიზი“, – ამბობს შოუს ნამყვანი (ბეკა ელბაქიძე) რუსუდან ჭყონიას ფილმში Keep Smiling ანუ გაიღიმეთ – შოუში, რომელიც სილამაზის კონკურსის ფინალში იმართება. თუმცა კონკურსი მთლად ტიპური არ არის – აქ არ იცავენ შოუბიზნესში ტირაჟირებული გოგონებისთვის დამახასიათებელ სტანდარტულ მონაცემებს – იმას, რაც „დამზერისთვის“ აუცილებელი კომპონენტია, რაც ქალს ობიექტად, დანაწევრებული სხეულის „კოლაჟად“, ფეტიშად აქცევს (აკი, აღშფოთებას ვერ მალავს ყველაზე კომიკური პერსონაჟი ინგა (ნანა შონია), საქონელი ხომ არ ვარ, ნაწილ-ნაწილ რომ დამათვალეონო). ეს კონკურსი საუკეთესო დედის, „ქართლის დედა-2010“-ის გამოსავლენად ტარდება, მაგრამ მაინც ინარჩუნებს მთავარ პირობას: გახადო, ათვალეონო, შეაფასო. კონკურსში მონაწილე სხვადასხვა ასაკის, სოციუმისა თუ ფიზიკური პარამეტრების მქონე ქალებიც იხიდან – ზოგი უფრო თამამად და თავდაჯერებულად, ზოგი მორცხვად და უხალისოდ; ერთმანეთსაც აპარებენ თვალს გასახდელში, რომ შეამონმონ, რამ-

დენჯერმე ნამშობიარევი სხეულები მათზე უკეთესად გამოიყურებიან თუ უარესად? კონკურსენტებს შორის პირველი სოლიდარობის გრძნობა სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ მათ საცურაო კოსტიუმებში მოუწვეთ გამოვლავა. კონკურსის ლობისტი პარლამენტარის მიერ მიცემული პირობის დარღვევა, რომ გასახდელში პაპარაცის გადაღებული შიშველი ფოტოები არ დაიბეჭდება და გვანცას (ია სუხიტაშვილი), ყველაზე ჭირვეული კონკურსანტის თვითმკვლელობა საბოლოოდ გააერთიანებს ქალებს. ფინალში გამარჯვებულის გამოსაცხადებლად სცენაზე არავინ ჩნდება. „ზეციდან“ ჩამოშვებული ბავშვი-ანგელოზები, ცარიელ დარბაზში უმწეოდ რომ ტრიალებენ, კიჩის ირონიულობიდან თანდათან ტრაგიკულობის განცდას ბადებენ. კონკურსის ორგანიზატორები ცდილობენ მოჩვენებითი რესპექტაბელობა შეინარჩუნონ და ქართველი დედის „უმწიკვლობას“ გაშიშვლებით ჩრდილი არ მიაყენონ. „თქვენგან რაც გვჭირდება, ეს არის სულის სტრიპტიზი“ – ეს სხვა თემაა, რომელი უფრო ამო-



რალურია, გააშიშვლო/გააშიშვლებინო ადამიანს სხეული თუ სული? მაგრამ კონკურსის ორგანიზატორებს არც მონაწილეთა სულში ჩახედვა აინტერესებთ მაინცდამაინც. მათთვის დასმული კითხვები, ისევე როგორც, შოუ-ბიზნესში ტირაჟირებული სილამაზე, ტრაფარეტული, სტერეოტიპული და ზედაპირულია. პასუხებიც შესაბამისია, რაც სიტუაციის აბსურდულობას კიდევ უფრო ამძაფრებს:

- როგორი უნდა იყოს ახალი ქართლის დედა?
- ძველზე უკეთესი...
- რა ყვავილი იქნებოდით?
- ღიღილო...

კონკურსანტთა კრეატიულობაც ღიმილის მომგვრელია – ტრადიციული ფოლკლორი, საბჭოური სკოლების მონაწილეთა მოსწავლისეული დეკლამაციის ნიჭი და მუხრან მაჭავარიანის პათეტიკური ლექსი „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“ უფრო „თანამედროვე“ კონკურსანტი ცეკვა-პერფორმანსს ასრულებს, რომელიც იმ სიტუაციაში განსაკუთრებული ირონიულობით აღიქმება... მხოლოდ ერთადერთი ადამიანია, რომელსაც გულწრფელად სურს (და არა კონკურსის აუცილებელი პირობის გათვალისწინებით) და შეუძლია, თავისი შემოქმედება წარუდგინოს აუდიტორიას, — გვანცას ოცნებაა, დიდი ხნის შემდეგ, კვლავ აიღოს ვიოლინო და შეასრულოს ბახის „ჩაკონა“.

სინამდვილეში კონკურსის წარმატე-

ბით ჩატარებისთვის მხოლოდ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი, კონკურსანტებს პირზე მიყრდნობი ყალბი ღიმილი არ მოშორდეთ, მაშინაც კი, როდესაც ქვითინი უნდათ.

**Keep Smiling** – მათ ხომ ვიზუალური სიამოვნება უნდა მიანიჭონ კაცებს?!

“ჩვენ ვართ ცოლები, ჩვენ ვართ ქალები, ჩვენ ვართ დედები საქართველოსი...”

ეს არის კონკურსის მთავარი სლოგანი, რომელსაც პლასტმასის ღიმილის მსგავსად ყალბი ოპტიმიზმით წარმოთქვამენ კონკურსანტები. საგულისხმოა, რომ სიტყვა „ქალები“ „ცოლებსა“ და „დედებს“ შორის არის მოთავსებული/მეფუთული, რაც საქართველოში (ისევე როგორც ტრადიციულ კულტურებში ზოგადად) ქალის ფუნქციის მკაფიო დეფინიციისა და მისთვის შემოსაზღვრული სივრცის აქცენტირებას ახდენს. უკვე არაერთხელ აღნიშნულა, რომ საქართველოში დეკლარირებული ქალის კულტი სინამდვილეში დედის კულტით არის გამოხატული, რის გამოც ქალი, თუ ის არ არის დედა, არასრულფასოვნად, ყოველ შემთხვევაში, არასაკმარისად სრულფასოვნად ფასდება/აღიქმება.

თუმცა ფილმი კონკურსის მზადებისა და ფინალური შოუს თვალის გადავებით (ქალის სხეულებთან ერთად) იმის დემონსტრირებას ახდენს, თუ რამდენად პრობლემატურია თავად ეს

მითიური „დედის კულტი“. როგორც აღვნიშნე, კონკურსში სხვადასხვა ასაკის, სოციუმისა და ინტერესების (მათ შორის, კონკურსისადმი მათი ინტერესების) ქალები მონაწილეობენ – ზოგი მხოლოდ საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებლად და ახალგაზრდა საყვარლისთვის დასამტკიცებლად, რომ ის კვლავ ახალგაზრდაა და მომხიბვლელი (მაკა ჩიჩუა), „დედიკოს გოგო“ (ლელა მეტრეველი) აშკარად დედის სურვილების მსხვერპლია, ბაია (შორენა ბეგაშვილი), რომელიც სხვათა შორის, დედა არ არის, მაგრამ ამაზე ჟიური თვალს ხუჭავს – პარლამენტარი ქმრის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს, ირინა (თამარ ბუხნიკაშვილი) ბანკის ვალის გამო სამი შვილით ღია ცის ქვეშ რჩება, ამიტომ მას გამარჯვება ჰაერივით სჭირდება – ფინალისტს ხომ ბინით ასაჩუქრებენ. ეს კონკურსი სასიცოცხლო მნიშვნელობის არის დევნილი მონაწილეებისთვისაც, რომლებიც მოუწყობელ, ერთმანეთისგან თხელი კედლებით გამოყოფილ, უჰაერო და ბნელ ოთახებში ცხოვრობენ...

მაგრამ მათი მსგავსება გაცილებით არსებითია, ვიდრე განსხვავება – ისინი არიან ქალები, რომლებსაც ცოლისა და დედის სტატუსმა სინამდვილეში ბედნიერება და სრულფასოვნება/რეალიზებულობა ვერ შესძინა. სამშვილიანი გვანცასთვის, რომელსაც ქმარი არ ჰყავს, დედობა მორალური გაცივების მიზეზი ხდება, შეძლებული და



ყოფითი პრობლემებისგან თავისუფალი კონკურსანტი ცხოვრების მიზანს მაინც სხვაგან (მათ შორის, ახალგაზრდა საყვარელთან (თორნიკე ბზიავა)) ეძებს, ბაია ჩვეულებრივი თოჯინაა პარლამენტარი ქმრისთვის, რომელიც პარალელურად, ახალ „ტალანტებს“ აღმოაჩენს და მფარველობს.

ფილმში „ქართლის დედის“ (და არა მხოლოდ „ქართლის დედა-2010-ის“ – კონკურსის, რომელიც კრახით მთავრდება) მითი ბოლომდე იშლება; მონუმენტური ქართლის დედის, რომლის სიმბოლოსაც, თბილისის თავზე ამყად რომ წამომართულა, სტილისტურად თუ პათოსით ძალიან წააგავს კონკურსის ლოგო ბერძენიშვილის ცნობილი მონუმენტის – „კიდევაც დაიზრდებიან“ – გამოსახულებით.

ლოგო-ტიხარი პერიოდულად პერსონაჟთა დრამატულ ისტორიებსა და კონკურსის მომზადების პროცესს წრის. ამგვარი სტრუქტურა, გარდა იმისა, რომ დრამატურგიული დინამიკა შემოაქვს, ფილმს სატელევიზიო შოუს ფორმას აძლევს, რითაც სიტუაციის ზედაპირულობას, გარეგნულ თვალის-მომჭრელობაზე ორიენტირებულობას ესმება ხაზი. შოუს კიჩურობა ფილმს ბოლომდე უნარჩუნებს ირონიულობას,

თუმცა რეჟისორი ახერხებს, არ დაგტოვოს დისტანციურ და აროგანტულ დამკვირვებლად. პერსონაჟებისადმი ემოციური დამოკიდებულება სულ უფრო იზრდება და ფინალისკენ პიკს აღწევს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პერსონაჟი ერთნაირად საინტერესოდ ვერ ვითარდება. რამდენიმე მხოლოდ ფონს ქმნის, მათ შორის სრულიად ზედმეტად და სტერეოტიპულად მეჩვენება ეთნიკურად არაქართველი ქალის სახე (ეკა ქართველიშვილი). თუ რეჟისორს მისი შემოყვანით მულტიკულტურული საქართველოს ზოგადი პრობლემის დანახვა უნდოდა, მაშინ ამ პერსონაჟის შესახებ მეტი უნდა გაგვეგო, ვიდრე მისი სპეციფიკური აქცენტის სამეტყველო რუსულია.

მიუხედავად არათანაბრობისა, ფილმში მაინც იხატება ჯგუფური პორტრეტი და არა მხოლოდ „ქართლის დედების“, არამედ თავად თანამედროვე საქართველოსი – ქვეყნის, სადაც რამდენიმე ომის შედეგად დევნილთა ახალ-ახალი ნაკადი ჩნდება, სადაც სოციალური კონტრასტები ძალზე თვალშისაცემია, სადაც პოლიტიკური ელიტა შედარებით „დახვეწილ“ კორუფციულ ქსელშია გახვეული, სადაც გაპრიალებული ფასადი, ყველაფრის

მიუხედავად მოლიმარი სახე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრობლემის აღიარება და დანახვა.

იმის მიუხედავად, რომ ფილმს თითქოს ერთი მთავარი გმირი არ ჰყავს, ია სუბიტაშვილის გვანცა მაინც გამოკვეთილი პერსონაჟია. მას, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, საბოლოოდ, ნაკლებად აინტერესებს კონკურსის შედეგები, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი სცენაზე დაბრუნების შანსი და საყვარელი ნანარმოების შესრულებაა. მაგრამ მას არავინ უსმენს. ბახის „ჩაკონა“ არავის აინტერესებს, სანამ უფრო მიმზიდველი სანახაობა შიშველი ძუძუების ჩვენებაა, სანამ, როგორც „უკანონო“ შვილების დედას, გამცირებენ, სანამ შენ ღირსებას არა ადამიანურად, არამედ ცოლისა და დედის სტატუსით აფასებენ, რაც კეთილდღეობის ფარისეველურ იმიჯს ფარავს.

აქ მთავარია, შეინარჩუნო მოთმინება და მოირგო ღიმილი. როგორც ფილმის ლაიტმოტივად აღებული მხიარული და პრიმიტიული სიმღერიდან ისმის: *Baby keep smiling/ You know the sun is shining*. საბედნიეროდ, ფილმის პერსონაჟი კონკურსანტები ასე არ ფიქრობენ.





SINCE 1884

**SARAJISHVILI**

სარაჯიშვილი



# დავნიოთ და გავუსწროთ სიბიუს ფესტივალს

ავტორი ღაბით ბუხრიქიძე



**კეა მაზმიშვილი:** „ყველა საფესტივალო ქალაქი ცდილობს თავად შექმნას კულტურული ლანდშაფტი, რომელიც მას მოერგება“.

„ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება – ყოველ წელს ფესტივალის ამბავი ცარიელი ფურცლიდან იწყება. აზრი, იდეა, ოცნება, სურვილი წელ-წელა ყალიბდება და მატერიალურ სახეს იღებს. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, შეცდომებისა და სირთულეების მიუხედავად, მუზეუმისა და მათი მსახურების დახმარებით, ცარიელი სივრცე ჯერ არტიკულით, მათი ფანტაზიის ნაყოფით, მოგვიანებით კი – მაყურებლით ივსება.

მათი შეხვედრა კი ფესტივალის ყველაზე საინტერესო გვერდია; ის მშვენიერი და განუმეორებელი მომენტი, რომელიც აზრს აძლევს და სიცოცხლეს შთაბერავს ფესტივალს“ – ამგვარი მიმართვითა და ოდნავი სენტიმენტებით იწყება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორის, ეკა მაზმიშვილის მიმართვა, რომელსაც მაყურებელი ახალ და კონცეპტუალურად გაფორმებულ ბუკლეტშიც იხილავს.

**სექტემბერში თბილისში უკვე მეოთხედ გაიმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. იქნებ უფრო დეტალურად მოგვითხროთ ფესტივალის შესახებ. რა სიახლეები ელის მაყურებელს?**

ვფიქრობ, რომ ორი კვირის განმავლობაში, 14-დან 30 სექტემბრამდე, მაყურებელი მართლაც საინტერესო მოვლენის და სპექტაკლების მომსწრე გახდება. მათთვის, ვისთვისაც თეატრი და საერთოდ, ხელოვნება ცხოვრების ნაწილია, ეს გარკვეული აღმოჩენების დრო იქნება. ამავე დროს, გარკვეული არტ-თერაპიისთვისაც დარჩება ადგილი...

**მით უმეტეს, ჩვენს დრამატულ დროში, როცა ხელოვნება უფრო სოციალურ და არტიკულ პროვოკაციასთან ასოცირდება, ვიდრე თერაპიასთან.**

რასაკვირველია, თერაპიაც და პროვოკაციაც არტის ნაწილია. გააჩნია, როგორი კუთხით შევხედავთ. საერთაშორისო თუ ქართული სპექტაკლები და ზოგადად, პროგრამა ისეა დაგეგმილი, რომ მაყურებელს თითქმის ყველანაირი სპექტაკლის ნახვა შეეძლება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა ჩვენი სოციალური გარემო ერთგვარად უარყოფითადაა დამუხტული. წელსაც ტრადიციულად ორი პროგრამა გვაქვს – ქართული და საერთაშორისო.

**ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი გადამწყვეტ სამუშაო ფაზაში გადავიდა.**

თბილისის საერთაშორისო ფესტივალის მხოლოდ ოთხი წლისაა და ცხადია, ის ავინიონის, ედინბურგის, ვროცლავის თუ სიბიუს ფესტივალს გამოცდილებითა და მასშტაბით აშკარად ჩამორჩება. თუმცა არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს არის ქალაქი, სადაც დიდი თეატრალური ტრადიციები არსებობდა და, ამის გათვალისწინებით, მაყურებელს საინტერესო, ხარისხიანი წარმოდგენები უნდა შევთავაზოთ. მეორე – უკვე შეიქმნა ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები, რომ ფესტივალი მაღალ დონეზე ჩატარდეს; მესამე – ყველა ქალაქი ცდილობს თავად შექმნას, ასე ვთქვათ,

კულტურული ლანდშაფტი, რომელიც მას მოერგება.

**რას იტყვით წლებანდელ პროგრამაზე? ცნობილია, რომ უცხოური პროგრამა რამდენიმე საინტერესო სახელით გამოირჩევა: პოლონელი რეჟისორი მაია კლერჩევსკა, კლასიკოსი ფრანგი ფილიპ ჟანტი, ოლეგ ტაბაკოვის სტუდია „ტაბაკერკა“, ბალეტისა და საბრძოლო ხელოვნების ნაზავი ჩინურ სპექტაკლში...**

ყველა დიდი ფესტივალი ცდილობს მოიპოვოს ექსკლუზივი კარგ რეჟისორებსა და კარგ დადგმებზე. მაგალითად, თქვენ მიერ დასახელებული რეჟისორი მაია კლერჩევსკა ახალი ევროპული თეატრის ვარსკვლავად ითვლება და მისი სპექტაკლების ფესტივალზე ჩამოტანა საკმაოდ რთულია. შეიძლება ითქვას, წელს ბედმა გაგვიღიმა და ოპოლეს თეატრმა პოლონეთიდან (სადაც მაია კლერჩევსკამ განახორციელა „ღმერთების დაცემა“ ლუკინო ვისკონტის ფილმის სცენარის მიხედვით) შემოგვთავაზა სპექტაკლის თბილისში ჩამოტანა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ „ღმერთების დაცემა“ ფესტივალის მოვლენად იქცევა. ისევე როგორც, დიდი ფრანგი რეჟისორისა და ფანტაზიის დიდოსტატის, ფილიპ ჟანტის „უძრავი მოგზაურები“, რომელიც ნამდვილად გააფართოებს ჩვენს წარმოდგენას თეატრის შესახებ. მინსკის, იანკა კუპალს სახელობის თეატრი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლით, „ქორწილით“ გვეწვევა, რომელიც ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით დაიდგა. სპექტაკლი ცოცხალი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. შედარებით უფროს თაობას ალბათ დაინტერესებს ოლეგ ტაბაკოვის ახალი სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, რომელიც კლასიკის ახალი, ავანგარდული ნაკითხვის მცდელობაა.

**რაც შეეხება სპექტაკლს „კუნფუს გამოცხადება, 9 გრაგნილი“. მართალია, რომ მასში შოალინელი ბერები მონაწილეობენ?**

„კუნფუს გამოცხადება“ დაუვინყარი სანახაობაა. მაყურებელს ვურჩევ არ გამოტოვოს არც ეს სპექტაკლი, რომელშიც 28 შოალინელი ბერი მონაწილეობს. ეს არის ქორეოგრაფიისა

და საბრძოლო ხელოვნების საოცარი სინთეზი. შვედური „მომენტ თეატრი“ კი აუგუსტ სტრინდბერგის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით წარმოადგენს ახლებური ფორმის დრამას – „ფრიდა სტრინდბერგი“, რომელიც მისი ქალიშვილის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ასევე, ძალიან საინტერესოა კობროდუქციული (ლიტვა, ფინეთი, შვედეთი) წარმოდგენა სახელწოდებით „სევედიანი სიმღერები ევროპის გულიდან“, რომელიც ახალი თაობის ფინელმა რეჟისორმა კრისტიან სმედსმა დადგა.

**რაც შეეხება ქართულ პროგრამას, რომლის შესახებ გამოდგებით მოთქმა-მოთქმაა. რატომ ხვდება ზოგჯერ უხარისხო და ფესტივალისთვის შეუფერებელი სპექტაკლები პროგრამაში?**

გეთანხმებით, რომ მხატვრული დონე სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ მაინც ვამჯობინებთ, რომ ყველა ქართულ თეატრს მიეცეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ფესტივალში. მომავალში, ალბათ, პრობლემა შეიცვლება, რადგან ეს თავად ქართული თეატრების ინტერესებშიც შედის. ისე კი, დიდი რაოდენობის პრემიერებს ვიხილავთ. სულ 31 ქართული სპექტაკლია წარმოდგენილი, რაც შთამბეჭდავი რიცხვია.

**არადა, კრიტიკოსები გამოდგებით თეატრის კრიზისის შესახებ მოთქვამენ...**

კრიზისი არის არა ის, რომ ცდილობ და არ გამოგდის, არამედ, როცა არაფერს აკეთებ. ხშირად ჟურნალისტები და თეატრის კრიტიკოსები სულ სხვადასხვა რამეს გულისხმობენ, როდესაც კრიზისის შესახებ ლაპარაკობენ. და მათი განმარტება ან შეფასება ჩემთვის ზოგჯერ გაუგებარია.

**როგორ ადგენთ ფესტივალის პროგრამას, ვინ განსაზღვრავს მას? ვინ არიან ფესტივალის ექსპერტთა საბჭოს წევრები?**

ფესტივალის პროგრამას ბევრი რამ განაპირობებს. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია, რამდენად მიგვიწვევა ხელი ამა თუ იმ წარმოდგენაზე; არის თუ არა შესაძლებელი თეატრის მოწვევა იმ კონკრეტულ ვადებში, რა შეუძლიათ თავად ამ თეატრებმა შემოგვთავაზონ.

ვთანამშრომლობთ ტელ-ავივის (ისრაელი), სიბიუს (რუმინეთი), ჩეხოვის სახელობის ფესტივალთან; ჩვენ ვინვეთ ექსპერტებს ბრიტანეთის საბჭოდან, ევროპის ფესტივალის ასოციაციიდან და ა.შ. ცხადია, წინასწარ ვგეგმავთ, რამდენად განვდება ჩვენი ხარჯები ამა თუ იმ სპექტაკლის ჩამოტანას...

**რამდენად გამჭვირვალე ინფორმაცია ფესტივალის საბიუჯეტო ხარჯების შესახებ? რამდენად ხელმისაწვდომია ბილეთების ფასი?**

ლოგიკური და გასაგებია მედიის განსკუთრებული ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით. წლებანდელი ბიუჯეტი 1 მილიონ 200 ათას ლარს შეადგენს. მთავარი სპონსორი ქალაქის მერიაა, რომლის თანამონაწილეობა 700 ათასით განისაზღვრება. დანარჩენ თანხას კერო კომპანიები იხდიან. ბილეთების ფასები 20 ლარიდან 120 ლარამდე მერყეობს. მაგალითად, ქართული თეატრების სპექტაკლებზე ბილეთების ფასები შედარებით დაბალია, ხოლო ყველაზე ძვირი სტუდია „ტაბაკერკას“ სპექტაკლის ბილეთი ღირს, რომლის წარმოდგენას მხოლოდ 50 მაყურებელი ესწრება.

**და რაც შეეხება აბონემენტებს...**

აბონემენტების გაყიდვა ჯერ კიდევ ზაფხულიდან დაიწყო და თითქმის აღარ დარჩა. მოკლედ რომ ვთქვათ, თეატრში სიარული ხალხისთვის მხოლოდ სავალდებულო რიტუალი ან გართობა არ არის. ეს მისი შინაგანი, აუცილებელი მოთხოვნილებაა. იმედია, მომდევნო წელს ბილეთები და აბონემენტები უფრო კარგი ხარისხის სპექტაკლებზე გაიყიდება.

**მართალია, რომ მომავალ წელს ფესტივალის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორის, რობერტ ვილსონის „შექსპირის სონეტების“ ჩამოტანას გეგმავს; რომელიც მან „ბერლინერ ანსამბლში“ დადგა? ვილსონის სპექტაკლთან დაკავშირებით ნამდვილად მომდინარეობს მოლაპარაკება და ვაპირებთ 2013 წელს „შექსპირის სონეტების“ ჩამოტანას, თუმცა ეს ტექნიკურად საკმაოდ რთული ამოცანაა. დეტალებსა და სასიამოვნო სიურპრიზებზე სხვა დროს ვისაუბროთ.**



„როზორს ბანაოთი“



„ფრაკან ჟული“

# ფესტივალი, აქტი მეოთხე...

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – საიუბილეო სტრინდბარგით, აბსურდით ნაკვეთი სტოკარდით და „გლოზუსგამოვლილი“ შექსპირით

## ავტორი დავით ბუხრიკიძე

თითქმის ყოჩაღად ფეხადგმული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უკვე მეოთხედ გაიმართა. ასე თქვათ, პიესის მეოთხე აქტი „გათამაშდა“. ჩეხოვის პიესებში ეს ბოლო აქტია, შექსპირთან – ბოლოს წინა. ფესტივალი იმ სტადიაში შევიდა, როცა სპექტაკლების რაოდენობა ხარისხთან ერთად პირდაპირპროპორციულად უნდა გაიზარდოს. გამჭირდება, გითხრათ, რომ წლებგანდელი პროგრამა გაცილებით უკეთესი ან უარესი იყო, ვიდრე წინა წლებში. ტოპსპექტაკლები მაშინაც და ახლაც თითებზე ჩამოსათვლელია და ეს არა მარტო თბილისის, არამედ თითქმის ყველა საერთაშორისო ფესტივალისთვის საბედისწერო რეალობაა.

საერთაშორისო პროგრამაში რამდენიმე მაღალი ხარისხის სპექტაკლი უჩვენეს: იან კოხანოვსკის სახელობის ცნობილი თეატრი პოლონეთის ქალაქ ოპოლედან (სპექტაკლი „ღმერთების დაცემა“, ლუკინო ვისკონტის ფილმის სცენარის მიხედვით; ახალი თაობის შესანიშნავი რეჟისორი მაია კლეჩევსკა); მინსკის, იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო თეატრის პოლიფონიური წარმოდგენა „ქორწილი“ (ანტონ ჩეხოვის ამავე სახელწოდების მიხედვით); ცნობილი ფრანგი რეჟისორის, ფილიპ ჟანტის „უძრავი

შთაბეჭდილებები“; მოსკოვის სტუდია „ტაბაკერკას“ სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (ალექსანდრ ოსტროვსკის პიესის თანამედროვე და საკმაოდ გაბედული ვერსია)... ერთი სიტყვით, თეატრალის მახვილი თვალი ორმოცამდე უცხოურ და ქართულ სპექტაკლს შორის, საამო თუ მოულოდნელ აღმოჩენასაც გააკეთებს.

ამჯერად მხოლოდ ფესტივალის ქართულ პროგრამას მიმოვიხილავთ, რადგან ყველა წარმოდგენის ერთ წერილში ჩატევა, უბრალოდ, შეუძლებელია. რუსთაველის თეატრმა, როგორც იქნა, დიდი და მძიმე პაუზა დაარღვია, რაც, პირველ რიგში, რობერტ სტურუას თეატრიდან ნასვლით იყო განპირობებული. რეჟისორმა გოგა თავაძემ ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, ტომ სტოპარდის ერთოქმედებიანი კომედია „მაგრიტის შემდეგ“ დიდ სცენაზე განახორციელა. პიესა დრამატურგმა ლაშა ბულაძემ თარგმნა, რომელიც, სხვათა შორის, ბრიტანელ ავტორს BBC-ის მიერ ჩატარებული კონკურსიდან პირადად იცნობს.

„სპეციფიკური დიალოგები მთარგმნელისგან დიდ სიზუსტეს და ირონიის სიცხადეს მოითხოვდა; სწორედ ამიტომ ავირჩიე მთარგმნელად ლაშა ბულაძე“, – განაცხადა რეჟისორმა. და სპექტაკლის ნახვის შემდეგ

მართლაც ხვდებით მისი არჩევანის სიზუსტეს. სხვათა შორის, ბულაძე კარგად უღებს ალლოს პიესის ტექსტსაც და ჟანრსაც – კომიკურობისა და სერიოზულობის მისეული ნაზავი ლამის ბურლესკამდე მიდის, ხოლო დიალოგებში შენარჩუნებულია სისხარტე და მოქნილობა. სტოპარდი საქართველოში იშვიათად იდგმება. ერთ-ერთი ასეთი გამოცდაა დავით ანდელუაძის მიერ 1990-იან წლებში მარჯანიშვილის თეატრში დადგმული, ალბათ მისი ყველაზე ცნობილი პიესა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ (თამუნა ჯაფარიძის თარგმანი).

პიესა „მაგრიტის შემდეგ“ უფრო სიურრეალისტურ კომედიას განეკუთვნება, რომელიც სტოპარდმა 1970 წელს დაწერა. მოქმედება ერთ, არაფრით გამორჩეულ ინგლისურ ოჯახში ვითარდება: პერსონაჟები ეს-ესაა დაბრუნდნენ ცნობილი ბელგიელი სიურრეალისტი მხატვრის, რენე მაგრიტის გამოფენიდან, რომელთაც თავს მოულოდნელად სამძებრო პოლიციის ინსპექტორები დაადგებიან... და სრულიად მოულოდნელად, თქვენ თვალწინ თავად მაგრიტის ნამუშევრების ვიზუალური სამყარო იქცევა პიესის სიუჟეტად.

გოგა თავაძეს, ერთი შეხედვით, უაზროდ დაყოფილ დიალოგებში აბსურდის ჟანრის



„ქარმინი“

ამოკითხვა არ გაჭირვებია, მით უმეტეს, რომ სპექტაკლის ფორმას მას თავად ცნობილი სიურრეალისტი მხატვრის სამყარო კარნახობს. ამას დაუმატეთ მირიან შველიძის სცენოგრაფიული ფანტაზია და შესანიშნავი კოსტიუმები, რითაც მსახიობები საგულდაგულოდ „ინილბებიან“. იმდენად, რომ ზოგიერთს ვერც იცნობთ. ტოტალურად მონდომებული მსახიობური ანსამბლის მიუხედავად, რამდენიმე მათგანს მაინც გამოვყოფთ. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნინო კასრადის კომიკური ალტყინება (რაც მას გარკვეულწილად გადმოჰყვება თავადის ბოლო სპექტაკლიდან „დაბოლილი მთვარე“), ნანა ფაჩუაშვილის მიერ მოუზღვებლად გათლილი საკუთარი იმიჯი, გოგა ბარბაქაძის ტოტალური გარდასახვის უნარი და „სკოტლენდ-იარდის“ რიგებში მოულოდნელად „განვერანებულ“ ლევან ხურციას თამაში – ბეჯითი და ირონიული.

სტუმრებიც და მასპინძლებიც, აშკარად, იმედით ელოდნენ ლევან წულაძის მიერ ლონდონში, სპეციალური პროექტის ფარგლებში დადგმულ შექსპირის პიესას „როგორც გენებოთ“. 2012 წელს ლონდონში, „გლობუსის“ თეატრში, 37 ენაზე ამეტყველებული შექსპირის 37 პიესიდან ერთი ქართულიც იყო. თუ ბრიტანულ პრესას დაუფიქრებთ, იმ „თეატრალურ ბაბილონში“, რომელიც პუბლიკამ „გლობუსის“ სცენაზე იხილა, მარჯვანიშვილის თეატრის სპექტაკლი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა.

შექსპირის ერთ-ერთი ყველაზე რთული პიესა – „როგორც გენებოთ“, იმითაა ცნო-

ბილი, რომ მას ხშირად ადარებენ „დისჰარმონიულ და აღრეული ჟანრის პიესას“, პროფესიონალ თეატრალებს კი, პირველ რიგში მელანქოლიით შეპყრობილი ჟაკის ცნობილი მონოლოგით ახსენდებათ, რომელიც ცოტაც და, ჰამლეტივით იტყვის: „რად არ მეშლება ეს სხეული...“ სწორედ „ჰამლეტიდან“ ნასესხები მონოლოგით უჩინარდება ჟაკი – ნატა მურვანიძე დიდ ჩემოდანში, რომელსაც ვინ იცის, რამდენ ქალაქში დაატარებენ მოხეტიალე დასის წევრები...

რეჟისორი ლევან წულაძე ლაშა ბუღაძის ადაპტირებულ ტექსტს დაეყრდნო, რომელიც პიესას ცოტა არ იყოს თვითნებურად ეპყრობა, თუმცა შეკვეცილი ტექსტი ზომიერების ფარგლებში მაინც ეტევა. შექსპირის პერსონაჟები არდენის ტყეში შეგვიტყუებენ რომელიც სინამდვილეში ერთ ხის ფიცარნაგზე ეტევა. ორი ძმის ისტორია (ორლანდო – ნიკა კუჭავა და ოლივერი – ნიკა თავაძე), რომელთა მტრობას მხოლოდ ჯადოსნურ არდენის ტყეში მიმოფანტული პერსონაჟები აქცევენ სიყვარულად, მართლაც პოეზიისა და მელანქოლიის ნაზავს გაგონებთ. სპექტაკლი ქალაქის მოედანზე გათამაშებულ თოჯინურ ბუფონადასა და ფილოსოფიურ დრამას ბუნებრივად აერთიანებს, პლუს ფსიქოლოგიური დრამის ელემენტები.

მარჯვანიშვილის თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის შემდეგ ბრიტანული პრესა წერდა: „ამ სპექტაკლიდან, როგორც სარკიდან, ისე მოჩანს არისტოფანე, დანტი, და, ასე განსაჯეთ, ჩეხოვი და ბრეხტიც კი“. შესაძლოა, ეს ერთგვარი კომპლიმენტია და გარკვეულწილად, რიტუალური მადლობაც

ქართული თეატრის მიმართ. რადგან ლონდონში დღესაც ახსოვთ 90-იან წლებში, გასტროლებზე წარმოდგენილი „ზაფხულის ღამის სიზმარი“ – მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი.

ლევან წულაძის სპექტაკლი საესეა თეატრალური ხილვებით, პოეზიით, გამომგონებლობით და არტისტული ჯამბაზობით. ფიცარნაგი ერთგვარი სამანია, წმინდა ადგილი, სადაც ყველა ყოფითი უწმინურობა და სიავე კეთილ ჯადოქრობად გადაიქცევა. როგორც ჯორჯო სტრელერის „არლეკინში“, აქაც პატარა ფიცარნაგზე გამოტანილი თამაში (თეატრი თეატრში) პოეზიის სიმბოლოა, ხოლო მის მიღმა დარჩენილი სივრცე – ყოფით კინკლაობას, თუ ზოგადად, ცხოვრებისეულ სიმლეგეს აღნიშნავს. მსახიობთა საამო სიანცესა და თითქმის ძალდაუტანებელ სილაღეს ფინალში დროებით დაარღვევს ჟაკის ცნობილი ფილოსოფიური მონოლოგი, რომელიც ხშირად ასოცირდება „ჰამლეტთან“. ეს, ასე ვთქვათ, „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“, ანუ დროის წარმავლობის შესახებ შესხენებას ჰგავს.

როცა ფინალში ძმები შერიგდებიან, ჩახლართული ინტრიგა გაიხსნება და შეყვარებულები დაწყვილდებიან, მოულოდნელად იგრძნობთ იმ უცნაურ მელანქოლიას, პროსპეროს რომ მოიცავს „ქარიშხალში“. და მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, შექსპირის ამ ადრეულ პიესას არაფერი აკავშირებს მის უკანასკნელ პიესასთან („ქარიშხალი“ სწორედ ბოლო პიესაა), რატომღაც წულაძის სპექტაკლის განწყობა,



„მარტივის ზამთარი“

ატმოსფერო და ესთეტიკა სწორედ შექსპირის ყველაზე სიმბოლური და იდუმალი პიესისკენ გიბიძგებთ.

სპექტაკლის მეტ-ნაკლებად ნატიფ ჰარმონიულობაში თავისი წვლილი შეაქვს ნინო სურგულაძის მხატვრობასა და კოსტიუმებს, კომპოზიტორ ვახტანგ კახიძის მუსიკას და გია მარღანიას ქორეოგრაფიას. მსახიობთაგან კი, ნატა მურვანიძეს (ჟაკი) ონისე ონიანს (ლე ბო), გია კუჭავას (ორლანდო), ქეთევან ცხაკაიას (ადამი) და უკვე პოპულარულ ქეთა შათირიშვილს (როზალინდა) აღვნიშნავთ.

ფესტივალზე ნამდვილ აღმოჩენად შეიძლება ჩავთვალოთ სპექტაკლ „ფრეკენ ულის“ პრემიერა სამეფო უბნის თეატრში. აუგუსტ სტრინდბერგის გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე ქართველი რეჟისორი და მსახიობები ცდილობენ მისი იდეები გასაგებდნენ და თანამედროვე თეატრის ენაზე მოგვითხრონ. „თახედი“ ფანტაზიებით აღსავსე რეჟისორის ხელში ეს ნატურალისტური დრამა თამამი ექსპერიმენტის საშუალებასაც იძლევა – მარადიული ბრძოლა ქალურ და მამაკაცურ სანცისებს შორის დღესაც და ჩვენს ქვეყანაშიც ისევე აქტუალურია, როგორც თავის დროზე შეედთოში და ევროპის სხვა ქვეყნებშიც, სადაც „ფრეკენ ული“ მრავალჯერ დაიდგა. დათა თავაძე შეეცადა ფრეკენ ულის (კატო კალატოზიშვილი), ჟანის (გიორგი შარვაშიძე) და კრისტინის (ქეთა შათირიშვილი) ურთერთობა, ასე ვთქვათ, „ტოლკვერდა სამკუთხედში“ მოექცია, სადაც ურთიერთობა მაქსიმალურად დაძაბული და ფეთქებადსამაია.

პერსონაჟები დარბაზში შესულ მაყურებელს თითქოს უკვე ელოდებიან. ისინი, ელექტრომუსიკის ფონზე, ზაფხულის ღამის ზეიმისთვის ემზადებიან. უჩვეულოა მათი სცენურ სივრცეში განლაგებაც და კოსტიუმებიც, რომელიც რატომღაც ფასბინდერის ატმოსფეროს გახსენებენ. შავ კაბაში გამოწყობილი ფრეკენ ული სცენის ცენტრში დგას, რომელიც ამ უჩვეულო სამყაროს მთავარი პერსონაა. მის ირგვლივ ქორა – ქალები, რომლებიც სხვადასხვა დროის სექს-სიმბოლოებს განასახიერებენ და ერთი მამაკაცი – პაატა ინაური, რომელსაც მანეკენით აცმევენ კაბებს, კოსტიუმებს...

კრისტინი, რომელსაც ერთადერთს აცვია დროის შესატყვისი სამოსი, დარბაზშია. მალე დრამის მთავარი მოვლენებიც სწორედ დარბაზში განვითარდება. ხის მაგიდა, რომელზეც ფრეკენ ული მოგვიანებით, დიდი, საგანგებო დანით ქათამს ჭრის, ღამის ეპოქის ატმოსფერულ-მეტაფორული მინიშნებაა, ხოლო გასაბერი ქალი ამოჭრილი ვაგინით – სექსთა ჭიდილის დამცინავი შესხენება. ქორა აქცენტირებულად და ჭარბადაც კი კითხულობს ფრამენტებს სტრინდბერგის „ინტიმური თეატრიდან“, რაც პიესის ტექსტის მიღმა რეალობას წარმოაჩენს. სპექტაკლის ისედაც მკაცრი და ზუსტად გათვლილი მიზანსცენების ფონზე, ეს ზედმეტად გვეჩვენება.

სოციალურ-ფსიქოლოგიური დეული არისტოკრატ ქალსა (ფრეკენ ული) და მოსამსხურე მამაკაცს (ჟაკი) შორის იმდენად სწრაფად იცვლის ელფერსა და ობერტონებს, რომ კატასტროფა ყოველ წუთს შეიძლე-

ბა მოხდეს. ეს დაძაბულობა აქცენტირებული არა მარტო მათი დიალოგებით, არამედ, ნივთებითაც. ხახვით სავსე კალათა, რომელიც მოულოდნელად გადაყირავდება, სიგარეტი, რომელსაც ჯერ კრისტინი და შემდეგ ფრეკენი საფრეფლეში დებენ; უზარმაზარი ხალიჩა, რომელშიც ფინალში ფრეკენ ული გაეხვევა, დანა, რომლითაც იგი უჩინარდება – ეს ყველაფერი ზუსტად და ძუნწად აკინძული მეტაფორებია, რომელშიც თეატრალის მახვილი მზერა მრავალ მინიშნებას ამოიკითხავს.

დათა თავაძის სპექტაკლის ყველაზე დიდი ღირებულება (ნიკა ფასურის ჩინებულ მუსიკასთან, სცენოგრაფიულ გადანწყვეტასთან და მსახიობების ნამუშევრებთან ერთად) მანც კლასიკური ტექსტის 100 წლის შემდეგ „აღმოჩენა“ და მისი თანამედროვე გააზრებაა. სტრინდბერგის ეს პიესა ხომ არასოდეს დადგმულა ქართულ სცენაზე, სადაც ქალები და კაცები ერთმანეთს სექსთა ჭიდილს გაუმართავდნენ.

ფესტივალის ქართული პროგრამის კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა იყო ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში წარმოდგენილი ქორეოდრამა „კარმენი“ (ბიზეს მუსიკა დამუშავებული შჩერდინის მიერ), რომელიც ბრიტანული კომპანიის „Moving Theatre“-ის დახმარებით განხორციელდა. ამ სპექტაკლით ქართული თეატრი მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის განათლებისა და კულტურის პროგრამების საერთაშორისო პროექტში, რომელშიც საქართველოს გარდა, საფრანგეთი, რუმინეთი და ბრიტანეთი მონაწილეობენ.

# სხანი უმკმდეანი

სტილი





# უსათაუროდ

თამარ ალავეიძე

ჭავჭავაძიდან ბერძენიშვილზე ჩახვევისას, აუცილებლად გექნებათ შემჩნეული მარცხენა კუთხეში, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული კომერციული ფართი. არც დიდია და არც ძალიან პატარა, სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად საკმარისი ზომისაა.

ამ ადგილმა წლების განმავლობაში სახე და მფლობელი ბევრჯერ შეიცვალა: ხან კაფე იყო, ხან რესტორანი, ბოლოს ისევ კაფედ გადაკეთდა, სადაც ნაირ-ნაირ ყავას დალევდით. გარემო, ერთი შეხედვით, სასიამოვნო იყო: ინტერიერს ეტყობოდა, რომ მის შექმნაზე შემოქმედებითი დრო და ფინანსებიც საკმარისად იყო დახარჯული. მომსახურე პერსონალიც თბილისის სხვა კაფე-რესტორნების პერსონალისგან დიდად არც ერთუზიანებით გამოირჩეოდა, არც მომსახურებით. მოკლედ, რომ ვთქვათ, ევროპულ ყაიდაზე გაკეთებული ერთი უწყინარი კაფე იყო, კარგი ად-

გილმდებარეობით და სუსტი მენეჯმენტით.

ცოტა ხნის წინ, ბერძენიშვილზე რომ გავიარე, კაფე დაკეტილი დამხვდა – სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ახალი ინტერიერის მიხედვით, სავარაუდოდ, აქ ისევ კაფეს უნდა ხსნიდნენ. არ ეშვებიან-მეთქი, გავიფიქრე, იმედი აქვთ, რომ გასული წლების წარუმატებელი მცდელობების მიუხედავად, რომელიღაც ჯერზე ეს ადგილი გაამართლებს და იმუშავებს.

მეშინია, რომ საქართველოც, ამ უწყინარი კაფეს მსგავსად, „აქ-არა-ფერმა-იმუშავა“ იარლიყმიკრებულ ტერიტორიად არ იქცეს. იმის გამო მეშინია, რომ ჩვენი დემოკრატია ისეთივე ფარსია, როგორც ლაზიკას საერთაშორისო მნიშვნელობა; იმის გამო, რომ ადამიანის უფლებებზე მალლა ერთეული პიროვნებების ხელშეუხებელი კეთილდღეობა დგას; იმის გამო, რომ საკუთარ უფლებებს პატივი ავყარეთ და ახლა თავად ვგრძნობთ თავს

შეურაცხყოფილად; იმის გამო, რომ „უნიჭიერესი ერის შვილები“ ყველაზე უნიჭო მოქალაქეები აღმოვჩნდით.

დოსტოვესკი ათეიზმზე საუბრისას „სვეტსკოე რავნოდუშიეს“ ფენომენს გამოარჩევდა, ამ კატეგორიას მიკუთვნებულ გულგრილ ადამიანებს კი ყოველგვარი რწმენისგან დაცლილ და ცარიელი შიშის ამარა დარჩენილ არსებებად მოიხსენიებდა. მგონია, რომ ეს „გულგრილობის“ მდგომარეობა ასე ათასობით ქართველმა ისე გამოვიარეთ, რომ შიშის გრძნობა არც კი განგვიცდია. გამოვიარეთ-მეთქი, ამის თქმის უფლებას ბოლო რამდენიმე დღე მაძლევს, იმიტომ, რომ მგონია, დღეს სამოქალაქო პროტესტში გაერთიანებულმა თითოეულმა ადამიანმა წლების განმავლობაში მიძინებული საკუთარი უფლებების აღდგენა დაიწყო და საკუთარი ძალის რწმენა გაუჩნდა – რწმენა, რომელიც გულგრილობიდან თავის დაღწევის და კონკრეტული მიზნის მიღწევის წინა პირობაა.





სხაი  
შოკოლადი  
**98.5 FM**



2 985 985



radio@shokoladi.ge



radio.shokoladi.ge



ყოველ პარასკევს, 12:00

განმეორებით ყოველ შაბათს, 11:00



## VINYL

ტანსაცმლის ინდუსტრიაში ვინილის გამოყენება 1960-იან წლებზე მეტად ელზა სკიაპარელის სახელს უკავშირდება. ექსცენტრული ახალგაზრდა იტალიელი ქალი პირველი იყო დიზაინერებს შორის, ვისაც გამბედაობა და ფანტაზია ეყო, მაღალ მოდამი აპრობირებული აბრეშუმების და შალის ნაცვლად, ხელოვნურად შექნილი „უცხო სხეული“ – ვინილი შეეტანა. მოგვიანებით, ყველაზე ინტენსიურად და მასშტაბურად ვინილის გამოყენება ფუტურისტული და კოსმოსით ინსპირირებულ 1960-იანი წლების მოდამი დაიწყო.



1. Jil Sander, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
2. Marni, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
3. Diane von Furstenberg, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
4. Costume National, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
5. Felipe Oliveira Baptista, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
6. Alberta Ferretti, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
7. Alexander Wang, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
8. Emilio Pucci, შემოდგომა-ზამთარი 2012/13
9. Fendi, შემოდგომა-ზამთარი 2012/13





WHITE DRAMA, COMMES DES GARCONS-ის გამომუშავება, 2012

# უვარსკვლავო ქალაქის ვარსკვლავები

## სამი პარიზული გამოფენის შესახებ

ავტორი მათი სამადაჟილი  
ფოტო პირ ანტონი

ცნობილია, რომ პარიზში ვარსკვლავები არ ანათებს, აი, ასე, სულ მარტივად – აიხედავ ცაში, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თუმცა უკმაყოფილების შეგრძნება გრძება და ხვდები, რომ რაღაც ისე არაა, ეს რაღაც კი ვარსკვლავებია, რომლებიც პარიზულ ცაზე იშვიათად თუ გამოანათებს და ისიც ძალიან მკრთალად.

ლამეა. ცაში ვიყურები და მახსენდება, რომ ამ ქალაქში დასასვენებლად ჩამოსულს, „სტილის“ რუბრიკისთვის სამი გამოფენაზე მაქვს დასაწერი და ვფიქრობ, რომ გლამურის და მოდის დედაქალაქად წოდებული ქალაქი არ შეიძლება ასეთი „ჩამქრალი“ იყოს. თუმცა რამდენიმე დღეში ვხვდები, რომ პარიზის მთელი (მოდური) ბრწყინვალეობა სხვაგან, მოდის სახლებსა და საგამოფენო დარბაზებში უნდა ვეძებო.

მესამე დღეს, პარიზის ახალაშენებულ, მოდურ უბანში, სენის სანაპიროზე, მოდის ინსტიტუტ „Docks-Cite de la mode et du design“-ში მივდივარ.

მუზეუმის შენობა თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშია, დიდი დერეფნებით, გრძელი ტერასებით და მინის ფასადებით. დაცვის იტალიელმა წარმომადგენელმა (მისი წარმომავლობა ცუდი ფრანგულითა და იტალიური ტემპერამენტით გაგვიფრე) გულმოდგინედ ამიხსნა, რომ ვარ მოდის ინსტიტუტში, თუმცა აქ არაფერს ასწავლიან, მთელი სივრცე რამდენიმე საგამოფენო დარბაზს, მალაზიებს და საცეკვაო მოედნებს ეთმობა. ბოლოს დაამატა, რომ ჩემთვის სასურველი გამოფენები იქვე, პირველივე სართულზე უნდა ვეძებო და გზაც მიმასწავლა.

დანიშნულების ადგილს რამდენიმე წამში მივადექი და რიგში ჩავდექი. მიუხედავად იმისა, რომ რიგითი სამუშაოდლე იყო, გამოფენაზე შესვლას მაინც უამრავი ადამიანი ცდილობდა: მოდით დაინტერესებული სტუდენტები(მათი ცნობა ძალიან მარტივია. ისინი ძალიან მოდურად, ხშირად ავანგარდულად არიან ჩაცმულები და ექსპოზიციის თვალთვლებისას კომპეტენტურ კომენტარებს აკეთებენ), მოდის ექსპერტები (ისინი თითოეულ ნიმუშს აიპედით იღებენ) და ჩემნაირი „უადრესობი“ (ადამიანები, რომელთაც მოდის შესახებ ბევრი არაფერი იციან და კოსტიუმების ხელოვნების ნიმუშად აღქმას ცდილობენ).

– პრესის წარმომადგენელი ხართ?  
– მეკითხება შუა ხნის, სიმპათიური ქალბატონი – მოლარე.

– დიას, – ვპასუხობ და პრესბარათს ვუნვდი. ისიც უცბად მანვდის უფასო ბილეთს და რამდენიმე კატალოგს, ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ ფრანგულად. შესვლისთანავე ჩემს ყურადღებას დარბაზის უცნაური ინტერიერი იპყრობს, დაუდევრად შეღებილი ბეტონის კედლები, ჭერზე გამავალი ლითონის მილები და რკინის ვიტრინები. ვერ ვხვდები, ასეთ გარემოში რა უნდა მაღალ მოდას, თუმცა ექსპოზიციის თვალთვლებისას გასაგები ხდება, რატომ შეირჩა სწორედ ეს სივრცე ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დიზაინერის ნამუშევრების გამოსაფენად. კონტრასტი კლასიკურ კოსტიუმებსა და ქაოტურ არქიტექტურას შორის – ჩემთვის იმის ნიშანი ხდება, როგორ შეიძლება უკვე XX საუკუნის კლასიკოსი დიზაინერი და მისი ნამუშევრები,

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ სრულიად ახლებურად გაიზარო.

გამოფენა „Cristobal Balenciaga Collectionneur de modes“ მასპინძელმა მუზეუმმა ბალენსიაგას მოდის სახლთან თანამშრომლობით მოაწყო და კრისტობალ ბალენსიაგას გარდაცვალებიდან 40 წლისთავს მიუძღვნა. გამოფენაზე 70-მდე ექსპონატი იყო წარმოდგენილი, ამათგან ნაწილი თავად დიზაინერის მიერ შექმნილი კოსტიუმები იყო, ნაწილი კი მისი პირადი ნივთები – აქსესუარები, რომლებიც მუზეუმს კრისტობალ ბალენსიაგას ოჯახმა გადასცა.

კოსტიუმები ორ გრძელ რიგად მდგარ ლითონის ვიტრინებში იყო წარმოდგენილი და იდეურად ორ ნაწილად იყოფოდა; ზედა ვიტრინებში სამოსი იყო წარმოდგენილი, ქვედა უჯრა-ვიტრინებში კი დიზაინერის პირადი ნივთები — სხვადასხვა ზომის, ფორმის და მორთულობის ყელსაბამები, მოქარგული ქსოვილები და კოსტიუმების ფრაგმენტები.

თვალის ერთი გადავლებითაც კი მივხვდი, რომ საქმე პერფექციონისტ დიზაინერთან მაქვს. შავი, მაქმანებიანი მოკლე კაპეები, მოქარგული, მოკლე ლაბადები, სადა პალტოები, ქურთუკები და ქუდები, მაღალი მოდის საღამოს კაბები, – ყველა ეს ნამუშევარი თითქოს არქიტექტურული სიზუსტითაა „დაგეგმარებული“, ამაზე დიზაინერის ესკიზები მიუთითებს, რომლებიც მის პირად ნივთებთან და ძველ ფოტოებთან ერთად, შემინულ თაროებზეა წარმოდგენილი. პირველსავე რიგშია გამოფენილი გამორჩეულად ეფექტური, საოცარი სილამაზის სატინისა



ბაჰოჟენა CRISTOBAL BALENCIAGA COLLECTIONNEUR DE MODES, 2012

და „ტიულის“ გრძელი, საღამოს კაბა, რომელიც მთელ სიგრძეზე, ორსავე მხარეს, ატმისფერი და ნაცრისფერი ყვავილებითაა ნაქარგი.

დარბაზის ბოლოში გასული, მარჯვნივ ვტრიალდები ახალი რიგისკენ და პირველივე ვიტრინაში ჩემთვის კარგად ნაცნობ აქსესუარს ვხედავ – ესაა ბალენსიაგას მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, 1967 წელს, საქორწინო ანსამბლისთვის არქიტექტურული სიმეტრიით შექმნილი, მხრებს ქვემოთ ჩამოშვებული კრემისფერი ქუდი, რომელიც ჩემთვის მას შემდეგ იქცა ბალენსიაგას სიმბოლოდ, რაც ზოგადად ამ მოდის სახლის შესახებ შევიტყვე.

დარბაზის მარჯვენა მხარეს, ვიტრინებში წარმოდგენილი ნამუშევრები ფერთა გამის თვალსაზრისით გაცილებით მრავალფეროვანი და სახალისოა – მუქი ვარდისფერი, კრემისფერი, ყვითელი, შაბიამნისფერი, ბორდოსფერი და მწვანე ყოველდღიური და საღამოს კაბები, კოტონის მოკლე ჟილეტები, სხვადასხვა ფორმის და სეზონის ფეხსაცმელი.

შემიწულ თაროებზე ისევ ბალენსიაგას ჩანახატები, ძველი ფოტოები და ქსოვილების ფრაგმენტებია. ნამუშევრებს კიდევ ორჯერ ვათვალიერებ, ვცდილობ, ყველა კოსტიუმი დავიმახსოვრო უმცირესი დეტალებით. სანამ გამოვალ, ფიქრით ბალენსიაგას წარსულისკენ მივდივარ, დარბაზიდან გამოსვლისას, როცა გონებაში გამოფენას ვაჯამებ, ვრწმუნდები, რომ კრისტობალ ბალენსიაგა ნამდვილად ღირსეულად ატარებს „Couturiers des Couturiers“ სახელს. არც ისაა გასაკვირი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის მიმდევარი ქალბატონები სიცოცხლის ფასად ბალენსიაგასთან პარიზში ახალი კოსტიუმების შესაკერად ჩადიოდნენ, უცებ წარმოვიდგინე, როგორ აცმევდა თეთრ ხალათში შემოსილი დიზაინერი, აქ გამოფენილ საოცარ კოსტიუმებს მის სამოსზე შეყვარებულ ქალებს და სწორედ ამ დროს, ოცნებებში წასულს, ფიქრს კონტროლიორის ხმა მანყვეტინებს:

– თქვენი ბილეთი, თუ შეიძლება!

მივხვდი, რომ უკვე მეორე დარბაზის

შესასვლელთან ვიდექი, სადაც ჩემთვის ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი „COMME des GARÇONS“-ის გამოფენა უნდა მენახა. შესვლისთანავე დავრწმუნდი, რომ ჩემი მოლოდინი სრულად გამართლდებოდა. იმავე შენობაში, იმავე სართულზე, იმავე ინტერიერში, სულ რაღაც 1 წუთში სრულიად სხვა, ჩემთვის უცხო სამყაროში აღმოვჩნდი.

„White Drama“ – გამოფენის ეს სახელწოდება, უკვე მამცნობდა, რომ ამ ბრენდისთვის ჩვეულ, ერთ ფერში შექმნილი კოლექცია უნდა დამეთვალყურებინა, თეთრი – გასაგებია, მაგრამ დრამა – რაღა იქნება? – ვფიქრობდი ჩემთვის, თუმცა პირველი სამი კოსტიუმის დათვალყურებისთანავე ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს შორეულ მომავალში აღმოვჩნდი, სადაც მხოლოდ მე და 33 მოდელი-რობოტი ვარსებობთ. კოსმოსური მიკროსამყაროების შექმნა გამოფენის ორგანიზატორების ერთ-ერთი ექსპერიმენტული ჩანაფიქრი რომ იყო, ამაზე ექსპოზიციის განლაგება მიუთითებდა. დარბა-



გამოფანა LOUIS VUITTON-MARC JACOBS, 2012



WHITE DRAMA, COMMES DES GARÇONS-ის გამოფანა, 2012

ზში 10-მდე პოლიეთილენის მოზრდილ ბურთში ოთხი კოსტიუმი იყო წარმოდგენილი.

პირველი შთაბეჭდილება ზუსტად ისეთი იყო, როგორც, ზოგადად, რეი კავაკუბოს „მოდა“ – არასაყოველთაო, კონცეპტუალური და პროვოკაციულად „ერთფეროვანი“.

33 გიჟური, გაურკვეველი ფორმისა და სილუეტის თეთრი კოსტიუმი, სამარისებურ სიჩუმეშია წარმოდგენილი, თუმცა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისინი „ხმაურობენ“, რალაცას მელაპარაკებთან. „მგონი, ცოტა გავაფრინე“ – ვეუბნები ჩემს თავს, თუმცა პოსტმოდერნულ მოდაში ყველაფერია შესაძლებელი – იქვე ვახსენებ ჩემს თავს და დარბაზის სიღრმისკენ მივინვებ.

კოსტიუმები ფუნქციური თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი – თავისუფალი სილუეტის, წელზე გადაჭრილი, წინა მხარეს ბაფთიანი, სატინის კაბებია, რომლებსაც ანსამბლის შემკვრელი დეტალი – უჩვეულო ფორმის თეთრი ქუდეები ასრულებს. კაბებს უა-


მრავი ვარდით განწყობილი თავისუფალსახელოებიანი, ვინრო სილუეტის პალტოები და მოქარგული გიპიურით გაფორმებული ბადე-კაბები მოსდევს. ანსამბლს აქაც უფორმო, ასიმეტრიული ქუდეები ასრულებს.

„სილამაზის ძებნა იქ, სადაც მის ძებნას მანამდე ვერავინ ბედავდა“, – მახსენდება „Vogue“-ში წაკითხული ციტატა, რეი კავაკუბოს მიზნებზე და ვფიქრობ, რომ ამ კოსტიუმებს პირდაპირი გაგებით არაფერი აქვს საერთო არც სილამაზესთან და არც ესთეტიკასთან, პირიქით, თითქოს დიზაინერი ამ ორი ცნების დეკონსტრუქციას ცდილობს. ალბათ, ამიტომ თუ უწოდეს მოდის კრიტიკოსებმა კავაკუბოს მოდას „ანტიმოდა“, თუმცა სწორედ ეს „ანტიმოდა“ წლების მანძილზე თავისუფალი, ზოგჯერ აბსურდული, მუდამ წესების და სიმეტრიის წინააღმდეგ მებრძოლი, ინტელექტუალური მოდის სიმბოლოდ იქცა – მოდად, რომელიც თანამედროვე მოდას უსწრებს.

მეორე ჯგუფი – თავისუფალი სილუეტის რამდენიმე გრძელ მოსასხამს

მოიცავდა, რომელთაც მკლავებზე და ზურგზე შავი და ნაცრისფერი ელვა ჰქონდათ დატანებული და რომელთაც ხელით შესრულებული ბატიკა დანარჩენი კოსტიუმებისგან კიდევ უფრო გამოარჩევდა. იყო კიდევ ერთი ჯგუფი (რამდენიმე ანსამბლი) – ნეილონისა და ბამბის ბადე-ქვედაბოლოები; თეთრი, მოკლესახელოებიანი, მაკრამეს ტიპის, მაქმანებიანი მოსაცმელები და აჟურული ქუდეები. ვარდების თემა ამ ჯგუფშიც მეორდება, ერთ-ერთი ბადე-ქვედაბოლო თხელი ქსოვილით დაფარული უამრავი ვარდითაა გაფორმებული. ვარდებითაა განწყობილი ქალთევზას ტიპის, ტანზე მომდგარი, გრძელი კაბებიც.

მიუხედავად იმისა, რომ, აი, უკვე ყველა კოსტიუმი დავათვლიერე და დიდხანს ვუკირკიტე, დარბაზიდან მაინც არ გავდივარ. კიდევ რამდენიმე წრეს ვარტყამ ექსპოზიციას და ვცდილობ, წარმოვიდგინო ადამიანი, რომელიც ამ სამოსის ტარებას შეძლებს, თავში მხოლოდ კიჩური ვარიანტი მომდის – Lady Gaga. მეერ მახსენდება,



WHITE DRAMA, COMMES DES GARCONS-ის ბაზოფინა, 2012

რომ ეს მაღალი მოდაა და არა პრეტ-ა-პორტე, რასაც „COMME des GARCONS“ ასევე აწარმოებს. გამოვდივარ. შთაბეჭდილებები თანდათან ლაგდება და დროთა განმავლობაში გონებაში ღრმად ილექება.

გეგმაში ვიხედები, ერთი გამოფენა მრჩება – „Louis Vuitton-Marc Jacobs“, „Les Arts Decoratifs“-ში. რივოლის 107-ში, ლუერის მარცხენა ფლიგელში, რამდენიმე კიბით, მარმარილოთი მოპირკეთებულ უზარმაზარ დარბაზში ჩავდივარ. დერეფანში უამრავი ხალხი ირევა, ბუკლეტებით შეიარაღებული ტურისტები სასურველ დარბაზს ეძებენ. მე უკვე ჩვეულ პროცესს ვავდივარ: პრესის ბარათი, უფასო ბილეთი, ორმხრივი ღიმილი.

„კატალოგი, სამწუხაროდ არ გვაქვს, არც ინგლისურად“, – მეუბნება მოლარე და მეორე სართულზე დარბაზისკენ მიმითითებს. მეც ავდივარ და სრულიად მოულოდნელად ბნელ ოთახში ვხვდები, მკრთალი განათება, მუქი კედლები და მინიმალისტური მუსიკა, ასე, თითქოს არსაიდან იწყება მარკ ჯეიკობსის და ლუი ვუიტონის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც რამდენიმე დარბაზს მოიცავს. იმის გამო,

რომ დარბაზები ერთმანეთს კვეთს და ერთმანეთში გადის, დამთვლიერებული ლაბირინთში ხვდება. თავდაპირველად დიზაინერების პორტრეტებს და ვუიტონის პირად დოკუმენტებს ვათვალიერებ, რომლებიც ჩარჩოშია ჩასმული და კედლებზე კიდია, კედლებზე მისი ბიოგრაფიის და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ დაწერილი ტექსტები მხვდება. შემდეგ დარბაზში, უკვე ექსპოზიციის ძირითადი ნაწილი ვიტრინებში გამოფენილი თოჯინების სამოსით იწყება, მინიატურული ზომის ფერადი სამოსი, მაქმანებითა და დრპირებული ქსოვილითაა შესრულებული და ბავშვობის მოგონებებს აღძრავს. მოპირდაპირე მხარეს, ვიტრინაში ვიქტორიანული ეპოქის სილუეტის ფერადი კაბებია წარმოდგენილი, რომელთაც უკანა მხარეს მთელ სიგრძეზე ჩამოკიდებული სარკეები ირეკლავს და სულ რამდენიმე კაბის ნაცვლად კოსტიუმების დიდ ჯგუფს ვხედავ. კაბებს „Louis Vuitton“-ის სავიზიტოდ ბარათად ქცეული სამგზავრო ჩემოდნები ცვლის, რომლებიც რამდენიმე ვიტრინაში უხვადაა წარმოდგენილი – დიდი და პატარა, ტყავის და ხის, მეტალით განწყობილი და სადა, სამგზავრო და

ხელჩანთა, ის კი არა, ასეთი გამორჩეული ექსპონატიც ვნახე – სალამოს ჩანთა, ჩემოდანზე ოდნავ ვიწრო და გრძელი.

აქსესუარებს ვუიტონის პირადი ნივთები ცვლის – ბლოკნოტები, შემოსავალ-გასავლის ნიგნაკი და სხვა. ერთ-ერთ ვიტრინაში რენტგენის ეფექტით განათებულ ნამუშევრებს ვაწყდები – ასეთი ორიგინალური გადაწყვეტა მხოლოდ რამდენიმე წუთით მხიბლავს, გამოფენის დათვალიერების შემდეგ ვერ ვხვდები, რისი თქმა უნდოდათ ექსპოზიციის ორგანიზატორებს, რადგან ბევრი მედიის არევა, თემატური და აზრობრივი ეკლექტიურობა, ათობით საგამოფენო ექსპონატი, დაბნეულობის შეგრძნებას მიტოვებს.

პირველ სართულზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ანიმაცია გადის, „Louis Vuitton“-ის სიმბოლოებით ბრენდის სახელი იქმნება და ისევ იშლება, გვერდით, კედელზე კი, დოკუმენტური კადრები ჩანს – ძველი პარიზი, შანზ-ელიზეზე მოსეირნე მოდური ქალბატონებით და ეტლებით... მეორე სართული მარკ ჯეიკობსის ეპოქას ეთმობოდა. უკანასკნელი წლების გამორჩეული მოდელები – უზარმაზარი





ქურთუკი  
**119** GEL

ჯინსი  
**89** GEL

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19  
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

**MANGO**



გამოფენა CRISTOBAL BALENCIAGA COLLECTIONNEUR DE MODES, 2012

მანათობელი ყვავილებით განწყობილი და გამჭვირვალე ქსოვილებისგან გამოჭრილი, თვალისმომჭრელი კაბები, უტოპიურად მაღალქუსლიანი, ფერად-ფერადი ფეხსაცმელები, ავანგარდული, დეკორატიული დეტალები და დაუსრულებელი რაოდენობით ჩანთები – ყველაფერი რაც ამერიკელმა დიზაინერმა ამ ბრენდისთვის შექმნა გაცილებით ხალასი და ცოცხალია, ვიდრე ბრენდის ტრადიციული პროდუქცია, თუმცა, ჩემი აზრით, შედარებით უგემოვნოც. პირველივე დარბაზში წარმოდგენილი ხელჩანთები იმდენად „ჭყეტელა“ და დეკორატიული დეტალებითაა გადატვირთული, რომ მხოლოდ ყურებაც კი ღლის თვალს, მის ტარებაზე რომ არაფერი ვთქვა.

ერთ-ერთ ვიტრინაში სხვადასხვა ცხოველის ბუნით განწყობილი საღამოს კაბებია წარმოდგენილი, მანეკენებს კი იმ ცხოველის (ფრინველის) თავი ადგათ, რომლის ბუნვითაც ეს კოსტიუმი განწყობილი.

ჯეიკობსი გიჟური იდეებისთვის მეორე სართულზე ასვლისთანავე გა-

მზადებს. უზარმაზარ კედელზე, მთელ სიგრძეზე დამონტაჟებულ ეკრანებზე პოპ-არტის სტილში გაკეთებულ ვიდეოკოლაჟს აჩვენებენ, რომელშიც ახალგაზრდა ელიზაბეთ ტილორსაც ვხვდავ, ყურებამდე გალიმებულ მონალიზასაც და უცნობი მულტიფილმის გაურკვეველ პერსონაჟსაც. კოლაჟს წარწერაც აქვს – „არ აჩვენოთ ბავშვებს“. ამ წარწერის ნაკითხვის მერე ვიდეოს მეტი ყურადღებით ვაკვირდები, თუმცა ვერც შიშველ ადამიანებს ვპოულობ და ვერც ძალადობის ამსახველ სცენებს. „არაფერი მესმის“, – ვფიქრობ ჩემთვის და დაბნეული ვაგრძელებ გზას. ვგრძნობ, რომ რაღაც მანუებებს, ბოლოს ვხვდები – თვალთან ერთად ყურიც დამელალა, რადგან ყველა დარბაზში სხვადასხვა მუსიკაა ჩართული. ამ სართულზე ყველაზე საინტერესო — კედლებში დატანებული ჭუჭრუტანებია, რომელში ჩახედვითაც „Louis Vuitton“-ის დეფილემების ნახვა შეგიძლიათ – ეს ექსპოზიციის ყველაზე კრეატიული და ორიგინალური გადანწყვეტაა, რო-

მელიც გამორჩეულად მამახსოვრდება, ისე კი ამ გამოფენიდან მხოლოდ ქაოტური შთაბეჭდილებები და დაბალი ხარისხის, „ქურდულად“ გადაღებული ფოტოები მრჩება (ექსპოზიციის გადაღების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, დაცვის წარმომადგენელი ქალბატონი წამსვე ჩემთან გაჩნდა და სასწრაფოდ ფოტოაპარატის შენახვა მომთხოვა).

რას ვიზამდი, კიდევ ერთხელ დავიარე დარბაზები და თავბრუდახვეულმა, ძვირფასი ქსოვილებისა და თვლების ამ დაუსრულებელ ლაბირინთს ძლივს დავაღწიე თავი.

ერთ დღეში სამი სრულიად განსხვავებული გამოფენა ვნახე და სამი დასკვნა გავაკეთე:

1. არასდროს უნდა ნახო ამდენი გამოფენა ერთად.
2. იაპონური მოდა მინიმუმ 50 წლით უსწრებს ფრანგულ ან ამერიკულ მოდას.
3. დავრწმუნდი ჭეშმარიტებაში: „მოდა სასაცილოა, მაგრამ ვინც მას დასცინის ის უფრო სასაცილო“.

# LYCIA

მაქსიმალური, აქტიური და გუსტი ეფექტი  
48 საათის განმავლობაში



შემოვი  
მიკროღრუბლებით

## LYCIA, ყოველ ჩემ მოძრაობაში

- არ ტოვებს კვალს ტანსაცმელზე
- 48 საათიანი მოქმედებით, ჯანსაღი დაცვა
- მზრალი ეფექტის სპეციალური ფორმულა
- ალკოჰოლისა და საღებავების გარეშე
- იდეალურია პარსვის შემდეგ
- შემოწმებულია დერმატოლოგიურად



ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში  
საქართველო, თბილისი, მამთარაძის ქ.21  
ტელ/ფაქსი: +995 32 243 22 07  
e-mail: audrey@audrey.ge

**LYCIA**  
ქალის სიძვერა

# ბრიტანელი ქალის პარიზული რომანი

## ქლარ უიით ქელარის შემოღობა-ზამთრის კოლექცია CHLOE-სთვის

ავტორი თამარ ალავიძე



ქლარ უიით ქელარი



CHLOE, შემოღობა-ზამთარი 2012/13

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ პარიზი სრულად იყო მოცული მაღალი მოდი და სამოსით, რომელსაც თითზე ჩამოსათვლელი პრესტიჟული მოდის სახლები მომხმარებელს სთავაზობდნენ. თითოეულ ამ სახლს ერთი რამ აერთიანებდა: ისინი მაღალ მოდას ქმნიდნენ – დახვეწილ, ძვირადღირებულ სამოსს, რომელზეც ხელი მხოლოდ ფინანსურად შეძლებულ ქალებს მიუწვდებოდათ. ახალგაზრდა გოგონებს კი მაღალი მოდის ნიმუშები დიდად არ იზიდავდა. მიზეზი არა მხოლოდ მაღალი ფასი იყო; არამედ ისიც, რომ ასეთი სამოსი დღისით ჩასაცემლად არ გამოდგებოდა.

სწორედ ეს სიცარიელე შეუვსო პარიზელ გოგონებს პარიზში მცხოვრებმა, წარმოშობით ეგვიპტელმა ებრაელმა გაბი აიონმა, როდესაც მან პარიზის ახალგაზრდობას ყოველდღიური, პრაქტიკული და ხარისხიანი „ლუქსის“ კატეგორიის სამოსი შესთავაზა. სახელიც ისეთივე შეურჩია – Chloe (ქლოე) – რომელიც იდეალურად გადმოსცემდა სამოსის განწყობას და იმ ქალის ბუნებას, რომელიც მსგავს ტანსაცმელს აირჩევდა.

წელს Chloe-ს სახლი დაარსებიდან 60 წლის იუბილეს ახალ შემოქმედებით დირექტორთან, ბრიტანელ კლერ უიით კელერთან ერთად აღნიშნავს. სახლის სათავეში ბრიტანელი დიზაინერის მოყვანას სიახლეს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ, ვინაიდან ამ ფრანგული სახლის ისტორიაში ეს რიგით უკვე მეოთხე ბრიტანელი ქალი-დიზაინერია.

ახალ ამბულაში წარმოდგენილი პირველი, ნაკლებად წარმატებული ჩვენების შემდეგ, კელერმა 2012/13 წლის შემოღობა-ზამთრის სეზონისთვის გაცილებით იმედისმომცემი კოლექცია წარადგინა: Chloe-ს სახლისთვის დამახასიათებელ პარიზულ შიკს ბრიტანელების პრაქტიკული სამოსისადმი სიყვარული დაუმატა და შედეგად შუალედური ნაზავი მივიღეთ.

„ვფიქრობ, ფრანგულ, რაფინირებულ მოდაში თავისუფლების ელემენტი და ბრიტანელების კომფორტისადმი ლტოლვა შემოგვაქვს, – ამბობს კელერი ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, – Chloe-ს ქალი ქალურია, მაგრამ არა გადაპრანჭული. თანამედროვე ქალია (და არა გოგონა), რომელიც მცირე დოზით დაუდევარიცაა. ჩვენი სამოსი რეალური ქალისთვის არის, რომელსაც გათავისებული აქვს ყველა მისი პრობლემა და საჭიროება. Chloe-სთან ვერასდროს შეხვდებით კონცეპტუალურ, აბსტრაქტულ, „არაჩაცმად“ სამოსს. ნებისმიერი სამოსი უნდა იყოს კომფორტული. ბოლო კოლექციას რაც შეეხება, ის პარიზული, კლასიკური ელემენტებით გატაცებული ბრიტანელი გოგონას ისტორიას გვიამბობს“.

ძნელია, კელერს არ დაეთანხმო: დიდი ზომის ქურთუკები (კოლექციის ყველაზე ძლიერი ელემენტი); წვრილტოტიან შარვლებთან შეხამებული მოცულობითი პონჩოები; მაღალწელიან შარვლებზე გადმოდებული მაქმანებით განწყობილი აბრეშუმის ბლუზები; ქურთუკები დიდი ზომის ქამრებით და გარედან მიკერებული ჯიბეებით, რომლებიც სპორტულ შარვლებთან იყო შეხამებული – ეს ყველაფერი ნამდვილად მოგაგონებთ ბრიტანულ-ფრანგულ რომანს.

# ღვინიტი

ვაგინალური სანთლები



სწრაფი განკურნება  
საშოს სოკოვანი  
და ბაქტერიული  
ინფექციებისგან!

ეფექტურად აქრობს  
ინფექციის სიმპტომებს:

ვაგინალურ გამონადენს

წვას

უსიამოვნო სუნს

ქავილს

მაღალი ხარისხი

სწრაფი ეფექტი

მყარი შედეგი

აღადგენს საშოს  
ლორწოვანი გარსის  
მთლიანობას!

**დოზირება და მიღება:** მკურნალობის  
საწყის ეტაპზე მიიღება 1-2  
ვაგინალური სუპოზიტორია დღეში.  
სიმპტომების გაუმჯობესების შემდეგ  
დღეში 1 სუპოზიტორია ძილის წინ  
სრულ განკურნებამდე. ნაზად და ღრმად  
მოათავსეთ საშოში. გამოიყენეთ სულ  
მცირე 5-10 დღე.

მწარმოებელი:  
ლაბორატორიო ელეა, არგენტინა



# მომავლიდან

ფოტო: ფიოდორ ბიგაიკოვი  
სტილი: მიხეილ სემენიჩინი  
კოსტიუმების ავტორი: მარინა ქობალია  
მოდელი: კატია ბოროვიჩი  
მაკიაჟი: ოქსანა მოლჩანოვა

სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი ახალბედა დიზაინერის, მარინე ქობალიას კოსტიუმებით შექმნილი ფოტო-პროექტი, რომელმაც ლეგენდარული მოდის ჟურნალი **Harper's Bazaar**-ის რუსული გამოცემის ფოტოკონკურსში გაიმარჯვა.

თითოეული ეს კოსტიუმი სტუდენტური პროექტის ფარგლებში შეიქმნა.

„ამ კოლექციის შთაგონება ჩემთვის 1960-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დიზაინერის, პაკო რაბანის შემოქმედება გახდა. განსაკუთრებულად საინტერესო მეჩვენა ის, რომ რაბანი თავის ნამუშევრებში არატრადიციულ ქსოვილებს იყენებდა, განსხვავებული დიამეტრის კილიტები კი მის იმდროინდელ ქმნილებებს ხაზგასმულ ორიგინალურობას ანიჭებდა“.















# RAYBAN-ის იუზილა

ავტორი თამარ ალავიძე



როცა ყველა დროის ყველაზე პოპულარული სათვალის მოდელზე საუბრობ, ალბათ, ძნელია, ბანალური შეფასებებისგან თავი შეიკავო. ამიტომაც, გადავწყვიტე, მოკლედ გიამბოთ ჩვენი დროის ყველაზე საყვარელი აქსესუარის ისტორია.

1920-იანი წლების მიწურულს, ამერიკული ავიაციის გენერალს RayBan-ის კომპანიისთვის უნიკალური სათვალის შექმნა უთხოვია, რომელიც ავიაპილოტებს სიმაღლეზე სინათლის ძლიერი სხივების უარყოფითი შედეგებისგან დაიცავდა. კომპანიამ დაკვეთა შეასრულა და მწვანე ლინზებიანი სათვალე დაამზადა, რომელსაც სინათლის დიდი ნილის ბლოკირების უნარი ჰქონდა. ასე გაჩნდა პირველი RayBan-ი, რომელიც მოგვიანებით, 1936 წელს, „ავიატო-

რის” მოდელის სახელწოდებით, უკვე, მაღაზიებშიც გამოჩნდა.

მომდევნო ღირსშესანიშნავი თარიღი ბრენდის ისტორიაში 1952 წელს Wayfarer-ის მოდელის წარდგენა იყო, რომელსაც RayBan-ის სხვა მოდელების მსგავსად, მარტივი დიზაინი ჰქონდა. ამ მოდელმა მალევე მიიპყრო კინოინდუსტრიის ყურადღება და ის, არაერთი ცნობილი მსახიობისთვის საეკრანო იმიჯის განუყოფელ ნაწილად იქცა.

წელს RayBan-ი 75 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, კომპანია შეზღუდული რაოდენობით გამოუშვებს სამახსოვრო წიგნს ბრენდის ისტორიის შესახებ – Legends: Untold Stories, რომელიც RayBan-ის სათვალით დანახული პოპკულტურის ისტორიული გზამკვლევიცაა.

# Restaurant Queue

American Casual Dining

## Live Music

Enjoy Every Friday & Saturday Evening

A large, white, stylized letter 'Q' with a drop shadow, positioned on the left side of the poster. The background features several diagonal stripes in shades of green, orange, and red, and a faint, textured background of handwritten text and a silhouette of the Statue of Liberty.

Freedom square №1

Tel: (+995 32) 2 240 241

[info@queue.ge](mailto:info@queue.ge)





# CIAO ANNA

ავტორი ნინუსა ივარაშვილი

2012 წლის 7 აგვისტოს სტეფანო გაბანამ ტვიტერზე დაპოსტა: „Rip Anna Piaggi, Ciao grande Anna!“ და ამით ყველას ამცნო მოდის სფეროს ნათელი და ექსცენტრული გმირის გარდაცვალება. პიაჯი, მილანში, თავისივე სახლში, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მანოლო ბლანიკმა ოდესღაც თქვა: „ანა ერთადერთია მთელს მსოფლიოში, რომელსაც ტანსაცმელზე ავტორიტეტი გააჩნია“. ეს მართლაც ასე იყო. პიაჯის გარდაცვალების შემდეგ, ყველამ ერთბაშად იგრძნო, რომ მოდის კვირეულებზე მოწყენილობა გაბატონდა.

ანა პიაჯის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლდათ, რომ მისი სამოსი, ათასი პრინტის, ფერის თუნაჭრის, სასაცილო თოჯინისებური გრიმისა და ლურჯად შეღებილი თმის მიუხედავად, არასდროს იყო სასაცილო, ბანალური და მოსაწყენი. პირიქით, ანა იყო სტელა მაკარტნის,



ვივიენ ვესტვუდისა და ცნობილი მე-ქუდის – სტივენ ჯონსის ინსპირაციის წყარო, თითქმის ისევე, როგორც, ლონდონში, იზაბელა ბლოუ იყო ფილიპ ტრისისთვის. კარლ ლაგერფელდი სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ანას ჩაცმულობას იხატავდა, სულ მისი სილუეტის მონახაზებს და ესკიზებს აკეთებდა. „ის იცვამს ისე, როგორც მსახიობი ითამაშებდა როლს. ის არაჩვეულებრივი შემსრულებელია და ამავდროულად, საკუთარი პიესის ავტორი“, – ამბობდა კარლ ლაგერფელდი ანას შესახებ. პიაჯი თავადაც აღნიშნავდა, რომ ერთსა და იმავე ჩაცმულობას არასდროს იმეორებდა, არც საკუთარი საძინებლიდან გამოდიოდა მაკიაჟის გარეშე, მოდის კვირეულებზეც წინა რიგის ადგილებს მხოლოდ იმიტომ თმობდა, რომ უშველებელი ქუდის მოხსნა არ დასჭირვებოდა.

ტანსაცმლის სიყვარული ანას 60-იან წლებში გაუღვივდა. ამ დროიდან დაიწყო მოდის ისტორიის საფუძვლიანი კვლევა. ამ სფეროთი დაინტერესების მიზეზი ფოტოგრაფი ალფა კასტალდი იყო, რომლის ბოჰემური ცხოვრების სტილით სწავლულთა ოჯახში გაზრდილი ანა თავიდანვე მოიხიბლა, შემდეგ კი ცოლადაც გაჰყვა მას.

მალე ანა პიაჯი „არიანას“ რედაქტორი გახდა, რომელიც პირველი იტალიური ჟურნალი იყო ქალებისთვის. უკვე 1967 წელს პიაჯი ლონდონში წავიდა, სადაც ძველმანებით მოვაჭრე დენდი, ვერნონ ლამბერტი გაიცნო. ლამბერტი ტანსაცმელს სავაჭრო ფარდულებში და აუქციონებზე ყიდულობდა და მაღალი წრის, გემოვნებიან ქალბატონებზე ასაღებდა. ლამბერტი და ანა დამეგობრდნენ. როცა ლონდონის ბაზრებში მარგალიტების საძებნელად მიდიოდა, სწორედ ლამბერტს გაიყოლებდა ხოლმე თან. ხელჯოხი, პატარა ბინოკლი, ბუმბულებით განწყობილი პატარა ქუდი და 200 წლის წინ დამზადებული ათასგვარი ასეთი აქსესუარი, ანას გარდერობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ბილ ქანინგჰამი მისი ჩაცმის სტილს პოეტურსაც კი უწოდებს. სტივენ ჯონსი

იხსენებს – „ერთხელ, მე მას პატარა, ნარინჯისფერი ქუდი შევუკერე, რომელიც ვერცხლისფერ პალტოსთან ერთად ეცვა. როგორც მახსოვს, ეს მთის სამაშველო ოპერაციებისთვის განკუთვნილი თერმული პალტო იყო. ანას შემთხვევაში, არ იყო აუცილებელი ტანსაცმელი მაინცდამაინც დიორის ყოფილიყო, მას ყოველთვის ეცვა 1920 წლის ფეხსაცმელი Dolce & Gabbana-ს შარვალთან, Patou-ს ვინტაჟქურთუკთან და პლასტმასის ქამართან ერთად, ხელში სათხილამურო ჯოხით და სასაცილო ქუდით. მას არ ჰქონდა ის შიკი და გრანდიოზულობა,

რაც დიანა ვრილანდს ახასიათებდა, სამაგიეროდ, პიაჯის შემხედვარე, მის გარეგნობაში აშკარად ამოიკითხავდი მსუბუქ არასერიოზულობას, ცოტაოდენ იუმორს, გართობას და რალაც ძალიან საინტერესოს“.

2006 წელს ლონდონში, Victoria & Albert-ის მუზეუმში ანასადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო სახელწოდებით „Anna Piaggi Fashionology“, რომელზეც მისი უჩვეულო და უნიკალური გარდერობი – 2865 კაბა და 265 წყვილი ფეხსაცმელი, ასევე სხვადასხვა ნამუშევრის კატალოგი გამოიფინა. როგორც თვითონ პიაჯი ამბობდა, ამ



**მოდის ისტორია**

სამოსის უმეტესობაში 50 დოლარზე მეტი არ გადაუხდია. ბილ ქინინგჰამი წერს: „პიაჯის ხანდახან მოსიარულე მუზეუმსაც უწოდებენ, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მოდის კარიკატურას. ანა ძალიან უბრალო ადამიანია, რომელიც ექვს სხვადასხვა ენაზე საუბრობს და წერს, თუმცა ყველაზე კარგი კომუნიკაციის საშუალება მაინც მისი კრეატიული ჩაცმის სტილია“.

იტალიელი მოდის კულტი, რომელიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენდა მოდის სფეროში, ყველაზე მეტად ჟურნალებისთვის დაწერილი სტატიებით არის ცნობილი. ჟურნალ „არიანას“ შემდეგ იყო მოკლენზინი თანამშრომლობა VANITY FAIR-თან, თუმცა თვითონ ანასთვის ყველაზე სასურველი და საოცნებო კარიერა მაინც იტალიურ VOGUE-ს უკავშირდება. 1988 წელს პიაჯი იტალიური

VOGUE-ს კრეატიულ კონსულტანტად აიყვანეს, სადაც მისი ინოვაციური და ინტელექტუალური „Double-page spread“ (შემოკლებით Dp) – ეგრეთ წოდებული „ორმაგი გაშლა“ – ჟურნალის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საამაყო ნაწილი გახდა. მასში წარმოდგენილი დრამატული კოლაჟები მოიცავდა როგორც ზოგადად მოდის და ტანსაცმლის მიმოხილვას, ასევე ხელოვნებას, ავეჯს, ნამცხვრებს ან იმ ნებისმიერ ნივთს თუ მოვლენას, რაც ანას გატაცების საგანი ხდებოდა. როგორც მანოლო ბლანიკი იტყოდა: „ეს გვერდები საუკეთესო მოტივაციაა VOGUE-ს წასაკითხად“. ჟურნალის ამ ორი გვერდით პიაჯი ქმნიდა იმას, რასაც იტალიური VOGUE-ს ახლანდელი რედაქტორი, ფრანკა სოცანი, „მბრუნავ ცვალებადობას“ და „ვიზუალურ სტიმულ“-ს უწოდებს – რაღაც გამორჩეულს, რასაც მკითხველის გაოცება ყოველ ჯერზე შეუძლია.

ექსცენტრიკული, ნათელი, თეატრალური, უშიშარი, მეოცნებე და ხანდახან გროტესკული პიაჯი სტანდარტული პარამეტრებით არ იყო ლამაზი, თუმცა ზუსტად იცოდა, როგორ გამოეყენებინა ჩაცმის საკუთარი სტილი იმისთვის, რომ დაეფარა ნაკლი, ანდა ხაზი გაესვა მომხიბვლელობისთვის და ამ გზით შეექმნა ერთგვარი პერსონალურ ენა, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა სქესს, დროს, ეპოქას, იდეებს და წარმოდგენებს... ყველაზე მთავარი კი მაინც პიაჯის გულწრფელობა და თავისუფლებისკენ სწრაფვაა. „მე ვიცვამ ისე, როგორც ვწერ, – ამბობდა ის, – მე ვხატავ საკუთარ პორტრეტს, მე ვადგენ საკუთარი განწყობების კოლაჟს, მაგრამ ამას გააზრებულად ვაკეთებ, მოდის მსხვერპლთაგან განსხვავებით...“ „მართლაც, ქსოვილების პრინტები სწორედ ის ენაა, რაც ანა პიაჯიმ ყველაზე უკეთ იცოდა.

Cafe Kala
acidbar
**K&B**  
still watching you

**ჩვენს ბოლო პასტორალი**

მეგობრული საზოგადოებრივი





**PASTORAL RESTAURANT**

MENGRELIAN CUISINE 6 Erekle II str. T: 592 31 19 19, 2 99 90 19

kala.ge






**New!**  
**Fantastic Duhan**  
8 Chanturia st.  
Tel: 592 681166

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Acid Bar /1/: 3a Al. Kurbegi Ave. tel: 599 101 238. Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000.

Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 13. Acid Bar /4/: Oldani 2 Mikr. building N24.T: 592 411980.

Cafe K&B: 8/10 Erekle II str. tel: +995 32 2 985 013, 599 67 44 88.





[www.radiokalaki.ge](http://www.radiokalaki.ge)



ნაკბიურათ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები  
მისამართზე

[INFO@RADIOKALAKI.GE](mailto:INFO@RADIOKALAKI.GE)

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



სხანი  
შოკოლადენი  
**98.5 FM**

[www.facebook.com/RadioTskheliShokoladi](http://www.facebook.com/RadioTskheliShokoladi)

**98.5**

